იოსებ ომაძე

გაქცეული თითების საოცარი თავგადასავალი

რომანი-ექსტრავაგანცა

თბილისი, 2009 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2009 წ.
ISBN 978-9941-0-2158-9

სარჩევი

კარი I. შესავალი. საოცარი მწერალი – სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი.
რამ დამაწერინა ეს წიგნი? (**Introduzione**, შესავალი) 2
კარი II. გამომცემლობა ”ყვარყვარუკა თუთაბერიძე და კომპანიის”
სარედაქციო საბჭოს დასკვნა (**Vocalizzo a tre voci. Patimente**,
ვოკალიზი სამი ხმისთვის. ტანჯვის გამოხატვით) 3
კარი III. თითები კამერული მუსიკის კონცერტიდან გარბიან
(**Allegro con brio, alla zoppa**, სწრაფად და ცოცხლად,
ბორძიკ-ბორძიკით) 4
კარი IV. მშვენიერი სასახლე და ბედნიერი ბატონი პრეზიდენტი
(**Lieto**, მხიარულად) 8
კარი V. ბატონი პრეზიდენტი საიდუმლო თათბირს ატარებს!
(**Con austeria barbaro**, ველური უხეშობით) 21
კარი VI. ბნელი ღამე, თანაც წვიმიანი, ყველაზე მოსახერხებელი დროა
ბნელი საქმისთვის (**Aspramente**, მკაცრად, პირქუშად) 30
კარი VII. ვაჰ, დრონი, დრონი!.. (**Marcia funebre**, სამგლოვიარო მარში) 40
კარი VIII. ქორწილია, ქორწილი! (**Epitalamio**, საქორწილო სიმღერა) 47
კარი IX. რას ერჩი საკუთარ თავს, შე უბედურო?!. (**Con amarezza** ,
მწუხარებით); მოსმენები და დასმენები (**Con collera**, ბრაზიანად,
სასტიკად); დაჭერები (**Ansioso**, მღელვარებით, შფოთით) 53
კარი X. ციხეში მხიარულად ვატარებთ დროს!
(**Confusamente**, შეშფოთებით) 57
კარი XI. გზაგასაყარი: “რა გზას დავადგეთ?”
(**Esitando**, გაუბედავად, მერყევად);
ახალგაზრდული ბანაკი “კათხა ლუდი”
(**Alla pulcinella**, კარიკატურულად, გაშარჟებით) 64
კარი XII. სოფლური იდილია (**Pastorale**); ყანა და ბაღი რაღამ მოაწყინა?..
(**Con lenezza**, წყნარად, რბილად, ნაზად) 75
კარი XIII. თითებმა ფათერაკებით გადაიარეს ქედი...
(**Con fiacchezza**, უილაჯოდ, დაღლილად);
რა კარგია მდინარეში ჭყუმპალაობა!
(**Mezzo-legato**, მსუბუქად, გადაბმულად) 83
კარი XIV. ქარბორბალა. თითების საჰაერო მოგზაურობა (**Allegro furioso**,
სწრაფად და გაშმაგებით); თითებმა ტყეში ტყაპანი მოადინეს...
(**Frettando, in giu**, აჩქარებით, დაღმავალი მოძრაობა) 87
კარი XV. მრავალჭირნახადი თითები ახლებურად უკრავენ...
(**Alla testa**, დაბრუნება სათავესთან) 95

კარი I.
შესავალი. საოცარი მწერალი – სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი. რამ დამაწერინა ეს წიგნი? (Introduzione, შესავალი)

კარგი მწერლები ამქვეყნად ძალიან ბევრია, მრავლადაა ძალიან კარგი მწერლებიც, აი, საოცარი მწერლები კი – შედარებით ცოტაა. სწორედ საოცარ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი. იგი მხოლოდ საოცარი მწერალი კი არა, საოცარი პიროვნებაც იყო და მისი ცხოვრებისეული გზაც საოცარი გამოდგა, ასევე, არანაკლებ გასაოცარი – მისი წიგნების ბედიც...

სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი, ტომით – პოლონელი, გახლდათ გამორჩეული ნიჭითა და უსაზღვრო ფანტაზიით დაჯილდოებული შესანიშნავი რუსი მწერალი (დაიბადა კიევში, 1887 წელს, გარდაიცვალა მოსკოვში, 1950 წელს), – სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მრავალი ათწლეულის განმავლობაში ფართო საზოგადოებრიობისთვის სრულიად უცნობი და ამ ბოლო დროსაც კი – ნაკლებად ცნობილი. იგი იყო ფრიად ნაყოფიერად მომუშავე შემოქმედი (აგრეთვე, ახასიათებდა უნიკალური, უნივერსალურად ფართო განათლება – ფიზიკიდან და ფილოსოფიიდან დაწყებული, ხელოვნების ყველა დარგით დამთავრებული; იცოდა ათამდე უცხო ენა): დაწერილი აქვს ლექსები, ასზე მეტი დიდი და მცირე მოთხრობა, ექვსი პიესა, ოთხი კინოფილმის სცენარი (მათ შორის სახელგანთქმული ფილმებისა: "წმინდა იორგენის დღესასწაული" და "ახალი გულივერი"), ლიბრეტო ოპერისთვის "სუვოროვი" (მუსიკა გამორჩეულად უყვარდა), ძალიან საინტერესო და ღრმა შინაარსის მხატვრული ნარკვევები, ლიტერატურათმცოდნეობითი, თეატრმცოდნეობითი, მუსიკათმცოდნეობითი და სხვა წერილები... სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის პროზა ხასიათდება სრულიად გამორჩეული ბრწყინვალე სტილით, ირონიულობით, ფანტასმაგორიულობით, ფილოსოფიურობით... მწერალი სულ სიდუხჭირეში ცხოვრობდა და XX საუკუნის ოცდაათიან წლებში მხოლოდ იმიტომ გადაურჩა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მძვინვარე რეპრესიებსა და, შესაძლოა, ფიზიკურ განადგურებასაც, რომ, როგორც მისი შემოქმედების პირველი მკვლევარი და წიგნების პირველი გამომცემელი ვადიმ პერელმუტერი ამბობს, მწერალი არ გამოირჩეოდა საზოგადოებრივი აქტივობით, მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის შემოქმედება "სოციალისტური რეალიზმის" პროკრუსტეს სარეცელში ვერ ეტეოდა და ამის გამო, ევროპული დონის მწერალი, როგორც მას ბევრნი უწოდებდნენ, სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე მოთხრობის დაბეჭდვას ეღირსა. მხოლოდ მწერლის გარდაცვალებიდან თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ(!), ვადიმ პერელმუტერის დიდი ძალისხმევით, 1989 წელს მოხერხდა მისი პროზის პირველი კრებულის დაბეჭდვა, შემდეგ კი – კიდევ რამდენიმესი, რომლებშიც შევიდა დიდი შემოქმედებითი ნაღვაწის მხოლოდ ნაწილი. არადა, სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი ღირსია იმისა, რომ გამოიცეს მისი ნაწერების სრული კორპუსი.

როცა ვკითხულობ რაიმე ნაწარმოებს, ხშირად ასეთი ფიქრი წამომივლის ხოლმე (განსაკუთრებით, თუ მომწონს): "მე კი შევძლებდი ამის და ასე, ამ დონეზე გაკეთებას? იქნებ სხვანაირად ჯობდეს?". ამან მიბიძგა და დავწერე რამდენიმე მოთხრობა და ზღაპარი სხვათა ნაწარმოებების წაკითხვის გავლენით, რასაკვირველია, ჩემი გემოვნებისა და შესაძლებლობების კვალობაზე, როცა მომეჩვენა, რომ სხვანაირადაც შეიძლებოდა თქმა, სხვა "რაკურსით", ან თუ, ჩემი შეხედულებით, თემის ყველა რესურსი არ იყო ამოწურული. როცა გავეცანი სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის მოთხრობას "გაქცეული თითები", მომხიბლა ავტორის უჩვეულო ფანტაზიამ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ერთგვარი დაუკმაყოფილობის გრძნობაც გამიჩნდა: მივიჩნიე, რომ თითების მოგზაურობის ბოლოს რაღაც ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო მათ "მსოფლმხედველობაში", გარემოსადმი და საკუთარი შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაში – უნდა "დაბრძენებულიყვნენ"... გამიჩნდა სურვილი, "შევჯიბრებოდი" ავტორს, ჩემებურად მომეთხრო ეს ამბავი – სულ სხვანაირად (სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკისთვისაც, როგორც ვადიმ პერელმუტერი აღნიშნავს, დამახასიათებელი იყო სხვათა ნაწარმოებებიდან რემინისცენციები, სესხება, "ვარიაციები თემაზე", ფარული ციტატები...). ასეთი განწყობის შედეგად 1993 წელს დავწერე ზღაპარი "გაქცეული თითები" – ფანტაზია სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის თემის მიხედვით; ოღონდ გაქცეულ მარჯვენა ხელის მტევანს მარცხენა ხელის მტევანიც დავუწყვილე, მასაც მივანიჭე თავისუფლება, რათა მოგზაურობა უფრო სახალისო ყოფილიყო (ეს ნაწარმოები შესულია ჩემს წიგნში: "ბედნიერი ფამფალეთი და სხვა ზღაპრები", თბილისი, 1998 წ.). მაშინაც მიმაჩნდა, რომ ამ თემის "რესურსი" ისევ არ იყო ჩემს მიერ ამოწურული, უფრო ფართო ტილოს იმსახურებდა. და აი, თექვსმეტი წლის შემდეგ დავუბრუნდი ამ ჩანაფიქრს... ამასთანავე, ჩემებურად გავიაზრე სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის მეორე მოთხრობის – "ბოლისფერი ბოკალის" – თემაც; რამდენად ბუნებრივად ჩავრთე იგი რომანის მოქმედების მდინარებაში – მკითხველმა განსაჯოს.

ჩემი წინა წიგნის – "მაგიდის რომანის" – შესავალში რასაც ვწერდი, ახლაც გავიმეორებ: რა გამომივა ჩემი ჯახირის შემდეგ, თვითონაც არ ვიცი, მაგრამ მიმზიდველია თვით შეთხზვის პროცესი – ეს არის საოცარი მოგზაურობა ჯერაც შეუცნობელ სივრცესა და დროში, ახალ გარემოსთან და გარემოებებთან, ახალ ხალხთან, მოგონილ პერსონაჟებთან შეხვედრა; რომანის დაწერა – ეს არის მომხიბლავი ავანტიურა!

ამჯერად დავძენ: ცნობილია, მკითხველის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს და, "ილიადასა" და ოდისეადან" მოყოლებული, დღემდე ყველაზე "გამძლე" და "გაუხუნარია", კლასიკად არის ქცეული, თავგადასავლების ამსახველი წიგნები – მოგზაურობისა დროში, სივრცეში, წარმოსახვის სამყაროში და ასე შემდეგ. ვერ დაგპირდებით, რომ მკითხველის ყველა მაღალ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებ, მაგრამ მაინც ვბედავ და აჰა! გთავაზობთ ჩემს მიერ მოთხრობილ თითების არცთუ ჩვეულებრივ თავგადასავალს! და კიდევ: რომანის ყოველი კარის სათაურს დავურთე იტალიური სამუსიკო ტერმინები, რომლებიც მიანიშნებენ მოქმედების ტემპს, ხასიათს თუ განწყობას (შეგიძლიათ, ეს ჩემს ახირებად ჩათვალოთ – მუსიკალურ-ლირიკულ-გროტესკული რომანი მინდოდა დამეწერა!) – მოხეტიალე თითები მუსიკოსები არიან და ყოველივე ნანახ-განცდილს მუსიკოსების თვალით აღიქვამენ და აფასებენ...

რა არის ჩემთვის მუსიკა? ამის შესახებ მთელი ტრაქტატის დაწერა შემიძლია... სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ელემენტარული სამუსიკო განათლებაც არ მიმიღია, მუსიკის სიყვარული კი უდიდესი მაქვს – ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია მუსიკის მოსმენის გარეშე! ყოველგვარი მუსიკა მიზიდავს: ხალხური (რა თქმა უნდა, უპირველესად – ქართული, ასევე, განსაკუთრებით – რუმინული და უნგრული, ბევრი სხვაც), სიმფონიური (ჩემი ღმერთია – დიდი ლუდვიგი!), კამერული, ოპერა, ოპერეტა, საესტრადო მუსიკის ნაირგვარი სახეობები; განსაკუთრებული სიყვარული მაქვს ტრადიციული ჯაზის მიმართ... ჩემი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, წიგნებთან ერთად, გრამოფონის ფირფიტების შეძენას ხმარდებოდა (ახლა – კომპაქტ-დისკებისა), რაიც ოჯახის წევრთა უკმაყოფილებას იწვევდა (ახლაც იწვევს!)...

სულ ღიმილ-ღიმილით, ზოგჯერ – ტკივილიანი განცდებით აღსავსეც, ვწერდი ამ სალაღობო რომანს და თუ მკითხველიც, ასევე, ღიმილ-ღიმილით წაიკითხავს და მცირეოდენ სიხალისეს შევმატებ ამ ჩვენს არცთუ დალაგებულ და დალხინებულ ცხოვრებაში და, იმედი მაქვს, ცოტას დავაფიქრებ კიდეც, – ჩემი ამოცანა შესრულებული იქნება.

კარი II.
გამომცემლობა" ყვარყვარუკა თუთაბერიძე და კომპანიის" სარედაქციო საბჭოს დასკვნა (Vocalizzo a tre voci. Patimente, ვოკალიზი სამი ხმისთვის. ტანჯვის გამოხატვით)

2009 წლის 19 სექტემბერს გამომცემლობის "ყვარყვარუკა თუთაბერიძე და კომპანიის" სარედაქციო საბჭოში შემოვიდა მოქალაქის, ვინმე პეპინო გუერაძის (ქვემოთ მოიხსენიება, როგორც "ავტორი") რომანის "გაქცეული თითების საოცარი თავგადასავალი" ხელნაწერის კომპიუტრის პრინტერზე ამობეჭდილი 3 ეგზემპლარი; რომანი შეიცავს **A-4** ფორმატის ფურცლის 94 ნაბეჭდ გვერდს, დაბეჭდილია "აკადემიური ნუსხურის" შრიფტით, ფონტის ზომა 10. ავტორის დაჟინებული მოთხოვნის თანახმად, სარედაქციო საბჭო იძულებულია, გასცეს გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს უარყოფითი დასკვნის ოფიციალური წერილობითი დასაბუთება.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ რომანი სრულიად მოკლებულია დამაჯერებლობას, მისი სიუჟეტი არარეალისტურია და არსებული სინამდვილის გაშარჟებული, ყოველგვარ ზომიერების გრძნობას მოკლებული წარმოსახვა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. დასაგმობია ავტორის მავნე სულისკვეთება: ყველაფერი წარმოაჩინოს მრუდე სარკეში – შემოიფარგლება ქილიკითა და მხოლოდ უარყოფითის ჩვენებით, ვერ ხედავს ჩვენს ცხოვრებაში ვერავითარ დადებით მხარეს, ვერ ამჩნევს პოზიტიურ ძვრებს ქვეყნის ცხოვრებაში: პოლიტიურ-ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციას, განათლების და სასამართლოს სფეროების, პოლიციის, ჯარის, პროკურატურის ძირეულ რეორგანიზაციას, უამრავ ახალგაყვანილ გზას, აშენებულ შადრევნებსა და ატრაქციონებს, ელექტროენერგიის უწყვეტ მიწოდებას მოსახლეობისთვის, პენსიებისა და ხელფასების დაუბრკოლებლად, ვადაზე დარიგებას, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის უცხოური ინვესტიციების განუხრელ ზრდას, საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციას, გადასახადების შემცირების მზარდ ტენდენციას და ასე შემდეგ.

თვით თემა გაქცეული თითებისა, ავტორისავე აღიარებით, არ არის ორიგინალური – ნასესხებია სიგიზმუნდ კრჟიჟანივსკის მოთხრობიდან "გაქცეული თითები" (რომლის მთელი შემოქმედებაც თა-

ვისთავად ლიტერატურის მაგისტრალურ გზას იყო აცდენილი და ეს მოთხრობა დაწერის დროსაც არ ეხმიანებოდა თანამედროვეობას, არ იყო აქტუალური). ავტორი ადრეც არის შემჩნეული მსგავს დანაშაულში – გამოცდილი პლაგიატორია; გამოჩენილ თუ ცნობილ მწერალთაგანაც კი არ ერიდება სიუჟეტის სესხებას და მათი რიცხვი არც ისე მცირეა: მარკ ტვენი, ო. ჰენრი, სტეპან პისახოვი, ანატოლ პოტიემკოვსკი, რევაზ მიშველაძე. ის ამ მხრივაც ბაძავს სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვათა თემების "სესხება", ფარული ციტატები, რემინისცენციები და სხვა.

საუბარში ავტორმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ნაწარმოები მისი მეცამეტე რომანია, რაშიც სრული საფუძველი გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ. გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ავტორის სარეცენზიოდ წარმოდგენილ ზემოხსენებულ რომანს არ გააჩნია არავითარი ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღირებულება და მას სავსებით სამართლიანად უარი ეთქვა ამ არა მხოლოდ უმწიფარი, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანწილად, მავნე ნაწარმოების გამოქვეყნებაზე.

გამომცემლობა "ყვარყვარუკა თუთაბერიძე და
კომპანიის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

არისტოტელე თავწიწაკაძე (ხელმოწერა)

სარედაქციო საბჭოს წევრები:

სოკრატე თავნიორაძე (ხელმოწერა)

პლატონ თავხახვაძე (ხელმოწერა)

2009 წლის 21 დეკემბერი.

კარი III.
თითები კამერული მუსიკის კონცერტიდან გარბიან
(Allegro con brio, alla zoppa,
სწრაფად და ცოცხლად, ბორძიკ-ბორძიკით)

თავდაპირველად ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ამბების მდინარება გაკვალულ კალაპოტში მიედინებოდა, როგორც წესი და რიგია, და კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ შემდგომ, სრულიად მოულოდნელად, ყველაფერი განსაცვიფრებელი, უცნაური გზებით განაგრძობდა შემდგომ სვლას – წარმოუდგენელი მოვლენები დატრიალდებოდა და მე კი ბედნიერი შესაძლებლობა მომეცემოდა, რომ ისინი თქვენთვის მომეთხრო.

გრძელ ამბავს ვიწყებ იმით, რომ, ერთ მშვენიერ საღამოს, სახელგანთქმულმა ვირტუოზმა, პიანისტმა დიტმარ დომინორაულმა, თავისი სოლო კონცერტის დაწყების წინ, ხელის მტევნები რამდენიმე წუთით ჩაყო საკონცერტო დარბაზის კულისებში საგანგებოდ მისთვის დადგმულ თბილწყლიან ტაშტში; სახსრები კარგად დაირბილა, ხელის მტევნები მომუჭა და გაშალა, მომუჭა და გაშალა, გაახურა-გაავარჯიშა, შემდეგ თითები საგულდაგულოდ გაიმშრალა ფუმფულა პირსახოცით, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა-ამოისუნთქა და პიანოფორტეს მიაშურა.

სცენაზე სახელგანთქმული ხელოვანის გამოჩენას დიდებულ, უზარმაზარი მდიდრული ჭაღით გაჩირაღდნებულ საკონცერტო დარბაზში შეკრებილი არცთუ მრავალრიცხოვანი მაყურებელი ტაშით შეხვდა.

დიტმარმა დარბაზს თავი დაუკრა და, მსმენელთა ყურადღებით განებივრებულის თავდაჯერებით, მოკალათდა სკამზე. ფრაკის კალთები ოდნავ შექანდა და გაჩერდა, წუთით გაირინდა პიანისტიც, შემდეგ მკვეთრად, ბიძგით შეახო კლავიშებს ორივე ხელის გრძელი თითები...

დარბაზს მოეფინა პოპულარული რომანტიკული საპიანოფორტე ციკლის პირველი პიესის მსმენელთა უმრავლესობისთვის კარგად ნაცნობი ჰანგები.

დიტმარ დომინორაული, როგორც პროფესიონალებისთვის, ისე მუსიკის მოყვარულთათვის, ცნობილი იყო როგორც უპირატესად ვირტუოზული საპიანოფორტე პიესების უბადლო შემსრულებელი, ამჯერად კი მან განიზრახა, სხვა ხასიათის ნაწარმოების შესრულებით დაემტკიცებინა თავისი მრავალმხრივობა.

მარჯვენა მტევნის თითები მკვირცხლად დარბოდნენ კლავიატურაზე, მარცხენასი კი ნელ, “მოქანავე” აკომპანემენტს აყოლებდნენ, ხან კი – აბობოქრდებოდნენ და გუგუნს დააყენებდნენ დარბაზში. დიტმარ დომინორაულის სახე გაქვავებულს ჰგავდა – უემოციო, უმეტყველო, გაყინული სახით გაჯგიმული იჯდა, მხოლოდ რიტულად ოდნავ ირწეოდა წინ და უკან, წინ და უკან, თითები კი შეუჩერებლად დაჰქროდნენ, ხანდახან კი შლეგიანებივით დახტოდნენ.

ჭეშმარიტ მელომანებს, რომელთაც სახელგანთქმული კომპოზიტორის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილების მოსმენა სწყუროდათ, დიტმარ დომინორაულის ოსტატობა საკმაოდ ცივი, ლირიკული ემოციური მუხტისგან დაცლილი მოეჩვენათ – შიშველი, ფუჭი ვირტუოზულობა აშკარად სჯაბნიდა ყველა სხვა კომპონენტს საშემსრულებლო ხელოვნებისა... “უფრო ხელოსანია, ვიდრე – ხელოვანი!” – ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ მსმენელებს. სად იყო კოპოზიტორის მიერ შექმნილ მუსიკაში ნატიფად ჩაქსოვილი მღელვარე, მშფოთვარე სული; სად დაიკარგა ცინცხალი და ჩამქრალი ფერების მონაცვლეობა, შუქი და ჩრდილი? სად გაქრა მოულოდნელობა, მჭმუნვარება და ირონია? სად იყო სიმღერა – ხან ტკივილიანი, ხან სინაზით აღსავსე, – სად აორთქლდა ჭეშმარიტი მუსიკა? თითქოს თოჯინა განსაცვიფრებელი მექანიკური სიმარჯვით ცოცხლად უკაკუნებდა კლავიშებზე, არაფერი შეეშლებოდა – არც ტემპი, არც რიტმი, მელოდიურ ნახატსაც მოწაფის სიბეჯითით ზუსტად მიჰყვებოდა, მაგრამ ეს იყო ზედაპირული, ფუყე ოსტატობა პიანისტისა, რომელმაც გადმოფრქვეული ბგერების ნიაღვრით ვერ აიყოლია და ვერ აატოკა ნამდვილ დამფასებელთა მგრძნობიარე სულის სიმები.

როგორც ითქვა, აქამდე დიტმარ დომინორაულმა სახელი მოიხვეჭა ვირტუოზული საპიანოფორტე პიესების შესანიშნავი შესრულებით – მისთვის არ არსებობდა დაუძლეველი ტექნიკური სირთულეები, კარგად გადმოსცემდა ცეცხლოვან გზნებას, მშვენივრად გამოუდიოდა დინამიკური წინ ლტოლვა, თავბრუდამხვევი მოელვარე პასაჟები, ამჯერად კი, სრულიად განსხვავებული ყაიდის ნაწარმოების შესრულებისას, წარმატებას ვერ აღწევდა: რომანტიკული წვა, გრძნობების სინატიფე და მრავალფეროვნება, სამწუხაროდ, მის დაკვრაში ნაკლებად იგრძნობოდა. რა თქმა უნდა, ვირტუოზულობა და რომანტიკულობა არ გამორიცხავენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ორგანულ მთლიანობაში მოქცევა შემსრულებლისგან განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს...

და მოულოდნელად დიტმარ დომინორაულის მარჯვენა ნატიფი, მოვლილი ხელი მოუსვენრობამ შეიპყრო, დაუკმაყოფილებლობის დაუოკებელმა ჟინმა აიტანა – მისი მბორგავი, თითქოს უხილავი არტახებით შებოჭილი, მშფოთვარე სული აჯანყდა, აიფოფრა, გადმოდუღდა და თვითკმაყოფილების ნაპირი გადმოლახა: თითებმა სწრაფი არპეჯირებით გადაირბინეს კლავიშებზე მეოთხე ოქტავა, უკიდურესი მარჯვენა კლავიშის – მეხუთე ოქტავის do-ს – ჩატყაპუნების შემდეგ, ხელის მტევანმა განაგრძო სვლა, ნახტომით გადაევლო პიანოფორტეს მარჯვენა კიდეს, უეცრად მოწყდა პატრონის ხელს და ესტრადის ხის იატაკზე ისკუპა – კატასავით რბილად, თითებით დაეშვა...

დახტა და, სრული თავისუფლების მოპოვების გრძნობით აღვსილმა და სიხარულით ფრთაშესხმულმა, უკან მოუხედავად მოჰკურცხლა!

ამ ჯანყის დროს მარჯვენა ხელი კი ექაჩებოდა თავისსავე მტევანს: "ეი, ვერან, რა ბზიკმა გიკბინა, საით გაუტიეო", მაგრამ გაურჩებულმა თითებმა მაინც თავისი გაიტანეს!

მარცხენა ხელის თითები ერთხანს ინერციით აგრძელებდნენ დაკვრას, შემდეგ გაჩერდნენ – მიხვდნენ, რომ მარტონი უკაკუნებდნენ... მარჯვენა ხელის თითებს ზოგჯერ მარტოს კი უწევდათ დაკვრა მარცხენა ხელის თითების გარეშე, ასევე, მარცხენა თითებსაც ეულად დაკვრა – ბევრად იშვიათად, მაგრამ ახლა, ნაწარმოების ამ ნაწილის შესრულებისას, ასეთი რამ არ იყო გათვალისწინებული – შეხმატკბილებულად, ერთად უნდა ემოქმედათ...

რა მოხდა?

თურმე, მისი უფროსი ძმა, მარჯვენა ხელის მტევანი, გაქცეულა! და გაჩერებასაც არ აპირებს: რაც შეუძლია, სწრაფად გარბის და გარბის, უკან მოუხედავად გარბის და გარბის!..

მარცხენა ხელის მტევანსაც დიდხანს აღარ უფიქრია და მანაც მიბაძა უფროს ძმას: მარცხნივ კლავიატურის კიდემდე სწრაფად გაუტია, გადაიარა სუბკონტროქტავის si, la; შემდეგ მარჯვედ გადაახტა პიანოფორტეს კიდეს (ამჯერად – მარცხენას), ისიც მოწყდა პიანისტის ხელს, კოხტად ჩახტა იატაკის კრიალა პარკეტზე და მკვირცხლად გაეკიდა მარჯვენა ხელის მტევანს, თან დაუძახა: “მოიცა, მეც მოვდივარ!”.

ძმები სცენიდან ჯერ დარბაზში ჩახტნენ და მოუსვეს ბაყაყური გასასვლელისკენ სკამებს შორის გაფენილ ხავერდოვან, გრძელ ხალიჩაზე – წინ მარჯვენა ხელის მტევანი ობობასავით ბობღვით მიიწრაფოდა, მას უკან მიჰყვებოდა მარცხენა.

ცხადია, პიანოფორტე დადუმდა, მომხდარით გაოგნებული დიტმარ დომინორაული ენაგადაყლაპული იჯდა, სადაცაა გრძნობა წაერთმეოდა; სამაგიეროდ, მაყურებელთა დარბაზი მოიცვა ჟრიამულმა, აქა-იქ უკმაყოფილოთა სტვენაც გაისმა. ვინც აქამდე, სასიამოვნო საღამოს გატარების მოლოდინით გულაცრუებული, თვლემდა, ახლა თვალები დააჭყიტა – რა მოხდაო, კითხულობდნენ,

რატომ აღარ უკრავს პიანისტიო. წინა რიგებში მსხდომ მსმენელთა ნაწილმა პიანისტის ხელების მტევანთა ფრიად უცნაური გაქცევა შეამჩნია და, დიდად განცვიფრებულები, პირდაღებულნი, ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მიმაჩნია, რომ მათი მხრიდან უპრიანი იქნებოდა, გაქცეულებისთვის ტაში დაეკრათ – ტანჯვის მომგვრელი უგემური შესრულებისგან დროულად გაანთავისუფლეს!

დიტმარ დომინორაულის გაქცეული ხელები კი გამალებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ აფორიაქებულ დარბაზს; ძმები ხომ დიდად განსხვავებულნი იყვნენ აღნაგობითაც, სიძლიერითაც, ხასიათითაც, მათი ადგილები კლავიშებზე "სასიარულოდ" და მათი პარტიებიც ნაწარმოების შესრულებისას განსხვავებული იყო და ახლაც სულ სხვადასხვაგვარად გარბოდნენ: მარჯვენა ხელის მტევანი – ნეკით წინ, მარცხენა – ცერით წინ.

სულ მალე გაქცეულები ფაცხაფუცხით გავარდნენ ქუჩაში, რომელიც გაჩახჩახებული დარბაზის შემდეგ ნახევრად ჩაბნელებული მოეჩვენათ; ფუმფულა ხალიჩის შემდეგ ფილაქანიც რა ცივი და უხეში იყო!

უკვე ლამის აპრილი მიიწუროს, მაგრამ გვიანი, ძალიან გრილი გაზაფხული გვეწვია და ჯერჯერობით ვერაფრით დათბა... ახლაც მოსისინე ქარი წვიმის შოლტებით უმასპინძლდება ქალაქის სახლებს, ქუჩებს, გამვლელებს... უჰ, როგორ ცივა!..

მარჯვენა ხელის მტევანი თითქოს მხოლოდ ახლა გამოერკვა და ფხიზლად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა:

– დიდებული კლავირაბენდი გამოგვივიდა, ეს რა ვქენით?

– ჩვენ კი არ ვქენით, შენ, შენ, ვაჟბატონო, შენ რა ჰქენი? – გაბრაზებული პასუხობს მარცხენა ხელის მტევანი. – ამ ყიამეთში და უბედურებაში რატომ ჩაგვაგდე?

დიახ, საკმაო სიბნელეა; გუბეში მკრთალად ირეკლება ფანრების ყვითელი ბურთების ათინათები, მარჯვენა ხელის მტევნის ნეკზე კი ბრილიანტის ბეჭედი ბრწყინავს – ნეტა რად უნდოდა პიანისტს კონცერტზე ასეთი ძვირფასი სამკაულის გაკეთება?

შევთანხმდეთ: ამიერიდან მარჯვენა ხელის მტევანსა და მარცხენა ხელის მტევანს სიმოკლისთვის ასე მოვიხსენიებ – "მარჯვენა" და "მარცხენა".

მარცხენა ეჭიდავება:

– შენ ყოველთვის უფროსობდი, ბრექია იყავი, დიდგულა, დღენიადაგ მიბრიყვებდი! უკვე ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც ჩვენ ერთად ვმოღვაწეობთ და წამყვან მელოდიურ ნახატს თითქმის ყოველთვის შენ ასრულებდი, მე კი მხოლოდ მოკრძალებული თანხლება მევალებოდა, სად არის აქ სამართლიანობა? თანაც, ზოგჯერ ამითაც არ კმაყოფილდებოდი, ჩემს სფეროშიც შემოიჭრებოდი და კონტრ-რიტმსაც კი მიპირისპირებდი!

– დაგავიწყდა, მორის რაველის მეორე საფორტეპიანო კონცერტს რომ ასრულებდა მაესტრო დიტმარ დომინორაული? მხოლოდ შენ მუშაკობდი, ჩემთვის ერთი ნოტიც არ იყო გათვალისწინებული!

– ეგ კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის საგანგებოდ მხოლოდ მარცხენა ხელისთვის არის შექმნილი და ისიც გეხსომება, რომ მაშინ პიანისტს გვარიანად უსტვინეს და ის კონცერტი მხოლოდ ერთადერთხელ შეასრულა... და ამას მაყვედრი? აი, ეგ ბეჭედი კი სულ შენ გეკეთა, ახლაც შენ გაქვს, დრო აღარ არის, რომ მე დამითმო?

– ბრექია მე კი არა, დიტმარ დომინორაული იყო – სცენაზე გამოსვლისას ბრილიანტის ბეჭედი დამამშვენებსო! ხელს მაინც არ უშლიდა დაკვრაში? აქამდე რომ ვათრიე, მადლობელი უნდა იყო; მე შენზე ბევრად ღონიერი ვარ და მეც კი გამიჭირდა – მძიმეა, წყეული! წავიდეთ და ძალიან ფრთხილად ვიყოთ: ამქვეყნად უამრავი მძარცველი და ხელმრუდე, ხარბი და უნამუსო ჯერ არ გადაშენებულა; თუ დაგვინახეს, რომ ბრილიანტის ბეჭედი გვაქვს, იცოდე, კარგი დღე არ დაგვადგება! ხომ არ ჯობს, ვინმე გაჭირვებულს საჩუქრად მივართვათ? ამით მადლსაც მოვისხამთ და თავიდან ავიცილებთ მავანთა მხრივ ცდუნებასაც ცოდვის ჩადენისა...

– გაგიჟდი? ჩვენზე გაჭირვებული ვინღაა! მოიტა ეგ ბეჭედი აქ, ერთხელ მეც არ უნდა გავიხარო? შენგან ხომ სულ დაჩაგრული ვარ: წამყვანი ყოველთვის შენ ხარ, "პირველი ხმა", მე კი მხოლოდ დამხმარე, აკომპანიატორის როლი მაკისრია... რამდენჯერ დამესიზმრა, რომ შენ გაგიცვალე ადგილი და მე გავხდი წამყვანი...

– თანამედროვე პლასტიკური ქირურგიის მიღწევებს წინ რა დაუდგება – თუ გინდა, სულ იოლად გახდები მარჯვენა ხელის მტევანი! რა კარგი სანახავი იქნება, როცა ორი მარჯვენა ერთად დაუკრავს! სენსაცია!

– კარგი რა, ვინ გაიგონა ასეთი რამ? მაშინ შენ მოგიწევს, მარცხენად გადაქცევა!

– გეხუმრები, ბიჭო! ბეჭედი ხომ მოგეცი, ახლა წინამძღოლობაც შენ იკისრე, ყაბულსა ვარ!

– რა ჯანდაბად მინდოდა ეს ბრილიანტიანი ბეჭედი, სათრევი გახდა, მძიმეა, წყეული! – ჯიჯღინს განაგრძობდა მარცხენა. – მაგას ჯობდა, ერთი რაღაც თბილი, ფუმფულა წამოგვეღო, რომ ზევიდან წაფარება შეგვეძლოს.

— გავყიდოთ და რასაც შენი სული და გული ისურვებს, ის ვიყიდოთ...

— სად გავყიდით, შენ გინდა, მაშინვე დაგვიჭირონ? ქურდობაშიც დაგვდებენ ბრალს! ახლა საით გავუტიოთ?

— ხომ გითხარი, ხელმძღვანელობას შენ გითმობ-მეთქი და მე რაღას მეკითხები? ა, ბატონო, ბურთი და მოედანი!

— ჰო, რა კარგია?!. კარგ საქმეში შენ უნდა იყო პირველი, სადაც გასაჭირია, მე ამკიდებ ხოლმე პასუხისმგებლობას... ფუი, რა წვინტლიანი წვიმაა!

მარცხენას ამგვარ წუწუნ-საყვედურზე ზევით რაღაცამ თუ ვიღაცამ, გაბრაზებულმა, დაიგრუხუნა და ელვამ წამით თვალისმომჭრელად გაანათა გარემო — ერთგვარად დამოძღვრა გაქცეული თითები: "თქვე საწყლებო, წვიმიან ამინდზე ლამაზი რა გინახავთ?". და თითქოს მარჯვენამ შეისმინა ზეციდან ნათქვამიო, მარცხენას უპასუხა:

— არა, რას ამბობ, წკრიალა წვიმაა!.. მოუსმინე!

— წკრიალა კი არა, მყვირალა არ გინდა? რა დროს ეგ არის, თუკი გავიქეცით, ნუღარც დავაჭერინებთ თავს!

— ჰო, მოგვდევენ, მესმოდა მდევართა ფეხების ბრაგუნი და ღრიალი: "დაიჭირეთ ეგ არამზადები!".

— რატომ ვართ არამზადები, რატომ მოგვდევენ, რას გვერჩიან?

— ურჩობა რომ გავიფიქრეთ! როგორ გავბედეთ, ჩვენი გაქცევით პროტესტი განგვეცხადებინა უშინაარსო, ცარიელი, უღიმღამო შესრულებისადმი, მხოლოდ ფორმალურად ვალდებულების მოხდისადმი...

— ეგ რა საბაბი იყო? რა იდეალი გაქვს, რისთვის იბრძვი? თავისუფლებისთვის? მე რომ მკითხო, გემრიელად ვიყავით: არ გვშიოდა და არ გვციოდა, არ გვაწვიმდა და არც არავინ მოგვდევდა დასაჭერად... რა გვრჯიდა? ახლა კი... ეჰ!.. რაღა ჩვენ დაგვადგეს კბილი?

— მართალი ხარ: საერთოდ, ემოციურობისგან დაცლილი უშინაარსობა გაბატონდა მხოლოდ მუსიკაში კი არა, ყველგან: ხელოვნების მრავალ დარგში, მწერლობასა და თეატრში — შინაარსი საერთოდ განიდევნა, ყოველგვარი შინაარსი: კარგიც და ცუდიც, მშვენივრად შესრულებულიც და უგვანოდ გადმოცემულიც... ყველაზე "მატერიალურ" ხელოვნებაშიც კი — მხატვრობაში — ვერ გაარჩევ, ეს აბსტრაქტული ნაბოდვარი, ვითომ სურათი, კაცის ხელმა დახატა თუ ვირის კუდმა! მავანთა "ულტრათანამედროვე" შეხედულების თანახმად, რაც უფრო ამაზრზენი, მახინჯი, ანტიესთეტიკურია "ხელოვნების ნაწარმოები", მით უფრო "ეხმიანება თანამედროვეობას", მით "ფასეულია"... მუსიკაში ხომ მელოდია, ჰარმონია, კეთილხმოვნება გასაკიცხი გახდა... თანამედროვე "ავანგარდისტული მუსიკა" შემთხვევითობის განუკითხავ ჯირითში, სრულ ქაოსში გადაიზარდა... როგორ შეიძლება მუსიკად ჩათვალო ქაოსი? წესრიგი, ურთიერთკავშირები, ურთირთგანპირობებულობა და ჰარმონია თუ არ არის, ესთეტიკურ მოვლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. შეიძლება, ნაწარმოები, რომელიც მხატვრული ლიტერატურის ნიმუშის პრეტენზიას აცხადებს, ასეთად აღიარო, თუკი ნაწერი წარმოადგენს ასოების უწესრიგო, შემთხვევით ერთობლიობას, რომლებიც არ ჩამოისხმებიან სიტყვებად, სიტყვების ერთობლიობა — წინადადებებად არ ჩამოყალიბდება, რომლებიდანაც რაღაც აზრი არ იბადება, გრძნობა და განცდა, ხატები არ წარმოიშვება... დიახ, შეიძლება ამგვარი "ოპუსი" მხატვრულ ნაწარმოებად ჩავთვალოთ? თუ უფრო — ოინბაზობად? "ავანგარდისტული გზა" — ჩიხია! საღი აზრი, სილამაზე, სიკეთე — ლამის სალანძღავი ცნებები გახდნენ! თუ "თანამედროვედ" არ აზროვნებ, გაგლანძღავენ, ლექსებს და მუსიკასაც უკვე კომპიუტერები წერენ!

— აბა, ჩვენ რაღას გვაწვალებენ? თუ კომპიუტერი ყველაფერს "კითხულობს", ნოტები რა გახდა მისთვის! არც დაიღლება, არც რეპეტიციები სჭირდება, სულ ზედმეტია სწავლა, ვარჯიში, თავის მტვრევა და ღამეების თევა: როგორ მოძებნო საუკეთესო, თანაც შენეული, ინტერპრეტაცია... დასვი თუ დადგი სცენაზე კომპიუტერი და შენ დაუკარ! რასაც გინდა და როგორც გინდა, ხმების გაორებით, გაათმაგებით, უჩვეულო, "ელექტრონული" ტემბრების თამაშით, ხმების შერევით და ათასგვარი სხვა ხრიკით გახვალ იოლას — ტექნიკა წინ მიდის და კიდევ რას არ მოიგონებენ! ეს კონსერვატორიები რაღად გვინდა, უკეთესი იქნება, ყველანი, სტუდენტებიცა და პროფესორ-მასწავლებლებიც, წავიდნენ და ნაღდი საქმე ნახონ — თუნდაც თოხი და ბარი დაიჭირონ ხელში! ფიზიკური შრომა ჯანმრთელობას აკაჟებს!

— რას ამბობ, XXI საუკუნეში — თოხი და ბარი? მეცნიერებისა და ტექნიკის ზღაპრული მოღწევების ხანაში?

— გაგიკვირდება, მაგრამ ახლაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გლეხებს ისევ სწორედ ეგ "სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა" არჩენს... თუმცა, რაღა შორს მივდივართ, განა ჩვენთანაც, ერთი ხანია, იგივე მდგომარეობა არ არის?

— ამგვარი ფილოსოფიური წუწუნით გულის მოფხანა გვიშველის? ცივა!.. ეს გაზაფხულის ამინდიც რა ჩვენს ჯინაზე გაჭირვეულდა... რა გემრიელად ვიყავით მაესტრო დიტმარ დომინორაულის

ხელში! ახლა მდიდრულად მორთულ მისაღებ ოთახში ვითამაშებდით პიანოფორტეს კლავიატურაზე, სულ უფრო დავხვეწდით რომელიმე ახალ ნაწარმოებს...

– კი, როგორ არა! – დაცინვით წამოიძახა მარჯვენამ. – რამდენი წელია, სულ ერთსა დ იგივეს უკრავს მაესტრო, ბოლოს, როგორც იქნა, რეპერტუარის განახლება გადაწყვიტა და რაც გამოვიდა მისი ამ წამოწყებიდან, კარგად ხედავ...

– კაცო, შენი მიკვირს: საკუთარი სიბრიყვით გამოწვეულ კონცერტის წარუმატებლობას სხვას რატომ აბრალებ? შლეგიანივით რომ აიწყვიტე და გამოიქეცი, სიბრიყვე არ იყო შენგან?

– სიბრიყვე ის იქნებოდა, მარადი უკმაყოფილება სულ რომ მეთმინა და არაფერი მემოქმედა...

– შენ შენსას უკრავ და მე კი საკუთარი აზრი მაქვს: კარგი იყო მაესტრო დიტმარ დომინორაული, როგორ გვიფრთხილდებოდა! ზამთარში ყოველთვის თბილი ხელთათმანებით გვმოსავდა, არასდროს უხეში სამუშაო არ შეგვისრულებია, სიმძიმე არ აგვიწევია... კონცერტზე დაკვრისასაც კი ნოტების ფურცლების გადაფურცვლა არ გვიხდებოდა, გვერდით ვინმე დამხმარე იჯდა ხოლმე და ამ საქმეს ის ასრულებდა... ცივ ნიავს არ გვაკარებდა! ახლა კი... აჰა, არ მოითმინე და ვიყვეთ ასე ამ ყიამეთში... მცივა!

– ჰო, კარგი, სხვა დროს არასდროს გვიჩხუბია და ახლა ურთიერთობის გამწვავება ვერ გაგვათბობს... ჯობს, მოდი, ჩამეხუტე! გადაიკარა და კიდევ უფრო აცივდა...

მოიბუზნენ, მუშტებად შეიკვრნენ და ერთმანეთს ჩაეკვრნენ, იქნებ ცოტათი მაინც გავთბეთო...

ზევით, ზეცაში მოსეირნე ღრუბლები ირეკლებიან ქვევით, ქვაფენილზე წამოწოლილ გუბეში.

გაჰყურებენ ღამის ქუჩას – ესმით მუსიკა... ქუჩის ბანალური მუსიკა კი არა, უფრო დიადი, ბოლომდე შეუცნობელი, მაგრამ მაინც მომნუსხველი, რომელიც კი არ გაგართობს, არამედ – ფიქრთა ოკეანეში შეგაცურებს: იდუმალი სიღრმით მზერის მიმჯაჭველი ღამის მუსიკა, ვარსკვლავებით მოკენჭილი ლურჯი ცის გუმბათის სიმფონია...

ღამის ცას უსასრულოდ შეიძლება უყურო, მაგრამ, ცოტა ხანში, იძულებულნი გახდნენ, გასახურებლად გაქცეულიყვნენ...

კარი IV.
მშვენიერი სასახლე და ბედნიერი ბატონი პრეზიდენტი
(Lieto, მხიარულად)

და თითებს ბედმა გაუღიმათ: აბანოში შეძვრნენ – აუჰ, აქ როგორ გემრიელად თბილა! არც არავინ დაგიჭერს – ვის მოუვა აზრად აქ გეძებოს, მშვენიერი თავშესაფარია! ყოველმხრივ კმაყოფილები არიან; იქნებ იბანაონ კიდეც, ატალახებულ ქუჩებში წოწიალისას ჩურჩხელებივით ლაფში ამოიგანგლნენ...

ახლა, ჩემო მკითხველო, სხვა, ქუჩაზე ბევრად ლამაზ გარემოში გადავინაცვლე და, ამასთანავე, ფრიად ღირსშესანიშნავ მოვლენას უნდა გაზიარო – ხუმრობა საქმე ხომ არ გახლავთ, დიდად გამორჩეული პიროვნება უნდა გაგაცნო, რომელიც დიდი რიდითა და უსაზღვრო მოწიწებით შემომყავს ამ ჩემს თხრობაში!

ვაჰ, სად არის დიდი სიმფონიური ორკესტრი? კიდევ უკეთესი, თუ გაორმაგებული შემადგენლობა იქნება, თანაც – გაძლიერებული აფრიკული ტამტამებითა და ბუკ-საყვირებით, – განსაკუთრებული გარემოება ამგვარ ღონისძიებას დაბეჯითებით მოითხოვს! რატომ, რატომ არ ისმის ამ ეპოქალური მოვლენის აღსანიშნავად, დიდებული პიროვნების ღრმა პატივსაცემისადმი მიძღვნილი ომახიანი შემხვედრი მარში "შატაბუტას ტრიუმფალური მმართველობა" ან საზეიმო უვერტიურა "ძლევამოსილი ტარუღაანთ ბიჭი", ბოლოში დაგვირგვინებული ქვემეხთა საზეიმო ბათქით-სალუტით და თოფების ომახიანი გასროლა-გრიალით??? სამწუხაროა, ფრიად დასანანი: სულ სხვა ელფერი და გემო ექნებოდა, შესაბამისი მუსიკალური გაფორმებით რომ შემობრძანებულიყო ამ თეთრ ფურცლებზე ფრიად მნიშვნელოვანი პერსონა თუ პერსონაჟი, ვითარცა ცირკის ასპარეზზე შლეგიანივით გამოვარდნილი სახელგანთქმული კლოუნის პირველ გამოჩენას ხვდება ცირკის ორკესტრი – საზეიმო ფანფარებითა და დოლების ბრაგუნით... დიახ, ძვირფასო მკითხველო, სწორედ შენთვის და შენს გასახარად ჩემი ნაჯახირევის თეთრ ფურცლებზე იწყებს ლამაზად ცეკვას და მალაყების კოხტად გადასვლას ჩვენი დროების ერთ-ერთი უდიდესი ავანტიურისტი და ტაკიმასხარა – ქვეყნის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი!

Salve!..

მოგესალმებით – კეთილი იყოს თქვენი უბრწყინვალესობის შემობრძანება ჩვენი ტრაგიკომედიური რომან-ექსტრავაგანცას ფურცლებზე – ვითარცა ჯომარდობაში გავარჯიშებული, ჯიქურ შეჯლიგინდება მთის გიჟმაჟი მდინარის დაქანებულ კალაპოტში ალაგ მდუღარე ქვაბივით მოთუხთუხე ჩქერებში – დამახასიათებელი მოულოდნელი მიხვევ-მოხვევებით, მოუსვენარი ტალღების ცელქი ცეკვა-თამაშით!

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მონათხრობის მთავარი გმირები მოხეტიალე თითები გახლავან და არა მისი უმაღლესობა, ბატონი პრეზიდენტი, ამიტომ მთავარ ყურადღებას მათ თავგადასავალს დავუთმობ. ბოდიშს ვიხდი, რომ მისი უმაღლესობის, ბატონ პრეზიდენტის, ამ მრავალმხრივ ბრწყინვალე პიროვნების, მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მაინც არ გაგაცნობთ, – ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი ნამდვილად და უეჭველად მრავალტომიან ბიოგრაფიასაც იმსახურებს, რაც, სამწუხაროდ, ჩემს ფრიად მოკრძალებულ შესაძლებლობებს დიდად აღემატება! მკითხველს კი დავიმედებ, რომ ბატონ პრეზიდენტს სულ მოკლე ხანში რამდენიმე სერიოზული ბიოგრაფი აუცილებლად გამოუჩნდება. მე კი ყოველმხრივ შევეცდები, თუკი შესაძლებლობა მომეცემა, შემდგომ ნაწილობრივ მაინც გაგაცნოთ დიდად გამორჩეული ეს დიდებული პიროვნება და მისი სანაქებო საქმენი საგმირონია.

დიახ, ჩვენს გამოქცეულ თითებს რამდენი პოლიციელისთვის თუ პირადი დაცვის თანამშრომლისთვის შეუმჩნევლად გვერდის აქცევა და, ზოგჯერ, ფეხებშუა გაძრომაც კი მოუწიათ: სწორედ ამ აბანოში თურმე ქვეყნის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი, საგანგებოდ მისი უმაღლესობისთვის მოწყობილ პერსონალურ "საპრეზიდენტო" სააბაზანოში ნებივრობს უცხოეთიდან საგანგებოდ მისი უმაღლესობის პირადი მოწვევით ჩამობრძანებულ ლამაზმანთან, კაროლაინ ნექტარელისთან ერთად – ტურფა ქალბატონი, ამასთანავე, უებრო მასაჟისტიცა-ა!

როცა ბატონი პრეზიდენტი რაიმე ღონისძიებაში დასასწრებად მიდის, – გინდაც ახალი შადრევნის გახსნა, საზღვარგარეთიდან პირადად ბატონ პრეზიდენტის მიერ მოწვეული პოპ-მუსიკოსის კონცერტი ან თუნდაც ჩვეულებრივი საოპერო სპექტაკლი იყოს, – თითქმის ყოველთვის იგვიანებს, ზოგჯერ 1-2 საათითაც კი (ეპატიება – ძალიან ბევრი საქმე აქვს!), და დანარჩენი შეკრებილი საზოგადოება მისი აღმატებულების მობრძანებას მოთმინებით უცდის... მხოლოდ აბანოში მისვლას არასდროს აგვიანებს და, ასევე, – არც რესტორნის მონახულებას – მშვენიერ ქალბატონებსა და საკუთარ კუჭს ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი ყოველთვის და ყველგან გამორჩეულად დიდ პატივს სცემს...

ხომ გაინტერესებთ, რის შესახებ გაიგეს გაქცეულმა თითებმა პრეზიდენტის მომსახურე მრავალრიცხოვანი პერსონალის ურთიერთ საუბრებისთვის მიყურადებით?

თურმე კაროლაინ ნექტარელის ჩამოყვანა რეგულარულად კვირაში ერთხელ ხდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფრიდროხ ვილჰელმის საპრეზიდენტო თვითმფრინავის საგანგებო რეისით, აბა! უმშვენიერესი, ყველაზე სახელგანთქმული და "ძვირი", მასაჟისტი ქალბატონია! ყოჩაღ, მძაფრ კონკურენციულ ბრძოლაში ფრიდრიხ ვილჰელმმა ბევრ მეტოქეს აჯობა და აჰა, ბატონ პრეზიდენტის უზენაესი პირადი განკარგულებით, გაგზავნეს მისი დაჯავშნული "მერსედესი", ხოლო მოძრაობის სიჩქარის უზრუნველსაყოფად, გადაკეტეს ქუჩები მთელ გზაზე აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლემდე და შემდეგ – აბანომდე, რათა მშვენიერი ქალბატონი უსწრაფესად შეუდგეს საპატიო მოვალეობის შესრულებას! ფრიდრის ვილჰელმს უყვარს ლამაზი ქალის მიერ გაკეთებული მასაჟი და რა ჰქნას! რა ჰქნას, მარტოობასაც ვერ უძლებს: საკუთარი ცოლი და, ასევე, დიდად პატივსაცემი სიდედრ-სიმამრი მსოფლიოს ირგვლივ სამოგზაუროდ გაგზავნა, ისინიც გემრიელ გართობას არ იკლებენ!

– გამიკვირდა, ხომ იცი, მანქანები თითქმის არ შეგვხვედრია, ღმერთმა დაგვიფარა, თორემ ძნელად გადავურჩებოდით მათ ბორბლებქვეშ მოხვედრას! თურმე ქუჩები საგანგებოდ გადაუკეტიათ! – ამბობს მარცხენა.

– აღვირახსნილობა, ფუფუნების სიყვარული, უსაზღვრო ძალაუფლებისკენ დაუოკებელი ლტოლვა და საოცარი სისასტიკე – საიდან ამოტივტივდა უცებ ამგვარი მისწრაფებები ამ ჩვენს ვითომდა განათლებულ დროებაში? საკვირველია, ამ ყმაწვილს ხომ არ ჰგონია, რომ XVII-XVIII საუკუნეების იტალიელი დუკაა ან გერმანელი კურფიურსტი? ან არაბი შეიხი თუ ინდოელი რაჯა? – კითხულობს მარჯვენა.

– რას ამბობ, მაშინ სად იყო ასეთი შესაძლებლობები!

– აბა, კაცო! ჩვენს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ყმაწვილს უცებ თავში დაარტყამს რაღაცა – ჩაჯდება საპრეზიდენტო თვითმფრინავში და სულ რამდენიმე საათში პარიზის ყველაზე ფეშენებელურ რესტორანში ამოჰყოფს თავს!.. განსაკუთრებით უყვარს საფირმო კერძები და რა ჰქნას! დაძველებულ ღვინოებსა და კონიაკებსაც ნამდვილად დიდ პატივს სცემს! ბატონი პრეზიდენტი ძალიან გულადია: ასტრონომიულ ფასებს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს!

– არადა, მის საჯარო გამოსვლებს რომ უყურო, ნაღდად დაგაჯერებს, რომ, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის გარდა, დღედაღამ სხვაზე არაფერზე ფიქრობს! სახალხო დოვლათის ყოველ თეთრს უფრთხილდება!

– ეს ცხოვრება ნაღდი კარნავალია, ძმაო, ყველანი ნიღბებით დადიან! განსაკუთრებით – ის გაბღენძილი ვაჟბატონები, საკუთარ თავს პოლიტიკურ მოღვაწეებს რომ უწოდებენ! არიან ამ საქმის

ნამდვილი ვირტუოზებიც, კარგა ხნის განმავლობაში წარმატებით რომ აყრიან ხალხს თვალებში ნაცარს, რათა ცხვრის ტყავში გახვეული მგლის ნამდვილი სახე არ დაანახონ. აი, ეს ჩვენი ქვეყნის სანაქებო ბატონი პრეზიდენტიც დიდი წარმატებით ირგებს ლამაზ ნიღაბს ქვეყანასა და ხალხზე დაუცხრომლად მოამაგისა. ტელევიზორში წამდაუწუმ აჩვენებენ პრეზიდენტის მოგზაურობებს – როგორ უყვარს უბრალო, მშრომელ ხალხთან შეხვედრა: გულითადად ხელს ჩამოართმევს ვინმე მევენახეს ან მშენებლობაზე მუშას, ჩაეხუტება მიმჭკნარ, უკბილო დედაბერს მიყრუებულ სოფელში, რომელსაც უხარია, რომ მის ცხოვრებაში ასეთი დიდი მოვლენა მოხდა – "ხენწიფის", "ხონთქრის", "შაჰის" ტოლა "დიდი კაცი" – ქვეყნის პრეზიდენტი – ესტუმრა! ხელი ჩამოართვა! ხელი მოხვია და ჩაეხუტა! გულთბილად მოიკითხა! გულწრფელად აინტერესებს, როგორ ცხოვრობს, რა უჭირს, რა აწუხებს! დახმარებას დაჰპირდა და ნათქვამს აუცილებლად შეასრულებს!

– ყველა არ გამოხატავს მხარდაჭერას, არიან უკმაყოფილონიც – პარლამენტში ოპოზიციური პარტიები...

– იმათ როგორ ენდობი? ოპოზიციონერების ნიღბით პარლამენტში სხედან იქ ათასგვარი მაქინაციებით შემძვრალი სულგაყიდული დეპუტატები – ვითომ ხალხის რჩეულნი, მისი ინტერესების დამცველნი! პრეზიდენტის მმართველ პარტიას "ლუდისა და ხინკლის ჭეშმარიტ ტრფიალთა კავშირს" დიდებულად უმშვენებენ გვერდს: "წითელი და ყვითელი ბუშტების მასობრივად გაშვების ლიბერალური პარტია", "მწვანე და ლურჯი ბუშტების თითო-თითოდ გაშვების კონსერვატიული პარტია", "ჯიხვით კახურის სულმოუთქმელად გამოცლის მოყვარულთა დემოკრატიული პარტია", "ჭყინტი ყველის ლამაზად გაკრაჭუნების სოციალისტური პარტია"... ფული და პოლიტიკა – ერთი მედლის ორი მხარეა. ოღონდ პრივილეგიები და ფული იშოვნონ, ახლა რომ შატაბუტამ დაუძახოს, – აბა, რომელი კარგად წამისვამთ ზურგზე ქისასო, – ერთმანეთს თავ-პირს დაამტვრევენ, პირველს რომელს ხვდება ეს დიდი პატივი!

– ბატონი პრეზიდენტი ფულიან ხალხს ძალიან ემტერება: წელგამართული კაცი ამაყია, თავისუფალი, უშიშარიც – რომელი პარტიაც მოსწონს და მის ინტერესებს დაიცავს პარლამენტში, იმას დააფინანსებს, ეს კი ბატონ პრეზიდენტისთვის სრულიად დაუშვებელია! ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს ძალაუფლების შენარჩუნების თვალსაზრისით და ამიტომ ბიზნესმენებს უბოდიშოდ წაართმევს ქონებას, დაახრჩობს უზომო გადასახადებით, ზოგს კი, განსაკუთრებით შეუპოვრებს, დაიჭერს და ციხის საკანში დასასვენებელ უფასო საგზურს გამოუწერს ჭკუაზე მოსასვლელად...

– რა საჭიროა ამდენი დავიდარაბა და იწილო-ბიწილო? საკითხის მარტივი გადაწყვეტა ყველაზე ჩქარია და ეფექტურიც – არც მოკვლას მოერიდება! ვინმე გაბედავს ჩივილს თუ რა, გაბედავს და – მით უარესი მისთვის! დაქცეული ქვეყანა ტირის, სამაგიეროდ, დიდად ბედნიერ ბატონ პრეზიდენტს აწყობილი აქვს საქმე ფაჩიკოს გარმონივით – მის გარშემო სულ ტაშ-ფანდური და საზეიმო მარშები ისმის!

როცა ბატონმა პრეზიდენტმა, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა, სრულად იგემა აბანოში ყოფნის დროისთვის განკუთვნილი სიამოვნებანი, მარმარილოს საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზე მდგომ ქაფის მაღალი ქუდით დამშვენებულ ლუდით სავსე კათხას დასწვდა; სურნელოვანი ქარვისფერი ლუდი კიდევ ერთხელ დააგემოვნა (აბანოში ყოფნისას – მეოთხედ) და კათხა იმ წამსვე ისევ პირთამდე გაივსო შესანიშნავი ბავარიული ლუდით! თავისთავად, აბა! დიახ, სიამოვნებითა და სიამაყით მოგახსენებთ, რომ ეს კათხა უბრალო არ გახლავთ, ჯადოსნურია – რამდენჯერაც უნდა დაცალო იგი, მაშინვე ისევ პირთამდე ივსება!

ეს საოცარი კათხა ბატონმა პრეზიდენტმა გერმანიაში, მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლისას, შემთხვევით შეიძინა ერთ-ერთი ანტიკვარისგან, რომელმაც გაუმხილა მას კათხის საიდუმლო. ეჭვი მაქვს, რომ ეს ანტიკვარი სინამდვილეში შენიღბული ბელზებელი იყო და ძვირფასი კათხა მომავალ პრეზიდენტს მისი სულის სანაცვლოდ დაუთმო – შატაბუტა-ტარუღაშვილმა სტუდენტობისას ეშმაკს სული მიჰყიდა! მას შემდეგ ფრიდრიხ ვილჰელმი ჯადოსნურ კათხას გვერდიდან არ იცილებს (ვინ იცის, როდის მოსწყურდება!), დაძინების წინაც კი აუცილებლად ბალდახინში საწოლის გვერდით მოიდგამს. საოცარი კათხის მოპარვისა თუ მოტაცების საშინლად ეშინია და ის საგანგებოდ შერჩეულ, განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირს აქვს მიბარებული – პრეზიდენტის პირად კათხათმტვირთველს (ბატონმა პრეზიდენტმა ასეთი საპატიო თანამდებობა საგანგებოდ დაამტკიცებინა პარლამენტს) დიტრიხ მაამებლაურს, თითქმის ორი მეტრი სიმაღლისა და ას ოცი კილოგრამი წონის ყოფილ მოჭიდავეს. მაამებლაური ბატონ პრეზიდენტს არსად გვერდიდან არ სცილდება (რა თქმა უნდა, აბანოსა და საძინებლის გარდა) და ყოველთვის თან დააქვს "სამეფო კათხა" (როგორც მას ბატონმა პრეზიდენტმა სავსებით სამართლიანად უწოდა) – საგანგებოდ გაკეთებული ყუთით. საქმეში ჩაუხედავთ კი ჰგონიათ, რომ ბატონ პრეზიდენტს ამ ყუთით ყოველთვის თან დააქვს აუცილებელი, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, საიდუმლო საბუთები. ერთხელ ბატონმა პრეზიდენტმა იმდენად უზომოდ ისარგებლა ჯადოსნური კათხის გულუხვობით და ძილის წინ იმდენი დალია, რომ... თუმცა, არა, ახლა არ არის ამის დრო და ადგილიც, ამ ამბავს თავის დროზე გი-

ამბობთ! ასევე, ფრიად თავშესაქცევი და მრავალმხრივ და მრავალთათვის ჭკუის სასწავლიც იქნებოდა იმის მოთხრობა, თუ როგორ, რა ხერხებით მოახერხა დიტრიხ მაამებლაურმა, ერთი შეხედვით, ფიზიკური კონდიციების გარდა, სხვა მხრივ არაფრით გამორჩეულმა, ესოდენ გავლენიანი თანამდებობის დაპატრონება...

დავბრუნდეთ აბანოში. ბატონმა პრეზიდენტმა ტანსაცმლის ჩაცმა ინება და მშვენიერ კაროლაინ ნექტარელის გამოსამშვიდობებლად ტუჩზე ხანგრძლივი კოცნით ჩაეფსკვნა, – ამერიკული ფილმების ფინალისთვის ნაღდად ზედგამოჭრილი დასკვნითი კადრი იქნებოდა! სწორედ ამ დროს მას ტანსაცმელზე შეუმჩნევლად ააცოცდნენ ჯერ მარჯვენა და შემდეგ მარცხენა თითები; მაღლა-მაღლა აძვრნენ, აძვრნენ და, ბოლოს, მხრებზე დაასხდნენ, ყველაზე მოხერხებულ ადგილას დასკუპდნენ: მარჯვენა – პიჯაკის მარჯვენა მხარზე, მარცხენა – მარცხენაზე, ვითარცა ეპოლეტები! ვაჰ, რა მშვენიერი "მარშლის ეპოლეტებით" დამშვენდა მისი უმაღლესობა, მოუხდა, ხომ იცი – ქვეყნის პრეზიდენტი ხომ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია!

ჩვენი მოგზაური თითების მიერ ამ "დიდი სიმაღლის" დაპყრობა ვერავინ შეამჩნია და არც არის გასაკვირი: მრავალრიცხოვანი დაცვა პრეზიდენტისკენ კი არ იყურება, მისი ძვირფასი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფით არის დაკავებული – ირგვლივ "პერიმეტრს აკონტროლებს".

ბატონმა პრეზიდენტმა დიტრიხ მაამებლაურს უბრძანა, კათხისთვის მიეხედა, შემდგომ ბატონი პრეზიდენტი და მისი პირადი კათხათმტვირთველი ჩასხდნენ დაჯავშნულ ძვირფას ლიმუზინში და, მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით, პრეზიდენტის დიდებული რეზიდენციისკენ გაეშურნენ.

ჩვენი მოხეტიალე თითები მსმენელთა ტაშს კი იყვნენ დაჩვეულნი, მაგრამ ამგვარი გამორჩეული რამ მათთვის უცხო ხილი იყო – უჰ, როგორ სიამოვნებთ დაჯავშნული "მერსედესით" დიდებული მოგზაურობა! როგორ რბილად მიირწევა ავტომანქანა – სანაქებო ესკორტის მრავალრიცხოვანი მანქანების შუქ-სიგნალების წითელ-ლურჯად ბრდღვიალ-ბრდღვიალითა და სირენების გაბმული ჭყვიტინ-ჭყვიტინის მუსიკალური თანხლებით!

მეორე საოცრებაც მოხდა (გპირდებით: თუ შემდგომაც განაგრძობთ ჩვენს მოხეტიალე გმირებთან ერთად წიგნის გვერდებზე გასეირნებას, წინ სხვა მრავალი საოცრებაც გველის!). მარცხენა სულ კი წუწუნებს, მაგრამ გადაჭრით და კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ თითები დღეს ბედნიერ ფეხზე ადგნენ! თვით განსაჯეთ: ჩვენმა მოგზაურმა ხელის მტევნებმა, ბატონ პრეზიდენტის "ეპოლეტებად" ამხედრებულებმა, ამგვარად დაწინაურებულ-ამაღლებულმა, სრულიად შემთხვევით მოახერხეს ქვეყნის პრეზიდენტის, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის სასახლეში შეუმჩნევლად მოხვედრაც! ეს მართლაც ზღაპარი იყო: საგანგებოდ დაცული ჭიშკრის წინ თითოეულ მომსვლელს, დაწყებული პრემიერ-მინისტრიდან, პრეზიდენტის პირადი დაცვის თანამშრომლები წინდაწინ უბოდიშოდ საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ...

– ჰო-ჰო, შეხედე, ბიჭო, რა სასახლეა! – მოწონებით წამოიძახა მარცხენამ. – ალბათ აქედან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულმაც შეიძლება, თავისუფლად წაიკითხო სასახლის ფრონტონზე ეს განათებული, უზარმაზარი ასოებით წარწერილი ბატონ პრეზიდენტის საყვარელი დევიზი: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!".

– ალბათ პირწავარდნილი ცინიკოსის თავგამოდებით დაგვცინის! უპრიანი იყო, სხვა, ბატონ პრეზიდენტის არა დეკლარირებული, არამედ ბევრად შესაფერისი, ფაქტობრივი მოქმედების, პირადი მიზნის გამომხატველი შესაბამისი დევიზი წაეწერა; მე ასეთად მიმაჩნია: "რასაცა შევჭამ ჩემია, რაც არა – დაკარგულია!". აი, ასე!

– შატაბუტას სხვა მხრივაც სანაქებო "მადა" ჰქონია, – ამბობს მარცხენა. – ეს სასახლე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეთრ სახლს ბევრად სჯობს! ყოველმხრივ! სპეციალისტებმა საგანგებოდ აზომეს და გაბარიტებით რამდენჯერმე უფრო დიდი ყოფილა, მიწის ქვეშ კი – კიდევ რამდენიმე ათეული მეტრია ამოთხრილი და ნამდვილი ბუნკერია მოწყობილი, რომელიც ალბათ ადოლფ ჰიტლერსაც კი შეშურდებოდა: ავტონომიური კვების წყაროებით და ყოველგვარი დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი ათსართულიანი პატარა ქალაქი; რამდენიმე ასეულ კაცს იქაური სურსათისა და სხვა აუცილებლის მარაგი ერთ წელიწადს მაინც ეყოფა – კინოთეატრზე და საბანკეტე დარბაზზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საბილიარდოც კი არის, ბარაქალა!

– ბიბლიოთეკისთვის შეიწუხებს თუ არა თავს, ვერაფერს მოგახსენებ და დიდებული აბანო რომ ექნება მოწყობილი, ეჭვი არ მეპარება! – გაიცინა მარჯვენამ. – დიახ, შატაბუტა-ტარუღაშვილს სიძუნწეს ნამდვილად ვერ დასწამებ: ტახტზე საკუთარი აბრძანების აღსანიშნავად, ინაუგურაციის ზარ-ზეიმით ჩატარებული ცერემონიისთვის საპრეზიდენტო ფონდიდან რამდენიმე მილიონი ლარის გამოყოფა არ დანანებია! სხვა მხრივაც არ არის ძუნწი: როცა პარიზს ესტუმრება, თითო ჯერზე ასი ათასობით ლარს ხარჯავს! თუმცა, რაღა სტუმრობაა, ლამის პარიზელად იქცეს: ისე უყვარს ფრანგული სამზარეულო, პარიზული რესტორნები და ბარები და არანაკლებ – პარიზული გართობაც, რომ იქ მეტ ხანს არის ხოლმე, ვიდრე აქ... იცის პირის გემო ბიჭმა და რა ჰქნას! განსაკუთრე-

ბით უყვარს ძვირფასი კოქტეილი “რითს საიდ ქარ”, – კონიაკი, ლიკერი და ლიმონის წვენი – ყველაზე ელეგანტური მსოფლიოში! მის დასაგემოვნებლად სასტუმრო “რიცს” ხშირ-ხშირად მიაკითხავს ხოლმე...

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ბატონმა პრეზიდენტმა ვახშმის წინ სასახლის ბაღში გასეირნება ინება და მანქანიდან გადმოვიდა. დღეს ძალიან დაკავებული იყო: სანამ აბანოს მიაკითხავდა, დაესწრო მღელვარე მოვლენას – ზოოპარკიდან წყვილი ბენგალიური ვეფხვი მოიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში; საგანგებოდ ფრიდრიხ ვილჰელმის კიდევ ერთი ახირებული სურვილის ასასრულებლად პატარა სამხეცე და საფრინველე მოაწყვეს – უყვარს მხეცები და ფრინველები და რა ჰქნას! ფრიად მოუცლელი სახელმწიფო მოღვაწეა და მათ სანახავად ზოოპარკში ხომ ვერ ირბენს ყოველდღე! შემდეგ შეხვედრა ჰქონდა პარიზში ჩატარებულ სტრიპტიზში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ესოდენ პრესტიჟულ შეჯიბრში, მიულოცა მათ დიდი წარმატება – პირად ჩათვლაში მეორე ადგილის დაკავება და გუნდური მესამე ადგილი; გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები და თითოეულს ხუთოთახიანი ბინის ორდერი გადასცა, უსურვა შემდგომი წარმატებები და მტკიცე იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ჩემპიონატზე ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო ასახელებენ და უფრო მაღალ ადგილს დაიკავებენ! აგრეთვე, დადო მტკიცე პირობა, რომ მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ღირსეულ კანდიდატთა შესარჩევ კომიტეტს პირადად ჩაუდგება სათავეში, პირადად მიიღებს მონაწილეობას კონკურსანტთა შერჩევაში, ასევე, პირადად დაესწრება და მხურვალე გულშემატკივრობით გაამხნევებს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთ!.. “მე ყველგან და ყოველთვის თქვენთან ვარ!” – ასეთი გამამხნევებელი სიტყვებით დაასრულა ბატონმა პრეზიდენტმა თავისი გულთბილი გამოსვლა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ქვეყნის ყველა ტელეარხით. უყვარს, როცა საკუთარი ბედნიერი სახის თითქმის ყოველდღე ხილვით სიხარული მოაქვს თანამემამულეთათვის და რა ჰქნას! საზეიმო ცერემონიალის შემდგომ რომ გამარჯვებულთა საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო, უფრო ხშირად ფრიად კმაყოფილი და, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას – ნეტარების მორევში მცურავი პრეზიდენტის მღიმარი სახე უფრო იპყრობდა რეჟისორთა და ტელეოპერატორთა ყურადღებას, ვიდრე ტურფა ქალიშვილებისა.

ასევე, ბატონ პრეზიდენტს ძალიან უყვარს ყვავილები. სასახლეს საგანგებოდ გაშენებული მოზრდილი ბაღი აკრავს, საიდანაც მთელი მსოფლიოდან საგანგებოდ ჩამოტანილი ხე-ბუჩქებია დარგული, იტალიიდან და ჰოლანდიიდან ჩამოტანილი ყვავილებით შესანიშნავი ყვავილნარია მოწყობილი. ინგლისიდან მოწვეული მებაღე-დეკორატორის მიერ მისივე გეგმით გაშენებული პრეზიდენტის სასახლის საოცარი ეგზოტიკური ბაღის სახელი ჰქუხს და თითებს ბედმა გაუღიმათ – სხვა დროს იქ ვერაფრით მოხვდებოდნენ და ალბათ პიანისტი დიტმარ დომინორაულიც (რომლის თითებიც ახლა გაპარულნი არიან) ვერასდროს ეღირსებოდა სასახლეში მიპატიჟებას იქ კონცერტის გასამართავად – პრეზიდენტს ხელოვნება მაინცდამაინც გულზე არ ეხატება (სამართლიანობისთვის აღვნიშნავ, რომ ახალგაზრდა მომხიბლავი მომღერალი ქალბატონები ხშირად სტუმრობენ პრეზიდენტის სასახლეს)... ბატონი პრეზიდენტი საპირისპიროს კი თავგამოდებით ამტკიცებს ხოლმე – მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის, არქიტექტურის დიდ დამფასებლად და ქომაგად მოაქვს თავი! ხელოვნების მუზეუმიდან რამდენიმე უძვირფასესი სურათი გამოატანინა და კაბინეტში დაჰკიდა, მაგრამ მუზეუმები რომ სულს ღაფავენ მოუვლელობით და ექსპონატები ნადგურდება, დიდად არ ანაღვლებს! მუსიკოსები და მხატვრები საზღვარგარეთ გარბიან, რათა შიმშილით არ დაიხოცნონ, მწერლები კი ლამის მეეზოვეები და გამყიდველები გახდნენ – წიგნები, სურათები, სპექტაკლები აღარავის აინტერესებს, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას პურის ფულიც კი სანატრელი გაუხდა! ერთ რამეს კი ბატონ პრეზიდენტს ვერაფრით დავუკარგავ: კულინარული ხელოვნების სათანადოდ დამფასებელი ნამდვილად გახლავს!

– ბიჭო, რა მაგრები ვართ! აქ უსაფრთხოდ ვიმყოფებით: პრეზიდენტის სასახლეში ვინ დაგვიწყებს ძებნას!

სწორედ დღეს, უფრო სწორედ – გვიან ღამით, პრეზიდენტთან საიდუმლო თათბირია დანიშნული! ცუდადაა საქმე: ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობაა: ისედაც უზარმაზარი უმუშევრობა კიდევ უფრო იზრდება, თან – სულ უფრო სწრაფად, ხელისუფალთა მხრიდან ძალადობის, ქონების უკანონო ჩამორთმევის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სასტიკი დევნის, ცემა-ტყეპისა და არცთუ იშვიათად – მკვლელობის, საპასუხოდ, უკიდურესად ძლიერდება გამეფებული რეჟიმისადმი მხოლოდ უნდობლობა კი არა, ფრიად მომძლავრებული წინააღმდეგობის ტალღაც, რომელმაც ლამის წალეკოს არსებული წეს-წყობილება...

დღისით ბატონი პრეზიდენტის მშენებლებთან შეხვედრა ტელევიზიის ყველა არხით გადაიცა პირდაპირი ეთერით და ახლა, მსუყე ვახშმის შემდეგ, რომლის აღწერისგანაც თავს შევიკავებ – არ მინდა, ცუდ გუნებაზე დაგაყენოთ (ამ დროს ღორმუცელობას ექიმები არავის ურჩევენ, მაგრამ ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი გამოირჩევა სანაქებო მადით, უყვარს ნუგბარი კერძების მაძღრისად მირთმევა დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რა უნდა ქნას!), იგი დიდი სიამოვნებით

უყურებს საღამოს ამბებში ამ შეხვედრის ამსახველ ჩანაწერს – როგორ ეფექტურად შლის ხელებს, ღიმილით აჩენს მსხვილ, თეთრ კბილებს, რიხიანი ხმა ამჟღავნებს თავდაჯერებასა და სიმტკიცეს... ისმის ჩვეული, უკვე ათასგზის ნათქვამი: "მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით – მეზობელ ქვეყნებში, დესტაბილიზაციის პროცესი გრძელდება, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო ღრმავდება, ეკონომიკა ფაქტობრივად ჩამოიშალა, ჩვენ კი გამეფებული ქაოსის ოკეანეში პატარა ოაზისი ვართ!".

ბატონი პრეზიდენტი ყველაფერში ჩქარია: გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად, წამიერად იღებს, მათ შორის – დიდად მნიშვნელოვანებსაც! არ მიიჩნევს საჭიროდ წინასწარ განსჯას, ყველა გარემოების და მოსალოდნელი შედეგების აწონ-დაწონას და, რაღა თქმა უნდა, არც არავის რჩევა სჭირდება! ახლა კი რბილ სავარძელში მისვენებული, ტელევიზორს უყურებს. ჩვენც დრო ვიხელთოთ და ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის გარეგნული პორტრეტი მოვხაზოთ. იგი მოსული ტანისა გახავთ, ლოყებღაჟღაჟა; ხშირი თმა ბუჩქად ადგას თავზე და ლამაზ კულულებად ეფინება მხრებზე, ვითარცა შუა საუკუნეების რაინდებს თუ მაღალი წრის მამაკაცებს; ფრიად ახლო-ახლო მდგომი, შავი, ერთი შეხედვით – ზანტი, ზარმაცი თვალები კონტრასტს ჰმნის მის მოძრავ ბუნებასთან – ძალიან ხმამაღლა და ძალიან სწრაფად ლაპარაკობს, თითქმის სირბილით დადის, მაგრამ მაინც ვერაფრით დაიკლო წონაში – დიდად პატივცემული ღიპიკო ამშვენებს! გახდომა როგორ არ სურს, მაგრამ ვერაფრით ახერხებს – როგორც მოგახსენეთ, ღორმუცელაა! თანაც დიეტის გაგონებაც არ სურს, ვარჯიშისთვისაც, აბა, სად სცალია! ამიტომ იძულებულია, ყოველ ექვს თვეში ერთხელ პარიზში პლასტიკური ქირურგიის სახელგანთქმულ კლინიკას ესტუმროს, სადაც ზედმეტ ქონს აცლიან... მე რომ მკითხო, უპრიანია, ბარემ ყურებიც ოდნავ დაიპატარავოს, რათა ხალხში ფრიად გავრცელებულ მის ერთ-ერთ მეტსახელს, უფრო მის ზნესთან, ვიდრე ჰაბიტუსთან დაკავშირებულს, –"დიდყურა"! – ნაწილობრივ მაინც საფუძველი გამოეცალოს...

აფსუს, დღეს რესტორანში ვეღარ მოასწრებს სტუმრობას, არადა, ძალიან უყვარს ყოველდღე განსხვავებული ეგზოტიკური კერძებისა და უცხოური საკოლექციო ღვინოების დაგემოვნება! ბატონ პრეზიდენტის გაფაქიზებული კულინარული გემოვნების დაკმაყოფილებას საგანგებო სამონადირეო რაზმი ემსახურება, რომელიც ახალი ნანადირევს არ აკლებს როგორც თვით შატაბუტას, ასევე მის სტუმრებსაც! იცის პირის გემო ბიჭმა და კარგი ღვინოს ყადრიც, თანაც ლხინის დროს თუ ესტრადის მოწვეული ვარსკვლავები, მომღერალ-მოცეკვავეები დაამშვენებენ, – სწორედ ესაა ბატონ პრეზიდენტისთვის შესაფერისი დროსტარება! მართალია, ბატონი პრეზიდენტი ლუდის დიდი ტრფიალია, რაიც მის მიერ დაარსებული პარტიის დასახელებაშიც შესაბამისად აისახა, მაგრამ არანაკლებ პატივს სცემს სხვა სასმელებსაც! შატაბუტას ბიბლიოთეკა არ აქვს სასახლეში, სამაგიეროდ, აქვს მდიდარი ფილმოთეკა პორნოგრაფიული ფილმების დიდი არჩევანით, და პირადი ენოთეკა – ბატონ პრეზიდენტის მთავარი მეღვინე დღენიადაგ ზრუნავს შატაბუტას ძვირფასი ღვინოების კოლექციის გამრავალფეროვნებისა და გამდიდრებისთვის; ამისთვის იგი რეგულარულად მიფრინავს საზღვარგარეთ ყველაზე პრესტიჟულ აუქციონებზე საკოლექციო ღვინოებისა და კონიაკების შესაძენად! მის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას შატაბუტა დიდად აფასებს და სავსებით ენდობა – პირადი კათხათმტვირთველისა და პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსის შემდეგ ის მესამეა რანგით – პრეზიდენტის პირადი გარდერობის გამგის, პრეზიდენტის სამზარეულოსა და საკუჭნაოს უფროსის, პრეზიდენტის ცეკვისა და ეტიკეტის მასწავლებლის, პრეზიდენტის კარის მასკარად-დღესასწაულების მომწყობის, პრეზიდენტის პირადი ექიმისა და პრეზიდენტის კარის მასხარას წინ.

ბატონ პრეზიდენტს, ასევე, ძალიან უყვარს პარიზში გასეირნება: პირადი თვითმფრინავით კვირაში 1-2-ჯერ ჩაფრინდება, ყველაზე ძვირფას სასტუმროში გაჩერდება, ყველაზე ძვირადღირებულ რესტორანს სტუმრობს, ყველაზე პრესტიჟულ მაღაზიებში ყიდულობს ჩასაცმელ-დასახურავს... რა ქნას, უყვარს გემრიელი სმა-ჭამა და უზრუნველი გართობა, ის ხომ ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილია!

ჰო, კიდევ: როცა მასაჟისტ ქალბატონს სამშობლოში დააბრუნებენ, იმავე თვითმფრინავით სტრასბურიდან საქვეყნოდ ცნობილი ვარცხნილობის ოსტატი, თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი, ჟაკ ტეშემახერაული, უნდა წამოიყვანოს – პრეზიდენტის თვითმფრინავი ერთ რეისს გადაურჩება, თანაც დროშიც მოგებაა: 30 000 ევროს ეკონომია გამოდის, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი, მოსახლეობის ფართო ფენებში რომ სიყვარულით "შენდაუკარ-ბუქნაშვილად" მოიხსენიებენ, სახელმწიფო სახსრებს ფრიად უფრთხილდება!

ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილს ერთი აკვიატებული ფიქრი არ ასვენებს: აუცილებლად საგანგებოდ უნდა გაემგზავროს მიუნხენში – იქნებ იმ ანტიკვარისგან, რომლისგანაც იყიდა ჯადოსნური კათხა, შეიძინოს კიდევ ახალი, სხვა სასმისი? ახსოვს, კარგად ახსოვს: მაშინ თაროზე შეამჩნია მაღალფეხიანი, კვამლისფერი, დიდი ბოკალი – იქნებ ის სასმისიც ჯადოსნური იყო და სანაქებო რაინული ან ბუგუნდიული ღვინოთი იყო გალიცლიცებული? ან იქნებ შამპანურითაც კი? ეჰ,

რამდენჯერ უნანია: რა სისულელე მოუვიდა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა! რატომ არ დაინტერესდა, ვერ მოისაზრა მაშინ იმ ბოკალის დათრევა?

კიდევ რა ფიქრს შეუპყრია ამ დროს ბატონი პრეზიდენტი? ალბათ იმას ნაღვლობს, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნის მოსახლეობას არ აქვს საშუალება, ტელევიზიის მეშვეობით გაეცნოს, როგორ დაესწრო ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი კიდევ ერთ, ფრიად პრესტიჟულ ღონისძიებას – სასტუმრო "მეტროპოლის" საბანკეტო დარბაზში გამართულ სოსისიანი ბუტერბროდების – ჰოთ დოგების, "ცხელი ძაღლების" – სწრაფად ჭამაში ქვეყნის ჩემპიონატის ფინალს. მაღალმა სტუმარმა ისურვა, მონაწილეობა მიეღო შეჯიბრში და პირველობაც არავის დაუთმო! საპატიო სტუმარი და, იმავდროულად, – ჩემპიონატში გამარჯვებული დამსწრეთ დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით, ხოლო მსაჯთა კოლეგიამ საზეიმო ვითარებაში გადასცა შესაბამისი დიპლომი, მომავალში ერთი წლის განმავლობაში შუადღეზე ხუთი ჰოთ დოგის უფასოდ მირთმევის და ხუთი ლიტრი ბავარიული ლუდის, ასევე, უფასოდ დალევის უფლების დამადასტურებელი მოწმობა და დიდი პრიზი – ცხელ-ცხელი ხინკლებით სავსე უზარმაზარი ვერცხლის თასი, საოქრომჭედლო ხელოვნების ნამდვილი შედევრი! შატაბუტა ყველაზე მეტად სწორედ ამ მთიულური ხინკლების მთამ გაახარა და საკუთარი კიდევ ერთი განუზომელი ნიჭი კიდევ ერთხელ დაადასტურა მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოების წინაშე – მაშინვე შეუდგა თასში მოთავსებული ნუგბარის, ორმოცდაათი ხინკლის მირთმევას! თუმცა ამ გმირობის ოფიციალურად აღწერა არ შედიოდა მსაჯთა მოვალეობაში და არც წესდებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ყველა ისედაც თვალნათლივ დარწმუნდა, რომ, თავისუფლად შეეძლოთ, ბატონი პრეზიდენტი იქვე გამოეცხადებინათ მსოფლიო ჩემპიონად ხინკლის სწრაფად ჭამაში!

ბატონი პრეზიდენტი ამ სასიამოვნო მოვლენის მოგონებამ იმდენად გემრიელ გუნებაზე დააყენა, რომ, ერთი პირობა, თვალებიც კი მილულა... ოღონდ, მოკლე ხანში, მის ნეტარ სახეზე ჭმუნვის მცირე ღრუბელიც დაეფინა: განა არ არის საწყენი, დიდად საწყენი და შეუწყნარებელი დანაშაულიც, ესოდენ გმირული შემართება რომ მომავალ თაობებს მხოლოდ სიტყვიერად გადაეცემა? საინტერესოა, იქნებ რაიმე ვიდეოგადაღება მაინც მიდიოდა და, კარგი იქნებოდა, ის დაუვიწყარი წუთები მარადისობის კუთვნილება გამხდარიყო! როგორ დაამშვენებდა პრეზიდენტის უკვე მშენებარე მემორიალურ მუზეუმს! მომავალ თაობებს ცოცხლად შეუნახავდა "დიდი პრეზიდენტის" ცოცხალ სახეს... იმედია, შემდგომში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები გამოასწორებენ დაუდევრობას, დიდ შეცდომას თუ შეუწყნარებლ დანაშაულს – ესეც გასარკვევია, რა კვალიფიკაცია მიენიჭება ამგვარ ქმედებასა თუ უმოქმედობას (არ დაავიწყდეს, გასცეს ამის შესახებ შესაბამისი განკარგულება!), დამნაშავენი საკადრისად დაისჯებიან და სხვები ამგვარ მნიშვნელოვან მოვლენას მომავალში მაინც შესაფერისად გააშუქებენ... უჰ, რა გემრიელი ხინკალი იყო! აუცილებლად უნდა გასცეს კიდევ ერთი განკარგულება: სასწრაფოდ გაიგონ, ვინ იყო ამ გასაოცარი ხინკლის გაკეთების ხელმადლიანი ოსტატი და დაუყოვნებლივ მის პირად მზარეულთა შტატში ჩარიცხონ! თუ მშვენერი ქალბატონი იქნება, მით უკეთესი!

მარცხენა გადაცოცდა მარჯვენასთან და უჩურჩულა:

– ნახე, რა ღიმილის მომგვრელი სანახაობაა: ბატონ პრეზიდენტს კმაყოფილ სახეზე ნათელი გადაეფინა...

– ალბათ გაახსენდა ამასწინდელი შეხვედრა ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან; როგორც იქნა, დაითანხმა ისინი შეხვედრაზე: "საზოგადოება დაბეჯითებით მოითხოვს: დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ნორმალური დემოკრატიული განვითარების გზაზე გასაყვანადო" და პრეზიდენტის სასახლეში სხდომების დარბაზში მოწვეულ სტუმრებს სული კინაღამ ამოხადა მისი უდიდებულესობის გამოცხადების მოლოდინით, თითქოს ბატონმა პრეზიდენტმა თითქმის ერთი საათი იმიტომ აყურყუტა ისინი, რომ უცხო ქვეყნიდან ჩამობრძანება დაუგვიანდა, არადა, სახნკლეში ბრძანდებოდა! მე ოპოზიციის ლიდერების ადგილზე ასეთ აშკარა უპატივცემლობას უპასუხოდ არ დავტოვებდი და წამოვიდოდი...

– სტუმრებმა, საწყლებმა, მინერალური წყლის დალევაც კი ვერ გაბედეს, – ისინი წინასწარ გააფრთხილეს მეგობრებმა: შატაბუტასგან ყველაფერია მოსალოდნელი და სასახლეში პირი არაფერს დააკაროთო...

– და მერეც შატაბუტა მათ რა აგდებით ელაპარაკებოდა... მერედა, ვინ დათანხმდებოდა ოპოზიციონერთა ბელადების "მოსათვინიერებლად" გამიზნულ მის სატყუარა-დაპირებებს: "ჩვენ თანამშრომლობისთვის ხელს გიწვდით და მთელ რიგ პოსტებს გთავაზობთ სამინისტროებსა და სხვა სამთავრობო უწყებებშიო"... იცოდა, რომ მტკიცე უარს მიიღებდა და ტკბებოდა თვით მის მიერვე დადგმული სპექტაკლით – სალაპარაკო მასალა ხომ უხვად მისცა ხელისუფლების მიერვე სავსებით კონტროლს დამორჩილებულ ტელეკომპანიებს... ახლაც დიდად კმაყოფილი ჩანს, ალბათ ტკბილ სიზმარში სადღაც ოცნების ღრუბლებში დაცურავს, ახალ პოლიტიკურ ხლართებს გეგმავს, მას ხომ დღე სამუშაოდ არ სცალია... ხომ ხედავ, გემრიელი ხვრინვა ამოუშვა. მაშინ მასთან შეხვედრის დროს ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა თავშეკავება გამოიჩინეს და ბატონ პრეზიდენტის უზ-

რდელობას ეტიკეტის დაცვა დაუპირისპირეს... ჩვენ ამას ვერავინ მოგვთხოვს და ოპოზიციონერთა მაგივრად ხომ არ გადავუხადოთ სამაგიერო? ნაწილობრივ მაინც, როგორც შევძლებთ!

– რა სისულელეს ბუუტურობ, პიანოფორტეზე დაკვრის გარდა, ჩვენ რა შეგვიძლია?

– კიდევ ალბათ ჩრდილების თეატრში ვივარგებდით! – გაეღიმა მარჯვენას. – ახლა ხელოვნებაში მოდაშია საშინელებებისა და სისასტიკის ესთეტიზაცია, ჰოდა, ჩვენც ხომ არ ავუწყოთ ფეხი ცხოვრებას? შატაბუტას ძალიან უყვარს შოუ-წარმოდგენების გამართვა და გავახაროთ: ჩვენ ჩვენებური ჩრდილების სპექტაკლი გავითამაშოთ კედელზე – ალქაჯების სატანური ცეკვა! ჩვენებურად შევაშინოთ ბატონი პრეზიდენტი!..

– მამალ მგელს უფრო შეაშინებ, ვიდრე შატაბუტას! – ეჭვი გამოთქვა მარცხენამ.

– შენ ეგრე გგონია? ახლავე განახვებ, რა სანაქებო ვაუკაციცაა!

– თანაც, მაშინვე დაგვიჭერენ!

– თუ ამგვარი გართობა საშიშად მიგაჩნია, მაშინ უფრო მარტივი ხერხი ვიხმაროთ... გავკრათ წკიპურტი ბატონ პრეზიდენტს ცხვირის წვეროკინაზე და გავიპაროთ!.. გაქცევაში წარმატებას ადრეც მივაღწიეთ!..

– გაგიჟდი? – თვითონ კინაღამ გაგიჟდა მარცხენა. – ბატონ პრეზიდენტს ვერ უბედავენ, რაც მას ოდნავ მაინც არ მოეწონება, სულ ელოლიავებიან, ხელისგულზე ატარებენ, და შენ გინდა, შენი დაუფიქრებელი ქმედებით კატასტროფა გამოიწვიო? ნაღდი ავანტურისტი ბრძანდები! ხედავ, გვერდით ახმახი უდგას კათხით ხელში, იმის მაინც არ გეშინია?

– დაე, უგუნურად შემრაცხო, მაგრამ მაინც ვერ ვძლევ ცდუნებას, გემრიელად გავიცინო! მოხდეს, რაც მოსახდენია!

და მარჯვენამ მართლაც აასრულა დანაქადნები!

მაგრამ მანამდე კიდევ ერთი საქმე მოითავა: ჩამოცოცდა იატაკზე, შემდეგ სწრაფად მიაღწია საწერ მაგიდამდე, იქ მაღლა აცოცდა და იქ კარგა ხანს დაჰყო; როცა უკან დაბრუნდა, ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა.

– რამდენადაც ბედნიერება გვეწვია და პრეზიდენტის სასახლეში ვართ, სხვა დროს მასთან ასე ახლოს ვინ მიგვიშვებს? გამოვიყენე ეს უნიკალური შესაძლებლობა, დრო ვიხელთე და ჩვენს ძვირფას ფრიდრიხ ვილჰელმს გულთბილი წერილი მივწერე, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუხარდება მისი წაკითხვა! – უჩურჩულა მარცხენას და თვალებმილულულ ბატონ პრეზიდენტს (აბანოში სასიამოვნო დროსტარების შემდეგ ძილი მოგერევა, აბა რა!) ხელში ჩაუდო საგანგებოდ პრეზიდენტისთვის საზღვარგარეთ დამზადებული პრეზიდენტის ღერბიანი, ოქროსვარაყიანი წარწერით დამშვენებული, ძვირფასი ფურცელი და სანამ ისევ "ეპოლეტად" გადაიქცეოდა, გზად მთვლემარეს ცხვირის წვეროკინაზე გემრიელი წკიპურტიც უთავაზა.

ბატონმა პრეზიდეტმა უცებ, შეშინებულმა, გაახილა თვალები:

– ფუი, ზოგჯერ რა საშინელება მოგეზმანება!

და ამ დროს შეამჩნია მის ხელში ჩადებული ბარათი.

– საიდან მოხვდა აქ ეს ფურცელი? – კიდევ უფრო დააჭიტა თვალები ბატონმა პრეზიდენტმა. – სასიყვარულო ბარათი იქნება იმ ცუღლუტისგან, თუმცა ვარდისფერ ქაღალდზე არ არის დაწერილი და არც ნაზი სუნამოს სურნელი უდის... ჩემს ოფიციალურ ბლანკზე წერია, ალბათ ჩემს მიერ ნაჩუქარზე... აბა ერთი, რას მწერ, შემდეგი ჩვენი შეხვედრა სად გესიამოვნება, სად უნდა შევხვდეთ, ჩემო ლამაზო და მშვენიერო?

მომავალი სასიამოვნო ამბის შეტყობის მოლოდინით აღსავსე გაბადრულმა ბატონმა პრეზიდენტმა გაშალა უსტარი და გაფაციცებით დაიწყო კითხვა. და თანდათან სულ უფრო ეღრუბლებოდა სახე... ბარათში კი ეწერა:

"ძვირფასო შატაბუტავ, ტარუღაანთ ბიჭო!

იმდენად დიდად აღფრთოვანებული დავრჩი თქვენი სეფესიტყვით, რომლითაც თქვენ, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ფრიად გაგვაბედნიერეთ და გამობრძანება ინებეთ ამა წლის 16 მარტს ჩვენი (უფრო – თქვენი!) სახელოვანი პარლამენტის წინაშე, რომ არ შემიძლია, არ მოგიძღვნათ გულითადი და გულწრფელი მადლიერების გამომხატველი ეს წერილი.

უპირველესად, დიდად მადლობელი გახლავარ, რომ ბარე ოცდაათი წლის ტვირთი ჩამომაცილეთ მხრებიდან და იმ ნეტარსახსენებელ დროში დამაბრუნეთ, როცა განვითარებული სოციალიზმის მშენებელი ჩვენი დიდი და დიადი სამშობლოს – უკიდეგანო და უმძლავრესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისდ– საამაყო თავკაცი მეორე ილიჩი საანგარიშო მოხსენებით წარსდგებოდა ხოლმე კომუნისტური პარტიის მორიგ ყრილობაზე და ქვეყნის არნახულ აღმავლობასა და მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის მისაბაძ შთამბეჭდავ წარმატებებზე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. თქვენგან არც არის გასაკვირი: თქვენ ხომ, – არ მომწყინდება ასე მოწიწებით მიმართვა, – ძვირფასო შატაბუტავ, მეორე ილიჩის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, განუმეორებელი, მსოფლიო დონის ვირტუოზი პოლიტიკოსის, ამჟამად კი –

სახელგანთქმული მემუარისტისა და პოლიტოლოგის, გიგუშა გავარდნაულის, პირადად გამოზრდილ-გამოწვრთნილი და დაკვალიანებული ბრძანდებით – დიდი რუდუნებითა და სანაქებო სიფაქიზით... და უნდა მოგილოცოთ: ნამდვილად არ შერცხვით, სავსებით, მთლიანად და საგრძნობი გადაჭარბებითაც გაამართლეთ მბრუნველი "მამობილის" მიერ თქვენზე დამყარებული ყველაზე დიდი იმედები!

დიახ, იხარეთ, ხალხო, ჩვენი შატაბუტას დაუღალავი მცდელობით, მისი და მისი შესანიშნავი თანაგუნდელების დაუცხრომელი ზრუნვითა და გარჯით, ჰყვავის ჩვენი ტურფა ქვეყანა! არნახული მიღწევებია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, სამაგალითონი გავხდით მთელი მსოფლიოსთვის!!! უდიდესი ოპტიმიზმითა და შემართებით უყურებს მოსახლეობის ფართო ფენები ხვალინდელ დღეს, საზოგადოება, ასევე, უპრეცედენტო ერთიანობითა და სიმტკიცით ანცვიფრებს მთელ განათლებულ მსოფლიოს! ყველანი შურით შემოგვცქერიან და დედამიწის ზურგზე არსებული ყველაზე წინ მყოფი განვითარებული ქვეყნებიც კი აპირებენ ჩვენგან ჩვენი მოწინავე, უნიკალური გამოცდილების გადაღებას! იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტყუილად კი არ გკითხათ, როგორ მოახერხეთ ასეთი სწრაფი ტემპების მიღწევა ქვეყნის ყოველმხრივ ეფექტურ განვითარებაშიო – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ყოველწლიურად 15-20%-ით ზრდაში, ხალხის სამაგალითო კეთილდღეობის მიღწევაში; საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაციითა და დემოკრატიის აყვავებით ხომ თითით საჩვენებელი გავხდით მთელ მსოფლიოში!

ერთი რამ კი მაინც უნდა გისაყვედუროთ, ძვირფასო ფრიდრიხ ვილჰელმ: მშვენიერი, დაუვიწყარი წარმოდგენა დადგით, სავსებით დამსახურებულად მქუხარე ტაშიც დაიმსახურეთ, მაგრამ, იცით, რატომ დამწყდა გული, ყმაწვილო? თქვენი ბრწყინვალე ბრძნული გამოსვლის წინ რატომღაც არ გამოვიდა წითელყელსახვევიან პიონერთა გუნდი – დაფდაფებით, საყვირითა და საზეიმო პატაკით, რაც ესოდენ დაამშვენებდა ერისა და ბერის ერთიანობისა და სიმტკიცის ამ დიდებულ დემონსტრაციას! იტყვით: "სამწუხაროდ, პიონერთა ორგანიზაცია ვიღაც ბრიყვებმა გააუქმესო", მაგრამ არსებობს ბრწყინვალე გამოსავალი: მრავალ თქვენს თანამებრძოლს, თუნდაც საშიშროების, მოსმენა-დასმენისა დაცემა-ტყეპის მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სხვებსაც, დიდად დაამშვენებდათ წითელი ყელსახვევები, დაფდაფებზე დაკვრაც, ასევე, დემაგოგიური ლაქლაქი ჩასაფრებულ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებზე – იდეურ მოწინააღმდეგეთა სიტყვით გაცამტვერებაში თქვენ და მათ ვერავინ აჯობებს! ბოლოს კი, დამაგვირგვინებელ მაჟორულ აკორდად, წითელყელსახვევიან ნეობოლშევიკ დეპუტატთა მრავალრიცხოვანი რაზმი მწყობრი ნაბიჯით რიხიანად ჩაივლიდა და გავარჯიშებული ხმებით დააგუგუნებდა მშობლიურ პარტიულ ჰიმნს!"...

ბატონმა პრეზიდენტმა კითხვა აღარ გააგრძელა, სიბრაზისგან აცახცახებულმა იღრიალა:

– დაცვა!

პირველი შემოვარდა პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი ჰაინც ძიძგილაური და სახეშეშლილ უფროსს გამოეჭიმა:

– თქვენო უმაღლესობავ, ყველაფერი წესრიგშია! მთელ დასაცავ პერიმეტრზე ვიდეოთვალებს და სადღეღამისო პატრულს საეჭვო არაფერი დაუფიქსირებიათ!

გაოფორებულმა ბატონმა პრეზიდენტმა მუჭში დაჭმუჭვნილ-დამრგვალებული წერილი სახეში ესროლა:

– აბა, ეს რაღა ჯანდაბაა?!. საიდან მოხვდა ჩემთან? ეს არამზადები არ დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ამზადებენ მასობრივ მიტინგს ჩემი პოსტიდან გადადგომის თავხედური მოთხოვნით – ვერ ეღირსებიან, ვერ მივართვი ბადრიჯანი!.. მოღალატეები! თაღლითები! ვერაგები! ახლავე გააძლიერეთ რეზიდენციის დაცვა და გაჩხრიკეთ ყველა კუთხე-კუნჭული, ჩემზე ტერორისტული აქტი მზადდება! სად არის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი? საჭიროა და აუცილებელიც დაუყოვნებლივ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა! სასწრაფოდ აქ გაჩნდეს ყველა! ოპოზიციის, – ხალხის და პირადად ჩემი მტრების, – არნახული პროვოკაციაა! ოპოზიციონერთა ხრიკებია! უცხო ქვეყნის სამსახურში მყოფი აგენტები არიან! არ გამოვრიცხავ, რომ ამ საქმეს ღალატის სუნი უდის! – და მოუთმენლად გაიწვდინა მარჯვენა პირადი კათხათმტვირთველის დიტმარ მაამებლაურისკენ: – მომაწოდე! დედას ვუტირებ ყველა ჯურის ნაძირალებს! ვერ ეღირსებიან ჩემგან რენესანსებს!

– ბატონი პრეზიდენტი ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ცნებებს: ალბათ სურდა, ეთქვა, რომ მისი მტრები ვერ ეღირსებიან მისგან რევერანსებს... მართალი ბრძანდება – დათმობა წვრილმანშიც არ ჩვევია... – მარჯვენამ მარცხენას გადაუჩურჩულა.

– ბიჭო, რა ჩქარ-ჩქარა, არაკუნებს ენას! – გაუკვირდა მარცხენას. – ტყვიამფრქვევივით არ მიაყარა?

– შიშისგან, ჩემო კარგო, შიშისგან! თუმცა, ისედაც ყველაფერში მარდია: ხომ ნახე, მანქანიდან რომ გადმობრძანდა, თითქმის გაიქცა, დაცვის აყლაყუდა თანამშრომლები ძლივს ეწეოდნენ!

– მე კი მეგონა, მალე უნდოდა, უსაფრთხო ადგილას აღმოჩენილიყო!

– ჰო, რა თქმა უნდა, ეგეც არის. ჩვენს შატაბუტას, მარად ჭამის მოთხოვნილებისა არ იყოს, მუდმივად შიშიც უღრღნის გულ-მუცელს; მიკვირს, მისი უმაღლესობა სადმე საწოლის ქვეშ საჩქაროდ არ შეძვრა... ახლა ნახე, აქ რა ამბები დატრიალდეს!

მართლაც, მაშინვე საჩქაროდ მობილიზაცია გაუკეთეს დამატებით ძალებს პრეზიდენტის სასახლის დასაცავად, ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობისთვის გადაიკეტა მიმდებარე ქუჩები, გაიჩხრიკა ახლომდებარე ყველა ბინა, გააჩერეს გამვლელ-გამომვლელნი და, ყოველი შემთხვევისთვის, ყველანი უახლოეს საპოლიციო უბნებში გადაიყვანეს პიროვნების დასადგენად.

გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო, – მაინც საიდან გამოტყვრა ეს წერილი? – რამაც კიდევ უფრო შეაშფოთა შატაბუტა-ტარუღაშვილი, ადრევე დანიშნული საიდუმლო თათბირი უკვე გადაიზარდა სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაში უშიშროების საბჭოსი; რომელსაც ასევე დაესწრებიან სხვა პირებიც – პრეზიდენტისთვის "საჭირო" ხალხი...

სანამ უშიშროების საბჭოს წევრები და დამატებით მოწვეულნი შეიკრიბებიან საგანგებო სხდომის გასამართავად, ბატონი პრეზიდენტი უყურებს ერთ-ერთ პოპულარულ არხზე პოლიტიკურ დებატებს ოპოზიციურ პოლიტიკური პარტიების ლიდერთა მონაწილეობით.

ფრიდრიხ ვილჰელმს გულზე ოდნავ მოეშვა, დიდად უხარია: დისუსიაში მონაწილენი ერთმანეთთან ვერაფერში შეთანხმებულან! იქნებ ტყუილად შეშფოთდა და ატეხა განგაში? ვაი, მათ პატრონს, უბედურს, ეს ნაცარქექიები რომელი ხელისუფლების გადამტრიალებელნი არიან! არც ძალა აქვთ, არც – ტვინი! როგორ ბედავენ ეს ტილები ხმის ამოღებას?

ბატონი პრეზიდენტი მშვენივრად ერთობა: წამყვანი – უზომოდ შედებილ-ჩაცმულ-მოკაზმული და მაინც საკმაოდ შეუხედავი, ახალგაზრდა, წიკვინახმიანი ქალბატონი, როგორც ყოველთვის, ახლაც აგრესიულად არის განწყობილი: პროვოკაციულ კითხვებს სვამს, ყოველმხრივ ცდილობს, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ერთმანეთს წაჰკიდოს.

მარჯვენა ეჩურჩულება მარცხენას:

– არ გიკვირს? როგორ მოსწონს ამ ქალბატონს საკუთარი თავი, როგორ ტკბება თავისი ძვირფასი პერსონის ეკრანზე წარმოჩენის შესაძლებლობით – ნამდვილი ნარგიზია!

– რატომ უნდა მიკვირდეს? მთელი ქვეყანა გააბედნიერა ეკრანზე გამოჩენით! ტელეწამყვანი ჰქვია და მართლაც მის ხელთაა საუბრის სადავეები და საითაც უნდა, იქით მიჰყავს; აშკარად ეტყობა: დიდად სიამოვნებს შუღლის გაღვივება, ცეცხლზე ნავთის დასხმა... ყველა მოსაუბრეს შუა გზაზე უბოდიშოდ ჩაერევა, ლაპარაკს უხეშად აწყვეტინებს, რათა საკუთარი ძვირფასი მოსაზრებები უტეხი უტიფრობით განავითაროს და, არცთუ იშვიათად, თუ დისკუსიის მიმართულება არ მოეწონება, საერთოდ სულ სხვა რელსებზე გადაჰყავს საუბარი!

– ეს ქალბატონი გამონაკლისი როდია, ბევრი მიმბაძველი ჰყავს: მოწვეული სტუმარი რაც მათზე დიდად ხნიერია, ბევრად მცოდნე და გამოცდილი, მით მეტ უპატივცემულობას ავლენენ მის მიმართ, საოცარია! ყველა ტელეწამყვანს ლამის პროფესიულ დაავადებად განუვითარდეს უზრდელობა!

მარცხენა პასუხობს:

– და კიდევ: უზრდელობაზე დამყნილი სანაქებო უვიცობა და თავხედობაზე დამყნილი უსაზღვრო თავდაჯერებულობა და აპლომბი! ბარაქალა!

ამჯერად კი მონაწილენიც წამყვანს არაფრით ჩამოუვარდებიან: სხვას არ უსმენენ, ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს, ხოლო დავაში მათი მთავარი არგუმენტია – გაცხარება, თითქმის ყვირილი... ლამის მუშტი-კრივი გაიმართოს!

ბატონ პრეზიდენტს ერთი პირობა შეეშინდა და ტელევიზორიდან ცოტა უკან დაიხია კიდეც: ქალბატონი ტელეწამყვანი იმდენად აგრესიულია, შესაძლოა, გადმოვიდეს ეკრანიდან და თვით პრეზიდენტსაც კი მუშტი უთავაზოს! მერე და მერე, ცემა-ტყეპის მოლოდინში, ფრიდრიხ ვილჰელმი თანდათან აღიგზნება და, ქალბატონისა და დისკუსიის მონაწილეთა ქცევით აღფრთოვანებული, უკვე თითქმის ყვირის:

– მიდით, მიდით, ჩემო კარგებო, ჩემო ძვირფასებო, დაჭამეთ ერთმანეთი, დიდებულია, მშვენიერია!.. აბა ჰე, არ დაინდოთ ერთმანეთი!

მარჯვენა:

– თვითონ ბატონი პრეზიდენტიც ზრდილობით არ გამოირჩევა! უნიჭოებს იკრებს გარშემო, უვიცებს – მათაც დასცინის და ხალხსაც – ჩვენს ქვეყანას ეს ეკადრება? სანტექნიკოსი – განათლების მინისტრია, ბოტანიკოსი – მრეწველობისა და ეკონომიკის საქმეებს განაგებს... მერე გენერალურ პროკურორს კულტურის მინისტრად დანიშნავს, კულტურის მინისტრს – საბაჟო დეპარტამენტის უფროსად... ასე ქვეყანას ეშველება? საგარეო საქმეთა ცხვირმოუხოცელი მინისტრი, საშუალო სკოლა რომ გუშინ დაამთავრა და ცხოვრებაში ღირებული ქვეყნისა და ხალხისთვის ჯერ არაფერი გაუკეთებია, არც გამოცდილება აქვს და ვერც დიდი ცოდნით დაიკვეხნის, თანამშრომლებს დედის გინებით ელაპარაკება, საქმიანი შეხვედრის ან პარლამენტში გამოსვლის წინ ვისკით გამოიბრუჟება –

მთავრობის ასეთი წევრებით უნდა, ქვეყანა მართოს და წარმატებას მიაღწიოს? თვითონაც პარანოიკია! ვინ ურჩია, რომელ ქვეყანაში ეგულება ნეტავ ასეთი ყოველგვარ გონიერებას მოკლებული "ნოვაციები"! თურმე, უკლებლივ ყველაფერი ძველი – უვარგისია, მათ შორის – საღი აზრიც! როგორ შეიძლება ყველაფრის საყოველთაო შეცვლა? მათ შორის იმისაც, რის შეცვლაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს და უფრო ხშირად – ზიანიც მოაქვს...

– რას ამბობ, შენ არ მოგწონს, რომ ქუჩაში საღამოს თავისუფლად გამოხვალ და გაძარცვის არ გეშინია? არც მანქანას მოგპარავენ! წესრიგი დაამყარა, ძმაო, ქვეყანაში! რატომ არაფერი მოგწონს? – არ ეთანხმება მარცხენა.

– სასტიკია! "რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია", ხომ გახსოვს ბრძენი შოთას ნათქვამი? საყოველთაო ძალადობა გაამეფა და თავისუფლება დათრგუნა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ციხეში ალპობს, ეს უნდა მომწონდეს? ინტელიგენციას დაერია, ცოდნა-განათლება დიდ ნაკლად ითვლება, ისევე, როგორც ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგულება, სიტყვა "ინტელიგენტი" ლამის სალანძღავ სიტყვად გახდეს... "სიკვდილის ესკადრონები" დაძრწიან, საპროტესტო მიტინგიდან წამოსულ ადამიანებს იტაცებენ, ართმევენ მანქანებს, მაგრად სცემენ და სადღაც ქალაქგარეთ შიშველს დააგდებენ... ქუჩაში უდანაშაულო ადამიანებს პოლიციელები ჰკლავენ და პასუხს არავინ სთხოვს... მაგისთვის კანონი არ არსებობს! მისი შექმნილი პოლიციური სახელმწიფო როგორ უნდა მომწონდეს?

– კარგი რა! ადამიანების უმრავლესობა განსჯა-ფიქრით თავს არ იწუხებს, მხოლოდ სიამოვნება სურს. ხალხი გაფუჭებულია, თუ მაგარი მუშტი არ აჩვენე, თავს გავა! ქაოსი და ნგრევა, ყაჩაღობა და უწესრიგობა გვინდა კიდევ ჩვენ? რომ გაჰყვირით "დემოკრატია, დემოკრატია!", სხვანაირად წესრიგს ვერ დაამყარებ!

– ძალადობა და ტყუილი – აი, ორი ბოძი, რომელზედაც დგას შატაბუტა-ტარუღაშვილის ეს ხელისუფლება. მაშ, შენ გინდა, ისევ მონობაში ვიცხოვროთ?

– თავისუფალი – მხოლოდ გიჟია! დენი გაქვს, წყალი გაქვს, პენსიას თუ ხელფასს დროზე არიგებენ, პურისთვის რიგში დგომა აღარ გიხდება, არც ბენზინის შეძენაზეა რიგი და არც არაფერზე – მეტი რაღა გინდა? ისევ არეულობა და განუკითხაობა? აუცილებლად ჩასატარებელი რეფორმები მტკივნეულია და უნდა გადავიტანოთ! ეს ოპოზიციური პარტიების მიერ მოწყობილი მიტინგები მხოლოდ სკამისთვის ბრძოლას ემსახურება...

– რას ამბობ?!. ყოველ წუთს რომ შეიძლება, შარი მოგდონ და სახლი, საწარმო, ფირმა უბოდიშოდ წაგართვან – ყოველგვარი სასამართლოში განხილვისა და დადგენილების გამოტანის გარეშე?! ან სრულიად უმიზეზოდ ქუჩაში დაგაკავონ და ნარკოტიკი თუ პისტოლეტი ჩაგიდონ ჯიბეში და ციხეში ჩაგსვან, ან სულაც პირდაპირ ქუჩაში მოგკლან – მოგწონს? მხოლოდ ტყუილს რომ გასმენინებენ დღედაღამ და სიცრუის მეტს ვერაფერს წაიკითხავ – ესეც მოგწონს? ქვეყანას რომ ყოველმხრივ ანგრევ, უზარმაზარი უმუშევართა არმია რომ უფრო იზრდება და ასიათასობით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი გყავს – ესაა წარმატებული რეფორმები?

– ვაცლოთ, შენ ყველაფრის უცებ გამოსწორება გინდა, ასეთი რამ შეუძლებელია, ბუნებაში არ ხდება!

– სულ ველოდი, ველოდი, რომ რაღაც შეიცვლებოდა უკეთესობისკენ, მაგრამ ამაოდ...

– მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ რაღაც კარგი მოვლენის დაუსრულებელი მოლოდინია და, ბოლოს, იმ იმედით ჩავდივართ საფლავში, რომ ვეღირსებით და საიქიოს მაინც აგვისრულდება ოცნებები...

– ჰო, მაგის იმედად იყავი! – დაცინვით უთხრა მარჯვენამ.

– აბა, რა ვქნათ, სად არის გამოსავალი?

– მაინც მხნედ უნდა ვიყოთ! "გვეშველება რამე?" – ამ კითხვაზე პასუხი უბრალოა: ასე დიდხანს არ შეიძლება, გაგრძელდეს, ტაშ-ფანდურითა და დემაგოგიური დაპირებებით რამდენ ხანს უნდა შეაკავო საყოველთაო უკმაყოფილება? უსამართლობის წინააღმდეგ აგორებულ საპროტესტო ტალღას ყოველთვის ვერ გადააგორებს, როგორც თვითონ შატაბუტას ტყუილად ჰგონია. რისი იმედი აქვს? ოპოზიციის ბანაკში შეუთანხმებლობისა და ზოგიერთ საკითხში ურთიერთ დაპირისპირებულობისა? თუმცა, ბატონი პრეზიდენტის გახარება და გულარხეინობა ერთგვარად გამართლებულია: ეს "პამპერსის ტიპის" ჯუჯა პარტიები, როგორც მათ მოსწრებულად დაარქვეს, რას დააკლებენ! ისინი პარტიის ლიდერის "კერძო საკუთრებაა", – თითოში მხოლოდ ათამდე თუ ცოტა მეტი წევრია: ნათესავები და ახლო მეგობრები; ეს "თითო კაცის" პარტიები არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენენ... ამათ "საკუთრებისგან" განსხვავებით, მოქალაქეთა კერძო საკუთრებას – საწარმოებს, შენობებს და ასე შემდეგ – ეს ხელისუფლება როცა მოისურვებს, მაშინ წაართმევს.

მარცხენა:

– აბა, პრეზიდენტის პირადი დავალებით დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრი ზიგფრიდ კომბალაური რატომ შეაგზავნის აგენტებს ამ ოპოზიციურ პარტიებში?

– სიფრთხილეს თავი არ სტკივა და იმიტომ! მოაწყობინებს "უცხო ქვეყნის აგენტებს" პროვოკაციების მთელ სერიას, შეეცდება, შექმნას "მტრის ხატი"... ამერიკა ნამდვილად არ აღმოუჩენია – კარგად ცნობილი მეთოდია!

– შეხედე: ბატონ პრეზიდენტის ერთ-ერთი მინისტრი სთავაზობს ოპოზიციას დიალოგს ქვეყნაში არსებულ ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე, ოპონენტები რატომ არ არიან მზად ამ წინადადებაზე დასათანხმებლად?

– ჩემო ძმაო, ამგვარი ფარისეველური შეთავაზება ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ჩაიფუშა... მიზეზი? არავითარ სერიოზულ მოლაპარაკების გამართვას ხელისუფლება მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან არ აპირებს და თუ მართალა დააპირებს, მხოლოდ დიდად მოსაწონ კომფორტულ პირობებში, მშვენიერ ადგილას – წინასწარი გამოძიების საკანში! იქ ბატონ ზიგფრიდ კომბალაურის ნდობით აღჭურვილ პირებთან გულთბილი საუბარი გაიმართება არასასურველი მოწმეების გარეშე! სისასტიკით, აქტიურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გატაცებით, მათი სასტიკი წამებითა და დასახიჩრებით – ხალხს, საზოგადოებას ვერ დააშინებ, ვერ დააჩოქებ, პირიქით – ფიზიკის კანონი აქაც მოქმედებს: ქმედება იწვევს უკუქმედებას!.. ეს არის დემოკრატია, ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობაზე ზრუნვა? ეს არის ფაშიზმი! ტერორი, ძალადობა, სისასტიკე, დემაგოგია და სიცრუე ყოველ ფეხის ნაბიჯზე – უკან შემოუბრუნდებათ შატაბუტასა და მის დამქაშებს.... ახალგაზრდა კაცი ხარ, გიყვარს გემრიელი სმა-ჭამა, ქალები და გართობა-დროსტარება – რატომ არ ფიქრობ საკუთარ მომავალზე? ადრე თუ გვიან აღარ იქნები ხელისუფლების მწვერვალზე, პასუხს ხომ მოგთხოვენ უამრავი საკუთარი დანაშაულისთვის? თუ ფიქრობ, სამარცხვინოდ გაიქცევი საზღვარგარეთ საკუთარი ხალხის მძვინვარებისგან და ყველა ჩადენილი ცოდვა შეგრჩება?

სამწუხაროდ, სატელევიზიო კამათის მონაწილეთა შორის არ აღმოჩნდა არცერთი სანდომიანი ქალბატონი. ბატონმა პრეზიდენტმა ვეღარ გაუძლო შეღებილ-შელესილი და საგანგებოდ დავარცხნილი, მორთულ-მოკაზმული და მაინც ფრიად შეუხედავი ტელეწამყვანი ქალბატონის ყურებას, მისი ყურების გამხვრეტი წიკვინა ხმის მოსმენას და ტელევიზორი სხვა არხზე გადართო – მშვენიერი სქესის დიდი თაყვანისმცემელია და რა ქნას!

– აჰ, ოჰ, უჰ, შენ კი გენაცვალე! – რბილ სავარძელში ცმუკავდა და ოხრავდა ბატონი პრეზიდენტი, – ვერ წარმომიდგენია, ასეთ მშვენიერ, მარწყვისტუჩა ქალბატონს რის შესახებ უნდა ეკამათო?.. მომაწოდე! – უბრძანა პრეზიდენტის სავარძელთან მორიგი ბრძანების მოლოდინში გაჯგიმულად მდგომ მის განუყრელ და ერთგულ თანამგზავრს, ბატონ დიტმარ მაამებლაურს – ბატონ პრეზიდენტის კათხათმტვირთველს; ამ დროისთვის უკვე ოცდაათზე მეტი კათხა ლუდი თუ არა, ოცზე მეტი მაინც დააგემოვნა.

ამ არხზე მართლაც სანდომიანი ქალიშვილი გახლდათ დისკუსიის წამყვანი, თან ხმაც შესანიშნავი ჰქონდა. აგერ, სულ ახლოს, ბევრად უკეთესი "ობიექტი" ყოფილა და რაღა ცხრა მთას იქიდან მოჰყავდა სხვა? აქამდე როგორ ვერ შეამჩნია? ალბათ ახალი მიღებულია სამსახურში... სასწრაფოდ დაავალებს ქალიშვილის ამბების გარკვევას და დიდი სიამოვნებით დაჰპატიჟებს ინტიმურ ვახშამზე... სად აჯობებს? ალბათ პარიზში, სასტუმრო "შარლ მეხუთის" რესტორანში! აბა, როგორ! ასეთი მზეთუნახავისა და საკადრისი ანტურაჟის გარემოცვაში ყოფნა ნამდვილი ნეტარება იქნება!

ფრიდრიხ ვილჰელმმა თვალები ტკბილად მილულა, სანახევროდ შესმული კათხა ხელში გაუშეშდა კიდეც, მაგრამ ამ დროს სწორედ მისი ოცნების ნაზი არსება, ეშხში შესული, ვეფხვივით აბრიალებდა თვალებს და არცერთი წინადადების ბოლომდე თქმას არ აცლიდა ერთ-ერთ სასაუბროდ მოწვეულს, – ინტელიგენტური გარეგნობის და ქცევის კაცს, რომელიც ტელეწამყვანის პაპის ტოლა თუ არა, მამის ხნის მაინც იქნებოდა და რომლის დამფრთხალი თვალებიც უმწეოდ იყურებოდნენ სათვალის იქიდან... მომხიბლავი ქალბატონი დიდ წარმატებით არღვევდა ჟურნალისტური ქცევის უმარტივეს წესს და რესპონდენტის პოზიციის რელიეფურად, სრულად წარმოჩენას კი არ ესწრაფოდა, უბოდიშოდ აწყვეტინებდა სათქმელს და დაუსრულებლად ეკამათებოდა – თითქოს მისი პოლიტიკური ოპონენტი იყო და არა პირუთვნელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტი.

ბოლოს, სათვალიანმა კაცმა ვეღარ მოითმინა და მანაც შეაწყვეტინა მშვენიერ წამყვანს ლამის მონოლოგად გადაქცეული ლაპარაკი:

– ქალბატონო, დიდ პატივს დამდებთ, თუ ნებას დამრთავთ, მოგახსენოთ ჩემი შეხედულება... თქვენ წამდაუწუმ ნიშნის მოგებით მეკამათებით, გსურთ, რომ ჩიხში მომიმწყვდიოთ, თითქოს მე თქვენი პოლიტიკური ოპონენტი ვიყო... ჩემთან კამათი და ჩემი არგუმენტების უარყოფა, უფრო მეტიც – მათი მოსმენის სურვილის არქონა, არ არის თქვენი საქმე; თქვენ უნდა მომისმინოთ და მხოლოდ ისეთი კითხვები დამისვათ, რომლებიც ჩემს მოსაზრებებს უფრო დააზუსტებს – და არა ჩემი შეხედულებისა თუ შეფასების "მცდარობაში" "გამოჭერას" ეცადოთ... მერწმუნეთ, ფუჭად ჩაგივლით მცდელობა.

ბატონი პრეზიდენტი ფრიად გაბრაზდა რესპონდენტზე: "ასეთ ყოველმხრივ გადასარევ ქალბატონს ყველაფერში უნდა დაეთანხმო! როგორ უბედავს ჭკუის სწავლებას ეგ ხეპრე, გაუთლელი!..

ოყრაყი!.. შტერი, ყეყეჩი!.. ლენჩი, ბოთე!.. ჩერჩეტი, ბრიყვი!.. ტეტია, მუტრუკი!.. ვინ არის, სად მუშაობს ნეტავ? ახლავე სამსახურიდან სულ პანჩურის გამასპინძლებით გამოაძევონ, მაგის პროფესორობა სულ ფეხებზე მკიდია!.. რეგვენი, აწი ისწავლის ჭკუას!".

– ახლავე მეახლოს ადალბერტ შებერტყილაური! – ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა და მაშინვე იქ გაჩენილ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს საკუთარი ნება მოახსენა, თან დასძინა:

– უნივერსიტეტის რექტორს ოტმარ მარდიაულს ჩემი სახელით დაურეკე, ეს მცირე სამსახური პირადად მარდად უნდა გამიწიო-თქო...

იმით კმაყოფილმა ბატონმა პრეზიდენტმა, რომ კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთა, ფიქრი განაგრძო: "ამ ოხრებს რა უნდათ ჩემგან? სულ საყვედური მესმის: მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არ აქვთ, მოსახლეობას ობიექტურ ინფორმაციას არ აწვდიანო, აბა, ეს რაღა არის? ყველა არხზე საეთერო დროის ლამის ლომის წილი დისკუსია-ლაილაის ეთმობა!".

მართლაც, მესამე არხზეც სტუდიაში მოწვეული მოპაექრენი არანაკლები გაცხარებით მსჯელობდნენ ქვეყანაში მონარქიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ: მავანთა მტკიცებით, ეს იყო ერთადერთი რეალური საშუალება, თუკი გვინდოდა, ქვეყანაში სიმშვიდე, კეთილდღეობა, სამართლიანობა და სხვა სიკეთე გამეფებულიყო.

– ისე აგიდგეთ გვერდები, როგორც მე თქვენ ამ იდეით გადამაყირავოთ! – ქირქილებდა ბატონი პრეზიდენტი. – თუ დამჭირდება, სხვებზე უკეთ შევძლებ, დავამტკიცო, რომ მე სამეფო დინასტიის პირდაპირი შთამომავალი გახლავარ და ყველაზე მეტი უფლება მაქვს, ტახტის დაკავებისა!

მარცხენას უკვირს:

– რა უხარია პრეზიდენტს, ნუთუ ეს სასაცილო საკითხია?

– რატომ არ უნდა იყოს კმაყოფილი? მოსახლეობის საწინააღმდეგო ბანაკებად გახლეჩის კიდევ ერთი საუკეთესო იდეა აგორდა და ეს მას გააძლიერებს ჭეშმარიტ ოპოზიციასთან ბრძოლაში! ეს ოპოზიციური პარტიები ურთიერთ შორისაც ვერ მორიგებულან და კიდევ ერთი განხეთქილების ვაშლის გაგორებაა საჭირო? თუ თავადაზნაურობას აღვადგენთ და ძველ პრივილეგიებს დავუბრუნებთ, მათ შორის – ურჩი ქვეშევრდომების გაწკეპლის უფლებასაც მივცემთ, ამას რაღა სჯობს! მამულებიც დავუბრუნოთ, არც ყმების ყოლა აწყენთ...

– ყმები რაღად უნდათ?

– ძნელი მისახვედრია? ასეთი მაღალი წოდების წარმომადგენელთა ოჯახებს, გენაცვალე, საკადრისი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა ხომ სჭირდება: დღენიადაგ ჯიშიანი ცხენებისა და მწევრების მოვლა, ნაირ-ნაირი ძვირფასი კერძების მომზადება, დღეში რამდენჯერმე ოჯახის წევრთათვის საკადრისი სუფრის გაშლა და მომსახურება... აღარას ვამბობ, რა ორომტრიალი ატყდება, როცა ძვირფასი სტუმრები მობრძანდებიან, – კვირაში ერთხელ წვეულება და ლხინი აუცილებელია! – და, რა თქმა უნდა, ისინიც თავადთა ბრწყინვალე წოდებულების მატარებელნი იქნებიან, – ამ მაღალ გვამებს კი, მოგეხსენებათ, ფრიად უყვართ ქეიფი და დროსტარება: ამქვეყნად სხვა რა შეგრჩება! – და მათაც ხომ ღირსეულად უნდა დაუხვდე!.. აგრეთვე: საქონლის, ცხვრისა თუ ღორის მოშენება-გამრავლება, ყანა-ბოსტნისა და ბაღის მოვლა-პატრონობა, შეშისა და ურჩთა გასაროზგი წკეპლების მოსაჭრელად ტყეში წასვლა და მრავალი სხვა, არანაკლებ საჭირო და აუცილებელი საქმიანობაც, მათ შორის – ღრმად პატივცემული, კეთილი და მწყალობელი მებატონისთვის ძილის წინ ზღაპრების მოყოლა და ფეხისგულების ფხანა... ყმებისთვის საქმე არასდროს გამოილევა! ბატონყმობის აღდგენა მოსახლეობის დიდი ნაწილის უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის მშვენიერი ხერხიც იქნება!

– მე მგონი, ბატონ პრეზიდენტს ყველაზე უფრო გაახარებს პირველი ღამის უფლების დაკანონება! და არც საკუთარი გვარის, არამცთუ თავადურის, მეფური წარმომავლობის დამტკიცება გაუჭირდება! ისედაც ცხადად ავლენს, რომ მართლაც რჩეულია: არავის არაფერს ეკითხება, ერთპიროვნულად იღებს ყველა გადაწყვეტილებას – არ აქვს მნიშვნელობა, ეს პრემიერ-მინისტრის კანდიდატის შერჩევა იქნება თუ მის ახალ რეზიდენციაში მისი უმაღლესობის საკადრისი ფეხსალაგის მოწყობა...

– ზოგადად, რამდენად დემოკრატიულია თვით მონარქიის ინსტიტუტი, თუნდაც საპარლამენტო მონარქიისა? მართალია, გვმოძღვრავენ, ფაქტობრივი ძალაუფლება მეფეს არ ექნება, ის შეასრულებს მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციებსო, მაგრამ განა ვინმე ჭკუათმყოფელს შეუძლია, გარანტია მოგვცეს, რომ მონარქი ან ტახტის მემკვიდრე არ გამოდგება ფსიქიურად დაავადებული, ან ჭკუასუსტი, ან ამბიციური, ახირებული ზნისა? და ასეთმა პიროვნებამ, რომელსაც, ძალიანაც რომ გინდოდეს და ძალიანაც რომ ეცადო, ვერაფრით შეცვლი, უნდა წარმოადგინოს ქვეყნის სახე? წარმომადგენლობით ფუნქციებს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, სადაც პარლამენტური რესპუბლიკის მოდელია მიღებული, წარმატებით უძღვება დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტიც... ჩუ!.. მოწვეულნი მობრძანებას იწყებენ...

კარი V.
ბატონი პრეზიდენტი საიდუმლო თათბირს ატარებს!
(Con austeria barbaro, ველური უხეშობით)

პრეზიდენტის სასახლის ვარდისფერ დარბაზში საგანგებოდ შეიკრიბნენ უშიშროების საბჭოს დიდად პატივცემული წევრები, ასევე – პრეზიდენტის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ფრიად პატივსაცემი პირნიც, კერძოდ: ბატონი ზიგფრიდ თავკომბალაური – საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის დამსახურებული მინისტრი; ბატონი პრეზერვა ტივტივაური – ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის ღვაწლმოსილი მინისტრი; ბატონი ფრანც ხინკალაური – ჩვენი სათაყვანებელი პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების ფრიად მოამაგე მინისტრი; ბატონი ჰაინრიხ ტომარფულიაური – ყოჩაღი სამხედრო მინისტრი, ბატონი გოტფრიდ მლიქვნელაური – უერთგულესი პარლამენტის თავმჯდომარე; ბატონი ვილიბალდ ქვეშქვეშაური – არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის" აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი ადალბერტ შებერტყილაური – პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და ბატონი ოტო ბერნჰარდ რაინჰარდ გერჰარდტ ტუტუცაური – ოპოზიციურ პარტიათა ალიანსის "შეურიგებელი მტკიცე აზრი" თავმჯდომარე. პრეზიდენტის სავარძელთან მორიგი ბრძანების მოლოდინში გაჯგიმული იდგა მისი განუყრელი და ერთგული თანამგზავრი, ბატონი დიტმარ მაამებლაური – ბატონ პრეზიდენტის კათხათმტვირთველი (როგორ დაუახლოვდა ის ბატონ პრეზიდენტს და მრავალთან მძაფრ კონკურენციულ მეტოქეობა-ბრძოლის შედეგად რანაირად მოხვდა ახლანდელ მაღალ პოსტზე – ფრიად საინტერესო, მაგრამ გრძელი ამბავია და, თუ მოვახერხე, შემდგომ გიამბობთ!).

– სად გახლავს ბატონი კარლ ჰაინც ძუნძულაური? – უპირველესად პრემიერ-მინისტრი მოიკითხა ბატონმა პრეზიდენტმა. – სულ ერთი თვის დანიშნულია და ახლა უნდა ისწავლოს, რა არის წესრიგი და დისციპლინა?!.

– ბატონო პრეზიდენტო, – პასუხის გასაცემად წამოდგა ფეხზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ადალბერტ შებერტყილაური, სიმაღლეში წასული, კაკლის საბერტყი ჭოკივით გაწელილ-წაგრძელებული, ბატონ პრეზიდენტზეც კი შესამჩნევად მაღალი. – ბატონი მთავრობის თავმჯდომარე სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება: თქვენი პირადი დავალებით დღეს მორიგი ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა მოახერხოს ახალი კრედიტების მოძიება და ახალი ინვესტორების დაინტერესება ჩვენი ქვეყნით... მას თან ახლავან საგარეო საქმეთა და ეკონომიკური განვითარების მინისტრებიც, აგრეთვე – ექსპერტთა ჯგუფი ორმოცდაათი კაცის შემადგენლობით...

– ბარემ მეც თან წავეყვანე იმ დალოცვილს! ფრიც ცისარტყელაურიც, ჩემი ვარდისფერი ოცნებების ასრულების ფრიად წარმატებული მინისტრი, მის ამალაში ხომ არ შედის, ჩვენს შეკრებაზე ის რატომღა არ ჩანს? – კვლავ იკითხა ბატონმა პრეზიდენტმა. – როცა საგანგებო სიტუაციაა, ქვეყანაში საშიში მდგომარეობა იქმნება, ყველანი აქ, ჩემთან უნდა იყვნენ!

– ბატონო პრეზიდენტო, – მორიდებით ისევ წამოდგა ფეხზე ბატონი ადალბერტ შებერტყილაური, – მოგახსენებთ, რომ ბატონი ფრიც ცისარტყელაური აეროპორტში აცილებდა ჩვენი ქვეყნის საპატიო სტუმარს, ქალბატონ კაროლაინ ნექტარელის და, სამწუხაროდ, გიგანტურ საავტომობილო საცობში მოხვდნენ, გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს და ამის გამო თვითმფრინავის სპეცრეისის შესრულებაც ყოვნდება...

– რაღა სტუმარია, თვეში ხუთ-ექვსჯერ მაინც ჩამოფრინდება, მეტ წილ დროს აქ ატარებს! – ჩაიხითხითა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა, შემდეგ ბატონ ზიგფრიდ თავკომბალაურისკენ მიაბრუნა თავისი ანტიკური ქანდაკების მსგავსი, ურყევი სიმტკიცითა და ბრძნული ფიქრების კორიანტელით აღსავსე სახე და მსხვილი წარბები შეჭმუხნა: – მერე, რას შვრება შენი უწყება? აკი მომახსენე, აეროპორტისკენ მიმავალი გზა სხვა ავტომანქანების მოძრაობისგან განთავისუფლებული იქნებაო?

საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის დიდად დამსახურებული მინისტრი, – საკალანდო გოჭივით ვარდისფერ და ფუმფულალოყებიანი, – მაშინვე პატარა ბიჭივით ცქვიტად წამოხტა ფუმფულა სავარძლიდან და თვალები დახარა: ვერ გაუძლო ბატონ პრეზიდენტის ახლო-ახლო ჩამჯდარი შავი თვალების დასაქუხებლად გამზადებული ორლულინი თოფივით მისკენ ჯიქურ მიბჯენილ მზერას.

– ბატონო პრეზიდენტო, მოულოდნელი დაბრკოლება გამოიწვია სრულიად უპასუხისმგებლო მოქალაქეების მიერ მასობრივი მიტინგის ჩატარებამ: ბრბომ გზა გადაკეტა...

– მერე, შე თავგასიებულო, კომბლის ტრიალს წინ რა დაუდგებოდა? ეგ ერთი თუ არ გეხერხება, აბა, სხვა რაღა იცი?

– ბატონო პრეზიდენტო, იმდენად ბევრი ხალხი შეიკრიბა, რომ მათი ძალისმიერი ხერხით დაშლა მიზანშეუწონელი გახლდათ...

– რა უნდა ამ ხალხს, ვერ გავიგე? – გულწრფელად აღშფოთდა ბატონი პრეზიდენტი და გულისწყრომის აგორებულმა ტალღამ ისიც ფუმფულა სავარძლიდან ფეხზე წამოახტუნა. – რეგვენები!.. ახლა წერილების შემოგდებაც დაიწყეს, პირადად მე მიდებენ ხელში, თავხედები! ამგვარ ქმედებას დემოკრატიასთან არავითარი შეხების წერტილი არ აქვს!.. აგვიკლეს ყვირილით, ქვეყანაში კრიზისიაო – ეკონომიკური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ კრიზისშიც კი გადაზრდილიო... სად ხედავენ ეგ ხეპრეები კრიზისის უმნიშვნელო ნიშნებსაც კი, თუნდაც მისხალის ოდენას? ყველაფერი მშვენივრადაა, ქვეყანა წინ მიდის! რესტორნებს ძველებურად ვსტუმრობ, არც აბანოში თითქმის ყოველდღიური ვიზიტი გამომიტოვებია, საზღვარგარეთ ამ ბოლო სამ წელიწადში შვიდას ორმოცდაათჯერ გავემგზავრე სხვადასხვა მისიით – ხომ ბრწყინვალე შედეგია? სად ხედავენ ეს უმადურები პრობლემებს? არადა, ქვეყანა არნახულად ვითარდება და იფურჩქნება! მხოლოდ ამ ბოლო თვეში სამი ახალი სახინკლე და ხუთი რესტორანი გაიხსნა და ყველგან მე მერგო დიდი პატივი: პირადად გავჭერი წითელი ბაფთა! და, რაც აუცილებლად დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, უკლებლივ ყველაში უმაღლეს დონეზეა ჭამა-ყლაპვის საქმე დაყენებული: შემიძლია, პირადად დავადასტურო!.. როგორ ბედავენ ჩემი თანამდებობიდან უპირობო გადადგომის თავხედური, ბრიყვული მოთხოვნით გაუთავებელი მასობრივი შეკრებების გამართვას? ახალი პრეზიდენტის არჩევა მოენატრათ? სანამ პირში სული მიდგას, ვერ მოესწრებიან მაგას! ვერ შეძლებენ არეულობას, ქაოსის ტალღის აგორებას! ამ ყეყეჩ გამოლაყებულთა ტუტუცური, ყოვლად უპასუხისმგებლო გამონათქვამები ჩემში საშინელი უმადურობისა და უსამართლობის მტკივნეულ განცდას, შინაგან მძაფრ პროტეზს იწვევს! ეს არის ოპოზიციის მიერ დაგეგმილი მიზანმიმართული პროვოკაცია! არ მობეზრდათ ეს უქმი ხვანცალი? ტვინნაღრძობი ბეცები!.. უთავო უმადურები!.. ეს ველური ხალხია! მე რომ არ ვიყო, დაჭამდნენ ერთმანეთს – მთელი მსოფლიო ამას ამბობს! თავკომბალაურო, შემდგომ გაითვალისწინე: ეტყობა, საგრძნობლად დავაკელით ძალისხმევა წინა აქციის გარეკვისას, საკადრისად არ დავულეწეთ თავპირი ამრევებს, ქვეყნისა და ხალხის მოღალატეებს! არა უშავს, ჩვენ მოვუვლით მაგათ, ისეთ ახალ ღონისძიებებს შევთავაზებთ, დიდი ხნით გაუქრეთ ცდუნება ქვეყანაში უწესრიგობისა და დესტაბილიზაციის პროცესების აგორებისა! ამიერიდან ჩემს პირად გვარდიას ნებას ვაძლევ, თავგასულ ავაზაკთა თარეშის ასალაგმავად, თავისუფლად და დაუნანებლად იხმარონ რეზინისა და პლასტიკური ტყვიები! ყველამ იცის, მე ფრიად კომუნალური პიროვნება ვარ, ჩემს მოწინააღდეგეებთან ნებისმიერ დროს დიალოგისთვის მზად გახლავარ, მაგრამ ამ ვაი-ოპოზიციონერების, უფრო სწორედ – ნამდვილი შარაგზის ყაჩაღების, ამჟამინდელი ავაზაკური მოქმედება ჩემს ყოველგვარ მოთმინების საზღვარს სცილდება! ან როგორ გაბედეს ამ ტილებმა, ამ... ამ... ამ თავხედმა ვიგინდარებმა მის კაროლაინისთვის გზის გადაკეტვა?!. ამ უტიფრებს, ამ... ამ... ამ ნაძირლებს თავ-ბედს ვაწყევლინებ, გაჩენის დღეს მწარედ ვანანებ! აბა, თავკომბალაურო, მოგვახსენე, რა სამუშაო ჩაატარე ამ მიმართულებით?

დამსწრეთ ვერ გაბედეს ბატონ პრეზიდენტისთვის ეთქვათ, რომ სიტყვა "პროტეზის" მაგივრად "პროტესტი" უნდა ეხმარა, ხოლო "კომუნალურის" მაგივრად – "კომუნიკაბელური"; შეამჩნიეს პრეზიდენტის უჩვეულო "ეპოლეტებიც", აჩოჩქოლდნენ, მაგრამ არც ამის შესახებ გაუბედავს ვინმეს ხმის ამოღება... აქამდე ჩვენი "ჩანჩურა პრეზიდენტი", როგორც ზურგს უკან უწოდებდნენ, გენერლობდა, თითქოს უამრავი ომი ძლევამოსილად მოეგოს, ახლა კი – ეპოლეტებს დამიხედეთ! – მარშალი ხომ არ გახდა? ახალი ფორმა ხომ არ შემოიღო? ყოჩაღ, მაგარია ჩვენი პრეზიდენტი: ყველგან და ყველაფერში სულ სიახლეს ესწრაფვის!

მარჯვენამ მარცხენას გადაუჩურჩულა:

– გაქნილსა და დიდად გამოცდილ ბატონ პრეზიდენტს როგორ არ ესმის: თავისუფლებისა და სამართლიანობის განცდის მუხტი, უგუნური ხელისუფლების უგუნური ქმედებით, შესაძლოა, სულ ადვილად გადაიზარდოს არა მხოლოდ მუშტების მოღერების, არამედ – მუშტების დაშენის მუხტშიც!

საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრმა გახსნა თან მოტანილი ნიანგის ტყავის სქელი საქაღალდე და დამსწრეთ დაწვრილებით მოუყვა, თუ რის გაკეთება იყო საჭირო ქვეყანაში წესრიგისა და სიმშვიდის დასამყარებლად... მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გასაუვნებელსაყოფად იგეგმება საიდუმლო ღონისძიებათა მთელი წყება: მოსასყიდად, დისკრედიტაციისთვის ან, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურად თავიდან მოსაშორებლადაც, ასევე – მმართველი პარტიისა და პრეზიდენტის გუნდის მდგომარეობის განსამტკიცებლად, ოპოზიციის დასასუსტებლად... კერძოდ: ხმების დაყრა, რომ ოპოზიციაში არსებობს რამდენიმე მზაკვრული საიდუმლო გეგმა და მზადდება სახელმწიფო გადატრიალება; ქვეყანაში შემოვიდა უამრავი ფული ჩვენი ქვეყნის მტერი სახელმწიფოდან ოპოზიციური პარტიების დასაფინანსებლად; დაატოვებინებენ თანამდებობას და მმართველი პარტიიდან წავა ვითომ-ოპოზიციაში რამდენიმე წამყვანი პოლიტიკური ფიგურა (თუნდაც პრემიერ-მინისტრი – კარლ ჰაინც ძუნძულაური! ან პარლამენტის თავ-

მჯდომარე – გოტფრიდ მლიქვნელაური!); ეს “განაწყენებულები” შექმნიან ახალ, “ოპოზიციურ” პარტიებს, თან იწყებენ პრეზიდენტისა და მთავრობის კურსის მძაფრ კრიტიკას, თითქოს სულ ახლახან თვითონ არ იყვნენ მმართველ გუნდში! ამგვარ საქმეში ფრიად გამოცდილი საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკები იღებენ დავალებას, კვლავ გადმოიბირონ ოპოზიციური პარტიების თვალსაჩინო წევრები: დაპპირდნენ მათ პარლამენტში ადგილებს, მთავრობაში მინისტრის მოადგილის თუ სხვა მაღალ პოსტებს, ბანკებიდან აღებული კრედიტების დაფარვის გადავადებას, სარფიან საქმიან წამოწყებებში ჩართვას და ასე შემდეგ... ნებისმიერი ხერხით უნდა გაუტეხონ სახელი ოპოზიციური პარტიების ლიდერებიდან ყველაზე აქტიურებს და საშიშებს, “ამხილონ” ისინი კრიმინალში, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებში, პროვოკაციების მოწყობაში, დააშინონ ისინი მათი ოჯახის წევრთა გატაცებით... უახლოეს დღეებში, საპროტესტო მიტინგების შემდეგ, მოეწყობა პოლიციის მანქანების რამდენიმე აფეთქება, ასევე, სამართალდამცველებზე თავდასხმა და ბრალი დაედება ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს ტერორისტული აქტების მოწყობაში, ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობაში...

– დედას ვუტირებთ ოპოზიციონერთა მხარდამჭერებს! – წამოიყვირა ბატონმა პრეზიდენტმა. – მათგან არც ყურძენს ჩავიბარებთ, არც – ვაშლს, არც – კარტოფილს, არც – მანდრინს! ბაზრებშიც დავაწიოკებნთ! ხომ შედგენილია მათი სიები? დაუყონებლივ დაიწყეთ სახელმწიფო ორგანიზაციების საეჭვო პირთაგან გაწმენდა, ბანკირებს, მსხვილ თუ საშუალო, თუ წვრილ მეწარმეებს, საქმოსნებს – ყველას სათითაოდ დაემუქრეთ, რომ თუ ისინიც არ ჩაერთვებიან ამ გამაჯანსაღებელ პროცესში და არ გაყრიან კინწისკვრით შფოთისთავებს და მათ ნათესავებსაც, თვითონ დაუდგებათ შავი დღე!

პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების მინისტრი ფრანც ხინკალაური შეუმჩნელად გაქრა, სულ მალე უკანვე მოცუნცულდა და ბატონ პრეზიდენტს მაგიდაზე წინ დაუდგა ცხელ-ცხელი ხინკლებით სავსე ლანგარი... დავალების მოლოდინში პრეზიდენტის გვერდით გაჭიმული მისი კათხათმტვირთველი დიტმარ მაამებლაური არ დაელოდა ბატონ პრეზიდენტის ნება-სურვილის ოდნავ გამოვლინებასაც კი და, კარგად გავარჯიშებული ფოკუსების დიდოსტატის მოხერხებით, მაშინვე ლანგრის გვერდით გააჩინა ჯადოქრული კათხა, რომელიც საგანგებოდ ასეთი შემთხვევებისთვის დამზადებულ ერთჯერად მრგვალ მუყაოს ნაჭერზე დადგა. კათხა პირთამდე სავსე იყო სურნელოვანი ლუდით, მის თავზე ქაფის ქუდი ამოზრდილიყო და მადის აღმძვრელად ცოტათი გადმოსულიც იყო კათხის პირიდან...

ბატონმა პრეზიდენტმა მეთოდურად, დიდი წარმატებით დაიწყო ხინკლების ლიკვიდაციის ფრიად სასიამოვნო პროცესი, განცხრომისგან კრუტუნებდა, თვალებს ტკბილად ლულავდა და შიგადაშიგ კათხასაც გემრიელად მოიყუდებდა ხოლმე; ჯადოსნური კათხა გულმოდგინედ ასრულებდა პატრონის მოლოდინს და ბატონი პრეზიდენტი ორი-სამი ხინკალის მირთმევასაც ვერ მოასწრებდა, რომ სულ რამდენიმე წამში ისევ სავსე იყო ქარვისფერი ლუდით.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მეც კი ნერწყვმა ლამის დამახრჩოს და წარმოიდგინეთ ახლა, რა დაემართებოდათ ამ საამო სანახაობის დამსწრეთ!

მეუფის კმაყოფილება თითქოს უპირობოდ და ერთსულოვნად უნდა გაეზიარებინათ იქ მყოფთ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ოჯახში ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ერთი მახინჯი: ფრანც ხინკალაურის მუდმივი “კონკურენტი” – პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის მინისტრი, პატივცემული პრეზერვა ტივტივაური შურისგან ფრიად გამწვანდა! ბევრი იფიქრა თუ ცოტა, შემდგომ ისიც ცოტა ხნით გამოერთო ფრიად საჭირბოროტო სახელმწიფოებრივი საკითხების განხილვას, სადღაც გაძვრა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა და, გამარჯვებულის ფართო ღიმილით ყურებამდე პირგახეულმა, ბატონ პრეზიდენტს მაგიდაზე მომინანქრებული ლანგრით მოწიწებით დაუდო ექვსი შამფური ქურციკის აშიშხინებული მწვადებით! არც ცხელ-ცხელი ლავაში დავიწყებია! და კიდევ: იქვე შემოდგა ნახევარლიტრიანი ბოთლით შინნახადი ჭანჭურის არაყი და ბროლის პატარა ჭიქა!

არც პრეზერვა ტივტივაურმა დაუცადა ბატონ პრეზიდენტის ნიშანს და არაყი მაშინვე ჩამოასხა ჭიქაში; ფრიდრიხ ვილჰელმმაც დაუფასა ამაგი და არაყი მაშინვე შესანსლული ხინკალ-მწვადის გზას გაუყენა, მწვადი მიაყოლა, შემდეგ ინება და უკვე საკუთარი ხელით ისევ გაავსო არაყით ბროლის პატარა ჭიქა... ბატონმა პრეზიდენტმა კმაყოფილებით ამოისუნთქა და მის ნეტარებისგან დანისლულ თვალებში ოდნავი კაეშანიც გამოკრთა: ალბათ სინანულით გაიფიქრა, რატომ ეს არაყის ჭიქაც ჯადოსნური არ არისო... რას იზამ, ძლიერნიც კი ამა ქვეყნისა ოცნების ფრთებით სად არ დაფრენენ!

ბატონი პრეზიდენტი ხინკალსა და მწვადს ერთნაირად, მთელი სულითა და გულით ეტრფოდა, მაგრამ ამჯერად მოწონების ღიმილით შეხედა პრეზერვა ტივტივაურს (ფრანც ხინკალაურს გულმა რეჩხი უყო!): ამ უკანასკნელის მიერ მორთმეულ ლანგარზე ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის მშვენივრად შესრულებული ფერადი, წელ- ზევითი პორტრეტი იყო გამოსახული! თან უბრალოდ კი არა, მთელი გრძნობით, სრული გაგებით და აღარ ვიცი კიდევ, რა სიტყვები ვიხმარო, ამი-

ტომ მოკლედ აღვწერ და ყველაფერს მიხვდებით: ბედნიერების ფართე ღიმილით დამშვენებულ ბატონ პრეზიდენტს მარჯვენა ხელში ლუდით სავსე ჯადოსნური კათხა ეჭირა, მეორეში – მწვადებიანი შამფური! ქვემო ნაწილს კი ფრიად ამშვენებდა ლამაზი ასოებით ჩახუჭუჭებული უცილობელი ჭეშმარიტება: "ცხოვრება მშვენიერია!". უდაოდ – დიდებული ლანგარი გახლდათ!

მართლაც, გულის ამაჩუყებელი სურათი იყო! დამეთანხმებით: როცა კარგ კაცს მშვენივრად მოხატული ლანგარით მშვენიერ მწვადს და თონის ცხელ პურსაც მიართმევენ, შემდეგ კი, დაგემოვნების შემდგომ, ჯერ ცეცხლივით არაყს დაუტყამს და მერე მშვენიერ ლუდსაც მიაყოლებს, ამას რაღა სჯობს! ისე, მე რომ მკითხოთ, ამ შემთხვევაში ყველაზე მშვენიერ ლუდს მე კახურ საფერავს ბევრად ვამჯობინებდი!

ამჯერად პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების მინისტრი, ღრმად პატივცემული ფრანც ხინკალაური შურისგან ფრიად გალურჯდა! დახეთ, ეს რა კვანტი დაუდო ამ მაჯლაჯუნა ტივტივაურმა, ამ უნამუსომ, სინდისგარეცხილმა! მერე ცოტა გონს მოვიდა, ფიქრთა აეროპლანმა მაღლა აიტაცა, გულაცრუების შავ ღრუბელთა ზევით ააფრინა და მზის კაშკაშა სხივი დაანახა! ბატონ ფრანც ხინკალაურის ტუჩთა კუთხეებში კმაყოფილი ღიმილის ნაოჭი გამოიკვეთა: ნახეთ, უახლოეს მომავალში თუ ჩვენს სათაყვანებელ ბატონ პრეზიდენტს კიდევ უკეთესი ლანგარი არ მიართვას! მასზე მთელი ბრწყინვალეებით იქნება გამოსახული ევას სამოსელში გამოწყობილი მომხიბლავი ქალბატონი კაროლაინ ნექტარელი!..

ამასობასაში საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრი ზიგფრიდ კომბალაური ცდას არ აკლებს, შეიძლება ითქვას, რომ მონდომებისგან ტყავიდანაც კი ძვრება, რათა ბატონ პრეზიდენტის პურობა სხვა მხრივაც სასიამოვნო იყოს: ცალი ხელით საპოლიციო კომბალს თუ ხელკეტს ცირკის ჯამბაზის ოსტატობით ატრიალებს-ათამაშებს, თან ოპერეტული ყაჩაღივით მოღუშულია, თვალებს ავად აბრიალებს და ხავერდოვანი ბარიტონით საზეიმო-მრისხანედ ღიღინებს შუბერტის სიმღერას "ყოვლისშემძლეობა"... მართლაც, მაგარი ბიჭია: ყველაფერი ეხერხება, ყველაფერი შეუძლია!

– ვაჰ, შენ კი გენაცვალე, რა მშვენიერი სიმღერა გცოდნია! – აღფრთოვანდა ბატონი პრეზიდენტი. – აქამდე სად იყავი, ახალ ამპულაში ძალიან მომეწონე, ხომ იცი!

მარჯვენამ მარცხენას უჩურჩულა:

– ხედავ, არც ამჯერად გაბედა ვინმემ, ბატონ პრეზიდენტისთვის მორიდებით მოეხსენებინა, რომ "ამპულა" და "ამპლუა" სრულიად განსხვავებული ცნებებია... ფრიდრიხ ვილჰელმი საქვეყნოდ ტრაბახობს, რომ არ კითხულობს გაზეთებს, საინტერესოა, რესტორნების მენიუს გარდა, სხვა წიგნი თუ აქვს წაკითხული?

– აბა, ერთი, მადლს მარილიც მოაყარე და ბარემ ბაღდადურიც ლამაზად ჩამოუარე! – ტაშისკვრით გააქეზა ბატონმა პრეზიდენტმა ზიგფრიდ კომბალაური.

კომბალაურზე ცქვიტნი სხვანი აღმოჩნდნენ, რამდენიმე კაცი ერთდროულად გადმოხტა და აცეკვდა მეუფის წინ, მაგრამ ზიგფრიდ კომბალაურმა – "ჰაიტ, სად მოძვრებით, თქვე მამაძაღლებო!" – სულ კომბლის ტრიალით იფრინა ყველანი საწყის პოზიციებზე – კონკურენტებს არსად და არასდროს გაახარებს!..

ტაში-ტაში! ტაში-ტუში!.. თათბირი და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების განხილვა ვიდას ახსოვს – შენ დაუკარ!..

და უცებ...

ყველა დარბაზში მყოფი უცებ შემკრთალი გაირინდა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა, თუ არ ჩავთვლით ხმამაღალ ხვრინვას ბატონ პრეზიდენტისა!

ალბათ აბანოში განცხრომის, მსუყე ვახშმისა და ახლა კიდევ ხინკალ-მწვადის ძღომისად მირთმევის შემდეგ, რაიც უხვად იყო მორწყული შესანიშნავი ბავარიული ლუდითა და არანაკლებ შესანიშნავი შინნახადი ჭანჭურის არაყით, არ იყო გასაკვირი, რომ ბატონ პრეზიდენტს ტკბილი თვლემა მოერია, რომელიც შემდგომ ტკბილსავე ძილში გადაიზარდა...

უნდა აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, ტკბილ სიზმარსაც ვერ ნახულობდა... სიზმარში კი აი, ასეთი სცენა გათამაშდა: უცნაური რამ დაემართა: საყვარელი ჯადონური კათხიდან ლუდს კი მიირთმევდა, მაგრამ ჩვეულ სიამოვნებას ვეღარ განიცდიდა და იღრიალა: "მომბეზდა სულ ერთი და იგივე – სულ ბავარიული ლუდი! რა უბედურება, ამ ქვეყნიერებაზე ჩემი დასალევი სხვა ლუდი დაილია? ახლა "ჰეინეკენის" ლუდი მინდა!". და რამდენადაც ჯადონურმა კათხამ მისი სურვილის შესრულება ვერ შეძლო – ისევ და ისევ მხოლოდ ბავარიული ლუდით უმასპინძლდებოდა, მისი უზენაესი სურვილის შეუსრულებლობით განაწყენებულ-განჩხლებულმა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა ჯოხი სრულიად უდანაშაულო ადამიანზე გადატეხა: კათხა დიტმარ მაამებლაურს ჩასცხო თავში – ყველაზე ახლოს ის იდგა... იატაკზე დავარდნილი პრეზიდენტის პირადი კათხათმტვირთველის ბრგე ტანის ბრაგვანს შეუერთდა კათხის ნამსხვრევების ირგვლივ მიმოფანტვის წკრიალი...

და ბატონ პრეზიდენტს გამოეღვიძა!

– ოჰ, კათხა აქ არის? – შიშნაჭამმა შვებით ამოისუნთქა და დიტმარ მაამებლურს მიმართა: – აბა, ერთიც დამისხი! თუმცა, დასხმა რაღად გვჭირდება, კათხა მომაწოდე! ბიჭებო, ერთ საკითხში გამარკვიეთ... გამიგია, რომ ახლა მოდაში შემოვიდა კლონირება – პრობლემას აღარ წარმოდგენს ორგანიზმის მცირე ნაწილიდან მეორე, მსგავსი ორგანიზმის შესაბამის გარემოში გამოზრდა. მაინტერესებს, ამ ჩემს კათხას რომ პატარაზე ჩამოვატეხოთ, იმიდან თუ იქნება შესაძლებელი მეორე კათხის მიღება? მესამის, მეოთხის?

– ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენი სურვილი იქნება, ამას წინ რა დაუდგება! – ერთხმად გაისმა იქ მყოფთა პასუხი.

მარჯვენამ მარცხენას გადაუჩურჩულა:

– ესენი იმდენად პროფესიულად გავარჯიშებულ-შეხმატკბილებულ გუნდს წარმოადგენენ, ნაღდად აჯობებდნენ ჩვენი ოპერის გუნდს, შესანიშნავი **tutti** მოვისმინეთ!

გახარებულმა ფრიდრიხ ვილჰელმმა კი წამოიძახა:

– ის თუ არის შესაძლებელი, რომ, მაგალითად, ახალშექმნილი კათხა ჰოლანდიური "ჰეინეკენის" ან ჩეხური პლზენის ლუდით ივსებოდეს? ბავარიული უკვე ყელში ამომივიდა!

– თქვენი ნება ყველასთვის კანონია! – გაისმა ისევ მედგრად და ერთხმად – პრეზიდენტის გულის გასახარად.

– მიმიხედეთ მაგ საქმეს და ვინც პირველი გამახარებს, ჩემი პირადი კათხათმტვირთველის სახელოს მივართმევ! ან ნებისმიერ სხვა თანამდებობას, რომელსაც კი მოისურვებს!.. ინგლისში რომ ვსწავლობდი, ყველანაირი ლუდი მომწონდა, ახლა ხშირად მენატრება და ოცნებასაც ავისრულებ: იფ-იფ, ერთში – ეილი, მეორეში – ლაგერ ბიერი, მესამე-მეოთხეში – შავი, მაგარი ლუდები: პორტერი, სტაუტი... აღარ გავაგრძელებ, მომაწოდე! – უბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა პირად კათხათმტვირთველს. – ჯერჯერობით ისევ ბავარიული ლუდით უნდა გავიდე იოლას და მერე კი – ვნახოთ!

ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა ტარუღაშვილმა სულმოუთქმელად გამოსცალა კათხა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მინიტრებისგან მორთმეულ ორივე ლანგარზე იდო თითო-თითო ორად მოკეცილი თეთრი ბარათი.

მეუფემ ჯერ პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების მინისტრის ფრანც ხინკალაურის მიერ მოტანილი ლანგრიდან აიღო ბარათი; მასში ეწერა:

"თქვენო უმაღლესობავ, ბატონო პრეზიდენტო!

თქვენი ფეხთა მტვერი მოვალედ ვრაცხ თავს უმდაბლესად მოგახსენოთ, რომ დიდად პატივსაცემი დიტმარ მაამებლაური არ არის თქვენი ერთგული! როცა კი დროს მოიხელთებს, თქვენდა უჩუმრად თქვენი უდიდებულესობის კათხიდან ლუდს ჩუმად თვითონაც სვამს!".

შატაბუტამ მძვინვარებით აღსავსე მზერა სტყორცნა გვერდით მდგომ კათხათმტვირთველს, წამოსახტომად წამოიწია, პირიდან კინაღამ გამოუფრინდა: "როგორ გაბედე ჩემი ლუდის დალევა? თავხედობას განანებ!", მაგრამ შემდეგ სასწაული მოხდა, – ასეთი უნიკალური შემთხვევის ლოგიკურად ახსნაში ალბათ მხოლოდ მე კი არა, მეცნიერებაც კი უძლურია, – თავი შეიკავა! და, ჩაფიქრებული (რაც მას არ ჩვეოდა), ისევ ჩაეშვა სავარძელში...

ახლა მეორე ლანგარიდან აიღო ბარათი და გაშალა. პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის მინისტრი პრეზერვა ტივტივაური ატყობინებდა:

"ჩვენო სასოებავ და თვალისჩინო, ბატონო პრეზიდენტო!

იმედია, არასდროს შეგეპარებათ ეჭვი ჩემს თქვენი უდიდებულესობისადმი ჭეშმარიტად ერთგულებაში და ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია, გაუწყოთ სამწუხარო ამბავი: ჩადენილია უდიდესი სახელმწიფო დანაშაული! სარწმუნო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენი პირადი კათხათმტვირთველი დიტმარ მაამებლაური ბოროტად იყენებს თქვენს უსაზღვრო ნდობას და თქვენი კათხიდან უკვე რამდენჯერმე დააგემოვნა ლუდი – შხამად შეერგოს!".

ბატონმა პრეზიდენტმა ამჯერად ჩაიქირქილა – მისთვის ცხადი გახდა, რომ, თუმცა ორივე ბარათი ხელმოუწერელი იყო, ფრანც ხინკალაურიცა და პრეზერვა ტივტივაურიც ცდილობდნენ პრეზიდენტის პირადი კათხათმტვირთველის დიტმარ მაამებლაურის "ჩაძირვას" – მისი თანამდებობის ხელში ჩაგდება სურდა ორივე მინისტრს! და ძნელი არ იყო მიხვედრა, რატომაც: როცა ბატონ პრეზიდენტთან სულ გვერდით დგახარ, მასთან ყოველდღიური კი არა, ყოველსაათობრივი და, არცთუ იშვიათად, ყოველწუთობრივი ახლო ურთიერთობა გაკავშირებს ("კათხა მომაწოდე!"), სხვა ძალა გაქვს და უამრავი "საჭირო" საქმის მოკვარახჭინება ადვილად შეგიძლია!

ფრიდრის ვილჰელმმა ბრძნული გამომეტყველება მიიღო; ლუდი მოსვა ყელის ჩასაწმენდად და დაიწყო:

– ძვირფასო მეგობრებო! ხანგრძლივი განსჯა-ფიქრის შემდეგ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს ქვეყანაში გამეფებული გაჭიანურებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად აუცილებელია საკადრო ცვლილებების ფრიად ენერგიული და სასწრაფო განხორციელება!..

ფრანც ხინკალაური და პრეზერვა ტივტივაური გაბადრული, სასიამოვნო მოლოდინით აღსავსე სახეებით იჭერდნენ ბატონ პრეზიდენტის ბაგეთაგან გამოფრენილ ყოველ სიტყვას...

– და პირველი აუცილებელი ნაბიჯი ამ საპასუხისმგებლო გზაზე იქნება ჩემი ერთგული, დიდად დამსახურებული მრავალწლიანი თანამებრძოლის, ჩემი პირადი კათხათმტვირთველის, ბატონ დიტმარ მაამებლაურის ახალ, ფრიად მნიშვნელოვან თანამდებობაზე გადაყვანა – პარლამენტის თავმჯდომარისა!

აწ უკვე პარლამენტის თავმჯდომარეობას თითქმის გამოთხოვებული გოტფრიდ მლიქვნელაური (მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს ფორმალურად პარლამენტი ალბათ სულ რამდენიმე დღეში გადაწყვეტს) სიამოვნებისგან ლამის დადნა – ეტყობა, მის ოცნებას ფრთა ესხმება – პრეზიდენტის პირადი კათხათმტვირთველი გახდება!

ხანგრძლივი ტაში, მალევე გადაზრდილი მქუხარე ოვაციებში, ჭეშმარიტად დასტური იყო იმისა, რომ ბატონ პრეზიდენტის ბრძნული და დროული, ფრიად აუცილებელი და ქვეყნითვის დიდად სასიკეთო გადაწყვეტილება იქ მყოფთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებდა; მხოლოდ დიდად "დაწინაურებული", აწ უკვე პრეზიდენტის ყოფილი პირადი კათხათმტვირთველი, დიტმარ მაამებლაური, იყო ცხვირჩამოშვებული, ტაშს ფრიად უღიმღამოდ, აშკარად მოვალეობის მოხდის მიზნით, სხვათა დასანახავად უკრავდა.

– ბატონო პრეზიდენტო, ბატონი დიტმარ მაამებლაური პარლამენტის წევრი არ არის... – გაბედა ხმის ამოღება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ადალბერტ შებერტყილაურმა. – ერთგვარი უხერხულობა ხომ არ შეიქმნება?

ბატონმა პრეზიდენტმა მორიგი კათხა ლუდი ბოლომდე გამოსცალა და დარწმუნებით განაცხადა:

– ძვირფასო მეგობრებო, მთავარია საქმე გაკეთდეს! თუ მაინცდამაინც გვინდა, ფორმალურ მხარეს გამოვედევნოთ, არც ეგაა პრობლემა: ბატონი დიტმარ მაამებლაური სასწრაფოდ ავირჩიოთ დეპუტატად! ვინმემ დათმოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი, დავაწინაუროთ – რომელიმე მინისტრის მოადგილედ დავნიშნოთ ან ჩემს კანცელარიაში გადმოვიყვანა, სამას კაცს რომ კიდევ ერთი დაემატოს, ამით არაფერი შეიცვლება! შემდგომ ჩავატაროთ არჩევნები გამოკლებული დეპუტატის გამოთავისუფლებულ ადგილზე; მე მწამს, რომ ამ ვადამდელ არჩევნებში ღირსეული დეპუტატობის კანდიდატი გაიმარჯვებს!

– ეს პროცესი დროში ძალიან გაიწელება... – არ ისვენებდა შებერტყილაური.

– რატომ გიყვართ ცარიელ ადგილზე პრობლემის გამოჩხრეკა? მაგაზე ადვილი გადასაჭრელი რა არის, რადიკალურ ღონისძიებას მივმართოთ: სასწრაფოდ მოწვეულმა პარლამენტის რიგგარეშე საგანგებო სესიის სხდომამ დაამტკიცოს კონსტიტუციური ცვლილება, რომლის ძალითაც შესაძლებელი გახდება, პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის – ვინც არ არის პარლამენტის წევრი! ჩვენს ხელთ არ არის ყველაფერი? რა დაგვიდგება წინ!.. მოკლედ, ჩვენი ამოცანა არის – აქტიური და მიზანსწრაფული მუშაობა ქვეყნის საკეთილდღეოდ! ახლა სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც მივხდოთ. პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების მინიტრს ფრანც ხინკალაურს უღრმეს მადლობას მოვახსენებ ღისეულად გაწეული, უაღრეად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის და ვნიშვნავ ახალ, ფრიად მნიშვნელოვან პოსტზე (ხინკალაური, გახარებული, ფუმფულა სავარძლიდან ფეხზე წამოხტა, გოტფრიდ მლიქვნელაურსა და პრეზერვა ტივტივაურს, და მრავალ სხვასაც, სახეები ტყემალნაჭამებივით დაუგრძელდათ) – პრეზიდენტის რეზიდენციის მთავარ მებაღედ! ეჭვიც არ მეპარება, რომ პრეზიდენტის სასახლის ბაღის ფლორასა და ფაუნას კიდევ უფრო გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს! გულითადად ვულოცავ ბატონ ფრანცს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებულ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ!

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ზოგიერთ იქ მყოფთა სახეებზე არსებული გამომეტყველება, თითქოს ჯადოქარმა სასწაულმოქმედი ჯოხი დაიქნიაო, წამიერად შეიცვალა სრულიად საწინაამდეგოზე! ბატონი პრეზიდენტი კი განაგრძობდა:

– პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის მინისტრი, ბატონი პრეზერვა ტივტივაური დიდად დასაფასებელ საქმიანობას სრული წარმატებით უძღვებოდა წლების განმავლობაში და დამსახურების ღირსეულად აღსანიშნავად იგი ინიშნება (მოუთმენლობით აღსავსე ტივტივაური ფეხზე წამოხტა, დანარჩენებმა მათთვის სასურველი ამბის მოლოდინში კისრები წაიგრძელეს!) პრეზიდენტის რეზიდენციის მთავარი მებაღის პირველ მოადგილედ და,

იმავდროულად, ზოოპარკის მთავარ ზედამხედველად! მომილოცავს, იმედი მაქვს ამ მაღალ პოსტებზე ისეთივე წარმატებით განაგრობ მოღვაწეობს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ!..

გაჭიანურებული თხრობით რომ თავი არ მოგაწყინოთ, მოკლედ მოგახსენებთ: აზარტში შესულმა ბატონმა პრეზიდენტმა გაუტია და სახელმწიფოებრივი საკადრო ცვლილებების მორიგი კარუსელი ძალუმად დაატრიალა! სულ ათიოდ წუთში გუნებისად აურია საკადრო ბანქოს ქაღალდი და მისი გემოვნებით გააწყო პასიანსი! ყველაზე მთავარი: პრეზიდენტის პირად კახათმტვირთველად დაინიშნა პრეზიდენტის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი ჰაინც ძიძგილაური! დატრიალებულ კარუსელში პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსის პოსტს შეახტა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე გოტფრიდ მლიქვნელაური, პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის მინისტრის გამონთავისუფლებული პორტფელი წილად ერგო აწ უკვე ყოფილ სამხედრო მინისტრს ჰაინრიხ ტომარფულიაურს, პრეზიდენტის ჭამა-ყლაპვისა და საკადრისი მომსახურების მინისტრის პოსტი ჩაიბარა ოტო ბერნჰარდ რაინჰარდ გერჰადტ ტუტუცაურმა – ოპოზიციურ პარტიათა ალიანსის "შეურიგებელ მტკიცე აზრის" თავმჯდომარემ და ასე შემდეგ...

– ხედავ? – უჩურჩულა მარცხენამ მარჯვენას. – პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ადალბერტ შებერტყილაური ძლივს ასწრებს ყველაფრის ჩაწერას. ბატონ პრეზიდენტს ალბათ მერე აღარ ემახსოვრება, ვინ სად განამწესა და რა თანამდებობა უბოძა; ხომ შეიძლება, ბატონმა შებერტყილაურმა საკუთარი ნებით თავისი ძმაკაცის "თბილ" სკამზე "დანიშვნა" ჩაწეროს, რაიც ბატონ პრეზიდენტს არც დასიზმრებია?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რა პოსტს დაიკავებს? – უპასუხა მარჯვენამ. – სანამ ახალი მინისტრი მისთვის სრულიად უცნობ საქმეში გაერკვევა და რაიმე სარგებლის მოტანას დაიწყებს, მანამდე ბატონი პრეზიდენტი ახალ კარუსელს დაატრიალებს და, საბრალოს, მოუხდება ახალ სკამში თუ სავარძელში გადაჯდომა და ისევ თავიდან რაღაც ახალ, უცხო საქმიანობაში გარკვევა...

– ამიტომაც მიდის ჩვენი ქვეყის საქმეები ესოდენ "წარმატებულად"... სანამ ტარუღა შატაბუტები მართავენ ქვეყანას, ჩვენი საშველი არ იქნება!

– შენ ივიშვიშე, თავში მჯიღიც ირტყი, მერე ამით რა შეიცვლება? შეხედე: რა კმაყოფილი სახე აქვს ბატონ პრეზიდენტს!

– ნეტავ, სარკეში დაანახა საკუთარი თავი, ნეტარების მორევში როგორ ცურავს!

– აბანოები, საუნები და მასაჟები არ შველის, ნორმალურ ადამიანს მაინც არ ჰგავს! რამდენიმე თვეში ერთხელ ამერიკის ცნობილ გასახდომ კლინიკებში აგდებინებენ წონას და მაინც საკუთარ კანში ვერ ეტევა, ზეთი ჩამოსდის სახეზე! საინტერესოა, სარკეში საერთოდ თუ იყურება?

– ადრე, ნაღდად ცნობილია, საათობით იდგა სარკესთან, გამოცდილი მწვრთნელ-დამრიგებლების ხელმძღვანელობით ორატორულ ხელოვნებას ეუფლებოდა: ამუშავებდა გულითადობის, მწუხარების, თანაგრძნობის და ასე შემდეგ გამომხატველ ფრაზებს, გულმოდგინედ ხვეწდა ხმის მოდულაციებს, ჟეტებს, თვალებით ემოციურ თამაშს, "გულწრფელ" ღიმილს... ახლა ალბათ მიაჩნია, რომ რომ ეს ყალბი თამაში აღარ სჭირდება – ძალაუფლების ბედაურზეა ამხედრებული და საითაც უნდა, იქით გააჭენებს, ვინ დაუშლის! ვიღაც ვიგინდარების, შურიანების, აშკარა თუ ჩასაფრებული მტრების შეხედულებებს და თუნდაც ქმედებას ყურადღების ღირსად არ თვლის – იხტუნაონ რამდენიც უნდათ, ფეხებსაც ვერ მოჭამენ!

მაგრამ ბატონ პრეზიდენტის სახეზე გაფურჩქვნილი ნეტარი გამომეტყველება მოულოდნელად წამიერად შეიცვალა.

– სად არის ხინკალი? – იღრიალა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა და ახალ კათხათმტვირთველს უბრძანა: – მომაწოდე!

პრეზიდენტის ახალმა პირადმა კათხათმტვირთველმა ჰაინც ძიძგილაურმა (ახლავე შეგვიძლია, მას გულითადად მივულოცოთ დაწინაურება – ამ თანამდებობაზე დანიშვნა არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მხრივ – კონსტიტუციით ეს არ არის გათვალისწინებული!) მაშინვე მიართვა მეუფეს ლუდით გაპიპინებული კათხა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ახალ თანამდებობას შეჩვეული არ იყო, თანაც სიხარულის მოზღვავებული ტალღისგან ხელი ისე უკანკალებდა, რომ სანამ კათხას მაგიდაზე დადგამდა, თითქმის ნახევარი ლუდი დაიღვარა – კინაღამ თავზე გადაასხა ბატონ პრეზიდენტს... თუმცა, არც ის იქნებოდა ტრაგედია, მთლინადაც დაღვრილიყო ლუდი, ჯადოსნურმა კათხამ თავისი საქმე მშვენივრად იცოდა (იქ მყოფთაგან განსხვავებით) – იმ წამსვე შეივსო.

ცხელ-ცხელი ხინკლებით სავსე ლანგარით ჭამა-ყლაპვის ახალი მინისტრი, ბატონი ოტო ბერნჰარდ რაინჰარდ გერჰარდტ ტუტუცაური კი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შემოგლიჯინდა დარბაზში (ამჯერად ეპატიება ესოდენი დაგვიანება – ჯერ ამგვარ საქმეში ისიც გამოუცდელია!); მასაც ხელები უკანკალებდა და ბატონ პრეზიდენტთან მიახლოებისას ლანგარი ოდნავ დაუქანდა – რამდენიმე სლიპინა ხინკალი თავშეუკავებლად მოწყდა ადგილს და თავხედურად ფრიდრიხ ვილჰელმის კალთაში ისკუპა... და ბატონმა პრეზიდენტმა ცხადად შეიგრძნო, რომ ხინკლები ის-ის იყო ქაფქაფა ქვაბიდან ახალამოყრილი იყო...

ბატონი პრეზიდენტი დამდუღრულივით (ალბათ არც უიმისობა იყო!) წამოხტა და... პირდაღებულმა, აღარ იცოდა, რა ეთქვა!..

ბატონ პრეზიდენტის ყურადღების სხვა საგანზე გადატანა სცადა არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ყოველმხრივი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის" აღმასრულებელმა დირექტორმა ვილიბალდ ქვეშქვეშაურმა:

– ბატონო პრეზიდენტო, სამხედრო მინისტრად ვის ისურვებდით? – ალბათ, ეს თანამდებობა მოსდიოდა თვალში!

გაოგნებულმა ფრიდრიხ ვილჰელმმა იყვირა:

– რა პრობლემაა, თუნდაც ჩემი პირადი გარდერობის მცველ-განმკარგულებელს! არა, მაგ საქმეში სანამ სხვა საკმარისად გაერკვევა, ერთი თვე მაინც დასჭირდება, მე კი მომავალ კვირას ისევ უნდა გავფრინდე პარიზში! იქ რამდენიმე სახელგანთქმული სამოდელო სახლის ახალი, გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციების ჩვენება იგეგმება და ჩემი გარდერობის გამგის ძვირფასი რჩევები ფრიად დამჭირდება! უკეთესი იქნება და მშვენივრადაც გაართმევს თავს სამხედრო სამინისტროს გაძღოლას ჩემი პირადი ფეხსაცმელების პირადი გამწმენდ-გამკრიალებელი! ღირსეული კანდიდატია – რაც მთავარია, კარგად ვიცნობ და სავსებით ვენდობი! ჰო, არ დამავიწყდეს: ჩემს ფეხსაცმელების პირად გაწმენდ-გამკრიალებლად ახლავე ვნიშნავ კარლ ჰაინც ძუნძულაურს – საჩქაროდ ჩამოვიდეს!

– ბატონო პრეზიდენტო, პრემიერ-მინიტრის პოსტი ვაკანტური რჩება... – აბეზარი ბუზივით არ ასვენებდა პრეზიდენტს მისი ადმინისტრაციის უფროსი ადალბერტ შებერტყილაური, ეტყობა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე არ იტყოდა უარს.

– რა გამიჭირე საქმე შენი შეხსენებებით, არაფერი საჩქარო არ არის, პრემიერ-მინისტრს მერეც დავნიშნავ; ახლა კი კარლ ჰაინც ძუნძულაურს სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნეთ, დილისთვის აქ გაჩნდეს! ხვალ საზღვარგარეთის ელჩების მიერ რწმუნებათა სიგელების გადმოცემის ცერემონიაა დაგეგმილი და ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით ხომ არ წარვდგები მათ წინაშე – ყველას კარგად უნდა გესმოდეთ, ჩემს შესაბამის გარეგნობაზე ზრუნვა კერძო კი არა, საზოგადო საქმეა და ქვეყნის პრესტიჟს ეხება! ახლა კი, ძიძგილაურო, შენთვის ჩემი პირადი კათხათმტვირთველის სახელო მიბოძებია და ხომ გიხარია?!. ჰოდა, ერთხელ კიდევ შენებურად გვიმღერე და თან დავლურიც ჩამოუარე!.. აბა, ყველამ ერთად – ტაში, ტაში!.. მოიცა, ჯერ ერთი ეგ კათხა მომაწოდე!..

ბატონი პრეზიდენტი თვითონაც ხალისით ჩაებმებოდა ფერხულში, მაგრამ ჭამა-სმისგან დამძიმებულს, სავარძელში მისვენებულს, ერჩივნა მხოლოდ მხრების ტოკვით აჰყოლოდა საერთო მხიარულებას.

– რას აძაგძაგებს მხრებს, არ გადმოგვყაროს ამ შეჩვენებულმა! – უჩურჩულა მარცხენას საკმაოდ შეშინებულმა მარჯვენამ.

მაგრამ საშიში აღარაფერი იყო: ბატონი პრეზიდენტი აღარ მოძრაობდა, სრულიად მომჩვარდა და ხმამაღალი ხვრინვაც ისევ გაისმა...

ამჯერად დარბაზში მყოფნი მეუფისთვის სიმყუდროვის შექმნაზე არ ფიქრობდნენ, პირიქით, ისარგებლეს მისი ჩაძინებით და... ყველა ცდილობდა ჯადოსნური კათხის ხელში ჩაგდებას! მარჯვენა და მარცხენა ნამდვილი ბრძოლის მომსწრენი გახდნენ!..

ჯერჯერობით ყველას ჯაბნიდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ადალბერტ შებერტყილაური – ძალიან მაღალი იყო, აწეულ მარჯვენაში კათხა ეჭირა, დანარჩენები კი ამაოდ ეძიძგილავებოდნენ... ამ შეხლა-შემოხლაში კათხა ხშირად წაყირავდებოდა, იქიდან ბავარიული ლუდი გადმოისხმებოდა ხოლმე და თავაღერებულ მოპაექრეთ გვარიანად წუწავდა. ცხადია, კათხა ისევ მაშინვე ივსებოდა და ისევ და ისევ უგრილებდა თავებს გახურებულ მოქიშპეთ...

– მომეცი, კათხა ჩემია, მე ვარ კათხათმტვირთველი! – ამაოდ გაჰკიოდა ჰაინც ძიძგილაური. მას მხარს უმშვენებდა ზიგფრიდ თავკომბალაური – საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრი, რომელმაც შესაშური სიმკვირცხლე გამოიჩინა და გავარჯიშებული ხელით პროფესიული ოსტატობით კომბალი მარჯვედ ჩასცხო პირდაპირ შუბლში ადალბერტ შებერტყილაურს – ამ უკანასკნელის მარჯვენას ჯადოსნური კათხა მწიფე მსხალივით მოსწყდა...

იგი ჰაერშივე დაიჭირა გოტფრიდ მლიქვნელაურმა – ყოფილმა პარლამენტის თამჯდომარემ და ამჟამად კი პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსმა; სამწუხაროდ, მან საკუთარი თავის დაცვა ვერ შეძლო – მასაც მოხვდა ზიგფრიდ თავკომბლურის მარჯვე კომბალი და კათხა იატაკზე დაგორდა – იქიდან ჩხრიალით იღვრებოდა ლუდი... შემდეგ კი რა მოხდა, ძნელი გასარკვევი იყო კათხის დასაუფლებლად შექმნილ მებრძოლთა ზედახორაში...

ამასობაში ბატონი პრეზიდენტი გამოფხიზლდა და შეძახილებით ამხნევებდა თვალწარმტაცი სანახაობის მონაწილეთ:

– ამდენი ჭკვიანი ერთად საიდან და როგორ შეიყარენით აქა? მიდით, თქვენ გენაცვალეთ, დასცხეთ ერთმანეთს, კარგად ვერთობი! ოღონდ ჩემს კათხას არაფერი დაუშავოთ, თორემ ცოცხალი არ გადამირჩებით!

– დროა, ამ არეულობით ვისარგებლოთ და სანამ ლამაზები ვართ, აქედან დროზე გავასწროთ! – გადაუჩურჩულა მარჯვენამ მარცხენას.

წამოსვლისას მარჯვენამ არ მოიშალა ხუმრობა და უცებ პარიკი მოაძრო ბატონ პრეზიდენტს...

თითებმა იატაკზე ისკუპეს და უკან მოუხედავად კარისკენ მოკურცხლეს! მაგრამ ცნობისმოყვარეობა ხერხავდათ და ცოტა ხანს დარბაზში კიდევ დაყოვდნენ და გვარიანადაც იმხიარულეს: შემდგომი მოვლენებისთვის თვალის შევლება მართლაც ერთ რამედ ღირდა!

გაოგნებულმა ბატონმა პრეზიდენტმა მელოტი უმალ დაიფარა მარცხენა ხელით, მარჯვენა კი წინ გასტყორცნა, ვითარცა ერთ დროს (და ალაგ – ახლაც) დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული უზარმაზარი წითელი იმპერიის ათასობით დიდსა თუ პატარა დაბა-ქალაქში მთავარ მოედნებზე ბრინჯაოს ქანდაკებად ჩამოსხმულმა, ამაყად წინ წახრილმა, კომუნიზმის ნათელი მომავლისკენ ოცნებით მიმავალმა, მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვლადიმირ ილიჩ ულიანოვ-ლენინმა; უტყვი ქანდაკებებისგან განსხვავებით, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა, დღენიადაგ მიკროფონების წინ დგომისგან გავარჯიშებული ხმით, იმავდროულად, ომახიანად იყვირა:

– მიშველეთ! ახლაც არ გჯერათ, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება? დამიცავით ტერორისტებისგან!

ცეკვა-თამაში მაშინვე შეწყდა, თითქოს ჯადოქარმა მაგიური ჯოხი დაიქნიაო...

პრეზიდენტის პირადი დაცვის ახმახი ჯელები, რომლებიც აქამდე მშვიდად ადევნებდნენ თვალს მომხდარს და გვარიანადაც ერთობოდნენ (თითო ას კილოგრამზე ნაკლებს არ იწონიდა!), ახლა უცებ მივარდნენ შატაბუტა-ტარუღაშვილს, რომელიც ამ დროს წარუმატებლად ცდილობდა, მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო, სასწრაფოდ ზევიდან დაახტნენ და სამ ფენად გადაეფარნენ... ბატონ პრეზიდენტის სიცოცხლეს მართლაც საფრთხე რეალურად დაემუქრა – საბრალო, ამ ბრგე ყმაწვილების ქვეშიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოიყვანეს და სასწრაფოდ გამოძახებული ექიმების მიერ მის მოსულიერებას კიდევ ნახევარი საათი დასჭირდა – ნახევრად გაგუდული გახლდათ და სანამ პირველ სიტყვას წარმოსთქვამდა, კიდევ ნახევარი საათი გავიდა...

– ვაი ჩემს თავს, თქვენისთანა ბედოვლათებს როგორ უნდა ვენდო? – წუწუნებდა ბატონი პრეზიდენტი, ისევ ისე თავზე ხელდაფარებული. – ჩემი თავიდან ერთი თმის ღერიც რომ ჩამოვარდნილიყო, ხომ იცოდით, რაც გელოდათ! საკვირველია, ხომ იცი – ახლა კი ნამდვილად დავიჯერე, რომ გამოუცნობი საიდუმლო მოვლენები ამქვეყნად მართლაც არსებობს! გამოსარკვევია, რა მოხდა?

დარბაზში ზუზუნი გაისმა: ბატონ პრეზიდენტის თანამებრძოლები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ძვირფასი შეფისთვის პირადად მოეხსენებინათ საკუთარი ძვირფასი შეხედულებები მომხდარ სამწუხარო მოვლენასთან დაკავშირებით, სახელდობრ: ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საზარელი, ჯერაც გაუგონარი, მუხანათური ქურდობის ჩამდენი, რატომ და რა მიზნით, რა ქვენა მიზნები ამოძრავებდათ დამნაშავეებს? იმაში კი ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს არ იყო ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული: ამგვარ მასშტაბურ და კარგად გათვლილ, მშვენივრად ორგანიზებულ და წარმატებით ჩატარებულ ოპერაციას ხალხმრავალი, კარგად გაწვრთნილი დამნაშავეთა ჯგუფის შეხმატკბილებული მოქმედება სჭირდებოდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ ავაზაკებმა თანამზრახველები თვით პრეზიდენტის გუნდში გაიჩინეს...

– ხომ ვამბობდი, ღალატია-მეთქი! ვიღაცამ გაგვყიდა! – ისევ აყვირდა ბატონი პრეზიდენტი. – ეს უშიშროების საბჭო ნეტა რას მიკეთებს, უტვინო, ყოვლად უპასუხისმგებლო დეგენერატებით რომ არის გავსებული! საჩქაროდ, უშუალოდ აქ, საპრეზიდენტო სასახლეში, მოიწვიეთ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, ეგ მუქთამჭამელები, ბებერი კუანები ახლა მაინც გამოგვადგნენ რამეში!

პრეზიდენტის სათათბირო დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი...

– ბატონო პრეზიდენტო, მეცნიერებათა აკადემია თქვენი პირადი განკარგულებით ფაქტობრივად გაუქმდა, ვითარცა წარსულის გადმონაშთი... – ხმის ამოღება გაბედა არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ყოველმხრივი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის" აღმასრულებელმა დირექტორმა ვილიბალდ ქვეშქვეშაურმა.

– აკადემია გავრეკე, აღარ არსებობს? – გაუკვირდა ფრიდრიხ ვილჰელმს. – როდის მოხდა ეს? რა პრობლემაა, ისევ შეკრიბეთ! ერთ საათს გაძლევთ! არა – ნახევარ საათს! აქ მომგვარეთ სუყველა!

– ბატონო პრეზიდენტო, ნახევარზე მეტი უკვე გარდაიცვალა...

– რა პრობლემაა, ახლავე ახლები აირჩიეთ! დროზე ქენით, დროზე, სულ ასე ხომ არ ვიქნები, უკვე ხელი დამეღალა... ახლავე პარიზში გააგზავნეთ თვითმფრინავი – საჩქაროდ ჩამომიტანეთ ახალი პარიკი! ორი პარიკი! ან – სამი! არა, ოთხი – ყველას აჯობებს!.. არა, ვერავის ვენდობი, მე თვითონ წავალ!.. უჰ, ამდენმა ვნებათაღელვამ საშინლად მომაშივა – სასწრაფოდ მომართვით ოცდაათი ხინკალი, თავისი სოფლური არაყითა და ბრიტანული შავი ლუდით, ბავარიული უკვე მომბეზრდა!.. არა, ორმოცი აჯობებს! ხომ იცით, ჩემი სიტყვა და საქმე ერთია – ცხელ-ცხელი, ნამდვილი

მთიულური ხინკალი იყოს, თორემ დაგაჭრით ყველას თავებს!.. დღეს პარიკი მომტაცეს, ხვალ თავსაც წამაცლიან! ჩემი პარიკის მომტაცებლები – ქვეყნის მოღალატეები და დამაქცეველები, საჩქაროდ უნდა დავიჭიროთ და სამაგალითოდ დავსაჯოთ! თვით ფაქტია შემაშფოთებელი: თუ ქვეყნის საერთო-სახალხო კენჭისყრით არჩეულ პრეზიდენტს დღეს ამდენს უბედავენ, ხვალ რაღას უნდა ველოდეთ! ქვეყნის უსაფრთხოებას საშიშროება აშკარად უშუალოდ დაემუქრა! სანამ ხინკლებს მომიტანენ, გავაგრძელოთ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მუშაობა – აუცილებელია, შეიქმნას საგანგებო საგამომძიებლო კომისია განვითარებული მოვლენების სრულყოფილად შესწავლის და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით! მანამდე კი სასწრაფოდ მომიმზადეთ ხელმოსაწერად და პარლამენტში დასამტკიცებლად დადგენილების პროექტი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ! საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრს ზიგფრიდ თავკომბალაურს ვავალებ: სასწრაფოდ შექმნას მისდამი დაქვემდებარებულ უწყებაში საგანგებო რაზმი დიდად საპასუხმგებლო მისიის შესასრულებლად – პარიკის გამტაცებელთა შესაპყრობად და საკადრისად დასასჯელად! ამაზრზენი, ქვენა მიზნები ამოძრავებდათ ამ საზარელი დანაშაულის დამგეგმავებსა და შემსრულებლებს! ვერავის ვაპატიებთ პრეზიდენტის თავი გაცივდეს და ტვინის ანთება დაემართოს! ეს სასიკვდილო ლახვარი იქნება ქვეყნისთვის – ყოველმხრივ!

კარი VI.
ბნელი ღამე, თანაც წვიმიანი, ყველაზე მოსახერხებელი დროა ბნელი საქმისთვის... (Aspramente, მკაცრად, პირქუშად)

ამასობაში კი ჩვენმა მოხეტიალე გმირებმა აღარ დაუცადეს კომედიის დამამთავრებელ აქტს და დროულად დატოვეს კრაზანების აფორიაქებული ბუდე...

როცა უკვე გასცდნენ პრეზიდენტის ბრწყინვალე სასახლის ბოლო ბრწყინვალე კარს, ბრწყინვალე ბაღში შეჩერდნენ, ბრწყინვალედ და საფუძვლიანად ამოიქაქანეს და ბატონ პრეზიდენტის ბრწყინვალე პარკში ბრწყინვალე პარიკის კარგად დათვალიერების ბრწყინვალე საშუალებაც მიეცათ – ღრუბლებს შორის ამ დროს გამოჭყეტილი ბრწყინვალე სავსე მთვარის შუქზე. მთვარეც ჩვენს თითებზე არანაკლები ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ხელოვნების საუცხოო ნიმუშს.

– დიდებული პარიკია, დიდებული! – წამოიძახა მარჯვენამ. – შეხედე, ადამიანის ნატურალური თმისგან რა ბრწყინვალე ოსტატობით არის დამზადებული. უჰ, რამხელა ბომბორა თავი ჰქონია ჩვენს ბრწყინვალე პრეზიდენტს, ჩემთვის ძალიან მძიმეა, წელი მომწყვიტა ამის თრევამ! ვჩქარობდი და, სამწუხაროდ, მეორეჯერ ბატონ პრეზიდენტის პატივცემული ბრწყინვალე ცხვირის კიდევ ერთხელ გემრიელად გაწკიპურტება ვეღარ მოვასწარი...

– სამაგიეროდ, ძვირფასი ნადავლი ჩაიგდე ხელთ... მართლაც უცნაური ვინმე ბრძანდები: რა აუცილებელი იყო, რამ მოგაფიქრა მაგის წამოღება? ეგ სხვისი ოფლით გაჟღენთილი, მყრალი პარიკი რაღად გინდოდა, შენც შენი ბრწყინვალე მელოტის დაფარვა ხომ არ გსურს? – ეკითხება მარცხენა.

– ბიჭო, ხომ ხედავ, რა ცივი ამინდებია; ამ იშვიათი პარიკით მშვენიერ "ბუდეს" მოვაწყობთ, კარგად ჩავთბუნდებით!

– მაგისთვის გვცხელა? პრეზიდენტის რეზიდენციის დაცვა გაძლიერებულია, ალბათ საგანგებოდ დაგეშილი ძაღლებიც მოიყვანეს და იმათ კი ძნელად თუ გადავურჩებით... დროულად მოვცილედეთ აქაურობას და რაც შეიძლება – სწრაფად!

– მიჭირს დაჯერება – ამას რას მოვესწარი, რას ვხედავ ჩემი ბედნიერი თვალებით! მე სულ ჩაგჩიჩინებ: "ნუ ზოზინობ! ჩქარა! სწრაფად! ნუ გძინავს, დროულად გაინძერი!"; და აჰა! მადლობა ღმერთს, შევძელი შენი ოდნავ მაინც მორჯულება!

– ბიჭებო! – ზევიდან უცინოდა მათ სავსე მთვარე. – ძალიან მაგრები ხართ! როგორც ხედავთ, მეც სულ მთლად მელოტი ვარ და თუ თქვენ არ მოგეწონათ ეგ პარიკი ან თუ ერთმანეთში ვერ მორიგდით, მე დამითმეთ! ხომ ხედავთ, მეც გვარიანად გავფითრდი სიცივისგან!

– მთელ ქვეყანას მასში არსებული მძიმე მდგომარეობის შესალამაზებლად პროპაგანდისტული პარიკი ჩამოაცვეს: "დემოკრატია აღორძინდა, ეკონომიკა აყვავდა, სხვა მხრივაც რა მშვენიერადაა ყველაფერი!". აი, ამ პარიკს თუ ჩამოაცლი, ეს იქნება ბიჭობა, თორემ შატაბუტას გაბიაბრუება რა ვაჟკაცობა იყო.

– ნუ აკნინებ შენი ქმედების მნიშვნელობას! – არ დაეთანხმა მარცხენა. – პარიკის მოტაცებამ სიმბოლურად აჩვენა, თუნდაც მის გარემოცვას, რომ არც ისე ძლიერია და ყოვლისშემძლე პოლიტიური ოპონენტების, – მისი თქმით, "ქვეყნის მტრების", – დათრგუნვაში, როგორც იბრიქება. ამის გარდა, ეს ბრწყინვალე პარიკი ხომ არ დავუბრუნოთ დასავლეთს? გავიტანოთ ლონდონის "სოთბის" აუქციონზე: "სენსაცია! ძლევამოსილი პრეზიდენტის ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის

მოტაცებული ლეგენდარული პარიკი!”. ფანტაზიური ფასი დაედება, ეგზოტიკური წარმომავლობის ნივთის შესაძენად ნამდვილი ჩხუბი ატყდება – ბრწყინვალე წარმოდგენის მომსწრე გავხდებით! მთელ მსოფლიოში სახელსაც გავითქვამთ!

– სახელი არც ახლა გვაკლია, სკანდალებზე მონადირეთ მეტი კი არაფერი უნდათ: ყველას ჩვენი სახელი აკერია პირზე, რადიო-ტელევიზიაში და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სულ ჩვენს გაქცევაზეა ლაპარაკი... ასეთი გზით მოპოვებული სახელი რად გინდა?

– ახლა სად ვიყავით, პრეზიდენტის ბრწყინვალე რეზიდენციაში თუ ცირკში დავეწარით ბრწყინვალე წარმოდგენას? – იკითხა მარცხენამ.

– მაგას რას კითხულობ, კარგად კი გავერთეთ და! ნაღდად ცირკზე უკეთესი იყო: რინგი არ იყო გამართული, თორემ სხვა მხრივ ვერაფერს დაიწუნებდი – ნამდვილი მუშტი-კრივი გაიმართა!

– ტყუილად არ არის ნათქვამი: პოლიტიკა სასტიკი სპორტია; მხოლოდ დაუნდობელი, ცივსისხლიანი, გრძნობების აყოლის გარეშე, ცივი გონებით მოქმედი პოლიტიკური მოღვაწე აღწევს წარმატებას!

– მართალია, მაგრამ, მე რომ მკითხო, იქ შეკრებილთ პოლიტიკოსობისა ბევრი არაფერი ეცხოთ, უფრო – ძალაუფლების პყრობის სენითა და, იმავდროულად, მომხვეჭელობის განუკურნებელი ავადმყოფობით შეპყრობილ ადამიანთა მომხიბლავი დაკა-დაკა ვიხილეთ, დაუკმაყოფილებელ ამბიციათა დოღი, უსაზღვრო ანგარების ასპარეზი! ჩვენ კი ჩვენი, სულ სხვა მისწრაფება გვამოძრავებს, მათგან სრულიად განსხვავებული მიზანი გვაქვს და, აბა, ახლა ჩვენს საკუთარ გზას ვეწიოთ!

ბადრმა მთვარემ მოხეტიალეთ მომხიბლავად გაუღიმა:

– გზა დამილოცნია, მამაცო ბიჭებო! თუკი შევძლებ, გზას გაგინათებთ, თუმცა, თქვენც ხედავთ, ვაგლახ, მრუმე ღრუბლები მებრძვიან! აბა, მხნედ იყავით, წყეულ წყვდიადს ნუ შეუშინდებით!

შუადამის მძინარე ქალაქის მიჩუმათებულ ქუჩებს მიაშურეს; მარცხენამ პარიკი გამოართვა მარჯვენას, ვერაფრით შეელია.

ატალახებულ ქუჩებში სიარული გაუჭირდათ; მთვარე ისევ ჩაჟამებულმა ღრუბლებმა დაატყვევა, სიბნელემ თავისი ბნელი კალთა გადააფარა ქალაქს და, ერთგვარი შესვენების შემდეგ, ძალამიცემულმა, ძლიერმა წვიმამ ისევ დაუშინა წვეთების წვრილი საფანტი სახურავებს, გზა-ქუჩებს, ეზოებს...

ძმები შეჩერდნენ, რაღაც კედელს მიეტმასნენ. სიცივისგან აკანკალებული მარჯვენაც პარიკის ქვეშ შეძვრა და მობუზულ მარცხენას ჩაეხუტა; ქარ-წვიმის შეხმატკბილებულ სიმღერას უსმენენ...

ქარის სიმღერა: ჯერაც შეუფოთლავ ხეების რტოებში დაძრწის-დაწანწალებს და წივის-წუხს-სისინებს: წიუ-წიუ-სსს... სსს-წიუ-წიუ-სსს...

თუ რომელიმე დაუდევარ დიასახლისს გაფენილი სარეცხი დავიწყებით დარჩენია ან მისი საღამოს ჩამოხსნა დაზარებია, ქარს ზეწრები თუ ბალიშისპირები, საცვლები თუ პირსახოცები, ფარდები თუ ნაირგვარი და ნაირფერი გადასაფარებლები ქარაშოტს საკუთარ დროშებად უქცევია და მათ ყველას, სიმშვიდეზე გამარჯვების აღსანიშნავად, გახარებული, დაუღალავად ზევით-ქვევით აფრიალებს, ხანაც უცებ ატყლაშუნებს – უამინდობის ბობოქარ სიმფონიაში მკვეთრ აქცენტებს ურთავს...

ქარს მრავალმხრივი ნიჭ-უნარი გააჩნია: სახლთა ნახვრეტებ-ღრიჭოებში სტვენაც ეხერხება, მორყეული ჭიშკრებ-კარებების ჭრიალიც და დროდადრო – მიხათქუნებაც, საწვიმარ მილებში თუ საკვამურებში ღრიალით შეჭრაც და იქ ბუბუნ-ღმუილით დატრიალება... ავანგარდისტი მუსიკოსია!

ქარის სიმღერას აკომპანემენტს უწევს წვიმის გაბმული სიმღერა. წვიმას უფრო დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრა უყვარს: ბამ-ბუმ-ბუმ-ბამ... – ურახუნებს თუნუქის სახურავებზე; წკაპა-წკუპა–წკაპა-წკუპა... – წვეთები მძიმედ ეცემიან გუბეებში; როცა დროდადრო წვიმა ძლიერდება, სახურავებს, ფილაქანს წამოუშენს, შრიალითაც გადაირბენს-გადაუვლის – შრრრრ-ტრა-ტა-ტა-ტა... შრრრრ-ტრა-ტა-ტა-ტა...

თვით მისი უდიდებულესობა მრუმე ღამეც მღერის და მისი უსწრაფესობა ქარისა და მისი მომაბეზრებლობა წვიმის ხმები მისი დიდი ორკესტრის პოლიფონიური ჟღერადობის მხოლოდ ნაწილია: მასში იჭრება ძაღლების ყეფა, ქუჩებში მიმავალი დაგვიანებული მგზავრების ფეხების ფლასტუნი სველ ტროტუარზე, მიმქროლავი ავტომანქანების ძრავების ღუღუნი და საბურავების შიშინი... საწვიმარი მილები კი ხომ ერთი დიდი ორღანოა: წყალი ათასგვარ ნაირფერ ხმად იღვრება-მღერის დიდპატარა თუნუქის მილებიდან – ბებერივით ბურტყუნებს-ბუტბუტებს-ჩიფჩიფებს-დუდღუნებს ამა სოფლის სიმუხთლეს, ჩვილივით ღუღუნებს, ენამზეობის ეშხში შესულ თამადასავით თუხთუხებს, მწუხარე ჭირისუფალივით მოთქვამს, სათამაშოწართმეულ ბავშვივით ჭიჭყინებს...

ღამის ღრმა, შავი ხავერდის საბანი მძიმედ დასწოლია გატრუნულ ქალაქს, უამინდობის მშფოთვარე ფორტე არ ნელდება, – მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნები სევდიანი ღამის ბრწყინვალე ლირიკულ ნოქტიურნს უსმენენ, მაგრამ სადამდე უნდა იყვნენ მიუსაფარნი, ასე საბრალოდ მიყუჟულ-მოკუნტულნი სახლის კედელთან, თუნდაც ბატონ პრეზიდენტის ბრწყინვალე პარიკის ქვეშ თავშეფარებულნი?

მარჯვენა პარიკის ქვეშიდან გამოძვრა:

— უჰ, დავიხუთე, ჯობს, წავიდეთ!

— საით? რა უბედური ცივი მაისი დაგვიდგა... — კიდევ უფრო მოიბუზა მარცხენა. — ღამეა, ბნელა, წვიმს, არც არსად და არავინ გველის... სად წავიდეთ, საით გავწიოთ? ვისი იმედი გვაქვს? ნათქვამია: "მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!", მაგრამ ჩვენ რომ მთელ ქვეყნიერებაზე მეგობრები არ გვყავს? არც — მაესტრო დიტმარ დომინორაულს უტალახებენ კარს მაინცდამაინც... მაშ ვინ ვართ ჩვენ?

— რას ამბობ?!. ჩვენი მეგობარი — მუსიკაა!

— რა დროს მუსიკაა! აქ გაჩერება სახიფათოა...

— ალბათ მართალი ხარ: გული მიგრძნობს — მდევრები სადაცაა გამოჩნდებიან და მაშინ ვაი ჩვენი ბრალი!

— მერედა, რა მოგვარბენინებდა კონცერტიდან? — ეკითხება მარცხენა. — რა იყო, რამ აგაღელვა? გამაგებინე, რა ბუზანკალმა გიკბინა, ასე უცებ რამ მოგიარა, მოულოდნელად რომ აფეთქდი? თუ მაინცდამაინც გაქცევას აპირებდი, ვერ დაელოდე კონცერტის დამთავრებას? საგანგებოდ ჩვენს მოსასმენად მოსული იმდენი ხალხიც გაანაწყენე...

— არა მგონია, ბევრს დასწყდომოდა გული — ჩვენს გამოქცევამდეც გაწბილებულნი იყვნენ ფრიად უღიმღამო შესრულებით, თანაც კონცერტზე არც ისე ბევრი მსმენელი მოვიდა... შენი არ ვიცი და მე მომბეზრდა უთავბოლო სირბილი კლავიშებზე, წინ და უკან უაზრო ბეჯითი ჯირითი! მესიკვდილებოდა ყურება, როგორ აიმღვრა წმინდა წყარო შთაგონებისა — ჩვენი თითების ცივი სირბილი, რომელიც არანაირად არ გათბობს... მარჯვნივ-მარცხნივ გავრბივარ, გამოვრბივარ და მაინც არ ვარ თავისუფალი! — აი, ეს მტკენდა გულს... სულ რომ შლეგიანივით უაზროდ დაჯირითობ კლავიშებზე, ხანდახან ნელაც გაიარე, შე კაცო, დადინჯდი ან სულაც გაჩერდი, ირგვლივ მიიხედ-მოიხედე — წისქვილის დოლაბი ხომ არ ხარ, რომ სულ თანაბრად ფქვა და ფქვა... ხან მთაზე ადიხარ, შორეთს გახედავ, ხან მდინარეს გადახვალ ფონით, გინდ გადაცურავ, ანდა აყვავებულ მდელოზე რომ მიაბიჯებ, ხომ უნდა წუთით მაინც შეჩერდე — ყვავილთა სილამაზით დასატკბობად, მერე კი დაიხარო — მათი სურნელით დასათრობად? რომ გარბიხარ და გამორბიხარ, აქეთ-იქით არ იხედები, რას დაინახავ, ან რას იგრძნობ? ძლიერ ვართ უაზრო სირბილს დაჩვეულნი! აღარ შემეძლო ამდენი სიყალბის ატანა, მომბეზრდა, ყელში ამომივიდა! კარგია ელვარე, ბრწყინვალე პასაჟების წამდაუწუმ წკრიალი, მაგრამ ხანდახან სევდის ჩრდილიც უნდა გაურიო მეტი რელიეფურობისთვის — დაპირისპირების გარეშე შთამბეჭდავ გამომსახველობას ვერ მიაღწევ...

— კონტრასტი განა ყოველთვის კარგია: თბილი დარბაზიდან რომ გარეთ გამოვედი, უფრო სწორედ — გამოვვარდი, და ახლა მცივა? — კრუსუნებს მარცხენა. — წყეულმა სინესტემ სულ ძვალრბილში დამიარა, დიდად დაფასებულ ბატონ პრეზიდენტის პარიკს გამოყოლილი სითბოც დაიხარჯა ძლიერ ქარში და წვიმაში...

— ახლა გამოჩნდებიან მეძებრებიანი მდევარნი და კარგა გვარიანად შეგვახურებენ! — ეხუმრება მარჯვენა. — გადაწიე ეგ თავზე გადმომხობილი მყრალი პარიკი და გარეთ გამოიხედე; შეხედე: მომბეზრებელი წვიმა, როგორც იქნა, შეწყდა, ძლიერმა ქარმა გადადენა ღრუბელთა ნარჩენები! თითქოს კიდევ უფრო აცივდა, უჰ, მეც ურჟოლამ აიტანა! სამაგიეროდ, ნახე, რა ღამეა, რა საოცარი ალმასები გადმოუბნევია ცას თავისი სალაროდან, როგორ ციმციმებენ ვარსკვლავები! შეხედე, შეხედე, რა ჯადოსნურად აფერადებს გარემოს ჩვენი მეგობარი მთვარე — სავსე, ნათელი! ეგ ერთია, რომ გვითანაგრძნობს, თვალს გვაყოლებს, აბა, რას მოიმოქმედებენ მამაცი ბიჭებიო, თვალსაც გვიპაჭუნებს — ხომ კარგად ხართო... რა გითხრა, ჩემო მთვარევ, შენი ნათება ლამაზია, უამრავი ლექსი, სიმღერა თუ მუსიკალური ნაწარმოებია შექმნილი შენი მომაჯადოებელი ნათების შთაგონებით, მაგრამ სითბო რომ გაკლია?

— მაგ უსაქმურის თანაგრძნობა ან სხივების სინაზე მე რას მარგია...

— აბა, რა გარგია? მაგ პრეზიდენტის ოფლით გაჟღენთილი მყრალი პარიკის ქვეშ ჯდომა? რაღას იხუთები, დახრჩობა ხომ არ მოგენატრა, შენც გამოძვერი სუფთა ჰაერზე! შეხედე, ყველგან განფენილია ქვეყნიერების მარადიული ჰარმონიულობა, სიამით გათანგვის გრძნობა, გრძნობა, რომ არაფერია შემთხვევითი ამ ქვეყნიერებაზე!

— ჩვენი გაპარვაც? შენ რომ არ გამოქცეულიყავი... ისევ და ისევ გეკითხები, გამაგებინე: რა გინდა, სად და საით გარბიხარ?

მარჯვენამ შეაწყვეტინა:

— მიკვირს შენგან, ხომ იცი! ჩემი ძმა თუ ხარ, რატომ ვერაფერს ხვდები და ისევ მეკითხები იმას, რაც დღესავით ნათელი უნდა იყოს შენთვის... ან რამდენჯერ უნდა აგიხსნა, ჭკუასუსტი ხომ არ ხარ? თუ ჩვეული ცხოვრების მდინარებას გინდოდა, გაჰყოლოდი, შენ რაღას გამორბოდი კონცერტიდან? ტაშითაც დაგაჯილდოებდნენ ბრიყვნი, მერე ნებიერად დაისვენებდი თბილი საბნის ქვეშ — სურნელოვანი ნელსაცხებლით დარბილებულ-გაკეთილშობილებული. მეორე დილიდანვე ისევ და-

იწყებდი ჩვეულ ვარჯიშს – ფორტეპიანოს სრულიად უდანაშაულო, საბრალო კლავიშებზე ტყაპუნ-რახარუხს ოთხი-ხუთი საათით... რამდენიმე დღეში კი ისევ ჩვეული კონცერტი მოგელოდა, უფრო – ვითომ-კონცერტი, რადგან მსმენელნი სულიერად განწმენდილნი და ამაღლებულნი კი არ გამოვიდოდნენ მუსიკის წმინდა ტაძრიდან, არამედ მოტყუებულ-გაბითურებულნი, გამოფიტულნი... თუმცა, ბევრ ბრიყვს სწორედ ასეთი კონცერტი ურჩევნია. შენც ისევ და ისევ ჩვეული უსახური როლის შესრულება გირჩევნია? რა გიშლის, დაბრუნდი მაშინ უკან!

– არა, მე შენთან მინდა!

– აბა, სულელურ კითხვებით ნუღარ შემაწუხებ და მომყევი, ჩქარა! დააგდე ეგ ოხერი სველი პარიკი, მაგის თრევა რაღად გჭირდება! ფრთხილად იყავი, ამ უსწორმასწორო გზაზე ხეტიალი ძალზე გაგვიჭირდება, კრიალა კლავიატურაზე სეირნობა ნუკი გგონია. ერთი შეღავათი ისაა, რომ ისე აღარ ბნელა. შეხედე მაღლა – ცა სრულიად მოიწმინდა, ერთიანად გალურჯდა, მხოლოდ ერთი პატარა, სავსე მთვარით განათებული ცხვარვით ღრუბელია შემორჩენილი... ჩვენც რომ შეგვეძლოს მასავით თავისუფლად ნავარდი! შეხედე, რა ლამაზია! კრავო კეთილო, შეგვისვი შენს ფუმფულა ზურგზე და გაგვასეირნე, წარგვიტაცე საოცნებო მხარეებში – შორს, შორს... მოგვატარე მთელი ქვეყნიერება, აყვავებულ ხეობებს ჩაგვახედე, ამწვანებული ყანების ზურმუხტით დაგვატკბე, დაკბილული მთაგრეხილები გადაგვატარე, გვანახე აზვირთებულ-აზავთებული ზღაპრული ზღვა... კარგია! ჰოდა, სწორედ აი, ყოველივე ამის სანახავად, ახალი შთაბეჭდილებებით გასამდიდრებლად, გრძნობების გასაფაქიზებლად გამოვიქეცი, ჩემო ძმაო და მეგობარო, და ჯერჯერობით არც ვნანობ! ერთფეროვანი დღეების ნაცრისფერ ნაკადში უნდა გამოერიოს ნათელი, კისკისა, ფერადოვანი დღეებიც, ისე რა ფასი აქვს ცხოვრებას?

– მე მაინც მეშინია... თან, უკვე მერამდენედ გეუბნები, თითები მეტკინა უკვე ქვიან მიწაზე სიარულით. არ მეგონა, თუ ჩვენს ქალაქში კიდევ იქნებოდა ასეთი მოუვლელი ქუჩა, ფუი, რა საძაგელი სავალია!.. დავისვარე კიდეც! ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, ამ გაუბედურებულ გარეუბანს მაინც!

– აბა, ცენტრალურ, ლამპიონებით გაჩირაღდნებულ გამზირებზე ზარ-ზეიმით გსურს გასეირნება? როგორც კი იქ გამოვჩნდებით, იმ წამსვე დაგვიჭერენ!

– ჩვენ, თითები, ძალიან მგრძნობიარენი ვართ და დაჩეჩქვილი ლებნებით როგორღა დავუკრავთ? ამ ჯოჯოხთში ყოფნა აღარ შემიძლია! ლამის ვიკივლო!

– "აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია!" – გამოაჯავრა მარჯვენამ მარცხენა. – როგორ მომაბეზრე თავი შენი გაუთავებელი წუწუნით! რამდენჯერ უნდა გაგიმეორო: რა გრჯიდა, რატომ გამოიქეცი, არა – გამოიპარე, მხდალო! რაღას მომდევდი, ვერ დარჩი? შეგიძლია, ახლავე უკან გაბრუნდე, ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა.

– ნუ მიმატოვებ! – შეევედრა მარცხენა. – ხომ გითხარი, შენთან ერთად მინდა, ვიყო!

– მაშინ შეეშვი გაუთავებელ მოთქმა-ვაებას, მედგრად გავწიოთ სულ წინ და წინ, გავეშუროთ ჯერ უცნობისკენ, იქნებ მიუწვდომლისკენ, საოცნებოსკენ! რა კარგია თავისუფლება, არაფრის გეშინოდეს, შეუპოვრად, შეუვალად იარო! თუ მხნედ ვიქნებით, ეჭვი ნუ შეგეპარება, ყველა წინაღობას გადავლახავთ. მოდი, სიმღერა შევთხზათ:

მე არაფრისაც არ მეშინია,
დიდება ჩემს მარჯვენას!
მე გადავლახავ ყველა სიძნელეს,
გაუმარჯოს ჩემს ხუთ თითს!
ჩემთვის სიცივე არაფერია,
კაჟივით ვარ, რკინასავით!
არც – სიბნელე მთრგუნავს, –
ღამე ხომ ჩემი მეგობარია!

– შე საწყალო, ბავშვობაში გადავარდი? ეგ რა სიმღერაა: არც მელოდიაა, არც – რიტმი, არც – რითმა...

– მე სხვებისთვის კი არა, ჩემთვის ვმღერი, მსიამოვნებს და ვმღერი!

– შენთვის თუ მღერი, გაგიჟებულხარ და ეგ არის!

– მე იმიტომ ვმღერი, რომ მსიამოვნებს – არ აქვს მნიშვნელობა, კარგი ხმა მაქვს თუ არც ისე ტკბილად მოსასმენი; ვმღერი იმიტომ, რომ მახალისებს, მშვენიერ გუნება-განწყობილებას ვიქმნი და ნარ-ეკლიანი გზა ისე ძნელი აღარ მეჩვენება! დიდი ხანია, ყველამ იცის, შენს გარდა, შე საწყალო: სიმღერა – სულის სალბუნია! მუსიკაც! ეს რომ არ ესმოდა ჩვენს დიტმარ დომინორაულს, იმიტომ იყო მისი დაკვრა ესოდენ მშრალი, ნაირგვარი გრძნობების, ემოციური მუხტის ტარების გარეშე, იმიტომ ვუკრავდით მე და შენ მისი გამოისობით ვითომ-მუსიკას, გაიგე?

– მაგარი ბრექია ბრძანდები – იმან არაფერი იცოდა და შენ ყველაფერი იცი!

– დიახაც! მე ის ვიცი, რომ ახლა ცივა და ჩვენ უნდა ერთმანეთს ჩავეხუტოთ, რათა არ შეგვციოდეს... მერე მზე ამოვა და ჩვენ გზას გავგრძელებთ – წინ ბევრი ფათერაკი გველის, მაგრამ ბევრ თვალგასახარსაც ვნახავთ, ამოდ მოსასმენსაც გავიგონებთ და ლამაზი მუსიკა აგვიყოლიებს! და სულ სიმღერ-სიმღერით უნდა ვიაროთ! ახლა ახალ სიმღერას ვიმღერებ და შენ ამყევი:

მე მაგარი დაკვრა ვიცი,
მე ძალიან ყოჩაღი ვარ,
მე გავხდები სახელგანთქმული ხელოვანი,
მე აუცილებლად გავიმარჯვებ!

– სულ "მე-მეს" პეტელებ თხასავით...

– რა უგემური ვიღაცა ხარ! შენ შეურაცხყოფას მაყენებ, საჩხუბრად მიწვევ? გირჩევნია, ჩემთან ერთად იმღერო:

ჩემი ძამიკო ძალინ მიყვარს,
თუმცა ხშირად სისულელეებს მეუბნება.
ჩვენ ახალ სიმღერას ვიმღერებთ:
ჩვენ მაგრები ვართ, ყოჩაღები,
ჩვენ თავისუფლება ყველაფერს გვირჩევნია
და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

– ჰო, როგორ არა, გამარჯვების ჩიტი, დაჭერილი, უკვე ხელში გიჭირავს! – აწრიპინდა მარცხენა. – ბედო, გემუდარები: მოწყალე თვალით შეგვხედე, შეგვეხიდე, არ დაგვჩაგრო! განგაშია გამოცხადებული, ყველგან გვეძებენ... რა უნდათ ჩვენგან, არაფერი დაგვიშავებია!

– კარგი რა, არ მოგბეზრდა ამდენი წუწუნი? მე მინდა, გამოგაფხიზლო, ძალა მოიკრიბო, მინდა, შენს თავს აჯობო, დიდგულოვანი გახდე, მინდა, მოთქმა-ჩივილი დაივიწყო, მინდა, მე მაჯობო ყველაფერში!

– ლაპარაკი ადვილია!

– რისი გვეშინია! ჩემი წინაპრები მარტო ნეკით ორფუთიანს სწევდნენ მაღლა! – დაიტრაბახა მარჯვენამ.

– რას მებრიქები, – ეწყინა მარცხენას, – ის წინაპარი ჩემი წინაპარიც არ იყო?

– უჰ, რა ძალა მაქვს! – მარჯვენა მუშტად დამრგვალდა. – ნახე: კუნთი – ბურთი!

– თუ ესეთი ღონიერი ხარ, პარიკის ტარებაში მომეხმარე!

მარჯვენა:

– ბიჭო, რამდენჯერ უნდა გითხრა: ეგ პარიკი მოიხადე, სულელს ჰგევხარ! მერე კიდევ, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობ, ნამეტანი ხომ არ გიჭერს? მოისროლე და შენც მოისვენებ და მეც. ძვირფასი მადლობა ბატონ პრეზიდენტს – რა კარგად ჩავითბუნეთ მისი ძვირფასი პარიკის ქვეშ! ის მართლაც ყოველმხრივ მშვენიერია, მაგრამ ახლა მაგის თრევის თავი აღარ გვაქვს, თანაც ძალიან გვაბრკოლებს, სწრაფად ვეღარ გადავადგილდებით, ეს კი ჩვენთვის საშიშროების მომტანია...

– ჰო, იქნებ მართლაც მისი აქ დატოვება ჯობდეს... კარგად გაგვათბო, სანამ დასველდებოდა. ნაღდი პარიზულია, თანაც – საგანგებო შეკვეთით დამზადებული! საინტერესოა, ცოდვაში ხომ არ ჩავდგით ფეხი, ხომ არ დავაობლეთ ბატონი პრეზიდენტი, იქნებ დედისერთა პარიკი ჰქონდა და ისიც ყაჩაღურად მოვტაცეთ?

– არა უშავს, ცხელთავიანია და ცოტა გაგრილება მოუხდება. ანდა, პარიკი რა კაცის საქმეა? მე რომ მკითხო, გემრიელი მელოტი თავი კიდეც ამშვენებს მამაკაცს!

– რა გახდა ეს პარიკი, ერთი ვაიუშველებელი რომ ატეხა მისი დაკარგვით, ან საერთოდ, რად უნდოდა, თანაც – პარიზიდან ჩამოტანილი!

– ჩვენს ძვირფას პრეზიდენტს ფრიად ახასიათებს ხუშტურები: ქვეყნის ახალი ჰიმნი, ახალი ღერბი, ახალი დროშა, ახალი სასახლე, ახალი მინისტრთა კაბინეტი, ახალი საყვარელი, ახალი რესტორანი, ახალი პარიკი , თანაც – პარიზული! ყველაფერი ახალი! ჰოდა, შენ ნუ დარდობ: ახლა ახალ პარიკს ისევ შეუკვეთავს და მშვენივადაც მოირგებს, რაც მის მისწრაფებებს-ხუშტურებს სრულიად და სავსებით ძვირფასად მიესადაგება!

– შეგეკამათები: ხუშტურები, აბა, ვის არ აქვს! შენ რომ შლეგიანივით გამოვარდი შუა კონცერტიდან, ხუშტური არ იყო?

– სავსებით გეთანხმები და მეტსაც გეტყვი: სწორედაც ყოველი ჩვენთაგანისთვის დამახასიათებელი ეს განუმეორებელი ხუშტურები გვაქცევს ჩვენ საინტერესო პიროვნებებად და არა ცხვრის ფა-

რის რიგით წევრად... ბოდიშს ვიხდი: სიტყვამ მოიტანა, თორემ გამოცდილი მწყემსები შემომედავებიან: ყოველ ცხვარსაც თავისი ხუშტურები აქვს! ჰოდა, ბევრი რომ აღარ გავაგრძლო, მოკლედ მოგახსენებ, ჩემო ძმაო და მეგობარო: ყოველი ადამიანის ხუშტური დიახაც დიდად მოსაწონი და მისასალმებელია, ოღონდ ეს ხუშტური არ უნდა ლახავდეს სხვათა უფლებებს, არ უნდა ავიწროებდეს, ტკივილს აყენებდეს, თუნდაც – უხერხულობას უქმნიდეს! ხოლო, როცა ქვეყნის პრეზიდენტის თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირის ხუშტურები მხოლოდ ცალკეული მოქალაქის უფლებების კი არა, ქვეყნის სახელის შემბღალავია, ან რამენაირად აზარალებს ქვეყანას, უგულვებელყოფს მის ინტერესებს, ამ შემთხვევაში მავანი "მოხუშტურის" პასუხისმგებლობის საკითხი დგება! წესით – უნდა დადგეს! უამრავთაგან მხოლოდ ერთი, ძალიან დამახასიათებელი მაგალითი: როცა ბატონი პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ თურმე საზოგადო ბიბლიოთეკები, წიგნის მაღაზიები სრულიად ზედმეტია და მათ ადგილას უმჯობესი იქნება, ბიუჯეტში ფულის შემომტანი დისკოთეკები და კაზინოები გაიხსნას, ეს უბრალო ახირების ჩარჩოებში ვეღარ ეტევა და ხალხის მიზანმიმართული გამოთაყვანების ცხადი გამოვლინებაა, არ მეთანხმები? ოჯახაშენებულო, თუ შენ კითხვა არ გიყვარს, გაზეთებსაც კი არ კითხულობ, რასაც ქვეყნის გასაგონად ამაყად აცხადებ, სხვებს რადას ერჩი? აი, ბატონ პრეზიდენტის კიდევ ერთი ხუშტური: მხოლოდ ჩვენს დედაქალაქში კი არა, თურმე პროვინციულ ქალაქებშიც კი, რა ფერებში უნდა შეღებონ სახლები, პირადად ჩვენი დიდად განათლებული და უზადო ესთეტიკური გემოვნების მქონე ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი წყვეტს! თანაც – ღებავენ მხოლოდ მაგისტრალური ქუჩების გაწვრივ განლაგებულ სახლებს, რომელ ქუჩაზეც ჩვენი პრეზიდენტი გაისრიალებს მანქანით და საზღვარგარეთელ მაღალ სტუმრებს ჩამოატარებს, ამ სახლების უკან კი დანგრეული და გაპარტახებულია ყველაფერი – ლამაზი (რა თქმა უნდა, ბატონ პრეზიდენტის გაგებით) ფასადი უნდა ფარავდეს არცთუ მოსაწონ ნამდვილ სურათს... განათლების სისტემის ვითომ დიდად წარმატებულ რეფორმაზე გაუთავებელი ლაილაით ლამის თავი წაგვჭამონ და პედაგოგიურ პერსონალს რომ მათხოვრული ხელფასები აქვთ, ეს არავის აღელვებს და არც ის, რომ ამ სფეროსთვის ქვეყნის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები მინიმალურად აუცილებელზეც კი რამდენჯერმე ნაკლებია... ან სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები რას ჰგავს? თვითონ ფრიად უვიც ბატონ პრეზიდენტს გულწრფელად სჯერა, რომ განათლება მხოლოდ ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნაა!

– ჰო, ბევრ რამეს მართლაც უშნო ხუშტურის სუნი ასდის: საგარეო საქმეთა მინისტრად რომ ყოფილ გენერალურ პროკურორს დანიშნავ ან განათლების მინისტრად – კანალიზაციის სპეციალისტს... ისე, ვატყობ, ამათ ხელში მალე ახალგაზრდების უმეტესობა მხოლოდ წერა-კითხვას შეძლებს, იმასაც – გაჭირვებით...

– სამაგიეროდ, როგორც ვთქვი, სასაუბრო ინგლისურს ასწავლიან ყველას! თუ კომპიუტერის გამოყენებაც შეგეძლება, ყველგან გზა ხსნილი გაქვს, თუნდაც ერთი წიგნი არ გქონდეს წაკითხული, კულტურასა და ხელოვნებაზე, მშობლიური ქვეყნისა, ხალხის, მსოფლიო ისტორიაზე, ბევრ სხვა რამეზეც – წარმოდგენა არ გქონდეს! ბატონი პრეზიდენტის ცისფერი ოცნებაა, ჩვენი ტურფა ქვეყანა ტურიზმის მექად აქციოს და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი – ჩამობრძანებული ძვირფასი სტუმრების უმაღლეს დონეზე გაწვრთნილ მომსახურე პერსონალად: ოფიციანტებად, მზარეულებად, შვეიცარებად, დამლაგებლებად, პარიკმახერებად, მასაჟისტებად, გიდებად, შოფრებად, გამრთობ მოცეკვავე-მომღერლებად და ასე შემდეგ... უცხოეთიდან ჩამობრძანებული ჯიბესქელი სტუმრებისთვის ააშენებს ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ფართო ქსელს, უმაღლესი დონის აეროპორტებსა და ავტოსტრადებს... მათ უსაფრთხოებას და სიმშვიდეს დაიცავს კარგად გაწვრთნილი პოლიცია და პატრული... პატარა სამოთხე უცხოელთათვის! სერიოზული მეცნიერი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი – საერთოდ ზედმეტი ბარგია ქვეყნისთვის და უცხოურითაც იოლად გავალთ... ხალხი რომ გადაჯიშდება – ეგ არაფერი, ის კი არა, რაც მალე დაინგრევა და გაქარწყლდება ყოველივე ეროვნული, გამორჩეული სულიერი და ზნეობრივი ფასულობა – მით უკეთესი!

ამ მასლაათში თან ჩქარი სიარულიც არ ავიწყდებოდათ. გზა ოღროჩოღრო იყო, მალე დაებეგვათ თითთა ლებნები; სვლა უნებურად შეანელეს, დაღლაც დაეტყოთ.

– რას ჩამოგიშვია ცხვირი? – თქვა მარჯვენამ. – უქონელნი ვართ, არაფერი გვაქვს, თავისუფლების გარდა, მაგრამ მუსიკა ხომ მარად ჩვენთანაა! ორმოცდაექვსი წელიწადია, რაც ერთად მივყვებით ცხოვრებისეულ გზას და ორმოც წელზე მეტია, ჩვენთან ერთად მოდის მუსიკაც! ის ახლაც ჩვენთან არის, ჩვენს გულებშია, დაგვეხმარება და გაგვამხნევებს ძნელ გზაზე! მოდი, ვიმღეროთ, ხალისი მოგვემატება! პატარა ზეიმი მოვაწყოთ – ამ გაჭირვების ჟამს სიმღერა წამოვიწყოთ!

– რა მემღერება, თითებს ძლივს მივათრევ, დავისვენოთ! – ჩვეულებრივ აწუწუნდა მარცხენა. – ნეკი გადამეტყავა და სისხლი მდის.

– ჰოდა, კვალს ვტოვებთ, მეძებარი ძაღლებისთვის იოლი ლუკმა გავხდებით, ამიტომ მოვუჩქაროთ, მოვუჩქაროთ! – არ მოეშვა მარჯვენა. – მოდი, ლაშქრული დავაგუგუნოთ, ნახე, თუ არ დაგავიწყოს ტკივილი და დაღლა! მხნედ უნდა ვიყოთ!

– მაშინ მხიარული მარში დავცხოთ – ცუმპა-ცუმპა-ცუმპა-ცუმპა! ნეტა მალე გათენდებოდეს – ბამ-ბამ! მზის ბრწყინვალე, თბილი თვალი ამოგორდებოდეს – ბამ-ბუმ!.. ბამ-ბუმ!.. კონცერტზე შუმანის "კარნავალი" ბოლომდე ვერ გავირბინეთ, მარშამდე ვერ მივედით, ახლა კი, თუმცა არც შენ ხარ დავითი და არც – მე, "დავიდსბუნდლერების მარში" დავცხოთ, ბოლოში კი – ცქვიტად გავიქცეთ, **Tempo allegro!** გავხურდებით კიდეც!

მარჯვენა წინ გავარდა, თითების მონაცვლეობით მარდად გარბოდა, თითქოს პიანოფორტეს კლავიატურაზე ჩვეულებრივ ნავარდობდა.

როცა მარჯვენა კარგად გახურდა, შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა – მარცხენა ხელი არ ჩანს... დაიკარგა! ვაჰ, სად გაქრა ის მართლაც გასაქრობი ასე თვალსა და ხელს შუა? მაწანწალა ძაღლებითაა სავსე ქალაქი, რომელიმე მათგანმა ხომ არ დაიჭირა და გააცუნცულა? თუ საბრალოს სიბნელეში გზა დაებნა? მართლა ხათაბალაა ეს უმცროსი ძმა, სულ საწვალებლად და სატანჯველად უხდის საქმეს, მარად ძალად სათრევია... იქნებ ცოტა უკან დაბრუნება ღირდეს, ხმა მიაწვდინოს და ისიც გამოეხმაურება?

მარჯვენა აღმართს აუყვა და ფეხი, ბოდიში, თითი წამოჰკრა რაღაცას – გაფოფრილი თითები იყო მარცხენასი; ცერა თითი ქვეშ ამოეკეცა და ასე გართხმულიყო მიწაზე.

– ე, ბიჭო, ადექი!

– დამანებე თავი! – შეუღრინა მარცხენამ. – ჩემზე ძლიერი თუ ხარ, უნდა ანგარიში გამიწიო, დამეხმარო... არაქათგამოცლილი, მარტოდმარტო რომ მიმატოვე უკუნ ღამეში, ეს არის ძმობა? შიშით ლამის გული გამისკდა!

– უმადურო! რამდენჯერ დაგხმარებივარ, დაგავიწყდა? უჩემოდ არაფრად ვარგიხარ, მთავარი დატვირთვა საქმეში ყოველთვის ჩემზე მოდის, მაგრამ არასდროს დამიჩივლია და არც საყვედური მითქვამს შენთვის როდისმე.

– შენ თვითონ გეხალისება და იმიტომ აკეთებ, მე კი საინტერესო საქმეს არასდროს გამაკარებ! რამდენი გიძახე, დამასვენე-მეთქი, შენ კი ისე თავდავიწყებით იჭაჭებოდი ცუმპა-ცუმპათი, რომ ვერაფერი გაგაგონე.

– კარგი, ჰო, ხომ ისევ ერთად ვართ.

ალბათ, უკვე კარგა ხანია, მიხვდით, რომ თითები ძალიან განსხვავებული ბუნებისა გახლავან: მარჯვენა მტევანი – ფიცხია, შეუპოვარი, გამბედავი, სწრაფი, მარცხენა – დინჯი, თავდაჭერილი, წინდახედული, მშიშარა... მარჯვენა – მხიარულია, ანცი, ხუმარა – ვიღაცას შეუღიცინებს, ხუმრობით რაღაცას ააცლის, რაღაც ოინს მოუწყობს; მარცხენა – წუწუნაა, ყველა წარუმატებულობას ან მარცხს მარჯვენას აბრალებს...

მარცხენა ჩვეულებისამებრ ბუზღუნებს:

– რატომ გამოიქეცი, შეგეშინდა? წინასწარ რატომ არ გამაფრთხილე?

– რამდენჯერ უნდა მკითხო? მშიშარა შენ თვითონ ხარ! – უპასუხა მარჯვენამ.

– არაფერიც! თავიდანაც პირველი შენ გამოიქეცი თუ მე?

– კარგად გიცნობ, ჭირიმე, 46 წელი გავიდა, რაც ერთად მოვევლინეთ ამ ქვეყანას და ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც კი არ დავშორებივართ ერთმანეთს. რატომ მივატოვე კონცერტი? ამას რა დიდი ახსნა-განმარტება სჭირდება, ძალიან ადვილი მისახვედრია, მოკლედ აგიხსნი: მომბეზრდა!.. გაიგე? მო-მბე-ზრდა!.. შენ არ მოგბეზრდა?

– რით ხარ უკმაყოფილო? პატივი და მოვლა-პატრონობა ჩვენ არ გვაკლდა, უკმაყოფილო უფრო მე უნდა ვიყო: შემოქმედებითად ჩემი როლი ბევრად ნაკლებ საინტერესოა ხოლმე, სულ შენს დაკრულს ანდა ავყვე, მელოდიურ ფიგურაციებს მე ვინ მაღირსებს, მხოლოდ ბანი უნდა მოგცე ან რიტმული ნახაზი გამოვყო... მე არ ავფოფრილვარ, ყალყზე არ დავმდგარვარ და შენ რა წერამ აგიტანა, ვერ დაეტიე შენს ქერქში?

– შემოქმედებითად როგორ უნდა ვიყო კმაყოფილი? შეიძლება სულ მხოლოდ ცივი გონებით, უგულოდ დაკვრა – თოჯინასავით, გრძნობის და მღელვარების გარეშე? მექანიკური პიანინო ხომ არ ვართ, ცოცხლები ვართ, თბილები, მგრძნობიარენი: დაკვრის დროს გვინდა, ვიგრძნოთ სიხარული, მწუხარება, სევდა, აღფრთოვანება, ხან – რაღაც საოცნებო, მიუწვდომელი, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ... ამიტომ არ იქმნება მუსიკა? ამიტომ სრულდება იგი – ყველასთვის სასიამოვნოდ, მათ შორის, ჩვენთვისაც, შემსრულებლებისთვისაც... ჩვენც უნდა დავრჩეთ შესრულების დონით კმაყოფილი, ხომ ასეა? კიდევ რა არის ჩვენს დღევანდელ გამოქცევაში კარგი, იცი? სულ ერთ ქვაბში ვიხარშებით, როიალის მეტს ვერაფერს ვხედავთ, ახლა კი შესაძლებლობა გვეძლევა, თვალში გამოვიხედოთ, ქვეყანა ვნახოთ, ახალი შთაბეჭდილებებით გავმდიდრდეთ, ხალხში გავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ, გავიგოთ ყველაფერი – რას ფიქრობენ, რა უჭირთ თუ ულხინთ...

– ბიჭო, ხედავ, იქ ხალხია შეკრებილი, რაღაც ჩოჩქოლია... სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თუ ძმა ხარ, მოვცილდეთ სასწრაფოდ აქაურობას, ხიფათს არ გადავეყაროთ! – შეშინებული მარცხენა მარჯვენას მიეხუტა.

– რას ამბობ, იმიტომ კი არ გამოვქცეულვარ, რომ ყოველ გაფაჩუნებაზე გული გამისკდეს შიშით! მივიდეთ, ვნახოთ, რა ამბავია!.. არ გაინტერესებს? ხედავ, ფანჯრებიდან რაღაცეებს ჰყრიან, ვინმე ჭკუაზე ხომ არ შეიშალა?

– ალბათ ცოლ-ქმარმა იჩხუბა... რა ჩვენი საქმეა, ერთმანეთისთვის ცხვირ-პირიც დაულეწავთ და კინჩხიც მიუყოლებიათ...

– არა, როგორც ვატყობ, უფრო სერიოზული რაღაც ხდება: შესაძლოა, რამდენიმე სართულზე ერთდროულად ჭკუიდან გადავიდნენ? ან ამდენი ცოლ-ქმარი ერთდროულად როგორ წაეჩხუბებოდა ერთმანეთს, თანაც შუაღამისას! ახლოს მივიდეთ, ამ ყიამეთში აქედან კარგად არაფერი ჩანს, ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი ისმის.

– არა, რას ამბობ, მეშინია! ჯობს, აქაურობას გავეცალოთ! – თავისას გაიძახის მარცხენა. – კარგად დაუკვირდი: უამრავი ფორმიანი ადამიანია, ხომ ხედავ, პოლიციის გარდა, საგანგებო დანიშნულების რაზმიც გამოუძახებიათ...

– ჰოდა, მაგათ საჩვენოდ არ ეცლებათ, ჩუმად მივეპაროთ. გადაწყვიტე: მოდიხარ ჩემთან ერთად თუ იმალები?

– ისევ მარტოს მტოვებ?.. ჰო, კარგი, მეც წამოვალ... ოღონდ შენ წინ წადი და მე უკან გამოგყვები...

უამრავი ადამიანი შეკრებილა ახალთახალი თოთხმეტსართულიანი სახლის შორიახლო, რომელშიც ეს-ესაა შესახლდნენ ბედნიერი მაცხოვრებლები და რომელსაც მერიის განკარგულებით ახლა დასანგრევად შეესივნენ საგანგებო დანიშნულების გაძლიერებული რაზმის თანხლებით მობრძანებული დამანგრეველები...

თითები დაძვრებიან ხალხში, უსმენენ ლაპარაკს და რა გაიგეს?

მოხდა საზარელი მოვლენა, რომლის ხილვაც შემდგომ მრავალგზის შეეძლოთ ტელემაყურებლებს მთელ მსოფლიოში; ჩვენთან მხოლოდ ერთადერთმა თავისუფალმა სატელევიზიო არხმა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუგრიხა კისერი ხელისუფლებამ, გადასცა ეს კადრები:

ჯერ მოვიდა სპეციალური დანიშნულების ნიღბებიანი რაზმი და მაცხოვრებლებს უბრძანეს, საჩქაროდ დაეტოვებინათ სახლი, – ამას მეგაფონით ხშირ-ხშირად იმეორებდა დაბალი, ჩამრგვალებული კაცი, – რათა მუშებს საშუალება ჰქონდათ, დაუბრკოლებლად დაეწყოთ მათზე დაკისრებული დავალების დაუყონებლივ შესრულება – სახლის ძირფესვიანად, საძირკვლამდე დანგრევა. ცხადია, მოულოდნელი წინადადებით გაოგნებული მობინადრეები არ აპირებდნენ აბსურდული, ყოვლად უკანონო ბრძანების შესრულებას: ასე უცებ სად უნდა წასულიყვნენ? მით უმეტეს, მათ მოთხოვნაზე ვერავითარი ოფიციალური საბუთი მომხდურებმა ვერ წარმოადგინეს... შემდგომ გაისმა სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაურის ბრძანება, რაზმელებმა ჯიქურ შეამტვრიეს შენობის სადარბაზოში შესასვლელის ჩაკეტილი კარი; ბინებში შეჭრილი სპეციალური დანიშნულების რაზმის მეომრები ძალით აიძულებენ მობინადრეებს, რათა მათ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრისი, განსაკუთრებით ურჩებს ხელკეტებით უმასპინძლდებოდნენ, წიხლებით აგდებდნენ შენობიდან...

ახლა კი ჩანს, როგორ გავეშებულნი ამტვრევენ მუშები სართულებზე ფანჯრებს, – ეტყობა, ძალიან ჩქარობენ ყოველმხრივ შავი საქმის შესრულებას, – ქვევით ცვივა დამტვრეული რაფები და მოდის დამსხვრეული შუშის წვიმა; შემდგომ ზევიდან ყრიან საოჯახო ნივთებს, ისმის მიწაზე მათი დაცემის ბრგვან-ჭახანი...

მოგროვილ აღშფოთებულ ხალხს აკავებს სასწრაფოდ გამოძახებული პოლიციის გაძლიერებული რაზმი.

თითები გაერივნენ ბრბოში და უსმენდნენ ცხოველ საუბრებს...

– რატომ ყრიან საოჯახო ნივთებს, ჭურჭელს პირდაპირ ფანჯრებში?

– ამათგან არ გაგიკვირდეს, თუ ადამიანების გადმოყრასაც დაიწყებენ...

– რას ერჩიან?

– ხალხი უნდა ძალით გამოასახლონ და ისინი არ ემორჩილებიან, ხომ გესმის, რა წივილ-კივილია ატეხილი! მოქალაქეთა უფლებების დამცავი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებიც აქ არიან, აპროტესტებენ ამ ვანდალიზმს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს...

– რატომ უნდა გამოასახლონ, რა უნდათ, რას ერჩიან?

– სახლი უნდა დაანგრიონ, უყურე, ზემო სართულიდან უკვე დაუწყიათ კიდეც...

– გავიწიოთ, ცოტა მოშორებით დავდგეთ, თორემ არაა გამორიცხული, ვინმე უგუნურმა ზევიდან აგური ან ბეტონის ნატეხი პირდაპირ ჩვენკენ ისროლოს...

– ეს ტერიტორია ვიღაცას თვალში მოუვიდა – "პრესტიჟული" ადგილია, შემოიერთებს და საკუთარ სასტუმროს კიდევ ერთ კორპუსს მიუშენებს... მიუსია საწყალ მოსახლეებს პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმი და – მიდი!.. გაუფრთხილებლად, სრულიად მოულოდნელად, ყაჩაღებივით დაესხნენ თავს.

— ვინ მისცა მათ ამის უფლება?

— რომელ კანონსა და საკუთრების უფლებაზე მელაპარაკები, თუ ძმა ხარ! ეს სახლი კოოპერატივმა ააშენა, საკუთრების დამადასტურებელი ყველა საბუთი ხელზე აქვთ... სულ ორი თვის წინ შესახლდნენ მაცხოვრებელები. ბევრმა ძვირფასი რემონტის გაკეთებაც მოასწრო, წყალში ჩაეყარა ამდენი ფული!

— თორმეტსართულიანი სახლის დანგრევა რომელ რეგვენს მოუვიდა თავში? სრულიად უკანონოდ, თანაც — ახალაშენებულის...

— "კარგი" ადგილის ძალადობით ხელში ჩასაგდებად შუაღამე შეარჩიეს — ყველაზე მოხერხებული დროა ბნელი საქმისთვის...

— აბა, კაცო, ამისთვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობს: არც სასამართლოს დადგენილება, არც სხვა რაიმე საბუთი. ვიღაცას, ფული რომ ბლომად უჭყივის ჯიბეში და გავლენიანი ძმაკაცებიც ჰყავს მმართველ პარტიასა და მთავრობაში, სურს ეს მიწის ფართი ჩაიგდოს ხელში და არად დაგიდევს იმას, რომ ამდენ ადამიანს გააუბედურებს... სად უნდა წავიდნენ საწყლები, ან ვინ აუნაზღაურებს მათ მატერიალურსა და მორალურ ზარალს? ხედავ, ეს საწყალი მოხუცი კაცი საკაცით მიჰყავთ, ეტყობა, ავადმყოფი წამოაგდეს ლოგინიდან...

— ამ უკვე უსახლკარო ბავშვებიდან ზოგიერთს ხელში სასკოლო ჩანთა უჭირავს, მხოლოდ მისი წამოღება მოუხერხებიათ, ვერ შეელივნენ, თუმცა, დილით სკოლაში წასვლის თავი ექნებათ?

— იჩივლე, სადაც გინდა და რამდენიც გინდა! შეხედე, ვინ არიან ეს ვანდალები, ავეჯს პირდაპირ ფანჯრებიდან ყრიან...

— ეს ოხერ-ტიალები ოჯახებში არ გაზრდილან, სახლები არ აქვთ, შვილები, დედ-მამა არ ჰყავთ?

— ალბათ წიწილებივით ინკუბატორში არიან გამოჩეკილნი...

— ბრძანებას ასრულებენ...

— მერედა, რატომ? მათაც ხომ კარგად იციან: უკანონო, დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებაც დანაშაულია!

— მე რომ მკითხო, ასეთი წოწოლა საცხოვრებელი სახლების აშენებაც დანაშაულია!

— თურმე ჩამოსულან ჩინელები და ორმოცსართულიან სახლებსაც აშენებენ! ქალაქში ოცსართულიანის აშენებაც კი დაუშვებელია...

— ჩიტი ხომ არ ხარ, როგორ უნდა იცხოვრო ამგვარ სახლში? ციხეა!

— ფრთხილად, ახლა წიგნების კარადა ჩამოაგდეს, უკვე ცარიელი — წიგნები მანამდე გადმოაფრინეს მტრედებივით...

— ეტყობა, მაგარი მწიგნობარი ხალხია შერჩეული შენობების დასანგრევად!

— ჰო, ინტელიგენტობა პირდაპირ ყურებიდან უჟონავთ: ფანჯრის რაფებს ძალაყინებით ამტვრევენ და ქვევით აგდებენ; მანდამაინც უნდა დაამტვრიო, ისე ვერ მოხსნი?

— ჩქარობენ! რამდენიმე დღით ადრე სხვაგანაც ჩაატარეს ამგვარი სანაქებო ოპერაცია, ოღონდ დღისით და იცი, დღისით რატომ? ხალხის დასაშინებლად, მათი წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასათრგუნად: აი, ნახეთ, რა მაგრები ვართ, რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ და კარგი დედ-მამის შვილები ხართ და გაბედავთ, რომ ხელი შეგვიშალოთო...

— ახლა რომ შუაღამე შეარჩიეს? რატომ?

— იმიტომ, რომ შუაღამე ძველთაგანვე ნაირგვარი ჯურის ნაძირალასა და ავაზაკს ყველაზე მოსახერხებელ დროდ მიაჩნდა შავი საქმეების საკეთებლად; მეორეც, ხალხის დაშინება ვერ შეძლეს და ადრე, დღისით ჩადენილმა "გმირობებმა" ისეთი აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში და საზღვარგარეთიც იმდენად მწვავედ გამოეხმაურა ამგვარ ქმედებას, რომ ახლა, როგორც ხედავ, შეცვალეს მოქმედების ტაქტიკა.

— არა, კაცო, შეხედე, რამდენი პროექტორია მოტანილი, საგანგებოდ ტელეკორესპონდენტებიც მოიწვიეს და ისე ანგრევენ, რომ ყველამ დაინახოს: "შეხედეთ, როგორც ამ თორმეტსართულიან შენობას მოვაშთობთ, თანაც ისე, რომ საძირკველსაც კი მოვსპობთ, ამგვარადვე მოგივათ ყველას, ვინც ურჩობას გაბედავსო! ჭკვიანად იყავით, თორემ ყველას გავჭყლეტთ, ვინც ხმას ამოიღებს, ოდნავ მაინც წინააღმდეგობის გაწევას იფიქრებს!".

— ამიტომაა, რომ შედარებით ცოტა ხალხი შეიკრიბა, უფრო სეირის საყურებლად ჩანან მოსულნი და იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ხვალ მათ შეუვარდებიან სახლში, რაღაცას შარს მოსდებენ და დააპატიმრებენ, ან, თუ ის ადგილი მოუვიდათ თვალში, გამოუყრიან ქუჩაში ყველაფერს და მეორე დღეს იმ სახლის მაგივრად ნანგრევებიღა იქნება! ზუსტად ისევე მოხდება, როგორც ახლა ამ გაუბედურებულ ხალხს უქნეს! შეხედე: ყვირიან, ჩხავიან, იწყევლებიან, კანონიერებასა და სამართლიანობას ითხოვენ, მაგრამ ათიოდე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პროტესტი უშველის საქმეს?

– არა, არ გეთანხმები: სიბნელეში ცუდად ხედავ ან თვლა არ გცოდნია – უამრავი ადამიანია შეკრებილი... მაგრამ რად გინდა: საკუთარი ბინებიდან უხეში ძალით ამ წვიმასა და ქარში გამოყრილ, გაუბედურებულ ხალხს ვერაფერს ვშველით!

– კანონი ამ ქვეყანაში არ არსებობს!

– ბიუჯეტი ივსება წართმეული ქონებით!

– პირადი საკუთრება დაუცველია!

– მონოპოლიების პარპაში!

– ყველანი ისინი – ბატონ პრეზიდენტის ძმა და მეგობარია! დანარჩენებს, ვინც მის "გუნდში" არ მოიაზრებიან, – არ გაახარებს!

– "ხონთქარი" მავანს "იხმარს" და ტუალეტის ქაღალდივით "გადააგდებს"!

– მომსპარია ყველაფერი!

– უყურე, თავისუფალი ტელევიზიის კორესპონდენტს ნიღბიანებმა თავ-პირი დაუმტვრიეს!

– სახეზე სისხლი სდის და აპარატურას მაინც არ თმობს...

მარჯვენა აიფოფრა:

– ჩემო ძმაო, ვედარ ვუყურებ ასეთ უსამართლობას, ლამის გავგიჟდე! მოდი, ცოტათი მაინც შევუშალოთ ხელი ამ უკეთური საქმის შემსრულებლებს...

მარცხენა მოიკუნტა:

– შენ ნაღდად თავში გიქრის და რაც გინდა, ის ქენი, რაღად გინდა, მეც შარში გამხვიო? თანაც, იმ სიმაღლეზე როგორ უნდა აბობღდე? ამდენი ხალხია აქ შეკრებილი და ვერაფერი იღონეს, შენ კი, რომც ააღწიო მეათე-მეთორმეტე სართულებამდე, რა უნდა შეძლო?

– მაშინ მეგაფონიან მსხვილკისერა კაცთან მივბობღდეთ! კისერში ნაზად მივეფეროთ!

– გაგიჟდი? შენს გამოსწორებას არაფერი ეშველა, ისევ თამაშისა და ცუდლუტობის იშტაზე ხარ მოსული? თუ მართლაც სერიოზული რამ გაქვს ჩაფიქრებული, ტყუილად მოინდომე ამ ოღროჩოღრო წუთისოფლის მარტოდმარტომ გასწორება. ბატონო დონ კიხოტო, ხომ ხედავ, უძლურები ვართ, ამ უბედურთა დასახმარებლად, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიღონებთ... ჯობს, დროზე წავიდეთ აქედან, სანამ ვინმემ ფეხი არ დაგვადგა და საავადმყოფოში მოგვიწია მოხვედრა! ერთიც გაითვალისწინე: ხომ არ დაგავიწყდა, რომ ძებნილები ვართ?..

– საკუთარი უილაჯობის გრძნობა მაცოფებს! – წამოიძახა მარჯვენამ. – ახლა იქნებ მართალიც ხარ, ნათქვამია: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს...

– აგაშენა ღმერთმა!

– ამ მოძალადეთა უფროსს გამოსამშვიდობებლად მაინც ნაზად ვუჩქმეტ ერთ ადგილზე! არა, ჯობს, ერთი ჟანგიანი ლურსმანი მომაძებნინე!

– არაფერი გამოგვივა, ხედავ, რამდენი ადამიანი ირევა, ვინმე აუცილებლად ფეხს დაგვაბიჯებს!

მარჯვენა ძმას აღარ უსმენდა, დაიკარგა. რამდენიმე წუთში მეგაფონიანმა მუტრუკმა გამწარებულმა წამოიძახა:

– ობობები! ტროპიკული ობობები!.. საჯდომზე მიკბინა!

პოლიციელები მეფაფონიანთან მიცივდნენ...

შემდეგ კიდევ რამდენიმეს მოხვდა ჟანგიანი ლურსმანი ერთ რბილ ადგილას და ატყდა ერთი ვაიუშელებელი:

– საიდან მოხვდნენ აქ?

– შხამიანი იქნებიან!

– ავტომატის ჯერი და მისი ჯანი!

– არა, პატარა ობობებია, ვერ მოახვედრებ; ორლულიანი თოფი სჯობს, მოიტა მსხვილსაფანტიანი პატრონები!

კიდევ უფრო აირია მონასტერი... დროა, თითებმა ამ გარემოებით ისარგებლონ და დროზე მოკურცხლონ...

მარცხენა:

– გავიქცეთ!

მარჯვენა:

– ეჰ, სად უნდა გავიქცეთ, ყველგან უსამართლობაა გამეფებული, ყველგან – სისასტიკე, დამცირება და აბუჩად აგდება, სიცივე და შიმშილი...

– საყოველთაო უიმედობა...

– სხვა გზა არ გვაქვს, მაინც უნდა დავიმალოთ!

– აბა, რა დროს ლაქლაქია, დროულად მოვკურცხლოთ!

– ვაჰ, ამ ბოლო დროს როგორ გაყოჩაღდი, მეც კი მასწრებ! – გაკვირვებულია მარჯვენა. – სუფთა ჰაერზე წანწალმა გაგავარჯიშა ასე თუ შიშმა შეგასხა მერცხლის ფრთები?

კარი VII.
ვაჰ, დრონი, დრონი!
(Marcia funebre, სამგლოვიარო მარში)

თითები ჯერ თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ, შემდეგ ჩქარ სიარულზე გადავიდნენ. გზა-ქუჩა ფრიად ოღროჩოღრო იყო, მალე დაებეგვათ თითთა ლებნები; სვლა უნებურად შეანელეს, დაღლაც დაეტყოთ.

– ცოტა გული მოვიფხანეთ, ამ მოძალადეებს კარგი ოინი მოვუწყვეთ და ხახვივით შეგვრჩა! – ძმას ეუბნება მარჯვენა. – ვიჩქაროთ, აქაურობას რაც შეიძლება, სწრაფად მოვშორდეთ!

– სანამ სამშვიდობოს გავაღწევთ, მე ჩემი დამემართება! – ჩივის მარცხენა.

– მოდი, ვიმღეროთ! – თქვა მარჯვენამ. – ხალისი მოგვემატება!

– კარგი რა, ისევ შენსას უკრავ? – კვლავ აწუწუნდა მარცხენა. – რა მემღერება, თითებს ძლივს მივათრევ, დავისვენოთ! ვერ ხედავ, ნეკი გადამეტყავა და სისხლიც მდის...

– ჰოდა, ცხად კვალს ვტოვებთ, ამიტომ მოვუჩქაროთ, მოვუჩქაროთ! – არ მოეშვა მარჯვენა. – მუსიკოსი ხომ ხარ? ჰოდა, მოდი, ერთი გემრიელი ლაშქრული დავაგუგუნოთ, ნახე, თუ არ დაგავიწყოს ტკივილი! დამიჯერე, უებარი წამალია!

– მაშინ მარში დავცხოთ – ცუმპა-ცუმპა-ცუმპა-ცუმპა! ნეტა მალე გათენდებოდეს – ბამ-ბამ! მზის თვალი ამოგორდებოდეს – ბუმ-ბუმ!.. გათენდებოდეს და დათბებოდეს – რამპა-რუმპა-რამპა-რუ-მპა!.. ეს ჩემი მარშია, გასამხნევებლად სახელდახელოდ შეთხზული, ხომ არ ჯობს, რომელიმე ძველი მარში გავიხსენოთ?

– კარგი, ახლა მე ექტორ ბერლიოზის "რაკოცი მარშს" დავცხებ და შენ ამყევი! რამ-პა-რამ-პა–რამ-პა-რა!..

– იქნებ უფროსი იოჰან შტრაუსის "რადეცკის მარში" ჯობდეს?

– თუ მხოლოდ ცუმპა-ცუმპა კი არა, არამედ სიმღერაც გინდა, მაშინ კარლ მარია ფონ ვებერის "მონადირეთა გუნდი" დავცხოთ ოპერიდან "ჯადოსნური მსროლელი"! თანაც, მართლაც ჯადოსნური ღამეა და მოუხდება!

– ჯერჯერობით ჩვენ მონადირეებს არაფერი გვიგავს...

– პირიქით, ჩვენზე ნადირობენ, მაგრამ სასიმღეროდ მართლაც კარგი გუნდია, აბა, ჰე!.. – დაუდასტურა მარჯვენამ, ოღონდ არც გერმანული იცოდა და არც – სიტყვები, თუმცა ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია და ომახიანად, მთელი ხმით გაუტია: – რამ-პა-რა, რამ-პა-რა, რამ-პა-რა, რამ-პა-რა-რა!..

ცოტა ხანში მარჯვენა შეჩერდა – რატომ არავინ აჰყვა? მიიხედ-მოიხედა – მარცხენა ხელი არ ჩანს... სად გაქრა ასე თვალსა და ხელს შუა?.. მგელმა ან ტურამ ხომ არ მოიტაცა?.. თუ სიბნელეში გზა დაებნა? მართლა ხათაბალაა ეს უმცროსი ძმა, სულ საწვალებლად და სატანჯველად უხდის საქმეს, მარად ძალით სათრევია... იქნებ ცოტა უკან დაბრუნება ჯობდეს, ხმა მიაწვდინოს?.. ნეტა მალე ირიჟრაჟოს...

მარჯვენა ჩაღმართს დაუყვა და წაფორხილდა: ფეხი, – ბოდიში, თითი! – წამოჰკრა რაღაცას – გაფოფრილი თითები იყო მარცხენასი, ცერა თითი ქვეშ ამოეკეცა და ასე გაუნძრევლად გართხმულიყო მიწაზე.

– რა დაგემართა, ე, ბიჭო, ადექი!

– დამანებე თავი! – შეუღრინა მარცხენამ. – რომ მიმატოვე არაქათგამოცლილი, მარტოდმარტო უკუნ ღამეში, ეს არის ძმობა?

– უმადურო! რამდენჯერ დაგხმარებივარ, დაგავიწყდა? უჩემოდ არაფრად ვარგიხარ, ჩვენს სიცოცხლეში ძირითადი დატვირთვა ყოველთვის ჩემზე მოდის, მთავარი პარტია მიმყავს, მაგრამ არასდროს დამიჩივლია და არც საყვედური მითქვამს შენთვის როდისმე.

– გეხალისება და იმიტომ აკეთებ, გემრიელი ლუკმა ყოველთვის შენია, საინტერესო საქმეს არასდროს გამაკარებ!

– რატომ, ძმაო, ხშირად ვუკრავთ ხოლმე ხელების გადაჯვარედინებით, გერმანულად – **Uberschlagen.** მაშინ შენ ჩემს კუთვნილ კლავიშებზე ხომ დაგლიჯინობ!

– ათასში ერთხელ... შენ ჩემი გულისტკივილი არასდროს გესმის. ახლაც, რამდენი გიძახე, დამასვენე-მეთქი, შენ კი ისე იჭაჭებოდი ცუმპა-ცუმპათი, რომ ვერაფერი გაგაგონე.

– კარგი, ჰო, ნუღარ მსაყვედურობ, ხომ ისევ ერთად ვართ. ნახე, რა მშვენიერი ღამეა, რა ხანია, ღია ცის ქვეშ არ ვყოფილვართ ამ დროს. რა გარინდებაა, როგორ გაყუჩდა ირგვლივ ყოველი სულიერი თუ უსულო!

გარშემო ერტყათ მოღუშული და განგაშით შეფერილი შემპარავი სიჩუმე...

მარტონი იყვნენ უკიდეგანო სივრცეში და არც იყვნენ მარტონი – ძმას ძმა ჰყავდა გვერდით და მათი სულები გაითქვიფა, განეფინა მარადისობის სიმყუდროვეში, შეენივთა სიბნელესა და ვარსკვლავთა ციალს... გაიჟღინთნენ ღამის ჯადოსნური ხიბლით: მსჭვალავდათ კდემა, კაეშანი – სიამესთან, სილამაზესთან და რაღაც განუმეორებლის ხილვასთან და შეუცნობელ გრძნობასთან დაკავშირებული...

მარცხენა წამოდგა, მარჯვენა გვერდით ამოუდგა და ისევ დაიძრნენ დაღმართში; მალე პატარა აღმართი შეენაცვლათ და... მოულოდნელდ სასაფლაოზე ამოყვეს თავი!

შუაღამის სასაფლაოს იდუმალება: საფლავთა ჩაშავებული ძეგლები, ცივი საფლავის ქვები, ბნელი კუნჭულები, ათასგვარი ბოროტი მოჩვენებებით დასახლებული მუქი ბუჩქები, რომლებიც, ქარით ატოკებულ-ამღელვარებულნი, რაღაცას შემპარავად, ავის მომასწავებლად, ჟრუანტელის მომგვრელად ჩურჩულებენ...

მეტი სიარული ვეღარ შეძლეს და, ფრიად გამოსავათებულებმა, მყუდრო სავანეს მიაშურეს – ერთ-ერთი საფლავის რკინის მესერში გაძვრნენ და, საფლავის ქვასთან მიყუჟულებმა, ერთმანეთს ჩახუტებულებმა, მაშინვე დაიძინეს.

როცა გამოიღვიძეს, სითბო და სიამე იგრძნეს – მაღალი კვიპაროზების კედელს გამოცდენილი ბორჯღალა მზის თვალი დაჰნათოდათ და მხიარულად უცინოდათ: "თბილად მოგესალმებით ძილისგუდებს, უკვე ქვეყნის საქმის გაკეთება მოვასწარი, წამოხტით, რაღა დროს ძილიაო".

როგორც მარტია ცვალებადი ხასიათის, შატაბუტა, აშარი, გაუწონასწორებელი, წინასწარ გაუთვლელი, ცეტი (კიდევ რამდენი შემიძლია ვთქვა, რამდენნაირად დავახასიათო, მაგრამ მკითხველს აღარ გადავღლი ჩამოთვლით!) – ასეთივეა ჩვენი გმირების დღევანდელი მდგომარეობაც: გაურკვეველი და მოულოდნელობებით აღსავსე... თუმცა, ბოდიშს ვიხდი, შევცდი: რაღა დროს მარტია, აპრილის მშვენიერი დღეა...

ბილიკები ძალუმად ამომსკდარ ხასხასა მწვანე ბალახს დაუპყრია, იასამანი სადაცაა აყვავდება, მყუდრო კუნჭულებში ნაზი ია აჟუჟუნებს თვალებს, ყველაზე მეტად კი ნარგიზის ყვითელი, თეთრგულა ყვავილები ახალისებენ გარემოს – ახალგამოჩეკილი წიწილებივით ჯგუფ-ჯგუფად, თბილად ღუდღუდებენ თითქმის ყველა საფლავზე...

აქაც, სასაფლაოზეც, ბუნების გაფურჩქვნის დღესასწაულია!

ჩვენი მოგზაური თუ მოხეტიალე თითები წამოიზლაზვნენ, გაკავებული სახსრები გაავარჯიშეს, თითქოს დაკვრისთვის ემზადებოდნენ და გზა განაგრძეს საფლავების ქვებსა და მესრებს შორის. მომძლავრებულ ლორთქო ბალახში თითქმის არ ჩანან; საით გაუწევიათ, ამის შესახებ მე ვერაფერს მოგახსენებთ, მგონი, თვითონაც არ იციან...

აუჰ, რამდენი საფლავია! ბევრზე ბევრი, და კიდევ ვინ იცის, რამდენი დაემატება – უსასრულოდ! რამდენს უცხოვრია ამქვეყნად და წასულა, რამდენი ახლა ცხოვრობს, შემდეგაც იცხოვრებს და სუყველანი ბოლოს მაინც წავლენ...

ძალიან ბევრ საფლავის ქვაზე გულის ამაჩუყებელი ეპიტაფიები ჰყვავის...

მარჯვენა და მარცხენა დიდხანს, ძალიან დიდხანს დაძვრებიან საფლავთა შორის, კითხულობენ ქვაზე ამოკვეთილ სასაფლაოს პოეზიის გულუბრყვილო, მაგრამ გულის ამაჩუყებელ ნიმუშებს და მათი სულების ზეცაში კაეშნის მჭმუნვარე, მაგრამ მსუბუქი ღრუბლები დაბორიალობენ...

ვაჰ, დრონი, დრონი!..

სევდის გრძნობა თავისებურად ლამაზია და ალბათ ამიტომაა სევდიანი მუსიკაც ყოველთვის დახვეწილი, ნატიფი. საოცარია, მუსიკა თითქოს უფრო დაკავშირებულია სიამოვნებასთან, მხნეობასთან, სიხარულთან – კიდევ შეიძლებოდა ჩამოთვლა მაჟორული გრძნობებისა, მაგრამ მინორული, სევდიანი, ურვით გაჟღენთილი მუსიკაც რამდენია დაწერილი, მათ შორის – სამგლოვიაროც... სასაფლაოზე ყოფნისას ძალუნებურად ნაღვლიან მუსიკა მოგეძალება, მკვეთრად გამიჯნულად იგრძნობ თავს ამა ქვეყნის ყოველდღიურობის ფუსფუსისგან, დროებით გადასახლდები სადღაც წარმოსახვით, იმქვეყნიურ გარემოში, თუმცა კი საგნობრივად, ხელშესახებად – ძნელად წარმოსადგენში...

დიახ, სასაფლაოზე, მყუდრო გარემოში, თითქოს გაორებული, წინააღმდეგობრივი გრძნობების ტყვე ხდები... ერთი მხრივ, საფლავის ძეგლთა მუქი, კუშტი იერი, მეორეს მხრივ – ყვავილთა ნათელი სიცილი... თითქოს აქაც ხარ, რა თქმა უნდა, ნამდვილად მიწაზე იმყოფები – ცხადად აღიქვამ: მზე ნაირფერად აჩახჩახებს გარემოს, ხედავ საფლავების უსასრულო მესრებს, როგორ ირხევიან კვიპაროზის კენწეროები ქარში, როგორ გაიშლიგინა მაწანწალა ძაღლმა, დაბოდიალობენ მათხოვრები და საფლავზე მისულთ დუდღუნით ჭუჭყიან ხელიგულებს უშვერენ... ამავე დროს, თითქოს ახლა, ამ წუთს, წარმოსახვის ფრთებით "იქაც" გადაფრინდები, მოუსავლეთში, სადაც ბევრნი წასულან და მომავალში წასვლა არც შენ აგცდება – სულ ეს ფიქრი გიტრიალებს თავში...

და უცებ ისევ იცვლება განწყობა: შეყვარებულთა წყვილს გადაეყარნენ! ეტყობა, ძალზე მოენატრათ ერთმანეთის ხილვა და მოუთმენლები არიან, პაემანის დრო ხომ საღამოა! მაგრამ რატომ ამოარჩიეს შესახვედრად ასეთი ადგილი? ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს სასაფლაო უკაცრიელია... საფლავის ქვაზე გვერდიგვერდ სხედან, ბიჭს გოგოსთვის მხრებზე პიჯაკი მოუხურავს, წელზე ხელი მოუხვევია და ღიმილით რაღაცას ეჩურჩულება, თითქოს ახლომახლო მყოფ ცოცხალთაგან ვინმე უსმენდეს! გოგო კი მოურიდებლად ხმამაღლა კისკისებს და ბიჭს კიდევ უფრო ეტმასნება – უკვე არც ისე ადრეა, მაგრამ მაინც ნაწვიმარზე საკმაოდ გრილა – თანაც მოფარებულში, ჩრდილში სხედან.

– სასაფლაოზეც შეიძლება შეხვდე ბედნიერს, – ამბობს მარჯვენა, – უფრო სწორედ, ბედნიერებს! შეხედე: გარშემო ერთმანეთის თვალების მეტს ვერაფერს ამჩნევენ... ახლა რაღაც ეშმაკი შემიჯდა თუ შემიჩნთა და ერთ ცოდვას მაინც ჩავიდენ, თუმცა, საკმაოდ უწყინრად გავეხუმრები, ძალიან არ დავაფრთხობ... ცოტას გავეთამაშები!

– ბავშვი ხომ არ ხარ, რა დროს თამაშია! თანაც, ბიჭი რომ გაგიბრაზდეს და მოგცხოს ერთი გემრიელად?!.

– შენი დაცვის იმედი მაქვს! – დაცინვით მიუგო მარჯვენამ.

– კიდევ გეუბნები, ბიჭო, დაანებე მაგათ თავი, შეგშურდა?

– არავისი ბედნიერება არ მშურს, მაგრამ თუკი ცოტა ლაღად გავერთობი და ამით არავის დავაზარალებ, ცოდვაა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება... სულ მჭვუნვარება და მწუხარე ფიქრის ტყვეობა დაგაბეჩავებს!

და მარჯვენა ბიჭს გაეთამაშა: შეუმჩნევლად აბობღდა ბუჩქის გადმოწოლილ ტოტზე და იქიდან წკიპურტი გაჰკრა კინკრიხოში!

მარცხენამაც ამჯერად დასძლია მორცხვობა – გოგოს თმებზე მოქაჩა, ოღონდ საკმაოდ მოზომილად, რომ არ სტკენოდა; მერე, თითქოს საპირწონედ, სალუქ ლოყაზე ალერსიანად ჩამოუსვა თითები...

გოგო და ბიჭი გულიანად აკისკისდნენ – ეგონათ, რომ ერთმანეთს გაეთამაშნენ!

მარჯვენა და მარცხენა კი ცელქობას არ იშლიან და ხან გაჰკრავენ წკიპურტს, ხან მიეალერსებიან – გოგო და ბიჭი დაბნეულად იხედებიან აქეთ-იქით, შემდეგ ხან – გაიბუტებიან, ხან – შერიგდებიან...

მეტისმეტი რომ არ მოსვლოდათ, თითებმა შეწყვიტეს ლაღობა...

მალე შეყვარებულთა მყუდროება დაირღვა: ახლომახლო გამოჩნდა სასაფლაოზე შემოსული დაკრძალვის პროცესია; ბიჭი და გოგო წამოხტნენ და იქაურობას გაეცალნენ – სასაფლაო საკმაოდ ვრცელი იყო და სხვა მყუდრო კუნჭულის მოძებნა არ გაუჭირდებოდათ...

ოჰ, რა ჭირვეული გაზაფხულია! – სრულიად მოულოდნელად საიდანღაც ღრუბლის მოზრდილი ნაფლეთი მობრძანდა, მზეს უბოდიშოდ ჩამოეფარა და თვალი დაახუჭვინა; არც ამით დაკმაყოფილდა, სწრაფად იზარდა, ჩამუქდა და ჯერ წვრილი წვიმა დაიწყო, მერე და მერე კი გამსხვილდა, თანდათან მოუხშირა კიდეც, მაგრამ, საბედნიეროდ, სწრაფადვე ისევ საცერში გაცრილივით მსუბუქი გახდა; სულ მცირე ხანში კი გაბადრული მზე კრიალა ზეციდან იცინოდა: ხომ არ შეგეშინდათ, მე ისევ აქ ვარ, აწი ასე უშნოდ აღარ გაგეხუმრებითო.

მარჯვენა და მარცხენა არ გაქცეულან: მათ დამალვა არ გაუჭირდებოდათ; ამის გარდა, ცნობისმოყვარეობამ უბიძგათ, ადგილზე დარჩენილიყვნენ და უფრო ახლოსაც კი მიუჩოჩდნენ გათხრილ საფლავთან შეგროვილ ხალხს. უფრო სწორედ, ათიოდე ადამიანი უსმენდა ვიღაც ბოხხმიან მაღალ კაცს, რომელიც გამოსათხოვარ სიტყვას ამბობდა, დანარჩენები შორიახლოს ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ...

– ეტყობა, ვიღაც "დიდი" კაცია, – მარჯვენამ უთხრა მარცხენას. – შეხედე, რა ძვირფას მუხის სასახლეში ასვენია ან როგორი ძვირფასად მორთული საზოგადოება მობრძანდა მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად... თუმცა, როგორც ხედავ, მათი უმრავლესობა სრულებით არ უსმენს ორატორს, ერთმანეთში ათასგვარ საკითხებზე საუბრობენ: ფეხბურთი, მომავალი საქმიანი გარიგება, მოსალხენად მავანის დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე წასვლა, ახალი მანქანის ყიდვა...

– არადა, ღირს მოსმენა, მართლაც კარგი ორატორია; ცოტა გატყლარჭულად კი ლაპარაკობს, მოკლედ ჯობდა, რომ ეთქვა, მაგრამ მოუსმინე, სახელდახელოდ როგორი წყობილსიტყვაობის ნიმუშს აცხობს – ეტყობა, ამ საქმეში საკმაოდ გაწაფულია... ოჰ, როგორი ქება-დიდებით ამკობს, პირდაპირ ცაში აჰყავს განსვენებული! თურმე ის იყო გამორჩეულად ნიჭიერი, უაღრესად განთლებული და განსწავლული, ბრწყინვალე პიროვნება, საზოგადო საქმეზე გადაგებული, წლების მანძილზე დიდი კოლექტივის სანაქებო ხელმძღვანელი, შესანიშნავი, სამაგალითო ოჯახის პატრონი, ჭირსა თუ ლხინში თანამდგომი ერთგული მეგობარი, კაცური კაცი – გეგონება, მეორე ასეთი ღვაწლმოსილი და ყველა სიკეთით დაჯილდოებული ადამიანი ამ საუკუნეში იშვიათად თუ დაბადებულაო... მიკ-

ვირს: აქ რატომ ასაფლავებენ? თუ ორატორის სიტყვას ვენდობით, ამ პატივცემული გვამის ადგილი აქ კი არა, დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია!..

— მოუსმინე, აგერ გვერდზე ზოგიერთები რას ლაპარაკობენ!

— ჰო, სრულიად საპირისპიროს: ღმერთმა აცხონოს, დროზე წავიდა, თორემ კიდევ ბევრ ცოდვას ჩაიდენდაო... კაცი ვერ ენდობოდა, მარად მოტყუებაზე იყო გამეცადინებული, თვალები სულ იმაზე ჰქონდა დაჭყეტილი, ვის რა წავგლიჯოო... უნიჭობის კომპენსაციას გაძრომ-გამოძრომით და ათას-გვარი მამაძაღლობით ცდილობდა და დიდი წარმატებითაც — მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებს რამდენი წელი ამშვენებდა თავისი ბრწყინვალე პიროვნებითო... არ მესმის, ნუთუ შეიძლება, ერთსა და იმავე პიროვნების შესახებ ასეთი განსხვავებული შეხედულებები არსებობდეს? ან ვინც მას აძა-გებს, აქ რაღა უნდა?

— ალბათ ვერ მოიკლებენ სიამოვნებას, უყურონ, მათგან ათვალწუნებული კაცი როგორ ჩადის სამარეში! ზოგნი კიდევ ვითომ ობიექტურად აფასებენ, ლაპარაკობენ: არა, მთლად უცოდველად ვერ ჩავთვლით, მაგრამ სულ წყალწაღებულიც არ იყოო... კაიკაცობის, მიმტევებლობის ნიღაბი აქვთ მორგებული. აქაც, როგორც ყველგან, ნიღბების კოლექციაა შეკრებილი: მავანნი ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ... შეხედე, ოჯახის წევრთა გარდა, ვინმეს ჭეშმარიტი მწუხარება თუ ეტყობა სახეზე? ერთობიან, ერთმანეთს ანეკდოტებს უყვებიან, იღიმებიან, ზოგი სიცილის შეკავებს არც ფიქრობს... შეხედე: ეგერ მავანნი ჩუმად რომ მიიპარებიან, თუ გინდა, ნაძლევს ჩამოვალ, სასაფლაო-დან გასულები პირდაპირ სასაუზმეში ან სასადილოში დურთავენ თავს და გემრიელადაც მოილხე-ნენ!..

— აბა, შე კაცო, საფლავში კი არ ჩაყვებიან!

მარჯვენა:

— თუკი ასეთი ყოვლისშემძლე იყო ცხონებული, ლამის ღმერთის ტოლი, ვის დასაფლავებასაც პატივი გვაქვს, დავესწროთ, რატომ თავისი უზენაესი ნებით არ შეწყვიტა ეს მომაბეზრებელი ცივი ქარი და წვრილი, განუწყვეტელი წვიმა?

— კაცო, ხუმრობა იქით იყოს და ჩვენ განსვენებულის არც ნათესავები ვართ და არც ნაცნობ-მე-გობრები, არც — მისი უბრალო ნაცნობებიც კი, ჰოდა, გამაგებინე, ნეტა რა გვრჯის, ამ ყიამეთში რომ ქარს და სიცივეს ვაჭმევინებთ თავს? ისევ მოიღრუბლა და ალბათ ისევ გაზაფხულის შხაპუნა გვესტუმრება...

— აბა, მოვუსვათ აქედან!

სასაფლაოს ჭიშკრისკენ გაბობღდნენ და ქუჩაში გასვლამდე, შუა გზაზე შეხვდათ კიდევ ერთი დასაფლავების პროცესია; აქაც ბევრი ხალხი ესწრებოდა დასაფლავებას და რათა გადათელვას გა-დარჩენოდნენ, თითები გვერდზე გადგნენ, მერე ერთ-ერთი საფლავის მესერში გაძვრნენ და იქიდან აკვირდებოდნენ ყველაფერს.

ამჯერად ახალგაზრდა კაცს, ძალადობის მსხვერპლს ასაფლავებდნენ — რამდენიმე დღით უკან ჩასაფრებულმა პოლიციელებმა სრულიად უმიზეზოდ და წინასწარ გაუფრთხილებლად სროლა აუ-ტეხეს ავტომანქანაში მსხდომ ვითომ საქურდავად მიმავალს... თან საოცარი ის იყო, რომ ოპერაციის მთელი მსვლელობა ტელეოპერატორების თანდასწრებით ჩატარდა, ანუ ის წინდაწინ დაგეგმილი იყო და მიზნად ისახავდა მოსახლეობის, უპირატესად — ოპოზიციის მხარდამჭერთა, დაშინებას — აი, რა ემართება იმათ, ვინც კანონს არ ემორჩილებაო... სხვანი განსხვავებულ თვალსაზრისს გამო-ხატავენ: უმიზეზოდ ასეთი რამ არ ხდება, ალბათ რამე უკეთური საქმე ჰქონა ჩადენილი და ცოდვამ უწიაო...

პროცესია ნელი მიიზლაზვნება... თითები უსმენენ ტალახიან აღმართზე დინჯად მიმავალ ადამი-ანთა საუბრებს; ეცოდებათ გარდაცვლილის დედ-მამა: ორივემ სამსახური დაჰკარგა; ორმოცდაათი წლის ასაკს მიტანებულთ, ახალი სამუშაოს შოვნა მხოლოდ ოცნებაში თუ შეუძლიათ, თუმცა ჯერ ჯან-ღონით სავსენი არიან; ამ დაღუპული შვილის იმედი ჰქონდათ — კომპიუტერების გამსაღებელ ფირმაში მუშაობდა და როცა დახვრიტეს, იმ დღესაც ერთ-ერთი შეკვეთის შესასრულებლად მიდიო-და... მეორე ვაჟი, ესპანეთში სამუშაოდ წასული, რაღაც გაუგებრობაში მოჰყვა და ახლა უცხოეთის ციხეში იხდის სასჯელს...

მომავალთა ნაკადი შეთხელდა; ზოგნი გვერდზე გადაუხვევენ, რომ მერე შეუმჩნევლად ჩამოს-ცილდნენ პროცესიას და უკან დაბრუნდნენ, აჩქარებით ჩაივლიან აწუნწუხებულ დაღმართს... ორ ასეთ ადამიანს კუდში მიჰყვნენ ჩვენი თითები — მაწანწალა ძაღლებს ერიდებიან და ეს ბატონები, იმედი აქვთ, თუკი გასაჭირი შეექმნებათ, ძაღლებს მოუგერიებენ...

და სასაფლაოს ჭიშკარს გამოსცდნენ თუ არა, სულ სხვა გარემოში მოხვდნენ: განსხვავებული, ცინცხალი ფერები, ხმაურიანი, აზიმზიმებული ქუჩა — მორბენალი ავტომანქანებითა და აქეთ-იქით მიმსწრაფი ადამიანებით; მზემაც გამოანათა ღრუბლებს შორის — უხარია! თითებსაც ცოცხალი, ოპ-ტიმისტური განწყობა დაეუფლათ — მათაც უხარიათ, მათ სულში მხიარული მუსიკა გუგუნებს!

პირველსავე სასაუზმესთან შეჩერდნენ კაცებიცა და ხელის მტევნებიც. შესასვლელის თავზე გრძელი ფირნიში "შემოიხედე, გენაცვალე!" წითელი, მოციმციმე ნათურებით გაკეთებული წარწერით ეპატიჟებოდა გამვლელ-გამომვლელს.

შესასვლელთან მიყუდებულ და ქარის მძლავრობისგან (აგრეთვე – ჯართის შემგროვებელთა ულმობელი "მადისგან") თავდასაცავად ჩაბეტონებულ რკინის ბოძზე მავთულებით საიმედოდ დამაგრებულ თუნუქის მოზრდილ ფურცელს ამშვენებდა მასზე დიდი რუდუნებითა და საკმაო ოსტატობით, ნატურალურზე დიდი ზომით დახატული თეთრჩაჩიანი, მსხვილულვაშიანი, ბარაქიანი ღიპით დამშვენებული მზარეული უზარმაზარი დანით მარჯვენა ხელში! სამზარეულოს ოსტატს "ფართოფორმატიან" გულღია ღიმილში გაუხევია პირი და თეთრად აელვარებს კბილებს-კლავიშებს, მარცხენა ხელით კი მიუთითებს მის გვერდით ზევიდან ქვევით ორ სვეტად ჩამოწერილ ნერწყვის მომგვრელ მენიუს:

"ხაში – 4 ლარი
ხაშლამა – 5 ლარი
ბეჭი – 4 ლარი
კარეიკა ღორის – 5 ლარი
ხინკალი – 50 თეთრი
ჯიგარი –2 ლარი
ბადე ქონი – 3 ლარი
კუპატი – 4 ლარი
მუქუჟი – 4 ლარი
აფხაზურა – 2 ლარი
ჩაქაფული ოჯახური – 4 ლარი
ოსტრი – 3 ლარი
წიწილა – 5 ლარი
მწყერი – 7 ლარი
ხარჩო – 3 ლარი
ოჯახური – 4 ლარი
ტვინი – 3 ლარი
ჯიგარი – 2 ლარი
ყაურმა – 3 ლარი
შაურმა – 2 ლარი 50 თეთრი
ლულა-ქაბაბი – 3 ლარი
მწვადი მაყალზე – 5 ლარი
კუბდარი –1,50 ლარი
ჩებურეკი – 0,70 ლარი
ჰამბურგერი – 0,70 ლარი
ჰოთ დოგი – 1 ლარი
ფიჩინი – 1,25 ლარი
ლობიანი – 1,30 ლარი
ხაჭაპური იმერული –1,20 ლარი
ხაჭაპური აჭარული – 1,50 ლარი
ხაჭაპური მეგრული – 1,20 ლარი
ხაჭაპური გურული – 1,20 ლარი
ნადუღი –1 ლარი
სოკო – 3 ლარი
სოკო ყველით – 2,5 ლარი
რულეტი ყველით – 0,80 ლარი
ნიგვზიანი ქადა – 0,50 ლარი
პიცა – 9 ლარი
პიცა დიდი – 12 ლარი
ხიზილალა – 5 ლარი
კალმახი – 15 ლარი
ორაგული – 15 ლარი
ლოქო – 15 ლარი"...

ძალიან გრძელი სია იყო ჩამოწერილი (მათ შორის – ოთხნაირი სალათა, ექვსნაირი ღვეზელი და ათნაირი ტკბილეულიც – ტორტის თამადობით!) და, ადგილის ეკონომიის მიზნით, შემოთავაზებულ კერძებს მეტად აღარ ჩამოვთვლი, თორემ მკითხველიცა და მეც, ამ ამბის მთხრობელი, ცოდონი ვართ – ჩვენს მშვენიერ დროებაში მშიერი ბევრია და რას ვერჩი ან მათ ან საკუთარ თავს...

მარჯვენას კი არ დაზარებია და ბოლომდე ჩაუყვა კერძების ჩამოწერილ სიას.

– უყურე, ამ სასაუზმეს რა ფართო "რეპერტუარი" ჰქონია! – ამბობს მარჯვენა, – უფრო უმაღლესი კატეგორიის რესტორნის სტატუსი მოუხდებოდა! ლექსივით არ ჩამოუწიკწიკებიათ ამ დალოცვილებს? ლექსი კი არა, მთელი ნერწყვის მომგვრელი პოემაა, ყველას რომ მოეწონება! ჯიგარი და ყაურმა რამ გაყო, ან წიწილას მაგივრად რომ ტაბაკა დაეწერათ მაგ დედ-მამა განათლებულებს, არ აჯობებდა? ან ეს "კარეიკა" რა უბედურებაა?

– ერთი ის მიკვირს, ამ დალოცვილებს ოთხნაირი ხაჭაპური რომ ჩამოუწიკწიკებიათ, ქართლ-კახურმა ან რაჭულ-ლეჩხუმურმა ხაჭაპურებმა ნეტავ რა დააშავა?

– სატყუარადაა ჩამოთვლილი, ერთნაირად უგემური იქნება ყველა. ჯობდა, ერთი ხაჭაპური ჩაწერონ და გემრიელი გამოაცხონ...

– არ დაიღალე ამხელა მენიუს კითხვით?

– კლავიშებზე დღეში 5-6 საათიან სირბილს ვარ მიჩვეული, რა დამღლის!

მარცხენა ცოტა შეშფოთებულია:

– ამ ფირნიშზე დახატულ მზარეულს ისეთი მსუნაგი ტუჩები და ცუღლუტი თვალები აქვს, თუ მოგვიხელთა, ნაღდად არ გაუჭირდება ჩვენი მოთუხთუხე ქვაბში დატყვევება! მშვენიერი ეგზოტიკური კერძი გამოვა – თითებს ჩაიკვნეტ! და იცი, რას დაარქმევს?

– "ათთითას ჩახოხბილი"! ერთი ულუფა – 20 ლარი!

– ასე იაფია ჩვენი სიცოცხლე? – დამწუხრებულია მარცხენა...

ამ დროს კი სასაფლაოდან წამოსულ კაცთაგან ერთ-ერთი მეორეს სთავაზობს:

– შევიდეთ?

– შევიდეთ, აბა არა?!. – მაშინვე ისმის პასუხად. – საოცრად გემრიელი მოგეჩვენება ამ დროს ჩვეულებრივი ხარჩო, სურნელოვან კახურს ჩამოასხამ ჭიქაში და ამ ქვეყნის სიამეთგან უდროოდ და სამუდამოდ განდგომილის გამოსათხოვარ სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით მოწიწებით დალევ...

– ხარჩო მშვენიერია, მაგრამ არც მარილმოყრილ ხაშლამაზე ან ცხელ-ცხელ ხინკალზე ვიტყოდი უარს! ზედ თავისი ას-ასი გრამი ცეცხლივით არაყითა და ორი კათხა ლუდით!

– ისეთი ამინდია, ნამდვილად მოგვნათლავს! – ეთანხმება პირველი.

– ესენი ჩვენს დიდად პატივსაცემ პრეზიდენტს, ბატონ ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილს, საკადრის თანამეინახეობას გაუწევდნენ! – უჩურჩულა მარჯვენამ მარცხენას. – მომყევი, ყოჩაღად ვიყოთ!

კაცებმა სასაუზმის კარი გამოაღეს და სასმელ-საჭმელისა და თამბაქოს სუნებით შეკმაზულსა და ყაყანით ავსებულ დარბაზში შევიდნენ (მათ უკან შეუმჩნევლად მიჰყვნენ თითებიც) – კუთხეში, თბილ სიმყუდროვეში მოკალათდნენ; ეს კუთხე თითებსაც მოეწონათ, განსაკუთრებით – უსაფრთხოების მხრივ...

კაცებს გაუტკბებათ აქ ყოფნა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე პირი მალევე კიდევ შემოემატათ – ისინიც დასაფლავებიდან "გამოპარულები"! – და მამაპაპური ლხინი გაიმართა! არც თითები იყვნენ უკმაყოფილოები – მშვიდად იყვნენ, არაფერი ემუქრებოდათ – აქ მათ ძებნას არავინ დაუწყებდა!

– ბიჭო, ქუჩაში რომ მოვდიოდით, ბოძებსა და კედლებს თუ მიაქციე ყურადღება? – ეკითხება მარცხენა მარჯვენას.

– რაში მაინტერესებს მესერი ან ბოძი, ძაღლი კი არ ვარ, ფეხი ავწიო! ბოდიში, თითი უნდა მეთქვა! – პასუხობს მარჯვენა.

– უნდა ყურადღებით ვიყოთ, ალბათ ჩვენი გაქცევის შესახებ უკვე განცხადებები იქნება გაკრული, შესაძლოა, იქვე ჩვენი ფოტოების ხილვითაც დავტკბეთ და შესაბამისი ჯილდოც იქნება დაწესებული ჩვენი დასმენისთვის ან – კიდევ უკეთესი – დაჭერისთვის! ვაჰ, რა ბედნიერ დროებას მოვესწარით!

– აბა რა, მაგრები ვართ! მერედა, რა თანხად შეგვაფასებენ ნეტავი? ან ჩვენი ფოტოები საიდან ექნებათ? თუ დაგვიჭირეს, როგორ დაადგენენ, რომ დიტმარ დომინორაულის საკუთრება ვართ, თითების ანაბეჭდები ხომ არასდროს აუღიათ ჩვენგან...

– ხომ იცი, ჩვენს პატრონს, მაესტრო დიტმარ დომინორაულს, საკუთარი ხელის თითები დაზღვეული ჰქონდა, ჰოდა, ალბათ ხელშეკრულებას ჩვენი ფოტოებიც დაურთეს... მაესტრო ხელს რომ აწერდა პოლისს, სწორედ შენ გეჭირა კალამი ხელში, თუ გახსოვს, რა თანხაზე იყო საუბარი?

– სადაზღვევო თანხა შეადგენდა ორასი ათას ლარს! ანუ თითო ხელის ჯანმრთელობა შეფასებულია ასი ათას ლარად!

– ყოჩაღ ჩვენ!

ლხინი კი მიედინებოდა, როგორც წესი და რიგია. აურჩევლად თამადად დამდგარმა ჯერ მათი თავშეყრა ადღეგრძელა და ისურვა, სხვა დროს უფრო კეთილი მიზეზით შეყრილიყვნენ პურის საჭმელად ერთად, მეორე ჭიქით ისურვა, იმქვეყნად უდროოდ წასულის სული განათლდესო, საცა არისო, შემდგომ ლხინი გახურდა და, მორიგი სადღეგრძელოს დალევის შემდეგ, სუფრის წევრთაგან ერთ-ერთმა, განსაკუთრებით შეხურებულმა, წინადადება წამოაყენა:

– მოდი, ვიცეკვოთ!

– სად, მაგიდაზე? აქ არც დამკვრელ-მომღერლები ჰყავთ, არც საცეკვაო ადგილი აქვთ!

– რესტორანში ხომ არ გადავინაცვლოთ?

მაგრამ უმრავლესობა ასეთ "გადასახლებას" წინ აღუდგა, კერძოდ, თამადამ განაცხადა:

– ქორწილში კი არა ვართ, შენ მამაპაპური ჯიხვის ყანწებიც მომინდომე, აი! მოიცა, კაცო, სად უნდა წავიდეთ, კიდევ ერთიც დავლიოთ და დოლ-გარმონი ჩვენს სულებში დაუკრავს გემრიელად და ჩვენი გულებიდან ისეთი სიმღერა ამოფრინდება – შენი მოწონებული! შენ დაუკარ! აბა, ერთიც ჩამაასხი!.. ამ ოღროჩოღრო ქვეყნიერებას გაუმარჯოს, საცა ერთნი – იბადებიან, მეორენი – სამარადჟამოდ გვტოვებენ, ერთნი – გლოვობენ, მეორენი – ტაშ-ფანდურით ყირას გადადიან... რას იზამ, ასეა მოწყობილი ეს ტიალი წუთისოფელი! ჰოდა, სანამ ულმობელი მიქელ-გაბრიელი ჩვენს ცოდვილ სულებს მოაკითხავს, ჩვენ ჩვენ-ჩვენი წილი ღვინო დავაგემოვნოთ, მწარე განვდევნოთ ტკბილით, ურვა და დარდი – ლხინით! ხომ კარგად გამომივიდა! ჰოდა, ჩვენს აქ თავშეყრას კიდევ ერთხელ გაუმარჯოს, მერმის უკეთესი საბაბი გვქონოდეს თავშეყრისა, უფრო გემრიელადაც მოვილხინოთ, მეტი რა შეგვრჩება!.. ეგრეა, მაშ!.. აბა, ერთხმად!

აღარ ჩამოვთვლი შემდგომ სადღერძელოებს...

სასადილოს დაკეტვის დრომაც მოაწია და ჩვენი თითები ბოლო კლიენტებს გამოჰყვნენ გარეთ...

– ბიჭო, სულ შენს დაკრულზე უნდა ვიცეკვო? – მარცხენა აუხირდა მარჯვენას. – მეც სულელი ვარ, რატომ გამოგყევი? ვყოფილიყავით სასადილოში – უსაფრთხოდ, თბილად...

– ახლა გვიანღაა თითზე კბენანი... რა მოხდა მერე, ქვეყანა არ დაქცეულა.

– ჰო-ო? – ღმერთო ჩემო, ძალიან მინდა გავიგო, ეგეთი ჭკვიანი საიდან გაჩნდი? ან ვინ გაგზარდა?

– ვინ და – ვინც შენ! ახლა გაიგე, რომ შენზე მაგარი ვარ?

– შენ ყოველთვის ჩემს ხარჯზე ბაირმობ... ეგ არის კაცობა?

– შენ კიდევ – სულ მეურჩები, სულ მკბენ...

– არც შენ ხარ თაფლი და მურაბა!

– მართალი ხარ, ჩვენ მოფარიკავეებს ვგავართ: მე შენ ცხარე გულზე გეტყვი რაღაცას, შენ – მაშინვე ცდილობ, მიჩხვლიტო მწვავე პასუხით... მე ისევ პასუხის პასუხს გიბრუნებ, შენც იგივეს აკეთებ და ასე ვაგრძელებთ, სანამ არ მოგვწყინდება... კარგია, ხომ იცი, განსაკუთრებით ახლა: ვცდილობთ, ჩვენი მოგზაურობა მოსაწყენი არ იყოს!

– შენი ირონია კარგია, ვაფასებ, მაგრამ, გულახდილად გეტყვი, მეტისმეტად ხშირად ხმარებისგან ცოტა ბლაგვი ხდება, ისე აღარ მოქმედებს და ჩემს გაღიზიანებას იწვევს.

მერე ქუჩაში დაბორიალობენ, თავშესაფარს ეძებენ – სცივათ, ეშინიათ...

– ახლა რაღა ვქნათ, საით გავწიოთ? – ამბობს მარცხენა.

– სულ ერთსა და იმავეს მღერი... რამდენი მაწანწალა ძაღლი დასეირნობს, ალბათ მათთან შეხვედრა ფრიად გაგახარებს! – აშინებს მარცხენას მარჯვენა.

– არა, ქუჩას ისევ სასაფლაო სჯობს! ხომ შეამჩნიე, უამრავ საფლავს ჭირისუფლებმა რკინის მესერი შემოავლეს, თეთრი თუნუქის სახურავიც გაუკეთეს – იქ ვერც ძაღლები შემოძვრებიან და წვიმისგანაც დაცულები ვიქნებით!

– მართალი ხარ, – დაეთანხმა მარჯვენა, – ხედავ, ისევ მოიღრუბლა!

– რა უგემური გაზაფხულია, ამ წვიმამაც შეგვიჭამა გული!

– აბა, როგორ გინდა, გაზაფხულზე თუ არ იწვიმა, გაღვიძებულ ბუნებას გაუჭირდება ზრდა და გაფურჩქვნა-აყვავება...

კიდევ ერთი ღამე უნდა გაატარონ სასაფლაოზე...

– ვის რა დავუშავეთ ისეთი, რომ ახლა იძულებული ვართ, აქ გავათიოთ ღამე? – წუწუნებს მარცხენა. – მე ყოველგვარი ტირანიის, ძალადობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ! რატომ ვერ შეთანხმდნენ ადამიანები, რომ ყველამ უპირველესად ერთმანეთის პატივისცემა უნდა ისწავლოს?

– რატომღაც სასაფლაოზე ყველა ფილოსოფოსი ხდება... ურიგო არ იქნება, თუ ადამიანები ხშირ-ხშირად ივლიან სასაფლაოზე, დაფიქრებიან ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის წარმავლობაზე... იქნებ მაშინ ნაკლები იყოს ამქვეყნად უსამართლობა და სისასტიკე, მეტი იყოს ერთმანეთის გატანა, შემწყნარებლობა, სითბო ურთიერთობებში... მაგრამ ვაგლახ! სანამ თვითონ მავანს არ გაუყენებენ უკანასკნელ გზას სასაფლაოსკენ, შეგონება ფუჭია, ისევ საკუთარი ვნებების მონაა ადამიანი...

ეშინიათ და საუბრობენ – ფილოსოფიური მსჯელობანი ამა სოფლის გაუტანლობზე...

ამგვარ საუბარში გაჰყავთ დრო და თითქმის ირიჟრაჟა, როცა, ერთმანეთს ჩახუტებულებს, როგორც იქნა, ჩაეძინათ.

კარი VIII.
ქორწილია, ქორწილი!
(Epitalamio, საქორწილო სიმღერა)

გვიან გაეღვიძათ, უფრო სწორედ, ძაღლების ჩხუბმა და გაუთავებელმა ღრენა-ყეფამ აიძულა თითები, წამომხტარიყვნენ...

ოჰ, არ ეყოფათ ამდენი გაჭირვება, სულ შიშსა და გულის ხეთქვაში უნდა იყვნენ?

სასაფლაოზე ათამდე 10-15 წლის ბიჭი მოსულა, მოუყვანიათ ძაღლები, – ორი წაბლისფერი, დაკუნთული ხვადი, რაღაც მებრძოლი ჯიშისა, – თვითონაც ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილან და პატარა მწვანე მდელოზე ამ ძაღლებს აჩხუბებენ; ძაღლებს ხან ერთმანეთზე საჩხუბრად მიუშვებენ, ხან საბელებს მოქაჩავენ და გააშველებენ – მეტად გასაფიცხებლად; არის ერთი მხიარული ხორხოცი, ყიჟინა, შეგულიანების შეძახილები... აღგზნებული, გაოფლილი სახეები, თითქოს თვითონაც ჩხუბობენ, ძაღლთა დაფჩენილი პირებში გამოჩენილი დაკრეჭილი ეშვები, ლაშებიდან გადმოდენილი თეთრი დორბლი, სისხლით შეფერილი...

– რა ჯიშისაა ეს ძაღლები? – დაინტერესდა მარცხენა.

– რა ვიცი, დაიქცა მაგათი მომგონი... რა ჯიშისაც უნდა იყვნენ, ამაზრზენი სანახაობაა! – უპასუხა მარჯვენამ.

– მაგათი ჯიში კი უნდა გამოგვეცნო... ჩვენს მაესტროს, დიტმარ დომინორაულს, ხომ გახსოვს, რა უცნაური აჩემება აქვს: ისეთი სურათების გატაცებული კოლექციონერია, რომლებზეც ასახული არიან ჯიშიანი ძაღლები და გადმოცემულია ძაღლებით ნადირობის სცენები...

– გამომიჩნდა ეგეც ინგლისელი ლორდი! მართლაც უცნაურია: ან პეიზაჟები შეყვარებოდა დალოცვილს, ან ლამაზი ქალების პორტრეტები შეეგროვებინა... სხვა მხრივაც უცნაური კაცია, ოჯახის შექმნაზე უარი თქვა – ცოლ-შვილი შემოქმედებით მოღვაწეობაში ხელს შემიშლისო, ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ ამით ემოციურად გაიღარიბა თავი, საკუთარი ცხოვრების პალიტრას ბევრი ფერი დააკლო... გაძარცვა საკუთარი სული და ეს გარემოება აისახა მისი ხელოვნებაზეც – დასჩემდა უემოციო, მშრალი დაკვრა, შიშველი ტექნიკის დემონსტრირებით შემოფარგვლა... სულ ცდილობდა დამტკიცებას, რომ ის პიანოფორტეს უდიდესი ვირტუოზია, მაგრამ მისი დაკვრის ტექნიკური სირთულე-სრულყოფილება არ გამომდინარეობდა ნაწარმოების არსის სრულად, სრულყოფილად გადმოცემის სურვილიდან.... ბრწყინვალე ტექნიკა ჩანდა, პოეზია – არა! არადა, მუსიკის ჭეშმარიტი დამფასებლისთვის და ჭეშმარიტი შემსრულებლისთვის, რასაკვირველია, ჩემთვისაც, ანბანური, უცილობელი ჭეშმარიტებაა: დაკვრა – შემოქმედებაა და არა მხოლოდ მექანიკური შესრულება ნოტებისა; პოეზია, პოეტური გრძნობაა ხელოვნებაში მთავარი! მიკვირს, რომ ამ ანბანური ჭეშმარიტების ახსნა მიწევს შენთვის...

– რას ერჩი, საკუთარ გულის ჭიას ახარებს, სხვას არაფერს უშავებს... ყოველ ადამიანს ახასიათებს რაიმე უცნაურობა, მაესტრო ასეთ აკვიატებაში – ანიმალისტური სურათების შეძენაში – ფლანგავს ფულს.

– ახლა რაღას ფლანგავს, ამ გაჭირვებულ დროს კონცერტებზე სასიარულოდ ბევრად არავის სცხელა, ხომ ნახე, ჩვენს ბოლო კონცერტზეც დარბაზი მაყურებლებით მესამედადაც ვერ შეივსო.

– იმიტომაც ხომ არ გადაწყვიტე კონცერტიდან გამოქცევა? – ქირქილით იკითხა მარცხენამ. – ჰო, მაესტროს გაუჭირდა და იძულებული გახდა, ის წლობით ნაგროვები, ნალოლიავები სურათები ჩამოეხსნა და საკომისიო მაღაზიაში წაეღო... მაგრამ რამდენიმე თვე გავიდა, ერთი სურათიც კი ვერ გასაღდა და სურათების უკან წამოღება მოუწია...

– ისევ დატკბება მათი ხილვით – ცარიელ კუჭზე დიდი შეღავათია!

– შენი არ იყოს, ყველას თავისი ჩიტები ჰყავს, ყველა თავისებურად ცდილობს გართობას; აბა, თუ მართლა მაგარი ხარ, ახლა გაეხუმრე ამათ, შენც ხომ სულ თამაშზე გაქვს თვალები დაჭყეტილი! მიდი, ჰე!

– ხუმრობა და თამაში დიახაც მიზიდავს, რატომაც არა? ნაირგვარი თამაში ვის არ უყვარს, ჩვილით დაწყებული და მიხრწნილი ბებრით დამთავრებული... პიანოფორტეზე დაკვრა ანუ თამაში, რასაკვირველია, შენთან ერთად, ჩემი პროფესიაა, ემოციურად და ფიზიკურადაც საკმაოდ მომქანცველი, ჰოდა, განსამუხტავად, დასასვენებლად უებარი საშუალებაა სხვაგვარი თამაში, მაგრამ არა ასეთი სასტიკი და ანტიესთეტიკური, რომელსაც ახლა ვუყურებთ... ამათ შემხედვარეს ყოველგვარი ხუმრობის ხალისი დაგეკარგება.

– უნდა ვაღიარო, რომ ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდები, – ეთანხმება მარცხენა. – თუ მაინ-ცდამაინც ამგვარი გართობა იზიდავთ, ამ ლაწირაკებმა სასაფლაოზე უფრო შესაფერისი ადგილი ვერ მოძებნეს?

– ალბათ დიდები უწყრებიან, უშლიან ამგვარი სასტიკ გართობას და გამოერიდნენ, აქ მოვიდ-ნენ, მყუდრო, უკაცრიელ ადგილას, – ამბობს მარჯვენა. – მართლაცდა, უკეთესი გასართობი ვერა-ფერი ნახეს? თუმცა, რა არის გასაკვირი, ტელევიზორში დღენიადაგ საზარელი ძალადობის ყურე-ბას, საშინელებათა შემაძრწუნებელ ფილმებს არიან უკვე დაჩვეულნი...

– რა სიამოვნებას ნახულობენ ნეტავი ძაღლების ჩხუბის ყურებით? ნახე, სისხლი სდით, წით-ლად შეეღებათ მკერდი... და მით უფრო გაავებით ებრძვიან ერთმანეთს!

– ტელევიზია აჩვევს სისასტიკეს. ყოველდღე გაუთავებლად აჩვენებენ სისხლიან მკვლელობებს, ან კატასტროფების შედეგად დაჭრილ-დასახიჩრებულთ, გარდაცვლილთა საზარელ კადრებს – ხან-გრძლივად, დაგემოვნებით... მერე გიკვირს, რომ ამ ცინგლიან ღლაპებს სისხლის ხილვა სწყურიათ? შემიძლია ნაძლევს ჩამოვიდე, რომ ამ ბიჭებიდან მუსიკას არავინ სწავლობს; თუ სწავლობს, მისგან მუსიკოსი არასდიდებით გამოვა! გამების სწავლას ამგვარი უაზრო გართობა ურჩევნიათ.

– მრავალი ადამიანი სწორედ ამ ძაღლებივით წაეკიდებიან ხოლმე ერთმანეთს – მავანთა წაქე-ზებით და მათ გასართობად...

– უფრო – რაღაც სარგებლის სანახავად... ძაღლი – ძაღლია და ადამიანებს ძაღლზე მეტი ჭკუა არ უნდა ჰქონდეთ? თუ, როგორც ზოგიერთი ვაი-ფილოსოფოსი ამტკიცებს, ზოგადად ადამიანში და-ბადებიდანვე მავნე ინსტიქტებია ჩაბუდებული და ის მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელის, რათა თა-ვისი ბოროტი ზრახვები სისრულეში მოიყვანოს, სხვას ტკივილი მიაყენოს, თვითონ კი სიამოვნებით ქირქილებდეს?.. ფუი, ვერ ვუძლებ ამ საძაგელ სანახაობას, მოვშორდეთ აქაურობას!

გულდამძიმებულები, ძმები საწინააღმდეგო მხარეს გარბიან, კიდევ კარგი, აქეთაც ჰქონია სასაფ-ლაოს მორღვეულ ღობეში გასაძრომი და გავარდნენ ქუჩაში... მირბოდნენ, მირბოდნენ, სანამ არაქა-თი არ გამოეცალათ.

შემდეგ კარგა ხანს იარეს და გზად შეეყარათ წითელი ბაფთებით და ფერადი ბუშტებით შემკუ-ლი მანქანების გრძელი კორტეჟი: ხმოვანი სიგნალების განუწყვეტელი ჭყვიტინით გიჟურად მიჰ-ქროდნენ, – გზა გვიტიეთ, ქვეყანა ჩვენიაო, – ქორწილია, ქორწილი!..

სასაფლაოს შემდეგ პირდაპირ ქორწილის საზეიმო კორტეჟს გადაეყარნენ!

მუხრუჭების ღრჭიალით მანქანებმა სვლა შეანელეს რესტორნის – "ედემის ბაღი" – ეზოში შე-სასვლელთან და შიგ შეგრიალდნენ. მართალი მოგახსენოთ, ეს ეზო ედემის ბაღს ნამდვილად არ ჰგავდა: დამსხვრეული თეთრი კირქვით მოხრეშილ მოზრდილ ფართობზე, – მანქანების დასაყენებ-ლად, – ერთ კუთხეში მხოლოდ რამდენიმე გაძვალტყავებული აკაციის ხე იდგა, მაგრამ ძნელბედო-ბას არ ურიგდებოდა და აყვავებასაც კი აპირებდა.

– შევიდეთ? – იკითხა მარცხენამ. – ხომ ხედავ, წვიმამ ისევ დაუშვა, რაღა ახლა მოევლინა ამ ქვეყანას წარღვნა, როცა უბინაოდ დავწანწალებთ!

– ახლა უკეთეს თავშესფარს ვერც ვინატრებთ, შევძვრეთ, ოღონდ იქ ალბათ ცეკვა-თამაშს გა-მართავენ და ჯობს, ცოტა მოფარებულში მოვძებნოთ მყუდრო ადგილი.

– კარგად გავერთობით! – ამბობს მარცხენა, – სასაფლაოს შემდეგ არ გვაწყენს მხიარულ ხალ-ხში გარევა, გუნების გამოკეთება...

რესტორნის პირველ სართულზე დიდ, გაჩირაღდნებულ დარბაზში გაუშლიათ ორი გრძელი სუფრა, – ალბათ ორასამდე კაცი დაეტევა, – მათ შორის საცეკვაოდ ადგილი დაუტოვებიათ, ხოლო დარბაზის ბოლოში, ამაღლებულზე, მომღერალ-დამკვრელები დამსხდარან, ხუთი-ექვსი კაცი; იქვე, კუთხეში, მათთვის ცალკე პატარა სუფრაა გაშლილი.

– ყველაზე საიმედო ადგილი, მე მგონი, ესტრადასთან ახლოს იქნება, – თქვა მარცხენამ. – ამ მომღერალ-დამკვრელების სუფრის ქვეშ შევძვრეთ, იქ არც ფეხს დაგვაბიჯებს ვინმე და მუსიკასაც უკეთ მოვუსმენთ ამ რია-რიაში.

– ყოჩაღ, არ მოველოდი შენგან ასეთ ჭკვიანურ აზრს! – შეაქო მარჯვენამ მარცხენა. – აბა, ფრთხილად წინ გამიძეხი, საუკეთესო ადგილის შერჩევას შენ განდობ!

ის იყო შეგულებულ ადგილას მოკალათდნენ, რომ უცებ დამკვრელებმა მხიარული ჰანგი და-ცხეს და დინამიკებიდან ძალუმად გადმოფრქვეულმა მიკროფონმომარჯვებული მელოტი მომღერლის ძლიერმა ხმამ კინაღამ გააყრუათ. მარჯვენას უნდოდა, უკეთეს ადგილას გადასულიყვნენ, მაგრამ მარცხენამ არ ქნა:

– გვეყოფა წოწიალი, ვინმემ არ შეგვამჩნიოს! ამ უზომოდ ხმამაღალ დაკვრა-სიმღერას და ჩვენს ტანჯვა-წამებას კი როგორმე უნდა გავუძლოთ, ნელ-ნელა შევეჩვევით!

– კარგი იქნებოდა, ახლა ბატონ პრეზიდენტის პარიკი მქონოდა, ყურებზე ჩამოვიფარებდი, ცო-ტათი მაინც დამიცავდა ამ მეტისმეტი ღრილისგან! – თქვა მარჯვენამ.

– მადლს მოვისხამდით, რომ აქამდე მოგვეთრია – ის პარიკი ამ მომღერალს უფრო მოუხდებოდა! – უპასუხა მარცხენამ. – შეხედე, ჯერ მხოლოდ ერთი სიმღერა შეასრულა და უკვე მწიფე ნესვივით მელოტი თავი როგორ უბზინავს ოფლისგან!

– არა უშავს, რესტორნის კვალობაზე კარგად მღერის, მაგრამ ეს უსაშველო ხმის გამაძლიერებლები რა უბედურებაა! ყურები არ ასტკივდათ, ოჯახდალოცვილებს, ან დაყრუების არ ეშინიათ?

– მეგონა, მენდელსონის საქორწინო მარშს დაუკრავდნენ ნეფე-დედოფლის შემობრძანების აღსანიშნავად...

– მართალი გითხრა, ეგ მარში უკვე ყელში ამოვიდა, მაგრამ მე ამ სულელურ სიმღერას ისევ მას ვამჯობინებდი.

– მეგობრებო, გთხოვთ ერთი წამით ყურადღებას!.. – გრგვინვასავით გაისმა ხმამაღლა მოლაპარაკიდან უცებ ბოხი, მაგრამ სასიამოვნო ხმა, რომლის პატრონიც, ეტყობოდა, მბრძანებლობას იყო მიჩვეული: სუფრის თავში მჯდომი ერთი დაბალ-დაბალი, ბურთივით მრგვალი, შუახნის კაცი, როგორც ჩანდა, ნეფის მშობელი, ლაპარაკობდა მიკროფონში და ცდილობდა, დარბაზის ხმაურის გადაფარვას. – სუყველას მოგესალმებით!.. გულითად მადლობას გიძღვნით ყველას, ვინც ახლახან დანთესავებული ჩვენი ორი ოჯახის დიდი სიხარული გაიზიარა, პატივი დაგვდო და აქ გვესტუმრა! ამ ბედნიერ დღეს გილოცავთ და გისურვებთ, დრო მხიარულებასა და სიამტკბილობაში გავატაროთ! მოგეხსენებათ, ყველა დიდ თუ პატარა საზოგადო საქმეს უეჭველად ხელმძღვანელი სჭირდება და ამ საზეიმო სუფრის გაძღოლის უფლებას მე თამამად ვანდობ ჩვენთვის ყველასთვის პატივსაცემ პიროვნებას, ენამზეობით განთქმულ სუფრის გენერალს, ჩვენს ძვირფას ჰაინც ულრიხს! უმორჩილესად ვთხოვ, დაგვდოს პატივი და მისთვის ჩვეული ოსტატობით ერთხელ კიდევ გვაზიაროს სუფრის ხელმძღვანელობის ხელოვნებას! გაუმარჯოს ჩვენი სუფრის ლხინის უფალს ანუ თამადას!.. აბა, ფეხზე ადგომით მივულოცოთ! ერთხმად, ერთხმად!..

– სუფრაზე რა გენერლობა აუტყდათ, აქ ხოცვა-ჟლეტას ხომ არ აპირებენ? – ამის თქმა მოასწრო მარცხენამ და მაშინვე ზე წამოიმართა მაღალი, უზარმაზარღიპიანი, დიდულვაშა, შუახნის კაცი.

– რა მედიდური შეხედულება აქვს, მართლაც გენერალია! – უჩურჩულა ძმას მარჯვენამ. – დახოცავს ხალხს ღვინის სმით!

“გენერალი” კი მოჰყვა აქეთ-იქით თავის კანტურს და ტუჩების ცმაცუნს; მისი ხმა საერთო ჟრიამულში და სკამების ხრიგინში, – ყველანი ფეხზე წამოდგნენ, – არ ისმოდა, ალბათ მადლობას უხდიდა ყველა მიმლოცველს დაფასებისა და მაღალი ნდობისთვის. როცა ყველა მილოცვა-დალოცვა მოიმკო, ბატონმა თამადამ, ეგრევე, ფეხზე მდგომმა, მოკლე სამადლობელი სიტყვა მიწოდებულ მიკროფონში წარმოსთქვა, გამოცლილი ჭიქა მაღლა ასწია და ყველას დასანახად გადმოაპირქვავა – ასე მტერი დაგეცალოთო; შემდეგ, ასევე ფეხზე მდგომმა, შეავსებინა ჭიქა მერიქიფეს და თავისი პირველი სადღეგრძელო შესთავაზა შეკრებილ საზოგადოებას:

– მეგობრებო, სუფრის ძვირფასო წევრებო! დღეს ბედნიერმა მოვლენამ ერთად შეგვყარა ამ ჭერქვეშ ორი ოჯახისთვის ძვირფასი ხალხი: ძვირფასი მოვლენის, – ჩვენი ნორჩი გვრიტების, გიზელასა და გუნთერის შეუღლების, – აღსანიშნავად... დღევანდელი ძვირფასი დღე იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ჩვენი ძვირფასი ნეფე სწორედ დღეს გახდა ოცდახუთი წლისა და, ამრიგად, ორმაგად ბედნიერი დღე გაუთენდა!.. ქორწილი და დაბადების დღე – ერთად! მივულოცოთ ჩვენს ძვირფას ახალშეუღლებულებს, ტურფა გიზელასა და ვაჟკაც გუნთერს, ეს ყველასთვის, და ნეფე-დედოფლისთვის განსაკუთრებით, ძვირფასი დღე, ვუსურვოთ, ღირსეულად ატარონ მეუღლის წმინდა სახელი, გაახარონ მშობლები, ყველა ნათესავ-მეგობარი და თავიანთი კაიქალობითა და კაიკაცობით ასახელონ ქვეყანაც; გაზარდონ საამაყო შვილები, სიამტკბილობაში ბედნიერად შეაბერდნენ ერთმანეთს, შვილთაშვილების ქორწილებში ცეკვით გაიხარონ... სულითა და გულით გადღეგრძელებთ, გაგიმარჯოთ!.. გულით გაიხარეთ, გამრავლდით და იბედნიერეთ მრავალჟამიერ!..

– აბა, ახლა, თუ მართლა მაგარი ქორწილია, ერთი გემრიელი “მრავალჟამიერი” ძალიან მოუხდება სუფრას! – ამბობს მარჯვენა.

– რომელი უფრო გინდა: ქალაქური თუ სოფლური, გრძელი თუ მოკლე?

– მე არცერთზე ვიტყოდი უარს! მართალი გითხრა, ქართლ-კახური ყველას მირჩევნია, მაგრამ ვინ არის აქ მისი შემსრულებელი? არავინ! და თუ უნდოდათ “მრავალჟამიერით” და სხვა სუფრული სიმღერებით ქორწილის დამშვენება, მაშინ ეს ბრახაბრუხა ანსამბლი კი არა, ხალხური გუნდი უნდა მოეწვიათ!

შემდეგ რა მოხდა? ადვილი წარმოსადგენია: გამოცდილ ბატონ თამადას არაფერი შეეშლება: ყველა წესისა და რიგის მიხედვით მიჰყავს ლხინის მხიარული ხომალდი, და ამ ორასკაციანი ლაინერის ბედნიერი და გუნებაკეთილი მგზავრები ხან სადღეგრძელოების ფერადოვან თაიგულებს ღიმილით სტყორცნიან ერთმანეთს, ხან – სასმისის გამოცლის შემდეგ, საკადრის პატივს მიაგებენ ორ უგრძეს სუფრაზე დახვავებულ სასუსნავს; შემდგომ, ფეხის გასამართავად, ყოჩაღნი საცეკვაოდაც

გაიჭრებიან, ხან კი – სკამის საზურგეზე მისვენებულნი, ნეტარებით თვალმილულულნი, სახეზე კმაყოფილების გაფურჩქნილი ყვავილით გალამაზებულნი, მომღერალთა მხიარულ სიმღერას აყოლებენ: ზოგი – ხმას, ზოგი – ფეხის ბაკუნს...

ასევე, ჩვენი მარჯვენა და მარცხენა, თუმცა სუფრაზე არ მოილხენდნენ და არც საცეკვაოდ მიუწევდათ გული, – ამ არეულ მოცეკვავეებში ვინმე ფეხს დაგვადგამსო, – ადგილზე მაინც ცმუკავდნენ, საცეკვაო მელოდიას აყოლებდნენ თითების თამაშს იატაკზე...

– ახლა ეგდა დაგრჩენია, იატაკზე აკაკუნო თითები, – ეუბნება მარცხენა მარჯვენას. – ძალიანაც გინდა, ახლაც რაღაცა იცელქო, მაგრამ აბა, ამ უზარმაზარ თავყრილობაში რას გაბედავ? თანაც, აქ გასართობი ისედაც სამყოფია, დაჯექ და მოილხინე!

– რა ხანია, არ დაგვიკრავს! – პასუხობს მარჯვენა. – პიანოფორტე არ აქვთ, თორემ ავხტებოდი და ვანახვებდი მაგათ, როგორ უნდა დაკვრა! თუ შენც ამიბამდი მხარს, სულ მთლად გავაგიჟებდით ხალხს! ეგერ ელექტრული კლავიშებიანი საკრავი ხომ არის, პიანისტი თავის საქმეს საკმაოდ კარგად ართმევს თავს, მაგრამ მე ცოტა სხვანაირად დავუკრავდი; ჰოდა, იმის კლავიშებზე მაინც გავისეირნოთ, როცა მასზე დამკვრელი სუფრასთან საჭმელად და დასასვენებლდ იქნება დამჯდარი. მე მგონი, არ ეწყინება, დროებით რომ ჩავენაცვლოთ და არც ხალხი დარჩება უკმაყოფილო. მონატრებული ვართ და აგერ ნახე, ჰო-ჰო, რას დავუკრავთ! მუსიკოსებსაც გავაგიჟებთ სწრაფი პასაჟებით, სხვებზე რაღა უნდა ითქვას!

– შენს ხასიათს, ძმაო, ვატყობ, არაფერი ეშველება, ახლაც უშნოდ ატეხილი ჩანხარ! – შეეპასუხა მარცხენა. – დაეტიე, სადაც ლამაზად ხარ, რატომ გინდა, , სულ ხათაბალაში გაება და მეც რაღაც ხიფათს გადამკიდო!

– არ მოგენატრა, შევუხიცინოთ, ერთი გემრიელად შევუღიტინოთ კლავიშებს? ნდომისგან თითები მეფხანება!.. ხან – მივეალერსოთ, ხან – ჩავუტყაპუნოთ!

– "გიჟურად", "გავაგიჟებთ" – სულ ასეთი უგვანი სიტყვები გაკერია პირზე, თვითონაც ნაღდი გიჟი ხარ!

– აბა, არა? – უპასუხა მარჯვენამ და, თითქოს საკუთარი სიტყვების უტყუარობის დასადასტურებლად, მარდად გაძვრა-გამოძვრა, აფორთხდა ელექტროპიანოზე... და ოდნავ დაგვიანებით მას მხარი დაუმშვენა მარცხენამაც!

– ყოველთვის ერთად ვიყავით და ახლა ისევ მარტო დამტოვე? – გაბუტულივით მიმართა მარჯვენას.

– საყვედურების დრო არ არის, აბა, დავცხოთ კარლ პერკინსის "ლურჯი ნატის ფეხსაცმელი"! მერე, შესვენების გარეშე, ლიტლ რიჩარდის "ხილიანი ნაყინი" მივაყოლოთ – "ტუტი ფრუტი"! სიმღერას "ნაყინი" კი ჰქვია, მაგრამ თავბრუდამხვევ ტემპში სრულდება და კიდევ უფრო გავახუროთ მოცეკვავენი!

– გაუტიე და მე აგყვები!

ძნელი წარმოსადენი არ არის, რა შთაბეჭდილება მოახდინა მარჯვენასა და მარცხენას ამ გამოხდომამ: პიანისტი არ ჩანს და ინსტრუმენტი კი გიჟურად, თავდავიწყებით უკრავს – **Allegro vivace!** თან რას? როკ-ენ-როლს!

ორივე ხელს ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა, და მაინც, მიუხედავად ამისა, მარცხენამ მარჯვენას უყვირა – ისე ვერ გააგონებდა:

– ბიჭო, შენ როდის აქეთ გახდი პერკინსის და ლიტლ რიჩარდის თაყვანისმცემელი? სხვათა შორის, ორივე ამ სიმღერას ელვის პრესლი უკეთ ასრულებს.

– ჩვენი მაესტრო დიტმარ დომინორაული ახალგაზრდობაში სწორედ როკ-ენ-როლს ეტრფოდა, დაგავიწყდა?

– მხოლოდ თვითონ კი არა, მამამისიც!

– ჰო, მაესტრო მაშინ ბავშვი იყო... მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა, მრავალგვარი სხვა სტილის მუსიკა დროებით გაბატონდებოდა ხოლმე, მერე დავიწყებას ეძლეოდა და შეხედე: ეს მუსიკა ისევ მოსწონთ! გასაგებია, რომ შუახნის ხალხს, – არა, ახლა ალბათ უკვე მოხუცებს, – ახალგაზრდობას ახსენებს და ადგილზე ცმუკავენ, ტაქტს ტერფის ბაკუნს აყოლებენ, მაგრამ ახალგაზრდებიც გატაცებით ცეკვავენ!.. ყოველ წელს მსოფლიო ჩამპიონატებიც ეწყობა, დარბაზებში ტევა არ არის...

– ჩვენც ხომ არ მივიღოთ მონაწილეობა?

– თუ ცოცხლები გადავრჩით, მაგაზე მერე ვიფიქროთ, ახლა კი – დავცხოთ!

როდესაც თითებმა თავიანთი საქმე მოათავეს და ფაცხაფუცხით ისევ დაიმალნენ, შემდგომ სუფრაზე ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ ნელ-ნელა ბატონ თამადას გაუჭირდა სუფრის ხელმძღვანელობა: იმატა ხმაურმა; ბატონ თამადას ხმის დაძაბვა უხდებოდა, მიკროფონში თითქმის ყვიროდა; ამის მიუხედავად, მას ცოტა ვინმე თუ უსმენდა...

— ღვინით შეხურებულნი: ახალგაზრდობაც, უფრო მოწიფულნიც და ბევრი ფრიად ხნიერიც კი, უფრო ცეკვას მიაგებენ პატივს, ერთმანეთში საუბრობენ... თამადა სულ ფეხებზე ჰკიდიათ, ესეც შენი სუფრის გენერალი! — თქვა მარჯვენამ. — შეამჩნიე? არც მოცეკვავეებს და არც ჭამა-სმით გართულ დამკვრელებს ჩვენი ცელქობისა არაფერი შეუტყვიათ...

— შეატყობდნენ და კარგადაც იქნებოდა ჩვენი საქმე! შეხედე, ნეფე-დედოფალი ღვინოს არ სვამს, ისინიც თითქმის არ სხდებიან მაგიდასთან, იმდენად არიან ცეკვით გატაცებულნი. შენი მიკვირს, როკ-ენ-როლი რაღამ მოგაგონა?

— გახსოვს, ჩვენი მაესტრო დიტმარ დომინორაული რომ გარიცხეს სამუსიკო სკოლიდან? უკვე თოთხმეტი წლისა იყო და პედაგოგმა მაშინ მიუსწრო კლასში, როცა პიანოფორტეს კლავიშებზე ჩვენი გამძლეობის გამოცდა მოაწყო — მეგობრებს როკ-ენ-როლს უკრავდა! ბიჭებიც და გოგოებიც გიჟებივით ცეკვავდნენ!

— პედაგოგს ისინი შეშლილნი ეგონა! როკ-ენ-როლის პოპულარობის პიკი უკვე რა ხნის ჩავლილი იყო...

— რატომ? ახლაც კი ბევრნი არიან მისი ტრფიალნი და, ხომ გითხარი, საერთაშორისო ფესტივალები და შეჯიბრებებიც რეგულარულად ეწყობა. როკ-ენ-როლის ზოგიერთი ლეგენდარული ვარსკვლავი ახლაც განაგრძობს მოღვაწეობას, მათ შორის მე განსაკუთრებით მიყვარს ჯერი ლი ლუისი...

— რა წვალება-დავიდარაბად დაუჯდათ მშობლებს დიტმარ დომინორაულის სკოლაში აღდგენა! საწყალი მშობლები! ლამის შემოელახათ შვილი, როგორ ოცნებობდნენ, იგი სახელოვანი ხელოვანი გამოვაო...

— ჩვენი მაესტრო მაშინ მშობლების დარდს აინუნშიც არ აგდებდა, მხიარული ბიჭი იყო! ახლა კი მარად ცხვირჩამოშვებული დადის, რა დაემართა?

— კი, სახელი მოიხვეჭა, მაგრამ არა ისეთი, როგორზედაც ოცნებობდა — გენიოსი ეგონა თავი...

— ჰო, თავს იკლავდა, მაგრამ... ცოლიც იმიტომ არ ითხოვა, შემოქმედებით წინსვლაში ოჯახი ხელს შემიშლისო.

— მე მგონი, შეცდა! ამაზე ადრეც გვისაუბრია. ოჯახი, ბავშვების გაზრდა, დიდ შრომასთან და ნერვიული ენერგიის ხარჯვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მეორეს მხრივ, სიყვარულსა და შვილის ყოლაზე რომ უარს იტყვი, საკუთარ თავს ძარცვავ, ემოციურად იღარიბებ თავს! შესაძლოა, ჩვენი მაესტროს მხრივ ზედმიწევნით ინტელექტუალური მიდგომა, მეტისმეტი ტექნიკური სრულყოფისკენ ლტოლვა და აქედან გამომდინარე — დაკვრის სიმშრალე, უშუალობის, განცდათა სიმდიდრის საზიანოდ, — ნაწილობრივ ამითაც არის განპირობებული.

— იოჰან სებასტიან ბახს იცი, რამდენი შვილი ჰყავდა! ამათგან ოთხი ვაჟი ცნობილი კომპოზიტორი გახდა!

— ცოლ-შვილს თუ არ მიეალერსები, კლავიშებს როგორღა მიეალერსები?

სრულიად მოულოდნელი რამ (უკვე მერამდენედ, რაც თხრობა დავიწყე!) მას შემდეგ მოხდა, როცა ბატონმა თამადამ, როგორც იქნა, მრავალჯერადი თხოვნა-შეგონების შემდეგ, დამკვრელ-მომღერლები დაითანხმა, პატარა შესვენება გამოეცხადებინათ, რათა შემდეგი სადღეგრძელო ყველას გაეგონა. და მორიგი სადღეგრძელო წარმოსთქვა — სიყვარულისა!

— მეგობრებო, ამჯერადაც ისეთ სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ, რომელიც ნებისმიერ სუფრას ამშვენებს და, მით უმეტეს, დღევანდელ ჩვენს ლხინს — სიყვარულს გაუმარჯოს! უსიყვარულოდ დედამიწაც კი არ ბრუნავს, ადამიანის ბედის ჩარხის ტრიალის მამოძრავებელი ძალაც სიყვარულია... მოგეხსენებათ, სიყვარული მრავალგვარი არსებობს: ცოლქმრული სიყვარული სხვაა, შვილები სხვაგვარად გვიყვარს, მეგობრის სიყვარული კი სრულიად განსხვავებულია... არსებობს ცოდნის, კითხვის, პროფესიის, კატის, ძაღლის, ცხენის სიყვარული, ბუნების სიყვარულს ხომ ყველა იჩემებს...

— მუსიკის სიყვარული? — უჩურჩულა მარჯვენამ მარცხენას. — გამორჩა შრომის სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, არსებობს ჭამა-სმის სიყვარულიც... მუსიკასთან და, საერთოდ, ხელოვნებასთან ბატონი თამადა მწყრალად უნდა იყოს.

— მე მგონი, თუ მისი მუცლის ზომით ვიმსჯელებთ, თამადობის და გემრიელი დროსტარების სიყვარულს ბევრად უფრო ცხადად ამჟღავნებს!

— ამ დაქირავებულ დამკვრელ-მომღერლებს თავისი ადგილი აქვთ, მაგრამ თვითონ რანაირი თამადაა, თუ სუფრაზე სიმღერა არ წამოიწყო. ეს საესტრადო შალგერები, როგორც მათ ჩვენს ყმაწვილკაცობაში გერმანულად ვახსენებდით, რომლებსაც ამჟამად, ახალი მოდის თანახმად, ჰიტებს უწოდებენ, ვერანაირად ვერ შეცვლის ტრადიციულ ქართულ სუფრულ სიმღერებს, განსაკუთრებით — ქორწილში.

— რა უბედურებაა ამდენი ხალხის თავშეყრა, როგორ გინდა, ორასმა კაცმა ერთად იმღეროს სუფრული სიმღერა?!.

თამადამ თავისი საკმაოდ გრძელი სადღეგრძელო ამგვარად დაასრულა:

– ჩვენს ძვირფას სიძე-პატარძალს, გიზელასა და გუნთერს, ვუსურვებ, მარად, სიცოცხლის ბოლომდე, შეენარჩუნებინოთ ის სათუთი და უმშვენიერესი გრძნობა, რომელსაც ტრფობა ჰქვია, ცოლქმრული სიამტკბილობა ჰქვია, ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის გაფრთხილება, ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნა და ერთად დგომა ჰქვია!.. თქვენი თამადობით, ძვირფასო გიზელა და ძვირფასო გუნთერ, ზოგადად ვიტყვი: გვიყვარდეს ერთმანეთი!..

ნეფე-დედოფალს სამადლობელის თქმა არც უფიქრიათ, როგორც კი დამკვრელებმა თავიანთ საქმინობა განაახლეს, მაშინვე განაგრძეს ერთად ცეკვა.

ბატონ თამადას მორიგი სადღეგრძელო სწორედ ნეფე-დედოფლის ხელისმომკიდეებსა და, ზოგადად, მეგობარ ამხანაგებს მიეძღვნა; დალოცვისა და კეთილი სურვილების გამოთქმის შემდეგ თამადამ განაგრძო:

– ეს ახალი თაობა რომ წამოვიდა, იმათ ვუთხრათ – ბედნიერები იყავით! გზა ხსნილი გაქვთ, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული – დიდი არჩევანი გაქვთ! ჩვენ, ჩემმა თაობამ, თქვენი დედებისა და მამების თაობამ, ვიპოვეთ ჩვენი ბედნიერების გასაღები: ეს არის სიკეთის თესვა, სიკეთის ქმნა! ფასეულია ჩვენს მიერ შექმნილი თუ არ არის ფასეული – ამას ჩვენ არ ვუყურებდით, ჩვენთვის რაღაცას ვჩალიჩობდით, ჰოდა, ჩვენი ნაღვაწი თუ ვიღაცას მოეწონება, ძალიან კარგი, თუ არ მოეწონება და, რას იზამ, არც მაგის გამო მოვიკლავთ თავს – ყველასთვის მოსაწონი ღმერთმაც ვერ გააკეთა... მთავარია, სიკეთე თესო... გისურვებთ, თქვენ ჩვენზე ბევრად მეტი შეძლოთ და ღმერთმა იმის განსჯის უნარი მოგცეთ, რომ კარგი და ცუდი ერთმანეთისგან განასხვავოთ. ეს არც ისე იოლია, ამას წლები სჭირდება, სიბრძნე სჭირდება, ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება... ძალიან ბევრი ახალგაზრდა გვიან ხვდება ამას, დროს ფუჭად ჰკარგავს და მერე კი უკვე ახალს ვეღარაფერს ჰქმნის... წარმატებას გისურვებთ, ჩვენი – მშობლების და, ზოგადად, წინაპრების, – დაფასება ისწავლეთ... ბევრი გავაკეთეთ თუ ცოტა გავაკეთეთ, ამას არ აქვს მნიშვნელობა – ჩვენ ჩვენი ვეცადეთ, რაც შეგვეძლო, თავი არ დაგვიზოგავს...

თამადას, ეტყობა, ღვინო მოეკიდა და სადღეგრძელოს დამთავრებას თავი ვერაფრით მოაბა; ხალხი აღარ უსმენდა და მომღერალ-მუსიკოსებმა დაკვრა დაიწყეს... ამჯერად დედოფალი მამამისთან ცეკვავდა, ნეფე კი დედოფლის ხელის მომკიდე ქალიშვილთან. და ამ დროს ხალისიანად მოცეკვავე ნეფესთან მივიდა ვიღაც შავებში გამოწყობილი, დაბღვერილი, დაბალ-დაბალი, გაუპარსავი ახალგაზრდა, რაღაც ორიოდე სიტყვა უთხრა, რომელიც, დამკვრელთა თავგამოდების და ხმის გამაძლიერებლების წყალობით, მხოლოდ ადრესატმა გაიგონა, ჯიბიდან ამოიღო პისტოლეტი და პირდაპირ ნეფეს ესროლა. ამ დროს ნეფეს გვერდით მისი ბიძა ცეკვავდა თავის მეუღლეთან ერთად, თავიდანვე თვალი ჰკიდა, რომ რაღაც გაუგებრობა მწიფდებოდა, როგორღაც მოაწრო და ძმიშვილს წინ აეფარა... როცა დაჭრილი წაიქცა, მომხდურმა ისევ რამდენჯერმე ესროლა ნეფეს...

ქალთა წივილ-კივილში (დამკვრელნი ერთხანს ისევ იჭაჭებონენ) თავდამსხმელი გაიქცა და დარბაზიდან დაუბრკოლებლად გავარდა.

სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლას აღარ დაუცადეს და დაჭრილები მაშინვე უახლოეს საავადმყოფოში გააქანეს, თუმცა, როგორც გაირკვა, თავდამსხმელმა ერთ-ერთი ტყვია ნეფეს პირდაპირ გულში მოარტყა, ბიძა კი მძიმედ იყო დაჭრილი...

ხალხი ყაყანებს... ნეფე და მისი მკვლელი თურმე ბავშვობის მეგობრები იყვნენ. რატომ არ დაჰპატიჟა ნეფემ უახლოესი მეგობარი საკუთარ ქორწილში? როგორც ამბობდნენ, ნეფეს და მის მეგობარს ერთი ქალიშვილი უყვარდათ...

წარმოუდგენელ აურზაურში თითებმა მოახერხეს გარეთ მშვიდობით გამოღწევა; ბობღვით, ბობღვით, ჩქარა, ჩქარა – რაც შეიძლება მალე უნდა გაეცალონ "ედემის ბაღს"!..

თითები ბჭობენ:

– ნეტავ რამ გამოიწვია ასეთი სასტიკი შურისძიება? – კითხულობს მარცხენა. – თითქმის დღე არ გავა, რომ ქალაქში მკვლელობა არ მოხდეს, განსაკუთრებით, ახალგაზრდები არ ინდობენ ერთმანეთს, ზოგჯერ სულ უბრალო რამეზე სასიკვდილოდ იმეტებენ ამხანაგ-მეგობარსაც და სრულიად უცნობ პირსაც...

– ქვეყანაში უსამართლობაა გამეფებული, ახალგაზრდები ირგვლივ გაუტანლობასა და ძალადობას ხედავენ... როცა ასეთი საერთო ატმოსფეროა, ასეთი განწყობა, ცეცხლზე კიდევ ნავთის შესხმა რაღა საჭიროა – სატელევიზიო არხები რაღამ გადარია? არცერთ ასეთ ტრაგიკულ შემთხვევას გაუშუქებელს არ ტოვებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი უფრო მეტად სისხლიან, ამაზრზენ კადრებს უჩვენებს... ასევე, დიდ დროს უთმობენ არაფრის მთქმელ, უაზრო, სრულიად უსარგებლო ან ხშირად – მავნე ვაი-ინფორმაციებს... მაგალითად, ამას წინათ "გვახარეს", რომ ფინეთში გაიმართა ნუდისტთა გარბენა, ხოლო ლონდონსა და მექსიკოში შიშველმა ველოსიპედისტებმა გარბენა მოაწყვეს ქუჩებში და, ტელეარხებმა, რა თქმა უნდა, შესაბამისი ვიდეომასალაც დაურთეს... ალბათ უპრიანია, საინფორმაციო გამოშვებებსაც წინ წაუმძღვარონ გაფრთხილება, რომ 18 წლის ასაკის მაყურებელთათვის მათი ნახვა არ შეიძლება. საინფორმაციო გადაცემებს იწყებენ იმით, თუ სად რა ტე-

რორისტული აქტი, აფეთქება, ესა თუ ის კატასტროფა მოხდა, გადაცემის ბოლოში კი, გემრიელ ჩაროზად – არ გამორჩებათ უჩვენებელი, თუ სადმე ჰომოსექსუალისტთა ხალხმრავალი "პარადი" გაიმართა, თითქმის ყოველდღე ვიგებთ რომელიმე ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი რა მორიგ სკანდალში გაეხვია, ან რამდენ მილიონ დოლარს მიიღებს მორიგ უზარმაზარბიუჯეტიან ფილმში მონაწილეობისთვის, ან მერამდენედ გათხოვდა, ან რა ფასად იყიდა იშვიათი ჯიშის ძაღლის ლეკვი... მილანოში, პარიზში, ლონდონში, ნიუ იორკში ან სხვაგან სახელგანთქმული სამოდელო სახლების ახალი კოლექციების ჩვენება გაიმართა... მავანი ფეხბურთელის ტრანსფერი 20, 30 და მეტი მილიონი ევრო დაჯდა... თითქოს მსოფლიოში ხელოვნების, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში ამაზე მნიშვნელოვანი მოვლენები არაფერი მომხდარა!

– აბა, სერიოზული ამბების გადამკიდე გულდამძიმებულ მაყურებელს ცოტა გართობის საშუალება არ უნდა მისცე?

– დებილების დოღია!

– ჭეშმარიტად!

კარი IX.
რას ერჩი საკუთარ თავს, შე უბედურო?!.
(Con amarezza, მწუხარებით);
მოსმენები და დასმენები
(Con collera, ბრაზიანად, სასტიკად);
დაჭერები (Ansioso, მღელვარებით, შეშფოთებით)

აუჰ, რა ვნებათაღელვა გადაიტანეს თითებმა, ახლა ერთ მყუდრო კუნჭულს უნდა მიაგნონ, ცოტა დამშვიდდნენ, დაისვენონ... თუმცა, როგორც თითები საკუთარ ტყავზე დარწმუნდნენ, ამ დალოცვილ ქვეყანაში სიმყუდროვე სასაფლაოზეც ძნელი მოსაძებნია...

უკვე საკმაოდ გვიანი იყო და ლამპიონებით განათებული ქუჩა უკაცრიელი ჩანდა, მხოლოდ იშვიათად თუ გაივლიდა ავტომანქანა. ეს ერთი მაინც იყო სასიხარულო, ხიფათი ჯერჯერობით არსაიდან ემუქრებოდათ. უკვე საკმაოდ დალეული მთვარე დასცქეროდათ და თითქოს თითებს იმედს უღვივებდა: "გპირდებით: ცოტა ხანს წვიმას გადაურჩებით, ამ ამჯერად გაჩირაღდნებული ქუჩების იმედად ნუ იქნებით, შეიძლება, უცებ უკუნი ჩამოწვეს, მე კი მალე სულ მთლად დავილევი და გზას ვეღარ გაგინათებთ, იჩქარეთ სამშვიდობოს გაღწევაო".

მიბობღავდნენ, მიბობღავდნენ და – ბედი არ გინდა? სიწყნარისა და სიმშვიდის მაძიებლები ისევ კრაზანების აფორიაქებულ ბუდესავით აფუთფუთებულ-აჩოჩქოლებულ ბრბოს არ გადაეყარნენ? ოღონდ ამჯერად – ქუჩაში... ნაწილი შილიფად ჩაცმული ადამიანებისა მომცრო ეზოშიც იყო შესული, ვინც კი დაეტია; ყველანი კისრებს იგრძელებდნენ, უთავბოლოდ ყაყანებდნენ და მეორე სართულზე გაღებულ, განათებულ ფანჯარას მისჩერებოდნენ...

გაჩირაღდნებულ ოთახში ფრიად უცნაური რამ ხდებოდა: ვიღაც შუახნის, გამხდარი კაცი მაგიდაზე ამძვრალა და ჭაღის დასამაგრებელ კაუჭზე გამობმული თოკის ყულფში თავი გაუყვია – და დგას ასე...

ეტყობა, ოთახის ჩაკეტილ კარს გარედან შესამტვრევად ეჯაჯგურებოდნენ, თან თვითმკვლელობის მოსურნეს რაღაცას ეუბნებოდნენ, ის კი გაწვრილებული ხმით ისტერიულად გაჰყვიროდა:

– დამანებეთ თავი!.. არ გაბედოთ, არ შემოხვიდეთ!.. ახლოს არ მომეკაროთ, თორემ გადმოვხტები მაგიდიდან!..

ზოგიერთნი ეზოდანაც უყვიროდნენ, ცდილობდნენ მის დამშვიდებას...

ოჯახის წევრები უკიდურესად შეშფოთებულნი ჩანდნენ: ცოლი და ორი მოზრდილი ქალიშვილი ტირილით მოსთქვამდნენ, ვაჟი კი ენაგადაყლაპულივით იდგა და გაშტერებული, გაოგნებული მისჩერებოდა ფანჯარაში გამოჩენილ სურათს, თითქოს რომელიღაც კინოფილმის კადრს უყურებდა და არაფრით სურდა დაჯერება იმისა, რომ, ვისაც ყულფში თავგაყოფილს ხედავდა, სწორედ მამამისი იყო და არა სხვა ვინმე...

გაჩიღდნებული ჭაღი, მაგიდაზე ამძვრალი კაცის მუქხალათიანი, განათებული ფიგურა იკვანწება და მისი ჩრდილი კედლებზე დახტის...

აფუთფუთებული ეზო და ერთ გაბმულ ზუზუნად აღქმული გაუთავებელი, უთავბოლო ყაყანი...

რა მოხდა?

თვითმკვლელობის მცდელობა...

თავის დროზე ამ საბრალოს სესხი გამოუტანია ბანკიდან; უზომო ოფიციალურ და არაოფიციალურ გადასახადებს კიდევ როგორმე გაუძლებდა, მაგრამ საქმე მთლად კარგად ვერ წაუვიდა და,

რაც მთავარია, საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მმართველი პარტიის "ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკლების ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირის" მიერ მიგზავნილმა ხალხმა მუქარითა და დაშინებით იმდენი ფული გამოსძალა, რომ მის მიერ დაარსებული ფირმა საბოლოოდ გაკოტრდა და კაცი ვალებში ჩაეფლო, საბანკო პროცენტებსაც ვეღარ იხდის... შვილების სწავლის გადასახადს ვინ ჩივის, მთელი ოჯახი ლამის შიმშილობს და ახლა კი გაჭირვების უკიდურეს მიჯნასაც მიაღწია: უნდა გაუყიდონ გირაოდ ჩადებული საცხოვრებელი სახლი, რომლის აშენებასაც ნახევარი ცხოვრება შეალია...

ცოლი ტირილით უყვება შემოჯარულ მეზობელ ქალებს, რომლებიც ცდილობენ მის დამშვიდებას: ქმარი ერთი კვირაა, ცდილობს, ფული ისესხოს მეგობრებში – უსარგებლო და უშედეგო საუბრები ტელეფონით, – ახლა ყველა გაჭირვებულ დღეშია, – არადა, ბანკი საცოდავ ოჯახის უფროსს დანას ყელზე უბჯენს: "ვალი სასწრაფოდ გადაიხადე!.. თავისი პროცენტებით!.. ერთხელ გაპატიეთ, გადაგივადეთ, ახლა კი იძულებული გავხდით, გვეჩივლა"... და სასამართლოს დადგენილებით ხვალ სააღმსრულებლო ბიუროს თანამშრომლებმა ოჯახს ბინა უნდა ძალით დააცლევინონ და აუქციონზე გაყიდონ...

ქუჩაში გამოგდებული ოჯახი სად უნდა წავიდეს? არსაით ჩანს საშველი!

თურმე შუაღამეს გაღვიძებულმა ცოლმა ქმარი მოისაკლისა; როცა იგი არა და არ გამოჩნდა, წამოდგა, ეძება და ზალაში ჩაკეტილს მიაკვლია...

სასოწარკვეთილი კაცი ხვეწნა-მუდარას არ უსმენდა და ცოლს კარს არ უღებდა...

როცა გადაჭრით მიიღო უარი, შეშინებულმა და შეძრწუნებულმა ცოლმა შვილებს დაუძახა...

შვილებმა კარის შემტვრევა სცადეს, მაგრამ ისინი მამის განწირულმა ყვირილმა გააჩერა: "არ შემოხვიდეთ, თორემ თავს არ ვიცოცხლებ!"...

მცირეოდენი ჩოჩქოლის შემდეგ ყველანი გარეთ გავარდნენ – საშველად მეზობლებს მოუხმეს.

მაშინვე პოლიციასაც შეატყობინეს, სახანძრო დაცვასაც, მაგრამ სანამ ისინი გამოჩნდებიან, შეიძლება, უბედურებამ არ დაახანოს...

გახშირდა, ძალიან გახშირდა თვითმკლელობები – გასაჭირით, უმუშევრობით, უიმედობით მოცულ ქალაქში...

მარჯვენა ადგილზე ვერ ისვენებს:

– უბედურს უნდა ვუშველოთ!

მარცხენა მარჯვენას ეჩხუბება:

– როგორ და რანაირად, სად მიძვრები, გაგიჟდი? რომელი გმირთა გმირი შენ გამომიჩნდი, რას ეტენები, დაეტიე შენს ქერქში ან რა შენი საქმეა სხვისი გადარჩენა? ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის პატრონი თვითონ არის, მან თვითონ გადაწყვიტა, როგორ უნდა მოიქცეს! ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ყოველდღე რამდენი გაუბედურებული და იმედგადაწურული კაცი თუ ქალი საკუთარი ნებით ისწრაფავს სიცოცხლეს – ამ მაჩვენებლით მოწინავენი ვართ მსოფლიოში! – და რომელ ერთს უნდა უშველო?

კაცი ისევ განწირული ხმით იმუქრება, ჩემთან მოახლოება არ გაბედოთ, თორემ მაშინვე მაგიდიდან გადავხტებიო.

– შენსავით ასე გულგრილად სადამდე ვუყურო? – ძმას პასუხობს მარჯვენა. – ხომ ხედავ, ჩვენს მეტი, მისი მშველელი არავინაა, მე მაინც ვეცდები და თუ შენც წამომყვები...

– არა, მე აქ დავრჩები, ჩვენ ორს უფრო შეგვამჩნევენ...

"კარგი, მაშინ მარტო შენ წადი საშველად", – უნდოდა ძმისთვის განგებ ეთქვა მარჯვენას, მაგრამ პაექრობის დრო აღარ იყო და სასწრაფოდ გაეშურა საკუთარი გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

მარჯვენა მტევანი შეუმჩნევლად მიბობღდა სახლთან; კიდევ კარგი, სახლი აგურისა იყო და კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო და ნელ-ნელა მაღლა აძვრა, მეორე სართულზე ააღწია, გაღებული ფანჯრიდან ოთახშიც გადაძვრა...

კარს გარედან ისევ ეჯაჯგურებიან, ეზოდან კი ცდილობენ, კაცის ყურადღება მიიქციონ; რუპორით უყვირიან: ამუნათებენ, შეაგონებენ, ვაუკაცობას მოაგონებენ, რაღაცას ახსენებენ, რაღაცას ჰპირდებიან...

გაოგნებულმა, თავგზააბნეულმა კაცმა აღარ იცის, რა უნდა ჰქნას...

და როცა ეს-ესაა კარს შემოამტვრევენ, ყულფში თავგაყოფილი კაცი ისევ განწირულად ჰყვირის...

კარი შემოამტვრიეს, იმავდროულად – კაცი გადმოხტა მაგიდიდან, თუმცა, მისი სიმძიმისგან ჭერზე მიმაგრებული კაუჭი მოძვრა, კაცი ჭაღთან ერთად ცივ იატაკზე დაენარცხა და წაიქცა, ხელი იღრძო...

ტკივილით გამწარებულმა კაცმა მორთო ყვირილი:

– მიშველეთ!.. მგონი, ხელი მოვიტეხე!.. რაღა მეშველება!..

მარჯვენა გაღებულ კარში გამოვარდა ოთახიდან, კიბეზე კისრისტეხით დაეშვა და ეზოში მარცხენასთან გაჩნდა.

– ბიჭო, შეხედე, საპატრულო პოლიცია მოგრიალდა, მას მოჰყვა სახანძროსა და სასწრაფო დახმარების მანქანები, საჩქაროდ მოვუსვათ ბაყაყური! – შეშფოთდა მარცხენა.

– სირენების ღრიალი რომ გაიგონა, იმ საწყალს ნერვებმა უმტყუნა!

მარჯვენა და მარცხენა უკვე კარგა მოცილებულნი იყვნენ შემთხვევის ადგილს, როცა მარცხენამ მარჯვენა შეაქო:

– ყოჩაღ, დროზე მოახერხე იმ საცოდავის შველა!

– ჰო, შენი დახმარებით! – დაცინვით უპასუხა მარჯვენამ. – მე რას ვუშველიდი, მაგიდაზე ასვლა ვერაფრით შევძელი, ძალიან ვიწვალე, იმ ოხერს ნამეტანი გლუვი ფეხები ჰქონდა... სახლის კედელზე აძრომა მოვახერხე და იქ კი – ვერა!

– აბა?

– ეტყობა, ჭაღი სუსტად იყო დამაგრებული ჭერში, როცა ის უბედური გადმოხტა, კაუჭმა კაცისა და ჭაღის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და მოწყდა ჭერს, მე მაგიდის ქვეშ შეძრომა მოვასწარი... კიდევ კარგი, ჩამოვარდნილი ჭაღი იმ უბედურს არ დაეცა, – მძიმე, დიდი ჭაღი იყო, ბროლი სულ ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა!

– ეგ უნდოდა კიდევ იმ საცოდავს – ზარალს ზარალი მიემატა!

– ჰო, ძვირფასი ჭაღი იყო, ანტიკვარული; ეტყობა, წინათ ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა, ამ ახალ დროებას კი ფეხი ვერ აუწყო!

– ოჯახის ნორმალური ცხოვრებაც იმ ჭაღივით უცებ დაიმსხვრა!

მარჯვენა და მაცხენა დამძიმებული გულით ისევ და ისევ ერთ კითხვას ეჭიდავებიან: ახლა საით უნდა გასწიონ?

– სად ან როგორ უნდა დავიმალოთ? – ჩივის მარცხენა. – სასაფლაოს გარდა, ყველგან სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურაა დაყენებული: ქუჩაში, სასაუზმეში, ყოველგვარ ტრანსპორტში, თეატრში, აბანოში, მაღაზიაში...

– ალბათ – საკონცერტო დარბაზშიც! სწორედ იქაური სათვალთვალო კამერების ჩანაწერებით ექნებათ მოპოვებული ჩვენი გამოსახულებები, გაამრავლებდნენ და იმით დაგვიწყებდნენ ძებნას!

– ვითომ ჩვენთვის სცალიათ? რომელი დამნაშავეები ჩვენ ვართ! ერთ-ორს კი გავეხუმრეთ, შენ კი თვით ბატონ პრეზიდენტის განაწყენება შესძელი...

– ვერავის ენდობიან, ყველასი ეშინიათ, ყველასი! ლამის არის, ყველა ბინაში ფარულად დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების მზრუნველობით აღსავსე მზერით იყოს გარემოცული ყოველი მოქალაქე, მისი პირადი ცხოვრების ყოველი წვრილმანი არ რჩებოდეს ყურადღების მიღმა, ჰოდა, ბარემ იმ უბედურის სახლშიც დაეყენებინათ! უამრავი ადამიანიც რამდენ დავიდარაბას და ნერვების წეწვას გადაურჩებოდა!

– ხუმრობის ხასიათზე ხარ?

– ეჰ, ჩემო ძმაო, ძალიან, ძალიან მძიმე სურათი ვიხილეთ და ცოტა განმუხტვა არ გვაწყენს... – ამოიოხრა მარჯვენამ. – კიდევ რას გეტყვი, იცი? ოღონდ ამაზეც არ ამიხირდე... მისმინე: ჩვენ ახლა ჩვენი ბრწყინვალე პრეზიდენტის ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის ბრწყინვალე მელოტის დასაფარავი ბრწყინვალე პარიკი რომ გქონდეს, ბრწყინვალედ შევინიღბებოდით და ბრწყინვალედ დავიცავდით თავს ავი თვალის ბრწყინვალე თვალთვალისგან!.. თქვენო ბრწყინვალებავ, ხომ მეთანხმებით?

– თუ მაინცდამაინც გინდა, ყოველთვის და ყველაფერში უსიტყვოდ ბრწყინვალედ დაგეთანხმო, კი, ბატონო, უბრწყინვალესად მართალი ბრძანდები!

– "ბრწყინვალედ", "უბრწყინვალესად", დამცინი? რა საჭიროა ამგვარი სარკაზმი?

– შენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე აბუჩად მიგდებ, თრგუნავ ჩემს ნებას, სულ შენს დაკრულზე უნდა ვიცეკვო და მე ხმის ამოღების უფლებასაც აღარ მაძლევ?

– კარგი რა! ვინმემ რომ ჩვენი საუბარი მოისმინოს, ეგონება, ძმები კი არა, დანასისხლად გადაკიდებული ბრწყინვალე მტრები არიანო!

– არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს ტკბილ საუბარს მართლაც ისმენენ... – დამფრთხალმა მიიხედ-მოიხედა მარცხენამ. – ბოდიში, შენებურად რომ ვთქვა, – ჩვენს ბრწყინვალე საუბარს. ჩვენ ხომ არავითარ საფრთხეს არ წარმოვადგენთ არავისთვის და მაინც გვეძებენ; იქნებ მათთვის ბევრად ძვირფასი პარიკის ძებნაც არის გამოცხადებული? რად უნდათ ამგვარი ტოტალური თვალთვალი, მოსმენა, დასმენებისკენ მოწოდება, ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა ხომ არ აწუხებთ?

– ყველამ ნაძირალამ ისწავლა, რომ, შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის ქონა – ეს არის აუცილებელი, რათა გქონდეს ფული, გავლენა, შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება... ამიტომ სურს და ყოველნაირად ცდილობს ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი, რომ ყველას შესახებ ყველაფერი ბრწყინვალედ იცოდეს და ყველანი საკუთარ ბრწყინვალე მუჭში ჰყავდეს

მომწყვდეული, რა თქმა უნდა, ბრწყინვალედ... სურს, მთელ ქვეყანაში დაბეზღება ცხოვრების სტილად აქციოს – უკვე სკოლის ასაკიდან დაიწყოს ამ მიმართულებით მიზანმიმართული "აღზრდის" პროცესი... რაც მეტი ხალხი იქნება მოსყიდული და დანაშაულში ჩათრეული, მით მეტი დაირაზმება აწ უკვე მოფამფალებული რეჟიმის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, აუცილებლად მიაჩნია საყოველთაო შიშის დანერგვა და ადამიანთა თავისუფალი ნების მოსპობა – თვითონ ბრწყინვალე ტერორისტიცაა! ატერორებს ყველას და ყველაფერს: პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, თავისუფალ აზრს, ფულიან ხალხს – მეწარმეებს, ბანკირებს... ყველა ბრწყინვალედ დაშინებული უნდა ჰყავდეს, რათა საკუთარ ბრწყინვალე დუდუკზე ბრწყინვალედ აცეკვოს, ბრწყინვალე ძარცვა-წართმევაზე ხმა არავინ ამოიღოს, პოლიტიკურ ასპარეზზე მისი მონოპოლიური ბრწყინვალე პარპაშისთვის წინააღმდეგობის გაწევა ფიქრადაც ვერავინ გაივლოს... და, რაც მთავარია, იმიტომ სურს, რომ ყველა ბრწყინვალედ დათრგუნული იყოს, იმიტომაც არის ესოდენ სასტიკი, რომ თვითონ ძალიან, ძალიან მშიშარაა!

– ბარემ გეთქვა, რომ ბრწყინვალედ მშიშარაა!

– მშიშრები, ხომ იცი, სასტიკები და მატყუარებიც არიან; შატაბუტა ბრწყინვალე მატყუარაცაა: სიტყვით – ერთია, საქმით – სულ სხვა!

– მე კი უბრალოდ მშიშარა ვარ და გთხოვ, მასეთ საშიშ ლაპარაკს შეეშვა! და – ამდენ სიტყვების ბრწყინვალე რახარუხსაც! მე მგონი, შენ გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე და გგონია, რომ მთელი ქვეყნის პოლიციას შენი დევნის თუ დაჭერის მეტი საქმე არ აქვს!

– ეს შენ არ ბრძანე ახლა, მშიშარა გახლავარო? მე კიდევ შენი ძმა ვარ, რამ გაგვყო! ესე იგი, შენი ლოგიკით, უნდა დავასკვნათ, რომ მეც მშიშარა ვყოფილვარ!

– ისევ დამცინი? – გაიბღუზა მარცხენა. – დასაცინი თავი თვითონ გაბია! გაგიმეორებ: რატომ გგონია, რომ ყველაზე მაგარი ხარ, ვერავინ დაგიჭერს?!. რომ იშვირე ფეხი და ფეთიანივით მიატოვე მშვენიერი საკონცერტო დარბაზი, რას გარბოდი, რატომ გაიხადე თავი დასაჭერად? მერამდენედ გეკითხები: რატომ აიტკივე აუტკივებელი თავი? გამეცი პასუხი!

– შენ ის მითხარი: რატომ გიკვირს, რომ მაგარი ვარ? – აგდებულად მიუგო მარჯვენამ. – ხომ ხედავ, აქამდე თავისუფლად დავსეირნობთ!

– ჰი-ჰი-ჰი, არ გამაცინო! სულ რომ ვიმალებით, ყოველ წუთს რომ დაჭერის შიშით ვკანკალებთ, ამას გულისხმობ? ამასაც თუ თავისუფლად სეირნობა ჰქვია! ისევ გეკითხები: ჩვენ ჩვენთვის ვართ, არავის საქმეში არ ვეჩრებით, ჩვენს რამდენიმე უწყინარ ხუმრობას თუ არ ჩავთვლით, არავისთვის არაფერი დაგვიშავებია და მითხარი, რატომ უნდა დაგვდევდნენ დასაჭერად?

– თუ შატაბიტა-ტარუღაშვილისა და მისი მმართველი პარტიის "ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკალის ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირი" დევიზს გავითვალისწინებთ, – "ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!" – პასუხი მარტივია. ამიტომაც არ ვეპიტნავებით და ხიფათი მართლაც გველის... ჰოდა, ჩემი და შენი კი არა, ამათთვის ნებისმიერი არასასურველი პიროვნების დაჭერაზე ადვილი რა არის! ანგელოზივით უცოდველი რომ იყოს, მოწმენდილ ცაზე საავდროდ მოქუფრულ ღრუბლებს და ჭექა-ქუხილს გაუშანშალებ: მოუწყობ საავტომობილო ავარიას – "შესაბამისი" შედეგით, ან დააბრალებ ხანძრის მოწყობას, იარაღის უკანონო შენახვას, ნარკოტიკებით ფარულ ვაჭრობას და ათას სხვა უბედურებას... თუ უცებ და იოლად გინდა ამ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარება – რესტორანში, ან თუნდაც ქუჩაში, ჩხუბის ატეხვას რა დიდი რამე უნდა: გემრიელ ბრალდებას ჩამოვარდნილ მწიფე მსხალივით პირდაპირ ხელით დაიჭერ და მაშინვე დააგემოვნებ: "ბოროტი ხულიგნობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას! შენ, ყმაწვილო, შესაბამის დაწესებულებაში სტუმრობა ნამდვილად გამოგაფხიზლებს, დაგაფიქრებს და სწორ გზაზე დაგაყენებს, – ისეთი საღი თვალებით დაინახავ ყველაფერს, როგორც საჭიროა!".

– ბარაქალა, ბარაქალა! – დაცინვით და თანაც დაუფარავი შეშფოთებით წამოიძახა მარცხენამ, – ბრწყინვალე წარმოსახვა გაქვს და ბრწყინვალედ ახერხებ ჩემს კიდევ უფრო ბრწყინვალედ შეშინებას!..

ამასობაში ირიჟრაჟა კიდეც და სულ მალე მზის ბრწყინვალე, მხიარული თვალიც ამოგორდა!

– ახლა საით? – ტრადიციული კითხვა დასვა მარცხენამ.

– თუ გინდა, დაჭერას და ციხეში მოყუჩებას გადავურჩეთ, ერთ რასმე შემოგთავაზებ და შენ შენებურად ნუღარ შეიცხადებ, კარგი? – შესთავაზა მარჯვენამ.

– ჰო, წინასწარ ვიცი, რომ რაღაც ბრწყინვალე საშინელება თუ არა, ფრიად უცნაური წინადადება მაინც გამოცხვა შენს ბრწყინვალე გოგრაში. აბა, ამოშაქრე, დროულად გამახარე!

– სიტყვა "ბრწყინვალე" სახუმაროდ ვიხმარე, შენ კი ჩემს გასაბიაბრუებლად იყენებ, დაანებე რა თავი! შენზე მეტი გონება რომ მაქვს, ცხადზე ცხადია და ვერც შენ შემომედავები...

– ჰო, კარგი, ამოშაქრე ახლა შენი... ბოდიში, კინაღამ "ბრწყინვალე" წამომცდა, შენი უებრო წინადადება, რას მთავაზობ?

– სად ვიქნებით ყველაზე უსაფრთხოდ?.. ციხეში შევძვრეთ!

– შენ უებროდ გააფრინე, აი! – შეიცხადა მარცხენამ. – შატაბუტა-ტარუღიშვილის სასახლეშიც სრულიად უსაფრთხო გარემოში ვიყავით, მაგრამ დაგავიწყდა, რა ბრწყინვალე... ბოდიში, რა უებრო ცუღლუტობა წამოიწყე? ძლივს გადავრჩით!

– რა ვქნა ძმაო, ხუმრობის ჭია მარად მყავს შეჩენილი და ხშირად უებრო ქმედებებისკენ მიბიძგებს...

– ისევ დამცინი? ახლა ეს სიტყვა "უებრო" ისევ ჩემს ჯინაზე ამოიჩემე...

– ვაჰ, რა ვქნა აღარ ვიცი... თუ გინდა, სულ ჩავიკმენდ ხმას. პასუხი მოკლედ მომახსენე: მარტო გინდა დარჩე თუ ჩემს წინადადებას იზიარებ და გამომყვები?

– შენ, ძმაო, ჩემზე ფხუკიანი ყოფილხარ! – წამოიძახა მარცხენამ. – გამოგყვები, აბა, სად ჯანდაბაში წავალ მარტოდმარტო? ოღონდ ეს მიბრძანე, თქვენო ბრწყინვალებავ... ბოდიში, უებროებავ... უჰ, კიდევ და კიდევ ბოდიში, ჩემო ძმავ და მეგობარო, რა დაგვრჩენია იმ ბრწყინვალე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, როგორც სიყვარულითა და მოწიწებით თავაზიანად უწოდებენ ჩვეულებრივ ციხეს? და მეორე კითხვასაც თუ გასცემ დამაკმაყოფილებელ პასუხს, შენი საუკუნოდ მადლიერი დავრჩები: როგორ და რანაირად აპირებ შენი... შენი შესანიშნავი ჩანაფიქრის განხორციელებას?

კარი X.
ციხეში მხიარულად ვატარებთ დროს!
(Confusamente, შეშფოთებით)

როგორ უნდა მოხვდნენ საკანში?

მარჯვენამ შესთავაზა მარცხენას – შემძვრალიყვნენ ერთ-ერთი ფორმიანი კაცის ჩანთაში, რომელიც ის-ის იყო, შენობაში შესვლას აპირებდა, – იქ მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება!

– არა, ძმაო, პირდაპირ ყულფში მაყოფიებ თავს? – შეიცხადა მარცხენამ. – უკვე ვნახე ყულფგაყოფილი კაცი!

– ეჰ, ჯერჯერობით ვერაფერი შეგასმინე... – დამწუხრდა მარჯვენა. – მაშინ შენ აქ დარჩი და მე დავზვერავ იქაურობას... აქ მომიცადე, იცოდე, არსად წახვიდე!.. ეგერ, ის მანქანა რომ დგას, ძვირფასი "ჯიპი", იმის ქვეშ შეძვერი! მაგის პატრონი ახლა შევიდა ციხეში, ეტყობა, აქ მუშაობს და კარგა ხანს არ გამოვა!.. ჭკვიანად იყავი, აბა, წავედი! – და მარჯვენა მაშინვე გაეშურა ჩანთიანისკენ...

თურმე, ციხის ზედამხედველის ჩანთა ყოფილა; ეს ზედამხედველი მივიდა სამსახურში სამორიგეოდ, ჩანთა სამორიგეოში დატოვა.

მარცხენამ კი მყუდრო ადგილს მიაშურა – ძმამ რომ მანქანაზე მიუთითა, იმის ქვეშ მოკალათდა. აქ მართლაც უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, წაუძინა კიდეც...

უცებ საშინელმა გრიალმა გამოაღვიძა და, შეშინებული, ხუთივე თითზე მყისიერად დადგა – გასაქცევად მოემზადა... წასვლა ვერსაით მოასწრო, – უცებ სინათლის ნიაღვარში მოექცა, – მანქანა წავიდა. მარცხენა სასწრაფოდ გადაბარგდა იქვე მდგომი სხვა ავტომანქანის ქვეშ...

"ვაჰ, რა ჩერჩეტია ჩემი ძმა, – გაიფიქრა მარცხენამ, – რომელი ციხის რიგითი თანამშრომელი დაბრძანდება ასეთი ძვირფასი ავტომანქანით, ალბათ სამინისტროდან მოსული იყო ვიღაც... მეც არანაკლები სულელი ვარ, ძმას რომ დავუჯერე და აქ შემოვძვერი!.. ნეტავ რას აკეთებს ამდენ ხანს იქ?" – და კიდევ უამრავი სხვა კითხვაც არ ასვენებდა.

კიდევ რამდენჯერმე მოუწია მარცხენას ადგილის სასწრაფოდ შეცვლა – მანქანები ერთნი მიდიოდნენ და სხვანი მოდიოდნენ, მარჯვენა კი არა და არ ჩანდა...

უკვე საღამოსპირი იყო, როცა, როგორც იქნა, მარჯვენა მობობღდა, თან პოლიციელის ფორმის ქუდიც მოათრია.

– სადა ხარ, კაცო, დაკარგული! ვიფიქრე: რამე უბედურებას ხომ არ გადაეყარა-მეთქი... რა ამბებია, რა ნახე? ეგ ფორმის ქუდი – საიდან? რა მოუსვენარი ხარ, როგორც ვატყობ, შენ სულ უფრო აიწყვიტე!

– მოიცა, ჯერ ამოსუნთქვის საშუალება მომეცი, ქუდის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებ... იმდენი რამ გადავიტანე, განცდებით გადავიტვირთე... წინასწარი დაკავების საკანში მოვხვდი – შიმშილი, უექიმობა, ცემა-ტყეპა... ადამიანის უფლებების საყოველთაო უპატივცემულობა – სრული განუკითხაობაა!

– მაინც, მაინც? დაწვრილებით მიამბე.

მოუთმენლობით აღსავსე მარცხენას უფროსმა ძმამ დაუკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა:

— ციხე... არა, ბოდიში, ციხეში კი არ ვიყავი, ამ შენობაში შინაგან საქმეთა სამმართველოა მოთავსებული და მის ქვედა ნაწილში, სარდაფში, არის წინასწარი დაკავების საკნები. შენობა ვითომ არც ისე დიდი ხნის აშენებულია, მაგრამ ბნელი კამერებია, უბედური ნესტიანი, როგორც გითხარი — სარდაფში... ბეტონის იატაკი და კედლები... სისხლით მოთხვრილი კედლები... მართალი გითხრა, წესიერი პატრონი საქონელს არ ამყოფებს ასეთ საშინელ პირობებში. ამ ნამდვილ დილეგში საერთოდ არ არის ონკანი, პირსაბანი; კუთხეში "თურქული" ტუალეტია (მოსაქმების შემდეგ ქაღალდის არქონის კვალი კედელზე მრავალგზისაა აღბეჭდილი); იქ, ამ ფეხსალაგთან მილია მიყვანილი და ხანდახან გამოუშვებენ წყალს, როცა მოეხასიათებათ და დაპატიმრებულებმა იქ უნდა ხელ-პირი დაიბანონ კიდეც, წყალიც დალიონ... თუმცა, რა დაალევინებთ! მხოლოდ შუაღამეზე გამოუშვებენ წყალს დიდი წნევით, მისი ჩხრიალი არ აძინებს ბიჭებს. დღე რომ ნახევრად სიბნელეში სხედან, ღამე 500 სანთლიან ნათურას ჩართავენ... გაპარსვის საშუალება არ აქვთ, არიან წვერმოშვებულები... ნამდვილი წამების კამერა არის მოწყობილი! ვირთხები უბოდიშოდ დაშლიგინობდნენ... იქ, სადაც მე ვიყავი, რვა კვადრატული მეტრის ფართობის მქონე საკანში, ოთხი ბიჭია შეყრილი, საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობისთვის დაკავებულნი; მეზობლად, სხვა საკნებშიც იგივე მდგომარეობაა. კუთხეში არსებულ ხვრელებში პლასტმასის ბოთლებს ჩურთავენ, მაგრამ ვირთხების შემოსევას მხოლოდ დროებით აჩერებენ — ერთ-ორ საათში ვირთხები გაღრღნიან და ძველებურად მოურიდებლად დასეირნობენ.

— ალბათ საშინელი სიბინძურეცაა...

— ნუღარ იტყვი! შმორის და საპირფარეშოს საშინელი სუნით ყარს იქაურობა. ერთი თვე რომ ასეთ აუტანელ პირობებში გამყოფებენ, გამორჩეულად ჯანიანიც კი შეიძლება, დაავადმყოფდეს. ეტყობა, არც სხვაგანაა უკეთესი მდგომარეობა. ციხეებშიც დაავადებების საშიში კერებია; როგორც ამბობენ, — და ამის საჯაროდ გაცხადებას თავს არიდებენ, — თვით ზედამხედველების საგრძნობი ნაწილი ავადაა ჰეპატიტით და ჭლექითაც კი...

— არ გამაგიჟო!

— წარმოიდგინე ახლა, თვით დაკავებულები რა დღეში იქნებიან. ისედაც დახუთულია ვიწრო საკანი და, ამ ჯურღმულის უფროსის ბრძანებით, ერთადერთი სარკმელიც დაკეტეს, სული უნდათ ამოხადონ; "თქვენ წესრიგს არღვევდითო", — ბიჭები თურმე გაჰყვიროდნენ: "გაუმარჯოს თავისუფლებას!" — ეს ყოფილა მათი დიდი დანაშაული. წამების სხვა ხერხებიც აქვთ. როცა ამას წინათ მაგრად გაწვიმდა, სწორედ მაშინ გაუღია ერთ-ერთ ზედამხედველს ფანჯარა და წყალი თხრიშინით ასხამდა პირდაპირ საკანში. ეს ზედამხედველი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა, სულ მთვრალია. თურმე უბანში ურცხვად ტრაბახობდა: "მეც ვცემე ის ბიჭები!".

— ვინ იყო ის სადისტი?

— მისი სახელის გაგება განსაკუთრებით უნდოდათ ბიჭებს და ეს მოახერხეს კიდეც — ვინმე ადოლფ მამაძაღლაური ყოფილა.

— სულ ასეთი ჯალათები არიან?

— ღმერთმა დაიფაროს! რა თქმა უნდა, მათში ფანატიკოსებიც გამოერევა, გამორჩეულად მხეცური მოქმედებით. ამ ადოლფ მამაძაღლაურის ოთხმოცი წლის ბაბუამ, როცა გაიგო მისი შვილიშვილის "გმირობის" ამბავი, დაწყევლა თურმე; რად ღირს ახლა მისი ცხოვრება, რამ უნდა გაახაროს? მაგრამ იზოლატორში ბევრი წესიერი ზედამხედველიცაა, არ არიან ცუდი განწყობით, ზოგიერთის დანახვა ოპოზიციის მიერ მოწყობილ მიტინგზეც არ გამიკვირდებოდა, რა თქმა უნდა, დამრბევ პოლიციელთა შორის კი არა! ბიჭებთან ურთიერთობას მაინც გაურბოდნენ. როცა ეკითხებოდნენ: "სახელი რა გქვია, რომ დაგიძახო?", "დააკაკუნე და მოვალ!". თითქოს ბოდიშობდნენ: "რა ვქნათ, ბრძანებას ვასრულებთო"...

— ბოდიში დიდი შეღავათია!

— ჰო, ეგრეა... როცა ცოტა ხნის წინ გაწვიმდა, აცივდა და საბნები არ მიუციათ; მერე ერთი პლედი შემოაგდეს, ალბათ იფიქრეს, მისი დაუფლებისთვის ბიჭები ერთმანეთს დაერევიანო... ბიჭები ექთნებს ემადლიერებიან, ყურდღებას არ გვაკლებენო, ექიმები კი არ მოდიან მათი მდგომარეობის სანახავად, ალბათ ეზარებათ ან იქნებ სხვა მიზეზითაც... სრული ინფორმაციული ვაკუუმია: არც — წიგნები, არც — ჟურნალ-გაზეთები; წაკითხვით იმ ნახევრად სიბნელეში მაინც რას წაიკითხავ, მობილური ტელეფონები კი ყველას ჩამოართვეს, პირადობის მოწმობებთან ერთად... სხვა საკნებში მყოფებთან ურთიერთობას მაინც ახერხებენ: სიმღერით! ყოველდღე მღერიან. "რატომ მღერით? ახია თქვენზე, სარკმელს ისევ არ გაგიღებთ!"; ბიჭებს რა გატეხს: "ჩვენ ხალხურ სიმღერებს მაინც ვიმღერებთ!".

— რას მღერიან?

— ჰიმნებს, საგალობლებს, უფრო — ხალხურ სიმღერებს... "შავლეგ, შენი შავი ჩოხა...", "სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო!" და უამრავ სხვას. ერთმანეთს ხმას აწვდიდნენ სიმღერით. ერთ ბიჭს დაბადების დღე მოუწია, სიმღერით მიულოცეს სხვა საკნებიდანაც. ის მუდამ მთვრალი პოლი-

ციელი ადოლფ მამაძაღლაური თურმე გაბრაზდა, გინებისა და მუქარის კორიანტელი დააყენა... მერე მოვარდა ციხის უფროსი: "მეგობრებო, ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, უწესრიგობა დაუშვებელია!"; გამომივიდა რა წესრიგის და კანონიერების დამცველი! სხვა დროს ეს დირექტორი იარაღით შეიიარა საკანში: "ეს ჩემი ციხეა! – ვითომ ვინმე ართმევდა, თან ბიჭებს დაუფარავად დასცინოდა: – თქვენ მოხვდით ყველაზე კარგ წინასწარი დაკავების ადგილას! ჩვენ ახალი ძალა ვართ, ჩვენ თქვენს სამყაროს დავამარცხებთ!" – ეტყობა, არასრულფასოვნების განცდა აწუხებს, უნდა, ასეთი ხერხით თვითდამკვიდრებას მიღწიოს, რომ, აი, მაგარია, ყველას მოღუნავს, გასტეხს, დათრგუნავს, დაიმორჩილებს... წესით წინასწარი დაკავების საკანში 2-3 დღე შეიძლება, დაჰყოს დაკავებულმა, მერე ან უნდა გაანთავისუფლო, ან ბრალდება წაუყენო და სხვაგან გადაიყვანო...

– უმეცრებისა და უკანონობის სრული ზეიმია!

– ვერ იტყვი, რომ კანონები არ იციან, თუმცა არც უმეცრება აკლიათ. ვისაც დაბადების დღე ჰქონდა, მას წინა დღით ჯორჯ ორუელის "ცხოველების ფერმა" მოუტანა მეგობარმა, მან კი ციხის უფროსს აჩუქა: "წაიკითხე, განათლდი"! მერე ბიჭებმა ერთგვარი თამაში წამოიწყეს: ვის და რით დაასაჩუქრებდნენ ისინი. აბა, რას ფიქრობ, საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრს ზიგფრიდ თავკომბალაურს რას აჩუქებდნენ?

– ერთ დიდ კომბალს! ელექტროშოკიანს!

– კარგი საჩუქარი იქნებოდა და დიდადაც გაახარებდა ბატონ მინისტრს, მაგრამ საკანში მყოფთ ფრიად შეზღუდული არჩევანი ჰქონდათ და გადაწყვიტეს, რომ, დიდის მოწიწებითა და მადლიერების გრძნობით, მინისტრს მიართმევდნენ საკანში მოშლიგინე ერთ-ერთ ვირთხას! მშვენიერი საჩუქარია! მერე იმსჯელეს და ამგვარ საჩუქარზე უარი თქვეს: "ჩვენ ამ ვირთხებს ვუწილადებთ საჭმელს, დავუმეგობრდით, თავკომბალაურს კი ვერაფრით დავუმეგობრდებოდით!". ერთ-ერთ ვირთხას, ყველაზე დიდს, ჯერ დაარქვეს "ფრიდრიხ ვილჰელმი", შემდეგ შეეცოდათ და უფრო ზოგადი სახელი – "ბატონი პრეზიდენტი" – უწოდეს. ყველაზე დიდი იყო და ყველაზე თავხედი და მსუნაგი. უამრავი ბაღლინჯოა, მათ თუ მიაგნებდნენ, ადგილზე გამოუტანდნენ საკადრის განაჩენს, – უმაღლესი სასჯელის ზომას, – ეგრევე მიასრესდნენ: "კიდევ ერთი შატაბუტა-ტარუღაშვილის დამქაშისგან განვთავისუფლდით!".

– ბატონ პრეზიდენტს რას აჩუქებდნენ?

– ო, ეგ ძლიერ ძნელად გადასაწყვეტი საკითხია! მთელი ქვეყანა ციხედ აქცია, მთელი ხალხი – ამ ციხეშია გამომწყვდეული... მე რომ მკითხო, მთლიანად ამ ციხეს ვაჩუქებდი, ოღონდ, რასაკვირველია, წინდაწინ ყველა პოლიტიკური ანგარიშსწორების მოსაზრებით უკანონოდ დაპატიმრებულს გამოვუშვებდი!

– დიდებული საჩუქარია, ჰოი, რას გაიხარებდა! მიჩვეულია ნუგბარ საჭმელებს და ალბათ ძლიერ მოეწონებოდა, როცა ყოველდღე მიართმევდნენ რაღაც ბურღულისგან დამზადებულ საოცრად უგემურ "ჩიტების საკენკს"!

– კიდევ უფრო გაიხარებდა, თუკი იმ ბიჭების საკანში მიუჩენდნენ საცხოვრებელ ადგილს – კარგა ხნით! ბიჭებივით არც გასეირნებას აღირსებდნენ, არც ტანის დაბანას და წყალსაც კი არ მისცემდნენ...

– ბიჭებს ასეთ მდგომარეობაში ამყოფებენ?

– ნამდვილად.

– აბა, რას სვამენ? ჩაის?

– რაც აქ არიან, ჩაი თვალით არ უნახავთ. ახლობლების მოტანილი მინერალური წყალი და "კოკა კოლა" აქვთ.

– კიდევ კარგი!

– როცა ბიჭებს თანამოაზრე ამხანაგებისა და მშობლების მიერ მოტანილი ამანათები გადასცეს, ბოთლები სანახევროდ დალეული იყო, ყველის მთელი თავიც – განახევრებული... ეტყობა, საწყალ ზედამხედველებს დაცხათ და მოშივდათ კიდეც, ღმერთმა შეარგოთ!

– საჭმელს რას ჭამენ ბიჭები?

– პირველად რომ საჭმელი მიუტანეს, თურმე პირი ვერ დააკარეს "ბალანდას"... "ბალანდას" რას უძახიან, იცი? დღეში ერთხელ მოაქვთ რაღაც საშინელება, ღორების სათქვლეფზე უარესი... თანაც, შესაძლოა, რაღაც საეჭვო ნივთიერება ჩაგიყარონ შიგ. სანამ ბიჭებს შინიდან არ მოუტანეს საჭმელი, მშივრები და მწყურვალები იყვნენ. მათ მშობლებს და მეგობრებს, ვისაც საკვები მოაქვთ, 5-6 საათს აყურყუტებენ, სიქას აცლიან, სანამ ამანათს საკანში გადასაგზავნად მიიღებენ. სხვათა შორის, დერეფანში რომ ვიყავი, დავინახე: მოათრევდნენ 10-12 ახალმოყვანილ ბიჭს და ეს იყო შემზარავი სურათი: ერთს გასისხლიანებული თავი ისე ჰქონდა გასივებული, ორი იმხელა გაუხდა, მეორეს, როგორც შემდეგ გავიგე, 72 ნაკერი დაადეს... წარმოგიდგენია? ამ დანაშაულებით, დაგეშილი ხალხის სისასტიკით უნდათ, დააჩოქონ ეს ახალგაზრდები, მაგრამ საპირისპირო შედეგს აღწევენ – ბიჭები ფარ-ხმალის დაყრას ფიქრადაც არ გაივლებენ, კიდევ უფრო შემართებით არიან. თავისუფ-

ლების წყურვილის განცდის მუხტი ამ უგუნური ხელისუფლების უსამართლო და უსწორო ქმედებით, შეიძლება, მოღერებულ მუშტებში გადაიზარდოს... დიახ, პირიქით მოხდება, ძალადობისა და სისასტიკისადმი წინააღმდეგობის მუხტი კიდევ უფრო გაძლიერდება და პასუხად უფრო მაგარი მუშტი მოხვდებათ. წესით, როგორც ადრეც ვთქვი, 72 საათის შემდეგ წინასწარი დაკავების საკნიდან დაპატიმრებულები სხვაგან უნდა გადაიყვანონ, მაგრამ ამათთვის წესი და კანონი არ არსებობს. ახალგაზრდები აპირებენ სასამართლოში ჩივილს, განსაკუთრებით – წინასწარი დაკავების საკანში ადამიანის ღირსების შემლახავი პირობების გამო. ცხადია, აქ, ბატონ პრეზიდენტის ჯიბის სასამართლოებში, ვერ ეღირსებიან სამართლიანობას, მაგრამ სარჩელის ბოლომდე მიდევნას აპირებენ – საერთაშორისო სასამართლომდეც მიაღწევენ...

– ადვოკატებმა მინისტრთან თუ იჩივლეს?

– საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის მინისტრს, ბატონ ზიგფრიდ თავკომბალაურს საჩივრების განსახილველად სად სცალია: პრეზიდენტის დავალებით დაწოწიალობს დაბა-ქალაქებში და სოფლებში და "ხალხთან დიალოგის" შესახებ ახალ მითითებას ასრულებს: ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს აწყობს, რომლებზეც საუბრობს პომიდორის მოყვანის თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ ან ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის ინიციატივით აგორებულ დემოკრატიის მეცხრე თუ მეათე "ტალღაზე" – ეტყობა, წინა "ტალღები" ფუჭი გამოდგა... დემოკრატიის ხემ ჩვენში ვერ იხარა: ხმება, ვერ ყვავილობს, ნაყოფს ვერ ისხამს... დემოკრატის ცუნამის რომ დაგვპირდნენ, დალოცვილებმა, სიო, ნიავი მაინც გვაგრძნობინონ... ალბათ იმედი აქვთ, რომ ამათი ძალადობის წისქვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლთ "გადაფქვავს" – დათრგუნულ, მორჩილ, თვინიერ მასად, მაგრამ ცემა-ტყეპით ბიჭებს ვერაფერს მოუხერხებენ, ვერ აცეკვებენ საკუთარ დუდუკზე, – სისასტიკეს სიმღერით და ომახიანი შეძახილებით პასუხობენ! მთელი სტუდენტობა სულ უფრო აქტიური ხდება, გამოვლენ და წალეკავენ ამ ნაძირალებს... ვისაც ამ ხელისუფლების სისასტიკე უშუალოდ არ შეხებია, ისინიც კი აღშფოთებულნი არიან ხელისუფლების ასეთი ულმობლობითა და მეტისმეტი თავგასულობით, აღარ გაჩერდებიან, უსამართლობა აჯანყებთ... ლომები არიან, მომავალი ამათია! მათ ვერაფერი შეაჩერებს! ვერც საგანგებოდ დაგეგმილი და შემდეგ განხორციელებული ჯანყი ციხეში არასასურველი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსაკლავად. ამაში ციხის ადმინისტრაციას ეხმარება ერთი ჯგუფი პატიმრებისა, რომლებიც წინასწარ დაამუშავეს: დაჰპირდნენ, რომ თუ "კარგი ბიჭები" იქნებოდნენ და ციხის ადმინისტრაციის მითითებებს შეასრულებდნენ, პრეზიდენტის ბრძანებულებით აუახლოეს დროში მათ შეიწყალებდნენ – დროზე ადრე გაანთავისუფლებდნენ პატიმრობიდან ან საგრძნობლად შეუმცირებდნენ პატიმრობის ვადას...

– ეს ბიჭები რატომ დაიჭირეს?

– გაოცდები, ისეთი აბსურდული, შეთითხნილი ბრალდებები წაუყენეს: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხულიგნობა, პოლიციის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა – ყველა ჩვენება ერთი ცრუ-მოწმის ერთი ხელით არის დაწერილი... წინა დღეებში დაკავებული ახალგაზრდების მიმართ სასტიკ მოპყრობას აპროტესტებდნენ და უდანაშაულოთა დაუყონებლივ განთავისუფლებას მოითხოვდნენ საშიშროების, მოსმენა-დასმენისა და ცემა-ტყეპის სამინისტროს შენობასთან...

– ბიჭები იქ აიყვანეს პატიმრობაში?

– არა, უშუალოდ მათთან არავინ გამოსულა, იქ ვერაფერი გაბედეს, ახალგაზრდობა ბლომად შეიკრიბა; მხოლოდ ზემო სართულიდან გადმოასხეს შლანგით წყალი. ხალხი მაინც ვერ დაშალეს. როგორ დაიჭირეს ბიჭები, იცი? როგორც გითხარი, ადგილზე მათი დაკავება ვერ გაბედეს, შემდეგ, გვიან საღამოს, როცა შეკრებილნი დაიშალნენ, თითო-თითოდ დაიჭირეს. ერთი ტაქსით ბრუნდებოდა თურმე შინ, გზაში მანქანით დაედევნენ, გააჩერეს, ჩამოაბრძანეს და მიაბრძანეს პირდაპირ სასამართლო დარბაზში; მეორე და მესამე სხვაგვარად დაიჭირეს – უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს შუაღამეზე ჩამოუვლიათ ამ ბიჭების სახლებში, პირდაპირ ლოგინიდან წამოუყრიათ და ორდერის წარმოუდგენლად ჩაუტარებიათ ბინების ჩხრეკა, მერე, ყოველგვარი დაკავების საბუთის გარეშე, წაუყვანიათ და, ასევე, ახსნა-განმარტების გარეშე წარუდგენიათ სასამართლოს დარბაზში...

– მერე, ბიჭებმა არ გამოთქვეს მძაფრი უკმაყოფილება "სამართალდამცვების" ასეთი უკანონო ქმედების გამო?

– როცა სასამართლო განხილვის დროს ბიჭებმა ადვოკატების დასწრება მოითხოვეს, მოსამართლემ თურმე დაცინვით უპასუხა: "რა საჭიროა ადვოკატი?" და წუთნახევარში დადგენილება მათთვის ოცდაათდღიანი პატიმრობის ვადის შეფარდების შესახებ გამოცხობილი იყო! წუთნახევრიანი სასამართლო პროცესი, თანაც ჩატარებული ღამის ოთხ საათზე – გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშია შესატანი!

– მოსამართლე ვინ იყო? თავის დროზე იმანაც პასუხი უნდა აგოს!

– იოჰანეს წუნკალაური! მაგის განკითხვის დროც მოვა და სხვებისაც, მისი მსგავსებისა! ღამე იყო, პირველის ნახევარი, ერთმა ბრალდებულმა თურმე მოსამართლეს ჰკითხა: "ბატონო მოსამართლეო, ამ დროს რამ მოგიყვანათ, არ გეძინებათ?". ბიჭებს ბრალად თურმე რა წაუყენეს იცი? იგინე-

ბოდით, გაჰყვიროდით: “ძირს ფრიდრიხ ვილჰელმი!”, კვერცხებს ისროდით და არ ემორჩილებოდით პოლიციის მოთხოვნებსო; გადაღებული ვიდეოფირი უჩვენებიათ ნივთიერ მტკიცებულებად. ამათ უპასუხიათ: “ის რატომ არ გადაიღეთ, პოლიციელებმა პირველებმა რომ დაიწყეს ჩვენსკენ შუშის ცარიელი ლუდის ბოთლების სროლა, ის არაფერი იყოო?”. მათი უსამართლოდ დატუსაღებისადმი პროტესტის ნიშნად ბიჭები უკვე ერთ კვირაზე მეტია, შიმშილობენ. მოვიდნენ ვიღაც პარლამენტის დეპუტატები, მათ შორის – ვითომ-ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები; პარლამენტში ვერაფერს აკეთებენ და ამ ბიჭებს დაეხმარებოდნენ? ტკბილი ხმით ელაპარაკნენ: თუ არ იხმაურებდნენ, სარკმელს გაუღებდნენ... რადგან სასამართლოს დადგენილებაში წერია: “არ ექვემდებარება გასაჩივრებას”, აგიტაციას უწევდნენ შეწყალების შესაძლებლობაზე, თუკი “წესიერად მოიქცეოდნენ”. ბიჭებმა უარი თქვეს შეწყალებაზე: “ჩვენ არაფერი გვჭირს საამისო!”. პოლიტიკური პატიმრებით გაივსო ციხეები, ასეთი მიდგომით მიიღწევა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა და სიმშვიდე?...

– საინტერესოა, ბატონ პრეზიდენტს როცა მოაყუჩებენ ამ წინასწარი დაკავების საკანში და შემდეგ – ციხეში, შეწყალებას თუ მოითხოვს?

– დროა, იფიქროს ამგვარ შესაძლებლობის შესახებ. ისტორია არ იცი და, ცხადია, არც მისი გაკვეთილებია შენთვის ცნობილი, წიგნის საკითხავად არ გცალია, ჭკვიანს არ უსმენ, საკუთარი ნიჭი არ გყოფნის და სხვას არავის არაფერს ეკითხები, თვითონ ვერაფერს ხედავ და ცხოვრებამ ხომ უნდა დაგანახოს, რაც მოგელის? თუ კაპიტანი არ ვარგა, ეკიპაჟი ხეირიანად ვერ მართავს გემს, რა უნდა ჰქნან მგზავრებმა? აჯანყდებიან და ყველას გადაყრიან წყალში! მხოლოდ ძალადობითა და სისასტიკით ქვეყნის მართვა და რაიმე წინსვლა შეუძლებელია... ეს მარტივი ჭეშმარიტება არ ესმით. მმართველი პარტიის “ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკლების ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირის” ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავმჯდომარე გოტფრიდ მლიქვნელაური დაუფარავად აცხადებს, რომ მისი პარტიის მოქმედების წარმმართველი დევიზებია: “გამარჯვებულებს არ ასამართლებენ”, “მიზანი ამართლებს საშუალებას”, “ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია”, “ვინც არ გვეთანხმება, დავაჩოქოთ, მოვხაროთ, თუ არ დაგვემორჩილება – მოვსპოთ!”. როცა უზნეობისა და სისასტიკის უკიდურესი გამოვლინების ამგვარი “ფილოსოფიური” გამართლება პირდაპირ ბატონ პრეზიდენტისგან მოდის, – ეს ყველასთვის ცნობილია, – რა სამართლიანობის იმედი უნდა გქონდეს? ცრუ, მოგონილი ბრალდებებით დაკავებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობა, ეჭვს გარეშეა, “ზევიდან” კარნახით კეთდება. როცა დაკავებულები ციხეში მოიყვანეს, დაგეშილმა ჯალათებმა ჯერ რეზინის ხელკეტები ურტყეს, შემდეგ – ბეისბოლის ჯოხები, წაქცეულებს ფეხსაცმლის ქუსლებს ურტყამდნენ... ამაზრზენი სანახაობა იყო თურმე, საშინელება... იქ იყო ფოტოგრაფი, – მათსავით ახალგაზრდა ბიჭი, – იღებდა ცემის სცენას; ნაცისტები აკეთებდნენ ასე გერმანიაში... ეს ფოტოგრაფი ვიღაცისთვის იღებდა ვიდეოსაც, ფოტოებს – ალბათ საბუთი უნდა წარედგინათ, რომ პირნათლად ასრულებენ დავალებას... ერთ ბიჭს მოშვებულ წვერს სანთებელათი უწვავდნენ, აფურთხებდნენ, უშვერ სიტყვებს არ იშურებდნენ... ეს ფოტოგრაფიც სცემდა თურმე. “რატომ გვირტყამთ?”, “მეტის ღირსებიც ხართ! აჰა, თქვენ – მასმედიის თავისუფლება, ესეც – ღირსეული და სამართლიანი არჩევნები, ესეც – თავისუფალი სასამართლო! თხუთმეტლარიანებო, ოცლარიანებო!”. ეს ბიჭები ფულის ამღებებნი იყვნენ? უანგაროდ აკეთებდნენ ყველაფერს – სამშობლოსთვის, ხალხისთვის... ეს დაწყევლილი ჯალათები კი რვაასლარიან პრემიებზე არიან დაფეთებულნი და ტუსაღებს აწამებენ. როცა ბიჭები დააპატიმრეს, ოთხი დღე-ღამე მათმა ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ მათ შესახებ – სად გაუჩინარდნენ... შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ძლივძლივობით შემოაღწია და გაიგო მათი ამბავი. სხვათა შორის, ბიჭები იმითაც ერთობოდნენ, რომ დასაჭერთა სიას ადგენდნენ, რასაკვირველია – ხუმრობით. პირველ ნომერს, რასაკვირველია, ბატონი პრეზიდენტი ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი არავის დაუთმობდა – ეს “ბრწყინვალე სასახლე” თავისთვის ააშენაო... ის სარდაფი, სადაც ჩვენ ვართ გამომწყვდეული, მომავალში უეჭველად მუზეუმად უნდა დარჩეს – “ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილის მუზეუმი”, – როგორ ბრწყინვალე პირობებში ამყოფებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს, – სიმბოლო ამ ბრწყინვალე სისტემის, ბრწყინვალე ტოტალიტარული მმართველობის ცხოველი სახე! ბიჭები უსამართლოდ დაიჭირეს და ყველა ჩვენს დამჭერსაც და დაჭერის უშუალო დამკვეთსაც საკადრისი მიეზღვება – ადრე თუ გვიანო; ამ ბრწყინვალე საკნებში ვნახავთ ჩვენს ბრწყინვალე მოსამართლეებსაც, ახლა რომ ჩვენთვის ბრწყინვალე განაჩენების გამოტანის შემდეგ ღამის რესტორნებში მიდიან საქეიფოდო...

– კატორღული პირობების მიუხედავად, ბიჭები მაინც ხუმრობის ხასიათზე ყოფილან...

– ჰო, ბიჭებმა საკანში, ნახევრად სიბნელეში, კოლექტიურად შეთხზეს წერილი-მიმართვა ბატონ პრეზიდენტისადმი, სადაც კმაყოფილებას გამოთქვამენ მათი ამჟამინდელი მდგომარეობის გამო და უდიდეს მადლობას უხდიან მისი განუზომლად ძვირფასი სახელმწიფო მოღვაწეობისათვის, კერძოდ კი – ახალგაზრდობის მიმართ განსაკუთრებული ზრუნვისა და მამაშვილური, გულთბილი დამოკი-

დებულების გამო... სამწუხროდ, იქ არც ქაღალდი იყო და არც კალამი ან ფანქარი მაინც, კარგი იყო, ჩამეწერა!

— რამდენადაც თქვენს ბრწყინვალებას უკვე აქვს ამგვარი წერილის შეთხზვის ბრწყინვალე გამოცდილება, შენც ხომ არ ჩაერთე ამ სახალისო საქმეში?

— არა, მაგრამ ახლა ერთი რამ აზრად მომივიდა... იმ ბიჭების შეთხზული წერილი კარგად მახსოვს, მოდი, ჩავიწერ — ამგვარი დოკუმენტი არ უნდა დაიკარგოს!

— ჰო, მეც ძალიან მაინტერესებს, ხომ იცი! ამ კეთილი საქმისთვის თუ ერთ ფურცელს და კალმისტარს მოვიპარავ მაღაზიიდან, იმედია, დიდ ცოდვად არ ჩამეთვლება! — წამოიძახა მარცხენამ.

— ყოჩაღ, ძმაო, შენგან ასეთ გაბედულებას არ მოველოდი! შენ ჩემზე დასვენებული ბრძანდები, ჰოდა, მაშ, კოხტად გაცუნცულდი და ყველაფერი მომიტანე. სხვათა შორის, ერთხელ თურმე ბიჭებს ფანქარი და რვეული მოუტანეს, სინათლეც ჩაურთეს: "დაწერეთ, რაც გინდათ!". რამდენიმე დღეში რვეული წაართვეს: "კომისია მოდის და დროებით ჩამოგართმევთ, მერე ისევ დაგიბრუნებთ!". რასაკვირველია, ნაწერის დაბრუნების შესახებ ბლეფი იყო, სურდათ მათ სულებში ჩაძრომა — რას ფიქრობენ, რას აპირებენ შემდგომ...

ერთი საათის შემდეგ ციხის ვიწრო საკანში ოთხი ახალგაზრდის მიერ შეთხზული პაროდიული მიმართვა ბატონ პრეზიდენტისადმი, შეძლებისდაგვარად, უკვე გადატანილი იყო მარცხენას მიერ მოტანილ ფურცელზე.

— წამიკითხე! — თხოვა მარცხენამ.

— ჩემო ძმაო, დაღლილი ვარ და აჰა, შენ თვითონ წაიკითხე!

მარცხენამ გამოართვა ფურცელი და გამოთქმით, დაგემოვნებით დაიწყო:

"მის უდიდებულესობას,
უდიადესსა და უბრძნეს სახელმწიფო მოღვაწეს,
ბატონ პრეზიდენტს
ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილს!!!

თქვენო გულქვაოებავ! ჩვენ, თქვენი ულმობელოების ბრწყინვალე ხელმძღვანელი მითითებების საფუძველზე ბრწყინვალედ მომუშავე საშიშროების სამსახურის მიერ უკვე ერთი კვირის განმავლობაში წინასწარი დაკავების ბრწყინვალე საკან-ჯურღმულში ბრწყინვალედ გამომწყვდეულები, სალამს და საუკეთესო სურვილებს გითვლით თქვენ, თქვენო უმოწყალოებავ, სანაქებო მადას გისურვებთ — ჭამა-ყლაპვის უბადლო ქურუმს, ხინკალყლაპია ჩამპიონს, ლუდის ტრფიალს, ქალთა მუსუსს, აქეთ-იქით ხეტიალზე გადარეულსა და დროსტარებაზე მარად თვალებდაჭყეტილს და სხვა და სხვა;

თქვენო უწმინდუროებავ, გისურვებთ, ნამდვილად არ ასრულებულიყოს, თქვენი უსინდისოების უკიდეგანო ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, თქვენი უსაძაგლესოების პირადი წაქეზებით, იდეური წარმართვითა და უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენი ტურფა ქვეყნის ბრწყინვალედ გაპარტახება-დაქცევის, ეკონომიკური გაჩანაგების, ხალხის სულიერი, ფიზიკური და ეკონომიკური დაჩაჩანაკების, ქვეყნის ყველა სიმდიდრის უცხოელთათვის გაყიდვის, ეროვნული გადაგვარების და სხვა არანაკლებ ბრწყინვალე გეგმები;

თქვენო უღირსოებავ, ერთხელ ციინიკური გულახდილობით განაცხადეთ: "პრეზიდენტობა არის ბავშვობის ოცნებების ასრულების საუკეთესო საშუალება"! და აჰა, თქვენი "ბავშვური" მმართველობის ბრწყინვალე შედეგებს ვიმკით!

თქვენო შეუბრალებლოებავ, იმედს გამოვთქვამთ, რომ, რაც შეიძლება მალე, ცუდ სიზმრად გაგვახსენდება თქვენი ურცხვობის მიერ ქვეყნის უპასუხისმგებლო და უგუნური მმართველობის ბრწყინვალე წლები; წინასწარ გილოცავთ იმ უახლესი დროების დადგომას, როცა უზომოდ გაახარებთ ყველა ჩვენთაგანის გულს თქვენი დაუნდობლოების პოლიტიკურ მოუსავლეთში საბოლოო გადაჩეხვითა და ზნეობრივად გაკოტრებულთა სანაგვეზე მყუდროდ და გემოვნებით დაბინავებით!

თქვენო უმოწყალოებავ, თქვენო უსასტიკოებავ, უსამართლოებავ, უგრძნობელოებავ, უპატიუროებავ, უვიცოებავ, უდიეროებავ, უზრდელოებავ, უვარგისოებავ, უთავხედოებავ და სხვა და სხვა!

დავშთებით მარად თქვენი ბრწყინვალე მამობრივი ზრუნვით გამთბარნი და უსაზღვროდ მადლიერნი:

კახა, ქართლოს, ლაშა, იმედა".

— ბიჭო, ნამდვილად ასეთი ტექსტი იყო? — დაეჭვდა მარცხენა.

— თვითონაც მშვენივრად იცი, რომ მოტყუება არ მჩვევია, რატომ მეკითხები? რა თქმა უნდა, დაახლოებით აღვადგინე, ცირკის მსახიობის ფოტოგრაფიული მეხსიერება კი არ მაქვს.

— ბარემ იმაშიც გამოტყდი, რომ ამდენჯერ ნახმარი "ბრწყინვალე" შენი დამსახურებაა.

— ჰო, კარგი, კარგი... ჩემო ძმავ და მეგობარო, ახლა უფრო სერიოზული საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი: მართალია, ეს უსტარი არ არის პრეზიდენტის მიწერ-მოწერისთვის განკუთვნილ ფურ-

ცელზე დაწერილი, პრეზიდენტის ღერბითა და ოქროსვარაყიანი წარწერითაც არ არის დამშვენებული, მაგრამ არა უშავს, იმედი მაქვს, გავბედავ და მის უტიფროებას მივართმევ...

– გაგიჟდი? – ძმის განზრახვამ მართლა კინაღამ გააგიჟა მარცხენა. – შენზე უტიფარი ვინღა არის, მის... რა ვუწოდო ბატონ პრეზიდენტს, არ ვიცი...

– უწოდე თუნდაც... მისი უჯმაჯურობა!

– მის უჯიშოებას ერთხელ უკვე პარიკი მოსტაცე და ახლა კიდევ ბედავ, მის თვალს დაენახო?

– სამაგიეროდ, ბატონ ადოლფ მამაძაღლაურის ციხის ზედამხედველის ფორმის ქუდს ვუსახსოვრებ, ის უფრო მოუხდება! არა, კაცო, სულ არ მეხალისება პრეზიდენტის სასახლეში მისვლა – იქ რა ოქრო და მარგალიტი დამრჩენია, არც თანამდებობის მისაღებად ვიკლავ თავს... მივაგდებ წერილს და მაშინვე წამოვალ.

– თქვენო თავხედობავ თუ უდარდელობავ, თქვენ საცა გინდათ და საცა გაგიხარდებათ, იქ წაბრძანდით; მე კი თავი დამანებეთ! გავბედავ და თქვენს უხიაგობას მდაბლად მოვახსენებ, რომ სიცოცხლე ჯერ არ მომბეზრებია!

– ისევ შიშის ბრჭყალების მონა გახდით, თქვენო უგემუროებავ, და მარტოს გამიშვებთ? ბიჭო, მისი უვარგისობების სასახლის ბაღის ჭიშკრამდე მაინც წამომყევი...

– ვაჰ, რა ხუშტურები მოგივლით ხოლმე, თქვენო ახირებულობავ!

– ჰი-ჰი-ჰი!..

– რა ვთქვი ისეთი სასაცილო, თქვენო უდარდელობავ?

– გამახსენდა იმ მარად მთვრალი ზედამხედველის, ადოლფ მამაძაღლაურის, ყეყეჩი სიფათი, როცა სამორიგეოში დაბრუნდა და პირკატა ეცა – საყვარელი არაყიანი ბოთლი გამოცლილი დახვდა!

– მერე?

– ატეხა ყვირილი, ლამძღვა-გინებით აიკლო ამხანაგები, თქვენ გამოყლურწეთო.

– იმათ არ წაუთაქეს ასეთი ცილისწამებისთვის?

– თავიდან წათაქება ვერავინ გაუბედა – ბუღასავით ბიჭია, ის კი უთხრეს, რომ, ჯერ ერთი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ვსვამთო, მეორეც, ამ სიცხეში არაყს მხოლოდ შენისთანა წამხდარი თუ დალევსო... შელაპარაკდნენ და ეს ჩვენი ბუღა პირველი ერქინა დანარჩენებს და იმათაც რაღა უნდა ექნათ – რამდენჯერმე მუშტითაც დაასაჩუქრეს... ის არაყიანი ბოთლი კი მე გამოვცალე ბოლო წვეთამდე.

– მაბითურებ? როგორ გამოსცალე, სავსებით ფხიზელი ხარ!

– ოჰ, ბოდიში, კი არ გამოვცალე, დავცალე... წავაქციე და მერე ამოვაყირავე კიდეც, როგორც გითხარი, ბოლო წვეთამდე გამოვცალე... ბოდიში, დავცალე.

– ბიჭო, შატაბუტა-ტარუღაშვილს სულ აკრიტიკებ, ცერცეტიაო, შენ თვითონ რატომ არ დაფიქრდები, სანამ სიბრძნეს ამოშაქრავ? რაიმე სიტყვის ხმარებამდე, დაფიქრდი! ეგ პოლიციელის ფორმის ქუდი იმ გატყეპილი ადოლფის ხომ არ არის?

– ჰო, გამოცანა გეკუთვნის! იმ ორომტრიალით ვისარგებლე და იმ შეხლა-შემოხლაში ბატონ ადოლფ მამაძაღლაურის იატაგზე გაგორებული ქუდი წამოვიღე.

– ფრიდრიხ ვილჰელმს მაგრად დასცინე, ამ ადოლფ მამაძაღლაურს რაღას ერჩოდი?

– მეტის ღირსი იყო!

– ციხე შენთვის მართლაც ზედგამოჭრილია: პარიკებით დაიწყე და ახლა ქუდების ქურდობაზე გადახვედი, გამოსამშვიდობებელი წკიპურტი თუ უთავაზე იმ ზედამხედველს წითელ ცხვირში?

– ბატონ ადოლფ მამაძაღლაურს ცხვირი უფრო გაფითრებული ჰქონდა, ვიდრე გაწითლებული და ფრიად დამწყდა გული, მეგობრული წკიპურტით რომ არ დავასაჩუქრე და გამოუმშვიდობებლად წამოვედი – გამოვიპარე.

– შენც მშიშარა ყოფილხარ!

– სამაგიეროდ, მისი ქუდი წამოვიღე სამახსოვროდ! მინდა ბატონ პრეზიდენტის წინაშე ჩადენილი ცოდვა ოდნავ მაინც გამოვისყიდო და ამ ქუდს იმ მოტაცებული პარიკის სანაცვლოდ მივართმევ!

– ნამდვილად ძალიან გაუხარდება! სიმბოლური საჩუქარიც იქნება, ბატონ პრეზიდენტს ციხის ზედამხედველის ქუდი პარიკზე უფრო მოუხდება!

– ის ქუდი ზევიდან დავიხურესავით. ვინც კი დაინახა მიწაზე თავისთავად მოძრავი ქუდი – მე, რასაკვირველია, არ ვჩანდი, – ალბათ შიშით ხმა ჩაუვარდა! კიდევ კარგი, ალბათ ხელის განძრევაც ვერ შეძლეს და სროლა არ ამიტეხეს!

როცა მოგზაურმა თითებმა პრეზიდენტის სასახლემდე მიაღწიეს, შეფიქრიანდნენ: იმდენად ბევრი ადამინი შეკრებილიყო სასახლის ჭიშკართან, რომ სრულიად წარმოუდგენელი იყო შიგ შედწევა კი არა, შეუმჩნევლად მიახლოებაც კი. მეგაფონებით შეიარაღებული ოპოზიციონერები პრეზიდენტის

გასაგონად წარმოსთქვამდნენ იმ უსასრულოდ გრძელ პრეტენზიებს, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი ჰქონდათ, არანაკლებ გრძელი იყო ბატონ პრეზიდენტისადმი მოთხოვნების სიაც...

– ეს პომპეზური სასახლე შატაბუტას ერთგვარ ციხედ ექცა, – თქვა მარჯვენამ. – სხვა გზა არ არის, დაღამებას უნდა დაველოდოთ...

– ჩვენ კი მოვიცდით, მაგრამ მოუთმენლობის სენით შეპყრობილი ბატონი პრეზიდენტი როგორ გადაიტანს იმას, რომ ჩვეულებისამებრ რომელიმე საყვარელ რესტორანში ვერ წავა, არადა, ასეთი მრავალია და თუ მოახერხებს გაძრომას – ნებისმიერ რესტორანთან დახვდებიან პლაკატებიანი ახალგაზრდები მისთვის არცთუ სასიამოვნო ლოზუნგებით... სულ არ უფრთხიან საყვარელი პრეზიდენტისთვის მადის გაფუჭებას...

– შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ბატონ პრეზიდენტის მადას ვერაფერი გააფუჭებს – მიწისძვრამ ირგვლივ რომ ყველაფერი მიწასთან გაასწოროს, იგი მაინც გემრიელად მოილხენს, თუკი, რასაკვირველია, სუფრა იქნება გაშლილი! ჩვენ საკუთარ სადარდებელს მივხედოთ; სანამ ხელსაყრელი დრო დადგება, სადმე დავიმალოთ...

და თითები ერთ-ერთი მანქანის ქვეშ მოკალათდნენ.

მხოლოდ შუაღამეს იმდენად შეთხელდა სასახლის ბლოკირებაში მონაწილეთა რიცხვი, რომ მარჯვენამ მოახერხა ჭიშკარში შემძვრალიყო.

კარგა ხანი გავიდა, ირგვლივ ყველაფერი თითქოს მიწყნარდა, მაგრამ მარჯვენა არა და არ ჩანდა. მარცხენას დაძაბულობისგან რა დააძინებდა, და საკმაოდ შეკრთა, როცა უცებ ვიღაცამ თითი გაჰკრა:

– თქვენო უდარდელოებავ, ხომ არ დაგეძინათ?

– ბიჭო, სად დაიკარგე, მოლოდინით გული გადამელია!

– სამაგიეროდ, საჩუქარი მოგიტანე!

– ეს პარიკი რა ჯანდაბად მინდა ამ სიცხეში?

– ნახე, რა ლამაზია! წავიღოთ და ჩიტის ბუდედ მაინც ივარგებს!

– ბატონი პრეზიდენტი ისედაც არ იყო სრულ ჭკუაზე და ახლა გადაწყვიტე, სულ გადარიო?

– სამაგიეროდ, დილით რომ გაიღვიძებს, პოლიციელის ფორმის ქუდი დახვდება პარიკის მაგივრად, თანაც ქუდში ჩადებული კიდევ უფრო სასიამოვნო ნობათით – ოთხი ახალგაზრდის სამადლობელი წერილით! შატაბუტა ტარუღაშვილს ალბათ ისევ ისტერიკა დაემართება და განგაშს გამოაცხადებს. იმედი მაქვს, მოპიკეტენი სამედიცინო დახმარების მანქანებს მაინც გაატარებენ!

კარი XI.
გზაგასაყარი: “რა გზას დავადგეთ?”
(Esitando, გაუბედავად, მერყევად);
ახალგაზრდული ბანაკი “კათხა ლუდი”
(Alla pulcinella, კარიკატურულად, გაშარჟებით)

– ნახე, რა მშვენიერი ღამეა! – ამბობს მარჯვენა. – რა ხანია, ამ დროს ღია ცის ქვეშ არ ვყოფილვართ... ახლა, გადატანილი ვნებათაღელვის შემდეგ, სიმშვიდე გულს რა სალბუნად ედება! რა გარინდებაა, როგორ გაყუჩდა ირგვლივ ყოველი სულიერი თუ უსულო! გრძნობ, როგორ წყნარად ფეთქავს მთელი სამყარო, სიამით გატრუნულა და მარადისობის საგალობელს მღერის...

მარტონი იყვნენ უკიდეგანო სივრცეში და არც იყვნენ მარტონი – ძმას ძმა ჰყავდა გვერდით; მათი სულები გაითქვიფა, განეფინა მარადისობის სიმყუდროვეში, შეენივთა სიბნელესა და ვარსკვლავთა ციალს... გაიჟღინთნენ ღამის ხიბლით: მსჭვალავდათ კდემა, კაეშანი – სიამესთან, სილამაზესთან და რაღაც განუმეორებლი ხიბლის ხილვასთან დაკავშირებული... და, ამავე დროს, გარშემო ერტყათ მოღუშული და განგაშით შეფერილი შემპარავი სიჩუმე...

შორს კოცონი მოჩანდა, – ცეცხლოვანი მოთამაშე წერტილი, – რომელიც თითქოს მათ მოუხმობდა: “მობრძანდით, გათბით, თვალიც დაატკბეთ კლაკნია ალის მოუსვენარი ცეკვა-თამაშითო...

– ასეთი ღამე მეც კი პოეტად მაქცევს... – ამბობს ცას მიშტერებული მარცხენა. – დიდი ხანია, შენგან ლექსის შადრევანი არ ამოჩუხჩუხებულა, ეტყობა, დაგიშრა შთაგონების წყარო. დაგიგლახაკდა მერანი? თუ შენ თვითონ დაჩაჩანაკდი და გაჭენებული ბედაურიდან ჩამოვარდნისა გეშინია?

– ჩემო ძმაო, პოეზიის მერანი გაუხედნავი კვიცია, ვინც მის ზურგზე ჯირითს შეძლებს, ის არის ჭეშმარიტი პოეტი. ჩემს მეშაირეობას კი მკაცრად ნუ განსჯი: მოგეხსენება, უკვე არც ისე ჯეელი გახლავარ, თანაც, თვითონაც კარგად მომეხსენება: ბედაურის ღირსი არ ვარ; ჯაგლაგ ცხენზე ავბობღდი და ცაში ლაღად განავარდებას არც ველოდი – გაჭენებას ვინ ჩივის, იმითაც დიდად ბედნიერი ვიყავი, რომ თავის შემაგრება შევძელი და მიწაზე არ მოვადინე ზღართანი. არც ის არის სა-

დაო, რომ ყოველი ადამიანი ცოტად თუ ბევრად პოეტია. შენ კი მიწუნებდი ლექსებს, მაგრამ იმ ჩემს ნაცოდვილარს მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა – გავმხნევებულიყავით... ეგერ, შორს რომ კოცონს ვხედავთ, გინდა, სახელდახელო ლექსი მივუძღვნა?

კოცონი მოჩანს –
ცეცხლოვნად მოთამაშე,
რომელიც მაღლა
მთვარეს ეპოტინება
ალის ხელებით...

– იაპონური ტანკას თაყვანისმცემელი ხარ? ახლა რა მელექსება, უძრაობით თითებიც კი გამიშეშდა, ჯობს, ჩვენი გზით დროზე გავწიოთ!

მსწრაფლ გადაიარეს გორაკები და ველზე გავიდნენ სირბილით. მიიჩქაროდნენ და ამ დროს მათკენ შესახვედრად დაიძრა ბურუსი. ვითომ მოიზლაზნებოდა, სინამდვილეში კი ჯიქურ, სწრაფად მოიწევდა ბურუსი მათკენ, სულ უფრო სქელდებოდა და გაქცეულები თანდათან ითქვიფებოდნენ მასში. მოცურავდა ნისლის ბოლქვები, ფთილები ფარავდა ირგვლივ ყოველივეს და მარცხენა და მარჯვენა ხელის მტევნები ნეკებით გადაებნენ, რათა ისევ არ დაშორებოდნენ ერთმანეთს.

ნისლში და სიცივეში მიბოდიალობენ.... რა ძნელია სიარული, როცა წინ ვერაფერს ხედავ – საით მიდიხარ?

– როდისღა ვეღირსებით მზეს?!. – ჩვეულებისამებრ აწუწუნდა მარცხენა.

– მე მეგონა, იტყოდი, რომ, რა კარგია ბურუსი, ვერავინ დაგვინახავს და დაჭერას გადავურჩებითო!

– შენსავით გიჟპოეტა კი არ ვარ! ახლა ამ ბურუსსაც უძღვენი ლექსი!

– ლექსი ყველაფერს შეიძლება უძღვნა, თუ რაღაცამ აგაღელვა, მოგხიბლა, გაგანაწყენა და ასე შემდეგ და თუ ლექსის ფორმით ამ განწყობის გადმოცემის სურვილმა მოგიარა... ამ დროს მშობიარესავით ხარ და დიდ სიამოვნებასაც განიჭებს ეს მტანჯველი პროცესი ლექსის დაბადებისა...

– ბატონო პოეტო, გამხნევება თუ გინდა, დაიწყე, რაღას ელი? აბა, ჰე, ვნახოთ ერთი, ბურუსის ხილვა შენში როგორ შედევრს წარმოშობს! – დაცინვა იგრძნობოდა მარცხენას სიტყვებში.

ძმის სიტყვები რომ არა, იქნებ მართლაც დაეწყო ლექსის შეთხზვა მარჯვენას, ახლა კი მხოლოდ ეს უთხრა:

– არა, ჯობს, გასახალისებლად ვიმღეროთ! ოღონდ მხიარული სიმღერები შევარჩიოთ და მორიგეობით ვიმღეროთ: ხან – შენ, ხან – მე!

იწყებენ სიმღერას... მორიგეობით მღერიან სიმღერებს, ოღონდ მარჯვენა – უფრო ხშირად, თან მაჟორულად, ხანაც – მარცხენა, უფრო იშვიათად, რატომღაც მინორულად; მღერიან, როგორც პიანოფორტეს კლავიატურაზე:

მარჯვენა ხელის მტევანი – ვაჟაცურად შემართული, წკრიალა ხმით!..

მარცხენა ხელის მტევანი – უკმაყოფილოდ ბურტყუნებს ბუბუნა ხმით...

ბედად გზად ერთი დიდი ხე შეხვდათ, იმის მუქ, მსხვილ ტანთან მიცუცქდნენ, მუშტებად შეიკვრნენ, ერთმანეთს მიეხუტნენ და, დაღლილებმა, დაიძინეს.

ღორების ღრუტუნმა გამოაღვიძათ და მაშინვე, შეშინებულები, ხეზე აცოცდნენ – მუხა აღმოჩნდა ის ხე – და დაინახეს, როგორ იჩიჩქნებოდნენ მიწაში კმაყოფილი ღრუტუნით გარეული ღორები. დროზე აასწრეს ხეზე აძრომა! სანამ ღორები მუხის ქვეშ ხმაურიანად საქმიანობდნენ, ცხადია, მათ თვალს რული არ მიეკარა, მერე კი, ტოტზე თითებით საიმედოდ ჩაფრენილებს, ტკბილად ჩაეძინათ.

როცა მოგზაურებს დილით გაიღვიძათ, დაინახეს, რომ ნისლის ნათელი ფარდა ზანტად მიზოზინობდა-ბოლავდა გარშემო ყოველ მხარეს. აძიგძიგებდათ სიცივისგან, გაავარჯიშეს თითები, ადგილზე აცეკვდნენ, მერე ტოტზე განდაგან გაისეირნეს-გამოისეირნეს, მუსიკალური გამები დაუკრეს მათი ჭკუით ვითომ, – მაინც ვერ გათბნენ... ქვევით ჩამობობღდნენ და ამჯობინეს, გაქცეულიყვნენ, გასახურებლად ცოტაზე მაინც ერბინათ.

მუხამ გამოსამშვიდობებლად ააშრიალა თავისი მწვანე გუმბათი:

– აბა, ბიჭებო, კარგად იყავით, მაგრად იყავით, ნურაფრის შეგეშინდებათ, მედგრად გაუტიეთ წინ და წინ!

– მადლობა, დიდი მადლობა, კეთილო მუხავ, შენი გულთბილი მასპინძლობისთვის და გზის კეთილი დალოცვისთვის!

მარჯვენა და მარცხენა მალე აქოშინდნენ და წინსვლა ნაბიჯით განაგრძეს.

– ვაშა! – უცებ იყვირა მარცხენა მტევანმა და ცერი მაღლა ამართა, – ხომ ვერ დაგვიჭირეს, ვერც შეგვახრამუნეს, ხომ გავიმარჯვეთ!

— ო-ხო-ხო, რა მაგრები ვართ, გამოწრთობილნი, ჩვენ ვინ რას მოგვაწევს, იქით უნდა გვიფრთხოდნენ! — ბაქიბუქის ხასიათზე დადგა მარჯვენაც და იმანაც აიშვირა ცერი. — ვინ დაგვიდგება წინ, ვის აბია ცხრა თავი — ერთი წკიპურტით თავს წავაცლით!

— უჰ, როგორ მტკივა ყველა სახსარი! სირბილმა და ჭირთათმენამ ოინი მიყო, — სულ სხვა, კონტრასტულ, მინორულ ტონალობაზე გადაერთო და აბუზღუნდა, ჩვეულებისამებრ, მარცხენა. — ამ ნესტინმა ბურუსმა სულ მომშალა სახსრებში.

— შენ ძველებურად აურიე, აი! — გაწყრა მარჯვენა და იმდენად გაბრაზდა, რომ საჩვენებელი და ცერა თითები დააწყვილა. — ხომ არ გინდა, ერთი გემრიელი წკიპურტით გაგიმასპინძლდე!

მარცხენა საწყალობლად მოიკაკვა, საცოდავად მოკრუნჩხა თითები:

— მცივა! — ამოიკნავლა და მუშტად შეიკრა, დამრგვალდა ბურთივით. — ეს რა დღეში ჩავვარდით, რა გვეშველება!

— ერთი ჩაფუნთუშებული ქალის ხელის მოხვევა უცებ გამოგაჯანსაღებდა! — ეხუმრება მარჯვენა და თან ცეკვავს გასახურებლად, მხიარულ დავლურს უვლის მარცხენას გარშემო.

და მოხდა საოცრება: ნისლი ნელ-ნელ იფანტებოდა; თითქო გამჭირვალე ფარდის იქით გამოკრთაო, თანდათან გამოინაკვთა ფანტაზიური პეიზაჟი: შორს სინათლე გაციალდა ღრუბლებს შორის გაჩენილ საჭვრეტში და მზის სხივების ოქროს სვეტი ჩამოეშვა მუქ მიწაზე... — ზუსტად იმ ადგილას, სადაც ხელის მტევნები ფერხულს უვლიდნენ! მრგვალი განათებული "თვალი" გადაადგილდებოდა და მარჯვენამ მარცხენას უთხრა:

— ნათელი სვეტი — ნიშანია, რომ ჩვენი მოგზაურობა კეთილად დასრულდება; ხომ ხედავ, გვეპატიჟება, გამომყევითო, კეთილი გზით გატარებთო, ჩვენც გავყვეთ!

— აქამდე სად იყო? ჯობს, ჩვენი გზით წავიდეთ!

გზაგასაყარს მიდგნენ: შურდულივით ორი ტოტია, მარჯვნივ და მარცხნივ; საით უნდა გაუხვიონ, რომელ გზას დაადგნენ? ნათელი სვეტის რჩევა ახლა სჭირდებოდათ ყველაზე მეტად, მაგრამ, როგორც მოულოდნელად გამოეცხადათ, ასევე უეცარად გაუჩინარდა...

— მარცხნივ ჯობს! — ამბობს მარცხენა. — ვერ ხედავ, აქეთ უკეთესი გზა რომ მიდის?

— არა, მარჯვნივ ჯობს! — ამბობს მარჯვენა. — ნათელი სვეტი ნაღდად იქით აპირებდა გახვევას!

ერთხანს კამათობენ, ვერ შეთანხმდნენ და ერთი მარჯვნივ მიდის, მეორე — მარცხნივ...

ცოტა ხანში მარცხენამ დატოვა თავისი გზა, სირბილით უკან დაბრუნდა და მარჯვენა გზაზე წასულ ძმას გამოეკიდა...

მიდიან ბალახ-ყვავილებით ავსეულ მინდორ-ველში.

— ბედისწერის ირონია: გაზაფხულია, ირგვლივ ჰყვავის და ხარობს ბუნება, ჩვენ კი, ბედოვლათები, მიუსაფარნი, დავწოწიალობთ უგზო-უკვლოდ და შიშით გული გველევა! ესაა ცხოვრება? — ამბობს მარჯვენა.

— საერთოდ, რა არის ცხოვრება?

— ცხოვრება ბრძოლაა! ბრძოლა მომავლისთვის, სიცოცხლისთვის, სამართლიანობისთვის, თავისუფლებისთვის, ბედნიერებისთვის, ქვეყნის წინ სვლისთვის, მისი აყვავებისთვის და ასე შემდეგ, ბრძოლა საკუთარ თავთანაც! საკუთარ სისუსტესთან, საკუთარ ეგოიზმთან, გაუტანლობასთან, შეუმწყნარებლობასთან...

— რა ფილოსოფოსობის ჭია შეგიჩნდა, რა ამბავია, რამდენი რამ ჩამოთვალე! რამე ხომ არ გამოგრჩა? — დაცინვით ეკითხება მარცხენა.

— ჰო, შენი ყველაზე დიდი პრობლემაა — შიში! უპირველესად შიში თუ არ დაძლიე, ცხოვრებაში ვერ იბრძოლებ და მარად დათრგუნული იქნები... დაბეჩავებულად ყოფნა კი ნამდვილ, სრულყოფილ, სრულფასოვან ცხოვრებად შეიძლება ჩაითვალოს?

— უნდა დაგეთანხმო, ბატონო ფილოსოფიის დოქტორო, მაგრამ, როცა შენი თავისუფალი ნება ჩახშობილია და სულ ხიფათის მოლოდინში ხარ, როგორ იქნები გალაღებული? ვერა და ვერ დაეაღწიეთ თავი საშიშროებას — ერთს, მეორეს, მესამეს... თუნდაც ახლა: ქალაქის ქუჩებში წანწალისას, ღვთის წყალობით, ძაღლებს კი გადავურჩით და ამ მინდორ-ველად გაჭრილებს მგელი რომ შემოგვეფეთოს?

— რა უნდა შემოგვეფეთოს, უკვე დაფეთებული ხარ და ვეფხვიც კი მოგელანდება! — შეუტია მარჯვენამ.

— ბიჭო, მართალს ვამბობ, ტელევიზორში უკვე მერამდენედ აჩვენეს: მგლები ისე მომრავლდნენ და გათავხედდნენ, რომ უკვე საკუთარ ეზოებში უვარდებიან სოფლელებს! წყვეტენ, იტაცებენ შინაურ პირუტყვს — მხოლოდ ცხვარ-თხას კი არა, მსხვილფეხა საქონელსაც, ღორებს, ცხენ-ვირსაც...

— ჰო, ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდები, — დაეთანხმა მარჯვენა. — მგლებმა რამდენიმე ადამიანიც კინაღამ იმსხვერპლეს — ისე დაკბინეს, სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს.

— რა ხდება, ვერ გამიგია... ვითომ სხვა უბედურება არ კმაროდეს, სრული ბედნიერებისთვის ახლა მგლების შემოსევაღა გვაკლდა სწორედ...

– რა გიკვირს, ჩემო კარგო და მშვენიერო, ეს ჩვენი განათლებული ხელისუფლება მგლებზე უარესად არ იქცევა? დღისით-მზისით ქუჩაში უბოდიშოდ კლავს უდანაშაულო ადამიანებს, უმეტესად – ახალგაზრდებს, მათ განსაკუთრებით ემტერება... სურს, საყოველთაო შიში დანერგოს, ცხვრების მორჩილ ფარად აქციოს მოსახლეობა...

– მგლების დახოცვა კი სასტიკად აკრძალა და ამის ჩამდენს მკაცრი სასჯელი ელის – აი, ეს არის სწორედ საკვირველი!

– რა გიკვირს, ხომ გითხარი: ამით მოსახლეობის უკიდურესი დაშინება და უსიტყვო მორჩილებაში ყოფნა სურს.

– თუ ბატონ პრეზიდენტს საკუთარ მოქალაქეებს მგლები ურჩევნია, სამხეცე ხომ მოაწყო საპრეზიდენტო რეზიდენციაში, იქ მოაშენოს ეს მგლები, მოეფეროს და პატივში ამყოფოს: გინდა – რუხი, გინდა – წითელი და გინდა – ძაღლებთან ნაჯვარი... ჩვენ კი თავი დაგვანებოს!

– რა ვიცი, ძალიან კი მოგწონდა "ახალგაზრდა, სიმართლისა და სამართლიანობისთვის შეუპოვრად მებრძოლი რეფორმატორები და მათი ლიდერი – ფრიად განათლებული, უაღრესად ენერგიული პრეზიდენტი", როგორც წარმოგვიდგენდა მათ დაქირავებულ მეხოტბეთა დასი, ახლა მოხველ ჭკუაზე? სოფლებში შექმნილი მონადირეთა რაზმები ამ ჭკუანაღრძობებს აღარ სთხოვენ ნებართვას და იმ გარეულ მგლებს როგორმე მოევლება; შენ ეგა თქვი, ამ შინაურ მგლებისგან როგორ უნდა დაიცვა თითქმის დაქცეული ქვეყანა და გადასაშენებლად თუ არა, გადასაგვარებლად მაინც განწირული ხალხი?

ამგვარ არცთუ კეთილ გუნებაზე დამყენებელ საუბარში კეცავენ გზას ჩვენი მოგზაურები... და შეჩერდნენ – გზა რკინის უზარმაზარ ჭიშკარს მიადგა; მის თავზე თაღი იყო გადაჭიმული, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: "პატრიოტთა ბანაკი "კათხა ლუდი""! თურმე აქ, ველის კიდეზე, ტყის პირად, აზიმზიმებულ-ახმაურებული ახალგაზრდული ბანაკი გაუმართავთ, რომლისთვისაც ოფიციალურად რატომღაც ამგვარი უცნაური სახელი უწოდებიათ. თაღს ოდნავ ქვემოთ გაჭიმულ ტრანსპარანტს ეწერა: "კეთილი ყოს თქვენი მობრძანება!".

ცნობისმოყვარე თითებმა მთელი ბანაკი დაიარეს: რა ორომტრიალია, რატომ არიან ყველანი ასე აღელვებულნი? ჰო, ჰო, რა ფაციფუცია ამტყდარი!..

თურმე დილიდანვე ბატონ პრეზიდენტის მობრძანებას ელოდებიან!.. დიდი ამალით!..

წინასწარ მობრძანებულმა ბატონ პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რაზმმა საგულდაგულოდ დაზვერა ბანაკის გარშემო არე-მიდამო, გადაათვალიერა ბანაკში მყოფთა პირადი საქმეები; ასევე, ერთხელ კიდევ შემოწმდა: ბანაკის შესასვლელში თაღის ქვევით გაკრულ მისასალმებელ ტრანსპარანტზე გრამატიკული შეცდომა ხომ არ გაიპარა, საგანგებოდ მომზადებული სადილი ხომ ყველა უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, საგანგებოდ მოყვანილი ხინკლის მომზადების ოსტატი ქალები ხომ სრულ მზადყოფნაში არიან – იქნებ ბატონ პრეზიდენტს მოესურვილოს ცხელცხელი მთიულური ხინკლის დაგემოვნება? ყოველი შემთხვევისთვის, სანაქებო ნაირგვარი დასახელების საუკეთესო ლუდის მთელი ბატარეაც საგანგებოდ ჩააცივეს: მართალია, ბატონი პრეზიდენტი სასწაულმოქმედ კათხას გვერდიდან არ იშორებს, მაგრამ რა იცი, იქნებ სხვაგვარი ლუდი მოენატროს?

და აჰა, მტანჯველი, მრავალსაათიანი მოლოდინი დასრულდა: შავ-შავი, დიდ-დიდი, ძვირფასძვირფასი ჯიპებისა და მსუბუქი მანქანების კორტეჟი მოგრიალდა; წინასწარ მობრძანებულმა მრავალრიცხოვანი დაცვის თანამშრომელთა ნაწილმა იქ პრეზიდენტის შესახვედრად შეკრებილნი ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ გაჩხრიკა და რამდენიმე "საეჭვო" ახალგაზრდა ცალკე გაიყვანა: ყოველი შემთხვევისთვის, ოფიციალური ენით რომ მოგახსენოთ, გაძლიერებული უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიება განახორციელა – მათი "იზოლაცია" მოახდინა.

მარცხენა ფრიად გაკვირვებულია:

– გამაგებინე, რა ხდება, რა უნდა აქ შატაბუტას, ლატარიაში ხომ არ გვერგო, საიდან გადაგვეყარა? ასე რამ დააფეთიანა ამდენი ადამიანი?

– ხომ გაიგე, თურმე ბატონ პრეზიდენტის კიდევ ერთმა ახირებამ მოიყვანა აქ ამდენი ადამიანი: ახალგაზრდულ ბანაკში მთავრობის გამსვლელი სხდომა უნდა გაიმართოს! დიახაც! მომავალმა თაობამ წინდაწინ უნდა ისწავლოს ქვეყნის მართვის ხელოვნება! მე მგონი, შატაბუტასა და მისი გუნდისგან ახალგაზრდები გემოზე უზრუნველი დროსტარებისა და უპასუხისმგებლობის ხელოვნებას უფრო ისწავლიან! თანაც, რატომ აქ? შატაბუტას ერჩივნა, მთავრობის გამსვლელი სხდომა პარიზში ჩაეტარებინა, მის რომელიმე საყვარელ რესტორანში! ან, მთლად უკეთესი – სტრიპტიზ-კლუბში! მალე ალბათ მაგასაც მოვესწრებით!

– საკვირველია, შატაბუტა როგორ ასწრებს ამდენ წოწიალს? მართალია, საპრეზიდენტო თვითმფრინავი და ვერტმფრენი ემსახურება, მაგრამ მაინც...

მარჯვენა იცინის:

— ჰი-ჰი-ჰი, სხვა რა საქმე აქვს!.. ტყუილად არ უწოდებენ "პრეზიდენტ ცანცარას", სულ აქეთ-იქით დაწანწალებს, ვერაფრით ისვენებს! თუ საზღვარგარეთ არ ბრძანდება, აქ ერთ ადგილას ვერ ჩერდება, დაუსრულებლად დაწოწიალობს... პირადად პირდაპირ მითითებებს იძლევა: "აქ ლუდის ბარი უნდა აშენდეს! აქ — ბულვარი გაშენდეს! აქ — შადრევანი წამოიჭიმოს!" — სამაგიეროდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებისთვის ვერ იცლის... ეჭვიც არ მეპარება, რომ სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს, როცა ამაყად აცხადებს, გაზეთებს არ ვკითხულობო, წიგნების წაკითხვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი — სად აქვს მაგის დრო! ახლა აქ რომ მოითავებს საქმეს, თუ ამას საქმე ჰქვია, გემრიელად წაიპურმარილებს, აქედან წაბრძანდება და 200 კილომეტრის დაშორებით ახალაშენებულ ხიდს გახსნის, მერე, კიდევ მოასწრებს სადმე საკუთარი პერსონის გამოჩენით და ბრწყინვალე სიტყვით მოსახლეობის საგანგებოდ შეკრებილ-შეგროვილი ბედნიერი წარმომადგენლების გახარებას, რასაკვირველია, თუ იმ ღირსშესანიშნავი ღონისძიებისადმი, ახალი ხიდის დამთავრებისადმი, მიძღვნილ ბანკეტზე ხინკლების განადგურების გმირულ ოპერაციას არ გადაყვა, — ხომ იცი, ხინკლების ჭამა ამქვეყნად ყველაზე უფრო იზიდავს... რასაკვირველია, თუ არ ჩავთვლით პრეზიდენტობას, და, შესაძლოა, ასევე, მომხიბლავ მასაჟისტ ქალიშვილთან შეხვედრას! ბატონ პრეზიდენტისთვის ხანგრძლივი პერიოდისთვის სამოქმედო პროგრამაც უკვე შედგენილი იქნება: ერთგან — ხანდაზმულ მოქალაქეთა თავშესაფარში ახალი სასადილოს გახსნა (დიდხანს არ გაჩერდება: იქ ხინკლებს და მწვადებს არ ამზადებენ და რამდენიმე თეფში წყალწყალა შეჭამანდისა და რამდენიმე ჭიქა კომპოტის დაგემოვნებით დაკმაყოფილდება, — თავმდაბალი კაცია და მათზეც უარს არ იტყვის, მადა სანაქებო აქვს! თუკი, რასაკვირველია, საგანგებოდ მისი სტუმრობისთვის უახლოეს რესტორანში ცალკე ძვირფასი სუფრა არ გაიშალა — ძვირფას სტუმარს, ფულის გადახდა, ცხადია, "დაავიწყდება"! თუმცა, ასეთი წვრილმანი რა ყურადღების ღირსია...). შემდგომ ბატონი პრეზიდენტი კიდევ ორას ან სამას კილომეტრს იფრენს და მშვიდობით დაეშვება რომელიმე ზღვისპირა ქალაქში — იქ ახალი შადრევანი უნდა გახსნას!.. რესტორნის მონახულება არც აქ დაავიწყდება... ზეგ ისევ ვერტმფრენშია და მორიგ გადაფრენას ახდენს — მისი პირადი მითითებით აგებული ახალი კარუსელის გახსნა უნდა მიულოცოს ამ ეპოქალური საჩუქრით აღფრთოვანებულ ბედნიერ ადგილობრივთ!.. ან თანამედროვე დასავლური სტანდარტების სრული შესაბამისობით აშენებული ახალი ციხისა!.. ახალი პოლიციის განყოფილების ან სასამართლოს შენობისა... ან...

— კარგი რა, რა ამბავია ამდენი "რასაკვირველია", თან აღარ მოგბეზრდა ამდენი ქილიკი? შენ შური გალაპარაკებს, შური! — შეაწყვეტინა მარცხენამ.

— რას ბუტბურობ, თუ ძმა ხარ, მე მუსიკოსობა სავსებით მაკმაყოფილებს, რისი ან ვისი უნდა მშურდეს?

— რომ პრეზიდენტი ასეთი ახალგაზრდაა, ასეთი განათლებული — სად არ უსწავლია: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკა...

— ძველი არაკი გამახსენდა: ერთ დამსახურებულ ადმირალს ძველი სკივრი ჰქონდა, რომელშიც საჭირო ნივთებს ინახავდა, ჰოდა, სად არ იმოგზაურა, დედამიწას ირგვლივ ხუთჯერ შემოუარა, რა აღარ ნახა; მასთან ერთად ამ სკივრმაც მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ სკივრი იგივე სკივრად დარჩა, გაიგე შენა?!.

— ხუთი თუ ექვსი ენა იცის, შენ რამდენი იცი? — განაგრძო შეტევა მარცხენამ. — მთელი მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების პრეზიდენტები, მთავრობათა მეთაურები — ყველანი დიდი პატივით ხვდებიან, აფასებენ, საკუთარ მხარდაჭერას უცხადებენ...

— მთავარია, შენს საკუთარ ხალხს უყვარდე და გაფასებდეს... მე ის ვიცი, რომ უზნეო არ უნდა იყო, ესაა უმთავრესი! საოცარია: ამ ყმაწვილს ჰგონია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ცხოვრობს ან უფრო ადრეც — იტალიელი დუკაა ან გერმანელი ბარონი! აღვირახსნილობა, უზომო ფუფუნების სიყვარული, უსაზღვრო ძალაუფლებისკენ ლტოლვა და, ამასთანავე, სანაქებო გულქვაობა და სისასტიკე! სულ ფეხზე ჰკიდია, რომ ეკონომიკა დამბლამ მოიცვა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს, ისედაც უსაშველო უმუშევრობა კიდევ უფრო იზრდება, გაჭირვება მატულობს... ხომ არ ვტყუი?

— მოკლედ, ეს ჩვენი შატაბუტა თავქეიფა, სრულიად უპასუხისმგებლო პიროვნებად, ამასთანავე, ტირანად და დესპოტად გამოიყვანე!.. შენ რომ თავხედურად პარიკი მოსტაცე, თანაც — ორგზის! — ის ზნეობრივი საქციელი იყო? ბატონი პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლესი პირი გახლავს, ავია თუ კარგია, ჩვენი ქვეყნის სახეს წარმოადგენს, შენ კი შენი ტინგიცობით სასაცილო გახადე დამსწრეთა თვალში, ეს კი ასეთი ყოყლოჩინა და თავდაჯერებული პიროვნებისთვის სიკვდილის ტოლფასია!

— მხოლოდ ახლა აჭიკჭიკდი? პარიკის მოპარვას მაყვედრი, მაშინ კი სასაყვედურო ერთი სიტყვა არ დაგცდენია. დაგავიწყდა, ჭირიმე, როგორ მეჭიდავებოდი, მე უნდა წამოვიღო პარიკიო; რა გეშველებოდა, შე საწყალო, ხომ გაითოშებოდი, შენი მტკიცებით, მე რომ არ მეტინგიცა?!. ძალიანაც ნუ განიცდი, შეხედე: ბატონი პრეზიდენტი მშვენიერი ახალი პარიკით დაბრძანდება!

– მის ჩამოსატანად ალბათ – უკვე მეორედ – საგანგებოდ თვითმფრინავი გაგზავნა პარიზში! – წამოიძახა მარცხენამ.

– არა, კაცო, გაუჭირდებოდა თუ რა, საპრეზიდენტო თვითმფრინავს სულ აქეთ-იქით დააჭენებს და ამ ფრიად გადაუდებელი და ფრიად აუცილებელი საქმის მოსაგვარებლად თვითონ ჩაფრინდებოდა! მცირე რამეშიც ვერავის ენდობა და საკუთარი პარიკის შერჩევის საპასუხისმგებლო საქმეს სხვას როგორ ანდობს, თანაც ელისეს მინდვრებზე გაკუნტრუშება არასდროს მოსწყინდება – უძვირფასეს რესტორნებს და გასართობ ადგილებს იქ რა დალევს!.. საერთოდ, წვრილმანშიც და მსხვილმანშიც ძალიან ეჭვიანია, ამიტომაც აწყობს მუდმივ სამთავრობო "კარუსელებს" – მავანი ახალდანიშნული მინისტრი ჩაჯდომას და ბოძებულ სავარძლის გათბობასაც ვერ ასწრებს, რომ ახალ თანამდებობაზე უწევს გადასვლა... მოდი, ახლა ვუყუროთ ბატონ პრეზიდენტის მიერ გამართულ მორიგ კომედიას: როგორ დამოძღვრავს ახალგაზრდობას, რა იდეალებისთვის საბრძოლველად მოუწოდებს...

– ბატონი პრეზიდენტი ყოველთვის დიდი ესკორტით კი დაბრძანდება ხოლმე, მაგრამ დღეს, მე მგონი, მეტისმეტი მოუვიდა – რა ამბავია ორმოცდაათი მანქანა და გასამმაგებული დაცვა?

ამ გამოცანას შატაბუტა-ტარუღაშვილის ახალგაზრდობის წინაშე გამოსვლის ბოლოს მოეძებნა ახსნა.

– ჩემო ძვირფასებო, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო! – ამგვარად დაიწყო მოედანზე შეკრებილ გოგო-ბიჭებთან მინდვრის ყვავილებით შემკულ საგანგებო ტრიბუნაზე ამხედრებულმა ბატონმა პრეზიდენტმა. – მოხარული ვარ, მოგესალმოთ პატრიოტთა ბანაკში შეკრებილთ! აქ გატარებული დღეები ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს თქვენი სულიერ ამაღლებაში, პატრიოტული მუხტის კიდევ უფრო გაღვივებაში! გარდა ამისა, აქ თქვენ ყველა პირობა გაქვთ გართობისა და დროსტარებისთვის, ურთიერთგაცნობისთვის, დაახლოებისთვის – სანამ ახალგაზრდები ხართ, მთელი არსებით მიენდეთ თქვენს გულისთქმას, ორივე ხელით ხარბად მოწყვიტეთ სიამისა და სიხალისის ოქროს ვაშლები!

– უყურე შენ, ჩვენი პრეზიდენტი პოეტური ბუნების ადამიანიც ყოფილა! – წამოიძახა მარჯვენამ. – ბარემ ოფიციალურად აკურთხოს საზაფხულო ბანაკ-საროსკიპოს გახსნა!

მარცხენა ახლაც სხვაგვარად ფიქრობდა:

– საიდან გაქვს ამგვარი მჟავე ხასიათი? ყოველთვის ცდილობ, ყოველივეში აუცილებლად რაღაც ასათვალწუნებელი და გასაბიაბრუებელი დაინახო! რა არის ცუდი იმაში, რომ ახალგაზრდობამ დასვენება-გართობა და ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობა ერთმანეთს შეუხამოს?

– შენ რა, ვინმემ ხომ არ დაგიქირავა – ოფიციალური პირის ლექსიკით ლაპარაკობ! ნუთუ ეს გამოსათაყვანებელი ტაშ-ფანდური მოგწონს? შენ დაუკარ!..

– დიახაც, მომწონს!

– ჰოდა, ცოტა დავახანოთ და შენ თვითონ დარწმუნდები, რა აღვირახსნილობა სუფევს აქ ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის ლოცვა-კურთხევით! გაზეთებში მაინც არ წაგიკითხავს?

ბატონი პრეზიდენტი აგრძელებს მონოლოგს, თუ რა უზარმაზარი, მსოფლიოში ანალოგების გარეშე, ყველა შორეული და, განსაკუთრებით – მეზობელი, ქვეყნის შურის საგანი – გიგანტური ლუდის კათხის ფორმის შადრევანი – უნდა აშენდეს უახლოეს მომავალში სწორედ აქ, ამ პატრიოტთა ბანაკში, რომელსაც შემთხვევით კი არ დაერქვა სახელად "კათხა ლუდი"! ეს გრანდიოზული პროექტი პირადად ბატონმა პრეზიდენტმა დაუკვეთა ყველაზე ცნობილ, მსოფლიოში №1 არქიტექტორს ფრანგ პიერ-ლუი-ანტუან დე ჟოლივეს, თანაც ყველა წვრილმანს ბატონი პრეზიდენტი აკონტროლებდა და, შეიძლება თამამად ითქვას, ფაქტობრივად თანაავტორადაც მოგვევლინა ამ არნახული პროექტისა. დიახ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამგვარი კათხა-მონუმენტი უპრეცედენტო იქნება! მსოფლიოს მერვე საოცრება! გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში მოხვედრაც გარანტირებულია! მთელი მსოფლიოდან მოაწყდებიან ტურისტები და ჩვენი ქვეყანა საქვეყნოდ გაითქვამს სახელს! ამ კათხაზე, რომელიც საცურაო აუზის მოვალეობასაც შეასრულებს, ზევით ასასვლელად იქნება აგებული საბაგირო გზები და კიბეებიც, ასევე – ლიფტები; წყალში მხტომელთათვის აიგება კოშკურები და ტრამპლინები, ხოლო განსაკუთრებით გაბედულებს შესაძლებლობა ექნებათ, გადმოხტნენ თვითმფრინავებიდან პარაშუტებით პირდაპირ კათხაში ჩასადგაფუნებლად... ღამით კათხა-შადრევანი განათდება ნაირფერი ილუმინაციით, გარშემო გაშენებულ ბაღში ისეირნებს მხიარული საზოგადოება, მიირთმევს ცივ-ცივ ლუდსა და ცხელ-ცხელ ხინკალს...

– უნდა კიდევ ერთი სასიხარულო ახალი ამბავი გაუწყოთ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო! – გააგრძელა ძვირფასი გალობა ბატონმა შატაბუტა-ტარუღაშვილმა. – დიახ, ჩვენი ქვეყანა მთელს მსოფლიოში ყველაზე სწრაფად ვითარდება, ჩვენ ვაშენებთ ყველაზე მაგარ ავტობანებს, ყველაზე მაგარ კურორტებს, ყველზე მიმზიდველი ქვეყანა გავხდით მსოფლიოში ტურისტებისთვის!.. როცა თქვენთან შესახვედრად მოვემგზავრებოდი, ერთმა ბრწყინვალე იდეამ გაანათა ჩემი გონება: აქ, სადაც ამჟამად ვიმყოფებით და უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის ტურისტული მექა შეიქმნება, მე მაქვს განზრახული, გადმოვიტანო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიც! რატომაც არა?!. ეს დიდი მოვლენა

მრავალმხრივ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს როგორც ამჟამინდელ დედაქალაქზე, რომელიც მეტისმეტად გადაიტვირთა მოსახლეობით, ასევე, ხელს შეუწყობს სხვა რეგიონების განვითარების პროგრამის განხორციელებას... ვაცხადებ კონკურსს: ვინც მომავალი დედაქალაქის საუკეთესო სახელს შემოგვთავაზებს, მას გამორჩეული პატივი ერგება – შეეძლება, ჯადოსნური კათხიდან ახალთახალი ლუდი სვას და სვას, სანამდეც შეძლებს! და რამდენი კათხა ლუდის გამოცლასაც შეძლებს, იმდენოთახიან ბინას მიიღებს საჩუქრად მომავალ დედაქალაქში!

– გიგანტური კათხის ასავსებად ალბათ ჯადოსნურ კათხას გამოიყენებს... – ივარაუდა მარცხენამ. – ნეტავ იმ კათხა-მონუმენტის ავსებას რა დრო დასჭირდება და შიგ რამდენი ლიტრი ლუდი ჩავა? მისი მარაგი ბატონ პრეზიდენტს რამდენ ხანს ეყოფა?

– ბიჭო, არ მისმენ? ლუდი კი არა, წყალი! ხომ გითხარი, საცურაო აუზი იქნება, სად გინახავს, საცურავ აუზს ლუდით ავსებდნენ?

– რა ვიცი, შატაბუტა-ტარუღაშვილს ხუშტურები ახასიათებს და ვიფიქრე: თუკი ჯიბესქელები აბაზანებს ავსებენ შამპანურით, რძით, ვარდის წყლით და ასე შემდეგ, ვისაც რა ხუშტური მოუვლის, ბატონ პრეზიდენტს იქნებ მოეხასიათა ლუდით სავსე აუზში ნებივრობა? ის ხომ ლუდს ეთაყვანება!

– როგორც საპრეზიდენტო სასახლე აიშენა უზარმაზარი ზომისა, მოისურვა, ასეთივე ყოფილიყო გიგანტური კათხა-მონუმენტიც! ცნობილია, ყველა დიქტატორს უცნაური სწრაფვა აქვს პომპეზური და უგემოვნო გიგანტური ნაგებობის მშენებლობისადმი, სურს, სამარადისოდ წარუშლელი კვალი დატოვოს...

– მისი თანამებრძოლებიდან, მეგობარ-ამხანაგებიდან ნუთუ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელიც ეტყოდა, რომ ამ კათხა-მონუმენტის იდეა სისულელეა და მეტი არაფერი?

– რა ვიცი... ძალიან მეეჭვება, რომ მისი თუნდაც უახლოესი გარემოცვიდან ვინმე გაბედავდეს ამგვარი ჭეშმარიტების შატაბუტასადმი პირში თქმას... რომც უთხრას პირდაპირ ვინმემ, ამას აზრი არ აქვს – სხვისი შეხედულების სისწორეში შატაბუტას ვერავინ დააჯერებს! არიან ადამიანები, რომელთა აზროვნებაზეც ლოგიკური კატეგორიები არ მოქმედებს; მას ვერაფრით დაარწმუნებ, რომ ის რაღაცაში ცდება – ამგვარ შესაძლებლობას ვერაფრით დაუშვებს! მილიონი ადამიანი ცხადად ხედავს, რომ ის შეცდა, მას კი ამაში ვერ დაითანხმებ – "ეს შეუძლებელია!". ბატონი შატაბუტა ახალგაზრდობაში ალბათ ყოყლოჩინა იყო და ეგონა, ყველას მოერეოდა, მისი მჯობნი არავინ იყო, ამიტომ არცთუ იშვიათად გემრიელად გაილახებოდა... მაგრამ ნირს მაინც არ იცვლიდა – იმ ძვალრბილში გამჯდარ აზრს ვერ ელეოდა, რომ უძლეველი იყო... და ისევ და ისევ მაგრად მოხვდებოდა ხოლმე! ამის მიუხედავად, შატაბუტას გამოსწორებას საშველი არ დაადგა. როგორც ჩანს, ახლაც იმდენად გაზვიადებული წარმოდგენისა გახლავს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, რომ სხვები პიგმეებად მიაჩნია და რატომ უნდა აინტერესებდეს მათი შეხედულებები ან ითვალისწინებდეს მათ სურვილებს, მისწრაფებებს? საკუთარი შინაგანი მზერის, გულისთქმის მნიშვნელოვანი ხინჯი ახასიათებს – ყველას "დაპატარავებულს" ხედავს! ვიღაც ჭიაღუები არსებობენ მის გარშემო, დაღოღავენ, რაღაცას ბჟუტურობენ, რაღაცას ცოდვილობენ – შეიძლება, ჩათვალო, რომ ისინი არც კი არსებობენ! არა, მთლადაც არ მოსპობს, მაშინ ვინღა უნდა მოემსახუროს, თუნდაც – კათხა ლუდი მიაწოდოს, ხინკალი მოუმზადოს ან მის გენიოსურ, კათხა-მონუმენტის მშენებლობის ან ახალი დედაქალაქის აქ გადმოტანის მსგავს ჩანაფიქრებს ხორცი შეასხას... ნეტავ ოდნავი წარმოდგენა მაინც თუ აქვს, რა დაჯდება ახალი დედაქალაქის მშენებლობა... "რატომაც არა?!." – გამოაჯავრა მარჯვენამ.

– შენი აზრით ბატონი შატაბუტა შარლატანია?

– დიახ, ავანტიურისტია... თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ, ამავე დროს, ის ილუზიების ტყვეობაშიც იმყოფება... რამდენადაც მას მიაჩნია, რომ ის არის ყველაზე ლამაზი, ყველაზე განათლებული, გამოცდილი, ჭკვიანი, შეუმცდარი და ასე შემდეგ, ჰგონია, რომ მისი შეცდომა – გამარჯვებაა და წარუმატებლობა შეუძლებელია, ვინც აკრიტიკებს – შტერია ან ქვეყნის მტერი, ის არასდროს ცდება! მისი ამგვარი მიდგომა, განწყობა სხვა ადამიანებისადმი, წარმოაჩენს თვითონ მას გიგანტად, სხვებს – ლილიპუტებად... აშკარად ფსიქიკური პრობლემები აწუხებს: რეალურად ვერ აღიქვამს სინამდვილეს, ვერ აფასებს შესაბამისად და, როგორც მრავალგზის აღუნიშნავთ, არაადექვატურად რეაგირებს მოვლენებზე. და ბოლოს, ამგვარი "სიბეცისა" და მეტისმეტი თავდაჯერებულობის გამო, ადრე თუ გვიან აუცილებლად ცხვირსაც წაიტეხს!

– დიახ, არ არის გამორიცხული, რომ ის ილუზიების ტყვეობაში იმყოფება... – როგორც იქნა, დაეთანხმა მარჯვენას მარცხენა.

– ერთს მაინც ვერაფრით დაუკარგავ, – თავის მხრივ ბატონ პრეზიდენტის შეფასებებში ვითომ "მოლბა" მარჯვენა, – უსირცხვილო და უნაპირო დემაგოგიის უბადლო ნიჭი ახასიათებს: თვალსაც არ დაახამხამებს, ისე ეცდება, დაგარწმუნოს, რომ აი, ეს მჭვარტლი – ქათქათა თოვლია! და საოცარია, ამას ხშირად წარმატებით ახერხებს კიდეც; არცთუ მცირე რაოდენობის თაყვანისმცემლებიც

გაიჩინა, რომელთაც მის ბაგეთაგან გადმოფრქვეული ყველაზე მოუთოკავი და ზღვარგადასული სი-სულელეებისა სჯერათ...

ამასობაში ბატონმა პრეზიდენტმა რაზე აღარ ილაპარაკა: "ჩემს გმირ პოლიციას არავის დავა-ჩაგვრინებ – უსაფუძვლო ცილისწამებებით ჩირქს სცხებენ!"; "ვინა ჰყრიან ეს ვაი-ოპოზიციონერები, პოპულისტები, მატყუარები, ვიგინდარები, არარაობანი! საერთოდ არაფერს წარმოადგენენ, მათგან მეტი ხმაური ისმის, ვიდრე ძალა აქვთ... ქონდრისკაცები!'; "ხალხი მე მიჭერს მხარს, ჩემს მიერ გა-ტარებულ რეფორმების კურსს: ეკონომიკაში, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ სფეროში, გა-ნათლებაში...".

ბოლოს, როგორ იქნა, შატაბუტამ ახალგაზრდობისადმი მიმართული ფრიად გაჭიანურებული სიტყვა დაამთავრა, მქუხარე ტაშიც მოიმკო, ტრიბუნიდან ჩამოსულმა და პირადი დაცვის თანამ-შრომლებით გარშემორტყმულმა, ტელეკამერების წინ "ახალგაზრდებთან უშუალო გასაუბრების" სცენა გაითამაშა.

ბატონ პრეზიდენტს კუდში გუნდ-გუნდად დასდევდნენ ტელე-რადიო და ჟურნალ-გაზეთთა კო-რესპონდენტები, უპირატესად – ბლოკნოტ და დიქტოფონმომარჯვებული მომხიბლავი კვანწია ქა-ლიშვილები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ, უაღრესად საქმიანი იერი ჰქონოდა მათ ნორჩ სახე-ებს; თან, თუკი ამის საშუალება მიეცემოდათ, თვალებს უპრაწავდნენ ბატონ პრეზიდენტს... მაგრამ ყველა პრანჭია გაწბილებული დარჩა – ბატონ პრეზიდენტს თვალი შეუვარდა ერთ-ერთ ნორჩ არსე-ბაზე...

ერთმა თვალჟუჟუნა ჟურნალისტმა გოგონამ, რომელიც ყველაზ ნაკლებ ცდილობდა, თავი მოე-წონებინა შატაბუტასთვის, გაუთვალისწინებელი, წინასწარ დაუგეგმავი კითხვით მიმართა:

– ბატონო პრეზიდენტო, აქ თუ ახალი დედაქალაქი გაშენდება, როგორ ფიქრობთ მის წყლით უზრუნველყოფას? ახლომახლო მდინარე კი არა, ნაკადულიც კი არ არის და ამჟამად იძულებულნი არიან, ბანაკისთვის წყალი ცისტერნებით საკმაოდ შორიდან მოიტანონ...

შატაბუტა ღიმილით გაეხუმრა:

– ვინ თქვა, ქალში სილამაზე და ჭკუა ერთდროულად ძნელად მოიძებნებაო?.. ძალიან საინტერე-სო და საჭირო კითხვაა!.. პრობლემას ვერ ვხედავ: რომელიმე მდინარეს აქეთ გადმოვაგდებთ!.. რატომაც არა?!. – შემდგომ ქალიშვილთან ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო, მზრუნველად დაი-ხარა მისკენ და ჩურჩულით შესთავაზა ფრიად ფასეული წინადადება მისი შემდგომი წარმატებული კარიერისთვის – ცალკე კარავში "ექსკლუზიური ინტერვიუ" ნებისმიერი საინტერესო საკითხის ან საკითხების შესახებ...

მოულოდნელი წყალობით გაბედნიერებული და დაბნეული, თვალებგაბრწყინებული გოგონა ყუ-რებს არ უჯერებდა და ბატონ პრეზიდენტს დიდი, უღრმესი და ათასგვარი სხვა მადლობა ათასჯერ გადაუხადა...

მარცხენა გაოგნებულია:

– ბატონ პრეზიდენტს მართლა ჰგონია, რომ მდინარეების აქეთი-იქით მის გემოზე გადაგდება–-გადმოგდება შეუძლია?

– რატომ გიკვირს, შე კაცო, ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი ამ კაცს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი; თავი ღმერთად აქვს წარმოდგენილი: "ჩემთვის ყველაფერი შეიძლება!" – აი, მისი დევი-ზი. და ამ "ღმერთკაცისთვის", როგორც ხედავ, მცირე ადამიანური სისუსტეებიც არ არის უცხო... აბა, ბიჭო, იმ განაპირა კარავში თუ მოვახერხეთ შეძრომა, გული მიგრძნობს, ფრიად საინტერესო საუბრის მოწმენი გავხდებით! – უჩურჩულა მარჯვენამ მარცხენას.

– რას ამბობ, საშიშია; ხომ იცი, პრეზიდენტს როგორი მრავალრიცხოვანი და საგანგებოდ გაწ-ვრთნილი პირადი დაცვა ჰყავს, მაგათ თვალს არაფერი გამოეპარება!

– კარგი ერთი და! ასე მალე დაგავიწყდა? ბატონ პრეზიდენტის ბრწყინვალე პირადი დაცვის სი-ყოჩაღე ერთხელ უკვე გამოვცადე! ისევ და ისევ უკვე მერამდენედ გეკითხები: მარტო წავიდე თუ შენც გამომყვები?

– კარგი, შენ წინ გამიძეხ და მე უკან მოგყვები!

ფრთხილად ასწიეს საპაემნო კარვის კალთა და შეუმჩნევლად შეძვრნენ შიგ...

გოგონა უკვე მიმჯდარიყო მაგიდასთან, გაემზადებინა დიქტოფონი და რაღაცას წერდა ბლოკ-ნოტში, ალბათ – წინდაწინ ინიშნავდა მისთვის საინტერესო კითხვებს, რომელიც ბატონ პრეზიდენ-ტისთვის უნდა დაესვა.

უცებ კარვის ბრეზენტის კარი გვერდზე გაიწია და, როკ-მუსიკის გამაყრუებელ ღრიანცელთან ერთად, – მაგარი მომღერალ-დამკვრელები ჩამოიყვანა ბატონმა პრეზიდენტმა! – შიგ შლეგიანივით შემოვარდა გაღიმებული ბატონი პრეზიდენტი, სად ეჩქარებოდა ნეტავი?..

– გამარჯობა, როგორ ბრძანდები? – მაგიდას გვერდი აუქცია და ხელი გაუწოდა შემკრთალ ქა-ლიშვილს.

ქალიშვილი წამოდგა და ბატონ პრეზიდენტს ხელი შეაგება:

— მადლობთ, ბატონო პრეზიდენტო! დიდი მადლობა მინდა გიძღვნათ, რომ თქვენ ინტერვიუს... თქვენგან ინტერვიუს...

გოგონას აზრი დაეფანტა, წინადადების დამთავრება ხან ასე სცადა, ხან — ისე... ბატონ პრეზიდენტს გოგონას ხელი ისევ ეჭირა, მაგრადაც ეჭირა, გაშვებას არ აპირებდა და ჩვეული ღიმილით შესცქეროდა მის დაბნეულ ლუღლუღს.

— არაფრის, გენაცვალე, არაფრის! პირიქით, მე დაგრჩები მადლობელი! — ბატონმა პრეზიდენტმა მეორე ხელი მოხვია გოგონას, მიიზიდა და ჩაეხუტა.

ქალიშვილი კიდევ უფრო დაიბნა; გაოგნებული, ერთხანს გაყუჩდა, მაგრამ შემდეგ, როცა ბატონი პრეზიდენტი უფრო აქტიურ ქმედებაზე გადავიდა, მისი მკლავების მარწუხებიდან გასანთავისუფლებლად ამაო გაბრძოლების შემდეგ, უცებ კივილი ასტეხა...

ბატონმა პრეზიდენტმა ცხვირმოუხოცავი ღლაპის ასეთ თავხედობას, რომელმაც შესაბამისად არ დააფასა მეუფის ესოდენ საპატიო ყურადღება, საკადრისი პასუხი გასცა — გემრიელად გაულაწუნა ლოყაზე და დაუღრიალა:

— გაჩერდი, შე ძუკნა!

ატირებული გოგონა გავარდა კარვიდან...

თვით ბატონი პრეზიდენტი საეჭვოდ კარგა ხანს აღარ გამოჩენილა; პირადი დაცვის თანამშრომლები კარავში შესვლას ვერ ბედავდნენ, ალბათ გაფრთხილებულნი იყვნენ, ჩემი ნებართვის გარეშე არ გაბედოთ ჩემი შეწუხებაო, დადარაჯებულნი ელოდნენ მისი აღმატებულების ნიშანს... და როცა შატაბუტამ, როგორც იქნა, გააბედნიერა იქ მყოფნი საკუთარი სახის, საკმაოდ შეშფოთებულის, ხილვით, თავზე პარიკის ნაცვლად რატომღაც რაღაც ჭრელი ხაოიანი პირსახოცი ჰქონდა მოხვეული...

— ტერორისტული აქტი! სასწრაფოდ გამოაცხადეთ საგანგებო მდგომარეობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე!

ბატონ პრეზიდენტის განწირულ ღრიალზე ფხიზლად დადარაჯებული პირადი მცველები წამსვე ეცნენ კარვის კარს; რამდენიმე ბრგე ჯეელი ერთდროულად ცდილობდა შიგ შეღწევას, საწყალმა კარავმა ვერ გაუძლო გმირთა გმირების ასეთ შემართულ და შეხმატკბილებულ შემოტევას და წაიქცა...

საბედნიეროდ, მარჯვენა და მარცხენა უკვე გამომძვრალი იყვნენ კარვიდან და საბრძოლო ველიდან ფაცხაფუცხით გარბოდნენ უახლოესი ბუჩქებისკენ...

ისევ და ისევ — საბედნიეროდ, პრეზიდენტის მოწოდებისთვის პატრიოტ გოგო-ბიჭთა მიმართ, ბუჩქებში გაერთეთო, ამისთვის ჯერ არავის ეცალა — როკ-ანსამბლის კონცერტი გრძელდებოდა, თანაც ჯერ არ დაბნელებულიყო და ბუჩქში ჩვენს გმირებს არავინ დახვდათ, ერთი დაბუდებული ღობემძვრალას მეტი, რომელიც მაშინვე, გულგახეთქილი, გაეცალა იქაურობას...

— ისევ პარიკი! — წამოიძახა მარცხენამ, როცა ოდნავ მოითქვეს სული. — ხომ არ აურიე? პარიკის მოტაცება აკვიატებულ იდეად გექცა!

უჰ, უჰ!.. როცა პატრიოტთა ბანაკის ერთ-ერთ განმარტოებულად მდგარ კარავში ბატონ პრეზიდენტს უძვირფასესი პარიზული პარიკი უკვე მესამედ მოსტაცეს, კიდევ და კიდევ — უჰ-უჰ, რა ორომტრიალი ატყდა! არა, ამის აღწერა ჩემს სუსტ ძალებს აღემატება! იმას კი მოგახსენებთ, რომ ერთი უპრეცედენტო მოვლენა მაინც მოხდა: მთავრობის სხდომის ჩაშლას არ ვგულისხმობ — მთიულური ხინკლის მირთმევა აღარ მოისურვა ბატონმა პრეზიდენტმა და მისი უდიდებულესობის ბანაკის ტერიტორიიდან საჩქაროდ ევაკუაციისთვის საჩქაროდ გამოიძახეს ვერტმფრენი...

ბატონ პრეზიდენტს მომსახურე, მშველელი, ტაშის დამკვრელი, ყურადღების მიმქცევი და ასე შემდეგ საკმარისზე მეტიც ჰყავს, ამიტომ ჯობს, მის უმაღლესობასთან დაკავშირებულ შემდგომ ამბებს ნუღარ გამოვეკიდებით და ისევ ჩვენი გმირების შემდგომ ბედს მივადევნოთ თვალი.

— ვატყობ, შენ წერას ჰყავხარ ატანილი! რა გრჯიდა ან რანაირად მოახერხე ბატონ პრეზიდენტის პარიკის უკვე მესამედ მოპარვა? — უფრო შეშინებული, ვიდრე გაოცებული მარცხენა ვერაფრით დაწყნარდა.

— შენ დარდი ნუ გაქვს, ამ საქმეში გამოცდილება უკვე მაქვს! — უპასუხა მარჯვენამ. — როცა ჩვენს ლამაზ შატაბუტას ლაზათიანად გაულაწუნეს ლოყაში, სწორედ მაშინ ვიხელთე დრო და...

— ანუ დანაშაულებრივად ისარგებლე დაზარალებულის სულიერი და მისი ლოყის ფიზიკური მდგომარეობით და იქურდე!

— ბიჭო, შიშისგან თავგზა ნუ დაგებნა და ნუ ურევ: გოგოს ლოყას შემოჰკრეს, შატაბუტასი კი არა. ჰო, ვაღიარებ: დამნაშავე ნამდვილად ვარ! შატაბუტას ისევ მოუწევს პარიზს გაფრენა, ასეთ პარიკს სხვაგან ვერ იშოვის... ნახე: უმაღლესი ხარისხის უძვირფასესი პარიკია! თუ გინდა, გაჩუქებ!

— ვაი, ჩემს თავს, ისევ გინდა, შარში გავეხვიოთ? რა ამოიჩემე ეს პარიკი, თანაც, ხომ ხედავ, როგორ დათბა, რაში დაგვჭირდება...

— ჰო, უკვე თითქმის ზაფხულია — აუჰ, ჩვენს უთავბოლო ხეტიალში რა დრო გასულა! მიკვირს და ვერ გამიგია, ხომ იცი, რა ჭირად უნდოდა ბატონ პრეზიდენტს ასეთ ამინდში პარიკი! მე მაგის ადგილას, საკუთარი ხუჭუჭი და ხშირი თმა რომც მქონოდა, აუცილებლად თავს გადავიხოტრავდი — წინ კიდევ უფრო თბილი ამინდი გველის!

— ჩვენც მეტისმეტად ცხელ ამბავში გავეხვიეთ!

— არა მგონია, ეს ამბავი გახმაურდეს, — გამოთქვა ვარაუდი მარჯვენამ.

— ამიტომ შენ უნდა ითავო ამ დღის უკვდავყოფა!

— როგორ?

— როგორ და სახელდახელო ლექსი მიუძღვენი ჩვენს ხოტორა, ქალწულთა გულთამპყრობელ, გმირთა გმირ მეუფეს! — ექილიკება მარცხენა მარჯვენას.

— შენს დაკრულზე ვიცეკვო? იქნებ არ მელექსება!

— მე სულ შენს დაკრულზე არ ვცეკვავ? ჰოდა, ერთხელ მაინც შენც დამდევი პატივი და ეს ერთი მოკრძალებული თხოვნა შემისრულე! ბატონ პრეზიდენტის სანაქებო და მრავალმხრივი მოღვაწეობის — და მე დავძენდი: ასევე, ჭკუის სასწავლის — არცერთი დღის არცერთი უმცირესი დეტალიც კი არ უნდა დარჩეს უცნობი ცნობისწადილით აღვსილ შთამომავალთათვის!

— რა გატყლარჭულად ლაპარაკობ! ყაბულსა ვარ, ოღონდ მაშინ ლექსისთვის მუსიკის შეწყობა შენზე იყოს.

— კარგი რა, მე გეხუმრე და შენ კი გინდა, ისევ ხათაბალა ავიკიდოთ? თანაც, ვინ იქნება ჩვენი ნაცოდვილარის შემსრულებელი, ვინ გაბედავს?

— რა ვიცი, იქნებ სწორიც ხარ... ის საწყალი ჟურნალისტი გოგონა კი უკვე ნაღდად გაეხვია შარში და ვეჭვობ, სამართალმა პური ჭამოს...

და მარჯვენა მარცხენას მოუყვა, შემდგომ როგორ განვითარდებოდა მოვლენათა სცენარი, თუ გოგონამ სასამართლოში ჩივილი გაბედა და ეს საქმე ვერ ჩაფარცხეს. რა თქმა უნდა, გოგონას ადვოკატს უცილობელი წარუმატებლობა თან სდევს: მისი კლიენტის სარჩელს სასამართლო წარმოებაშიც კი არ მიიღებს; შეურაცხყოფილმა გოგონამ რამდენიც უნდა იხვანცალოს, მისი ძალისხმევა სამართლიანობის მისაღწევად სრულიად უშედეგოდ დამთავრდება... სამაგიეროდ, მოგონილი საბაბით მაშინვე სამსახურიდან გამოაძევებენ, თან მთავარი რედაქტორი მამაშვილურად დაარიგებს: "ჩემო ლამაზო და მშვენიერო, ტყუილად ნუ ხტუნავ, ხომ იცი, რასაც მოიმკი შენი დაუფიქრებელი საქციელით?"; გოგონას მამას, პროფესორს, კათედრიდან დაითხოვენ — საგანგებოდ კონკურს გამოაცხადებენ და, რა თქმა უნდა, ვაკანსია მას არ ერგება; ის კი არა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მის საბუთებსაც კი არ მიიღებენ — ასაკოვანი ბრძანდებით, პატივცემულო, დროა, ასპარეზი უფრო ახალგაზრდებსა და პერსპექტიულებს დაუთმოთო; გოგონას ძმას ღამით საკუთარ სახლთან თავს დაესხმებიან ვიღაც ათლეტური აღნაგობის, კარგად ნავარჯიშევი, ნიღბიანი უცნობები, უშვერი სიტყვებით შეამკობენ, აგინებენ და ცემით კინაღამ მოკლავენ... ამ ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის ფაქტზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რასაკვირველია, კარგა ხნის გაჭიანურების შემდეგ, თუ საპროტესტო საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ მძლავრი იქნება, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ ეჭვმიტანილებს ვერასდროს აღმოაჩენენ და დამნაშავეთა გასამართლებასა და საკადრისად დასჯაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

დიახ, ჩვენი მამაცი გმირები ბუჩქში ისხდნენ და ბანაკში ამტყდარ წარმოუდგენელ ორომტრიალს უყურებდნენ, თან, როგორც ყოველთვის, არც სახალისო საუბრის წარმართვა ავიწყდებოდათ. მარჯვენა ერთგვარად უკმაყოფილო ჩანდა:

— ჩვენთვის ყველაფერი კეთილად დასრულდა, მაგრამ, როგორც მუსიკოსს, განსაკუთრებით გული დამწყდა: აფსუს, პატრიოტთა საზაფხულო ბანაკში ბატონ პრეზიდენტის სტუმრობის აღსანიშნავი კონცერტის მხოლოდ დასაწყისი მოვისმინეთ... ვერც შატაბუტას ცეკვის ხილვა შევძელით, არადა, უყვარს მოხტუნავე გოგო-ბიჭებში გარევა; დარბაისლური იერი ვერაფრით მიუღია — ჯერაც ჯეელი ვარ, ჯერ რქები არ ამომსვლიაო...

— და, რასაკვირველია, შემდგომ აღარც მთავრობის გამსვლელი სხდომა გაიმართება, — დაამატა მარცხენამ. — ამაში დიდი წვლილი შენ მიგიძღვის, ბიჭო, რა ძვირფასი ღონისძიება ჩაუშალე! ეს სახელმწიფო დანაშაულია!..

— კარგი რა! გული იმაზე ნუ დაგწყდება, რომ მთავრობის სხდომას, — ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, საცირკო სანახაობას, — ვერ დაესწარი; თუ გინდა, ახლავე მოგახსენებ, როგორც წარიმართებოდა ყველაფერი. წარმოიდგინე ასეთი სურათი: დიდ სხდომათა დარბაზში... არა, აქ ჯერ საგანგებო დარბაზი არ ექნებათ აშენებული, მაგრამ რაღაც დიდი ოთახი კი იქნება სასხდომოდ მომზადებული... პარალელურად განლაგებული ორი პრიალა, გრძელი მაგიდა, ერთ ბოლოში ჩაკეტილი უფრო მოკლე მესამე მაგიდით, რომელსაც უზის ბატონი პრეზიდენტი... არა, ბოდიში, მისი უდიდებულესობა, ბატონი პრეზიდენტი მოგვიანებით გამოჩნდება, როგორც ტრაგედიის (ჩვენს შემთხვევაში — ტრაგიკომედიის!) მთავარი გმირი. ჰო, გრძელ, პრიალა მაგიდებს უსხედან მინისტრთა კაბინეტის პა-

ტივცემული წევრები, აგრეთვე – რეგიონთა დამსახურებული ხელმძღვანელები, და, რაღა თქმა უნდა, – მმართველი პარტიის ფრიად კმაყოფილსახიანი, გაბღენძილი ბობოლები, სხვა მოწვეული მაღალი თანამდებობის პირნი, ისინიც – ჩასუქებულნი, მღიმარენი, გალაღებულნი... მათ გარშემო კი, კედლებთან, ტელეკორესპონდენტთა და ოპერატორთა ჯარია განლაგებული – მიმდინარეობს მთავრობის გაფართოებული სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია ყველა არხით!

ჯერ, რასაკვირველია, მოთმინებით უცდიან ბატონ პრეზიდენტის მობრძანებას, როგორც მელომანები – გამოჩენილი ვირტუოზის სცენაზე გამოჩენას; ამიტომ, უპრიანი იქნებოდა, ტელემაყურებლებისთვის რჩევა მიეცათ, რომ თავისუფლად შეეძლოთ, დროებით უფრო საინტერესო საქმე გამოენახათ, ვიდრე ეკრანზე გამოჩენილ სხდომის მონაწილეთა ერთმანეთში ზანტად მოსაუბრე ან სულაც მთვლემარე სახეების თვალიერებაა... კარგა ხნის ლოდინის შედგომ სხდომათა დარბაზში, ბოდიში – დიდ ოთახში, სწრაფი ნაბიჯით შემოგლიჯინდება შატაბუტა, თითქოს ძალიან შორიდან მოეშურებოდა და ერთი სული ჰქონდა, საყვარელ ხალხს შეხვედროდა. მინისტრები და მოწვეულნი მაშინვე სახეებზე საქმიან გამომეტყველებას გამოაცხობენ და სკამების ხრიგინ-ხრიგინით ფიცხლად ფეხზე წამოიშლებიან. ბატონი პრეზიდენტი მათ მოწყალედ დაუქნევს თავს და ყველანი ისევ სკამების ხრიგინით დასხდებიან... რას იზამ, პატრიოტთა ბანაკში ვერ მოისაზრეს ან ვერ მოსწრეს რბილი სკამების მოტანა და იატაკიც არ არის ისეთი ხარისხის და ისეთი კრიალა, როგორც პრეზიდენტის რეზიდენციაშია. დამსწრეთა ცხვირები კომპასთა ისრებივით ერთი "პოლუსისკენ" არიან მიმართულნი – სუფრის... ბოდიში, მაგიდის თავში ბატონი პრეზიდენტი ზის, ვითარცა მსოფლიო მიზიდულობის ცენტრი; მის ზურგს უკან პირადი კათხათმტვირთველი, ბატონი ჰაინც ძიძგილაურია დადარაჯებული – მზად არის მარად მწყურვალ მეუფეს სურვილი მყისვე შეუსრულოს; ხელმარცხნივ შატაბუტას მხარს უმშვენებს პარლამენტის თავმჯდომარე... უჰ, ისეთი უფერული პიროვნება გახლავთ, სულ მავიწყდება მისი გვარი, ალბათ მაპატიებთ; ხელმარჯვნივ – პრემიერ-მინისტრი... რა მემართება, არ ვიცი, მომკალი და ვერც ამ უბადრუკი პრემიერ-მინისტრის გვარს მოგახსენებთ... ღმერთო, გვარი გამახსენე... თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა, ვინც არის, მით უმეტეს, რომ იმ მოკლე ხანში, რაც ჩემს მიერ მისი აღმატებულების წინა ხსენებიდან გავიდა, სავსებით შესაძლოა, შატაბუტამ მორიგი თანამდებობრივი კარუსელი დაატრიალა და ქვეყანა ახალი პრემიერ-მინისტრის მოვლენით გააბედნიერა. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა საკითხებია დასახული სხდომის განსახილველად... ბატონი პრეზიდენტი ჯერ ერთ კათხა ლუდს სულმოუთქმელად გამოყლურწავს, შემდეგ იწყებს გრძელთაგრძელ მონოლოგს, თუ რა უდიდესი, ეპოქალური წარმატებებია მოპოვებული მმართველი პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებაში... გადავიღალე ალბათ, ზუსტად გახსენება მიჭირს, ახლა არ ვახსენე მმართველი პარტიის სახელი? ბოდიში, მის ზუსტ დასახელებას ხომ ვერ შემახსენებ?

– შენ, ძმაო, სკლეროზი ხომ არ გჭირს? "ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკალის ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირი" რამ დაგავიწყა, დღედაღამ ეთერში სულ მისი სახელი ტრიალებს, არც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ჩამოდის. ხალხში უფრო მოკლე და მოხდენილი სახელი შეარქვეს: "ღორმუცელათა კავშირი".

– ჰო, ქვეყნის პრეზიდენტი და, იმავდროულად, მმართველი პარტიის – მოკლედ ვიტყვი – "მუქთამჭამელთა კავშირის" თავმჯდომარე, ბატონი ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი გააგრძელებს ჭეშმარიტი მჭერმეტყველების კიდევ ერთ შესანიშნავ ნიმუშს: "მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში მძვინვარებს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, განსაკუთრებით – ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, სადაც კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, ჩვენ გავძელით და, უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოს დასანახად, განვაგრძობთ არნახულად წარმატებულ მსვლელობას განუხრელი განვითარების გზაზე... დემოკრატიის კიდევ უფრო გაძლიერება... ბიზნესისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა... რეფორმების კიდევ უფრო გაღრმავება... ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლება..." და ასე შემდეგ – შატაბუტას ჩვეული რეპერტუარი, ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი. შემდეგ ბატონი პრეზიდენტი დაინტერესდება რაიმე რეგიონალური პრობლემის მდგომარეობით, მაგალითად, რამდენად შემცირდა უმუშევრობა მეორე კვარტალში რომელიმე ქალაქში... ამის შესახებ შეეკითხება შესაბამის მინისტრს, რომელიც ფრიადოსან მოწაფესავით წამოხტება ფეხზე და შემდეგ კი წარუმატებელ მოწაფესავით მოჰყვება ლუღლუღს... პრეზიდენტი რამდენჯერმე შეაწყვეტინებს ლაპარაკს და კიდევ უფრო დააბნევს საბრალოს, შემდეგ უცებ სულ სხვა საკითხზე გადახტება და ახლა სხვა მინისტრს მოულოდნელად შეეკითხება, თუ რამდენი წყვილი ნიფხავი გამოუშვა გუშინწინ ახალაშენებულმა სატრიკოტაჟო ფაბრიკამ... მავანი მინისტრი, ასევე, მოწაფესავით ფეხზე წამოიჭრება და ისიც მორიდებით წაილუღლუღებს, რომ, თუ ყველაფერი კარგად იქნა და გაუთვალისწინებელმა ხელის შემშლელმა გარემოებებმა არ იჩინა თავი, ეს ფაბრიკა მომავალ წელს უნდა ამოქმედდესო... შემდგომ ბატონი პრეზიდენტი მორიგ კათხა ლუდს გამოყლურწავს, უკვე მესამედ, და ოფლად გახვითქულ დანარჩენ სხდომის მონაწილეთა ნერწყვის ნატიფად ყლაპვის აკომპანემენტით (მაგიდაზე ბოთლებით ლუდი და მინერალური წყალი კი დგას, მაგრამ მათ გახსნას ყველა ერიდება)...

– საკმარისია, საკმარისი! – შეაწყვეტინა მარჯვენას მეტისმეტად გაჭიანურებული მონოლოგი მარცხენამ. – შენ, ძმაო, ტყუილად აუშვი ფანტაზიის აფრა და მოსალოდნელი სხდომის მორევში შეცურე; დარწმუნებული ვარ, შენი ბრწყინვალე ქურდობის შედეგად ბრწყინვალედ დამფრთხალ შატაბუტას აღარ სცხელა მთავრობის სხდომის გასამართავად და მხოლოდ აქედან თავის დაღწევაზე ფიქრობს: ალბათ პრეზიდენტის ვერტმფრენი უკვე საჩქაროდ მოეშურება აქეთკენ!

– სხვათა შორის, ეს ჩვენი უზომოდ თავხედი და ბრექია ტელეჟურნალისტები, მყვირალა სენსაციის მოსაპოვებლად, როგორც სვავები ლეშს, ისე რომ ეცემიან ხოლმე ყველაზე ამაზრზენ ამბებს, ახლა თუ ამცნობენ ქვეყნიერებას, რაც აქ მოხდა?

– მე მგონი, პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკები არც ისეთი დოყლაპიები არიან, რომ რომელიმე ტელეოპერატორს საშუალება მისცენ, გადაიღონ ფრიად პიკანტური სცენა: შეშინებული ბატონი პრეზიდენტი გამოვარდება კარვიდან, მელოტს თავზე ხელისგულით იფარავს და თან გაჰკივის: "ტერორისტული აქტი მომიწყვეს, მთელს ქვეყანაში ვაცხადებ საგანგებო მდგომარეობას!". მართლა მაგარი ხარ, ხომ იცი, ისევ მოახერხე, რომ შატაბუტას ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება მიაღებინე! ჩვენი პრეზიდენტიც ძალიან მაგარია, ოღონდ სხვა მხრივ: ისეთი დამფრთხალია, ისიც კი ავიწყდება, რომ ადრე გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას ვადა ჯერ არ გასვლია!

დაბნელდა და, გარდა იმისა, რომ, გასაგები მიზეზების გამო, მთავრობის სხდომა ჩაიშალა, აღარც ახალგაზრდები სტუმრებიან ბუჩქებს, აღარც ცეკვა-თამაში გამართულა, არც – შეჯიბრი ლუდის ჩქაროსნულ სმაში, რომელშიც, როგორც ჭეშმარიტ დემოკრატს შეეფერება, ბატონი პრეზიდენტიც აპირებდა მონაწილეობის მიღებას, და არც სადღესასწაულო დღის დამაგვირგვინებელ გრანდიოზულ ფოიერვერკს ნაირფერად გაუნათებია ნორჩ ბანაკელთა ბატონ პრეზიდენტის სტუმრობით გაბედნიერებული სახეები...

დილას მარჯვენამ და მარცხენამ მზის ამოსვლას აღარ დაუცადეს და ინათა თუ არა, მაშინვე მათ მასპინძელ ბუჩქს გამოემშვიდობნენ. მათ მიერ გაძევებულ ღობემძვრალას კი, შეწუხებისთვის, ბოდიშის მოხდის მაგივრად, ბატონ პრეზიდენტის დიდებული პარიზული პარიკი დაუტოვეს!

– მე მგონი, ჩვენს კეთილ მასპინძელს ჩვენი საჩუქარი მოეწონება და კვერცხების დასადებად არ დაიწუნებს! – თქვა მარცხენამ. – ასეთი პატარა ჩიტუნიასთვის იქნებ ცოტა დიდიც იყოს ბატონ პრეზიდენტის პარიკი ბუდის მოვალეობის შესასრულებლად, სამაგიეროდ, ბარტყები სივიწროვეს არ იგრძნობენ!

– მეც იმედს გამოვთქვამ, რომ პატარა ღობემძვრალა ბატონ პრეზიდენტივით წუნია არ გამოდგება, – მხარი აუბა ძმას მარჯვენამ და ხუმრობით გააგრძელა: – ძალიან გამიკვირდა და მეწყინა კიდეც, ხომ იცი, როცა ბანაკში სტუმრად მოსულ ბატონ პრეზიდენტის თავზე ვერ ვიხილე ჩემს მიერ ნაჩუქარი ციხის ზედამხედველის ფორმის ქუდი! არადა, ეს სიმბოლური საჩუქარი იყო და ნუთუ არ მოეწონა? უმადური!

– თუ სიმბოლოებზე მიდგა საქმე, მაშინ უპრიანი იყო, მთავრობის სხდომაც რომელიმე ახალაშენებულ ციხეში ჩაეტარებინა!

– ყოჩაღ, ძმაო, ზუსტად ათიანში მოარტყი! ისე, არც ახალგაზრდულ ბანაკში "კათხა ლუდი" მთავრობის სხდომის ჩატარების იდეა იყო ურიგო, ესეც თავისებური სიმბოლოა: ჩვენი უმწიფარი ხელისუფლების მოღვაწეობისა...

კარი XII.
sofluri idilia (Pastorale, პასტორალი);
yana da baRi raRammo awyina?
(Con lenezza, წყნარად, რბილად, ნაზად)

მზიანი შუადღეა, თითები შევიდნენ სოფლის წყნარ ორღობეში. მიწა მოხატულია თუთების, ალუბლების, მსხალთა ჩრდილების მაქმანით... ერთფეროვნად, გაბმულად ხმიანობს ჭრიჭინობელა, ხერხავს და ხერხავს დაუზარელად, დაუღლელად – თითქოს მზის მცხუნვარებას კიდევ უფრო აძლიერებს, ჩიტების უზრუნველი ჭიკჭიკი კი ზაფხულის გასხივოსნებული დღის მშვენიერების განცდით გატკბობს...

და ამ დროს არ შეიძლება, რომ მუსიკა არ გაგახსენდეს; ჩვენი მოხეტიალე თითებიც, ირგვლივ განფენილი სიმშვიდისა და სილამაზის გავლენით, მშვენიერ მუსიკაზე საუბრობენ, იქნებ ბანალურადაც... მაგრამ მუსიკოსები არიან, ფაქიზად გრძნობენ და განიცდიან და "ამღერებულად" ხედავენ ყველაფერს...

მარჯვენა გრძნობათა სიჭარბით შეჩერდა კიდეც:

— როგორი კონტრასტია ჩვენს მიერ გადატანილ ვნებათაღელვასთან... ბუნების წიაღში ყოფნა გვიყუჩებს გაუტანლობით, სისასტიკით, უსამართლობით მიყენებულ სულიერ იარებს...

— ელეგიური განწყობა დაგეუფლა... — ამჯერად მარცხენაც აქტიურობს: — მახსენდება დიდი ლუდვიგის "პასტორალური სიმფონია"... სულ ჩამესმის ბუნების უშფოთველობითა და სიწყნარით გამოწვეული განწყობა, სიამე, სიხარული, — განსაცვიფრებელი მელოდიური სიმდიდრე... ახლა გუგულის "გუ-გუ" და ნაკადულის ლიკლიკი გვაკლია, სამაგიეროდ, შაშვის გალობა ისმის! — შემდეგ მარცხენა რაღაცას საკუთარს მღერის... მარჯვენა ვერ აამღერა, უკვირს: — ბიჭო, ხომ კარგად ხარ? აქამდე სულ მე მიკიჟინებდი, ცხვირჩამოშვებული რად ხარო, ახლა რატომღა არ ამყევი?

— რა ვიცი... ირგვლივ ისეთი სიწყნარეა, სასაფლაოზე გეგონება თავი... სასაფლაოზე სიმღერა გაგონილა?

— რატომ? ზოგიერთები სასაფლაოზე საქეიფოდაც დადიან, უფრო სწორედ — უდროოდ წასულ ძმაკაცს მოიგონებენ, სადღეგრძელოს ჩასძახებენ, საფლავზე ღვინოს დააპკურებენ, სიმღერასაც კი შემოსძახებენ!

— ყველგან უჩვეულო სიჩუმე გამეფებულა... რა დაემართა ამ სოფელს?

მიღოღავენ, მიბობღავენ...

ხედავენ: ერთი უპატონოდ მიტოვებული სახლი, მეორე... მეათე...

მერე თვლა მოსწყინდათ.

მორღვეული ღობეები, ნაცარქათამათი, ღოლოთი, ნარითა და ჭინჭრით ავსებული ეზოები, ალაგ — ჩაქცეული სახურავები...

არსად — კაცის ჩამიჩუმი, არც ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმის, ქათმებიც კი არსად ჩანან... მხოლოდ ბეღურები უზრუნველად დახტიან გზაზე, მტვერში ფრთების ფართქუნით უდარდელად გორაობენ, მერე უცებ ერთად წამოფრინდებიან და გაუჩინარდებიან...

ერთგან, გზაჯვარედზე, კაცები შეგროვილან — შუახნისანი და უფრო ხნიერნი, თითო-ოროლა ახალგაზრდაც: მზით დამწვარი, გაუპარსავი, დაღლილი სახეები, ძველი, გამოხუნებული ტანსაცმელი... უსაქმობისგან გულგაწყალებულნი, გაბეზრებულნი, სხედან სოფლის მტვრიან მოედანზე დაკეტილ სადალაქოსთან; მიწაზე გაფენილ გაზეთზე დაუწყვიათ გაფცქვნილი ხახვი, დატეხილი პური და შინნახად არაყს სვამენ — რაღაცას წაიბურტყუნებენ სადღეგრძელოს მაგივრად და გადაჰკრავენ...

და არ ისმის სიმღერა — უზრუნველი, ხალისიანი!

მარჯვენა:

— ამათზეა სიმღერით ნათქვამი: "პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, კაცო!".

— ღვინოს კი არა — არაყს!

— რას იტყოდი, ახლა რომ ბატონი პრეზიდენტი აქ მობრძანდეს და...

— რას ამბობ, ბიჭო, ტარუღაანთ ბიჭს ამ მიგდებულ, ყველასგან დავიწყებულ სოფელში რა უნდა, ვითომ ჩვენზე უფრო გადარეულია?

— ხომ იცი, რა დაუცხრომელი მოგზაურიცაა! თუკი იყნოსა, რომ აქ დიდებული სუფრა არის გაშლილი, მაშინვე გეზს ამ სოფლისკენ აიღებს და ამ ძიაკაცებს დაუმშვენებს გვერდს. წარმოიდგინე, რომ მისმა უდიდებულესობამ ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა ამ მიყრუებული სოფლის მტვრიან ქუჩაზე გაიარა თავისი ბრწყინვალე კორტეჟით... ხედავს: სადალაქოს წინ გლეხკაცები ჩამომსხდარან: ზოგი — აგურზე, ზოგი — რიყის ქვაზე და ზოგიც — პირდაპირ გვალვისგან გაქვავებულ მიწაზე... და სუფრაა გაშლილი! თან — რა სუფრა! რა გული გაუძლებს, რომ მოქეიფეებს არ შეუერთდეს!.. "ამ შეპიწკინებულ ინდაურს ტყემლის საწებელა მოუხდება, — ბრძანებს ბატონი პრეზიდენტი. — ერთი არაყიც დამისხი, ლუდს კი, იმედია, ჩემი ერთგული პირადი კათხათმტვირთველი დიტმარ მაამებლაური... ბოდიში, ბატონი მაამებლაური ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარეა... ლუდს ჩემი პირადი კათხათმტვირთველი ჰაინც ძიძგილაური არ მომაკლებს... უჰ, დალოცვილია ლუდი ასეთ სიცხეში!".

— გლეხები რას ეტყვიან ძვირფას სტუმარს?

— დაახლოებით ამგვარად: "უღრმესი მადლობა, ჩვენო მეუფევ და მბრძანებელო, ჩვენთან სტუმრობისთვის და პურის გატეხვისთვის, განსაკუთრებით კი — პირის გატეხვისთვის: ჩვენზე ასეთი "მამობრივი" მზრუნველობისთვის! სავარგულები მოუხნავ-დაუმუშავებელი დაგვრჩა, სამაგიეროდ, მინდვრის ყვავილებითაა გადაპენტილი! ხომ არ ინებებთ, მადლიერების ნიშნად, ლამაზი გვირგვინ-თაიგულით დაგიმშვენოთ ეგ დიდად დამსახურებული, სახელმწიფოებრივი სიბრძნით გამოტენილი თავი? აღარც ბაზარში წოწიალი გვიწევს, შინ ვსხედვართ, ვისვენებთ... უღრმესი მადლობა, მადლობა და მადლობა!".

— შატაბუტა რაღას უპასუხებს?

— "აბა, რისთვის აგვირჩიეთ, კეთილო ხალხო! ვაჰ, ხინკალიცა გქონიათ; არ გაცივდეს, ჯერ ერთი ოცდაათი ცალი გადმომიღეთ... ჩემო საყვარელო ჰაინც, ისევ მომაწოდე ჩემი საყვარელი კათხა! ჩვენ უნდა გვესმოდეს, რა დიდი ბედნიერებაა, უბრალო ხალხთან ასე უბრალოდ დაჯდომა, მათი

პურ-მარილის გაზიარება, მათი ჭირისა თუ ლხინის გაგება... სხვებსაც, ჩემს თანამებრძოლებს პარტიასა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, აუცილებლად მოვუწოდებ... არა, პირდაპირ დავავალებ: ჩვენი ამოცანაა, გადით ხალხში, გაითავისეთ მათი ცხოვრების შუქ-ჩრდილი, ტკივილიცა და სიხარულიც! აუცილებელია მოსახლეობასთან დიალოგი, ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობა!" და მოიყუდებს ჯადოსურ კათხას... მერე ისევ ილაპარაკებს ძალიან დიდხანს, ძალიან ლამაზად და ძალიან დამაჯერებლად: "მართალია, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ჩვენს ქვეყანაზეც იქონია ერთგვარი უარყოფითი გავლენა და ამას, რასაკვირველია, ვერაფრით გავექცეოდით, მაგრამ ამან ვერ შეძლო არსებითად შეეფერხებინა ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა ყველა მიმართულებით! მთელს მსოფლიოში რომ სტაგნაციისა და უკუსვლის მოვლენები მძლავრობენ, ჩვენ სტაბილურობის აყვავებულ ოაზისად ვრჩებით ეკონომიკური ქარიშხლით აბობოქრებულ კრიზისის ოკეანეში"... განსაკუთრებით ხაზს გაუსვამს ქვეყანაში შემდგომი დემოკრატიზაციის ძირეული პროცესებისადმი მის ყოველდღიურ ზრუნვას – წამდაუწუმ გაისმის: "ახალი საკონსტიტუციო კომისია"... "საარჩევნო სისტემის ძირეული რეფორმა"... "სასამართლო სისტემის რეფორმა"... "საგადასახადო და შემოსავლების სისტემის შემდგომი დახვეწა"... დემაგოგიის ფოიერვერკი!..

– სულ რამდენ კათხს გამოსცლის? – შეაწყვეტინა ძმას გაჭიანურებული მონოლოგი მარცხენამ.

– ძნელია ამის თქმა, ძალინ ცხელა და ალბათ ძალიან ბევრს. იმას კი თამამად ვიტყვი, რომ ისე მოასუფთავებს გაშლილ გაზეთზე მონარჩენებს, დანარჩენებს ერთ ნამცეცსაც არ დაუტოვებს! იმაშიც დარწმუნებული ვარ, თვითონ კიდევ უფრო მადაგაღვიძებული, მშიერი წავა აქედან – მის მუცელს რა ამოყორავს!

– მერე, ამ დალოცვილებმა, წინდაწინ რატომ არ დაიჭირეს თადარიგი ძვირფასი სტუმრის მისაღებად?

– ხომ გითხრი, ცანცარაა, არავინ იცის, ხუთი წუთის შემდეგ სად ამოყოფს თავს! გამორჩეული მადა რომ აქვს, ეგ არაფერი, სხვა გადახრებია საყურადღებო. მე ექიმი არ ვარ, მით უმეტეს – ფსიქიატრი, და ვერ ვიტყვი დანამდვილებით, მას პარანოიალური ფსიქოპატია სჭირს თუ არა, მაგრამ ჩემთვისაც კი თვალსაჩინოა მისი ფსიქიკის აშკარა დისჰარმონიულობა. მე მგონი, ძალიან ბევრი გაიზიარებს ჩემს მოსაზრებას, რომ ბატონ შატაბუტას პიროვნებას ამშვენებს მთელი თაიგული ფსიქიკური ნორმიდან გადაცდენებისა თუ ამოვარდნებისა: განდიდების მანიით გამოწვეული მესიანიზმის განცდა, პათოლოგიური მატყუარობა, სინამდვილის ობიექტურად აღქმის სრული მოშლა ან თანდაყოლილი არქონა... აშკარაა ფსევდოდამბლის სინდრომი: მუცელღმერთობა, სექსუალური აღვირახსნილობა, კრიტიკული განსჯის ატროფირება და საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება, მარად ამაღლებული განწყობილება და კმაყოფილება საკუთარი თავით და გარემოთი... ნებისმიერი მიუკერძოებელი ფსიქიატრი დაასკვნიდა: ექვემდებარება დაუყონებლივ ჰოსპიტალიზაციას!

– ჭირიმე, საკუთარი მომეტებული კრიტიკული განწყობის გამო, ხომ არ აჭარბებ?

– გადაუდებელი საექიმო დახმარების მხრივ? რომ არ ვცდები, აგე, მატარებლის დასტურიც!

ერთფეროვნება უცებ ირღვევა: შორიდან მოისმის მატარებლის მომხმობი კივილი – მირაკუნობს, მიიჩქარის: გუ-გუ-გუ!..

მოხუცი გლეხები ტკივილიანი ღიმილით, თვალების ჭუტვით, გასცქერიან მატარებლის მუხლუხოსავით გაწოლილ შემადგენლობას:

– სად გარბის ეს პატრონძაღლი, ჩვენც ხომ არ გავიქცეთ?

– მაშ არა და, მეც უნდა ქალაქს გავიქცე, სხვა გზა არა მაქვს!

– ბიჭო, ქალაქს რა დაგრჩენია, ხომ იშოვე მილიონები, წაბრძანდი, შვილოსა, შენს საყვარელ ტროპიკულ კუნძულებზე; მთელი წლის განმავლობაში პლაჟები მოფენილია შიშველი ლამაზმანებით, თან იაფად გამოხვალ – ზამთარში შეშის ფულს დაზოგავ...

– რა დროს სადმე წასვლაა, რა სრა-სასახლე და გაშლილი სუფრა იქ მელის! თუ წავალ, ისევ საიქიოში!

– სწორედ ეგ ერთი გზაღა გვაქვს დარჩენილი...

– საიქიოს ყოველთვის მოვასწრებთ წაბრძანებასა, მე იმასა ვნატრობ: ნეტავ ერთი ამაფრინა, გამაფრინა, უცხო მხარეები მანახვა...

– და სადმე გაშლილ სუფრასთან ხომ არ ინებებდი დაფრენასა?

მარცხენა ეუბნება მარჯვენას:

– ჩვენ რატომაც გავრბივართ, ხეირიანად ვერაფრით ამიხსენი, ესენი რაღამ ააცეტა? რამ დაცალა სოფელი?

მარჯვენა:

– შენს გარდა, ეგ ალბათ ყველამ იცის: შიმშილმა! უიმედობამ! სოფლურმა სიდუხჭირემ: საქონელს მალავენ – გადასახადია ყოველ ძროხაზე, საძოვარზე, მიწაზე... სხვა ყველაფერთან ერთად, საოცრად გაძვირდა სასუქი, სარწყავი წყალი... ფული – საიდან? ვეტერინარული სამსახური გაუქმდა

და კერძო ფირმებმა თითო ძროხის ასაცრელად 40 ლარი დააწესეს – ადრე 5-6-ჯერ იაფი უჯდებოდათ...

– ამათ უნდათ ახლა იესო ნაზარეველი, თუ ის მართლა არსებობს, ტიბერიადის ტბის პირას რომ სასწაულებრივად ხუთი ქერის პურითა და ორი თევზით ხუთი ათასი კაცი დააძღო და მონარჩენით კალათებიც დაავსო!

– არა, კაცო, ხელისუფლებისგან ცოტაოდენი ყურადღება სჭირდებათ და საკუთარ თავსაც მიხედავენ და ქვეყანასაც შეეხიდებიან. მაგრამ ჩვენს შატაბუტას სად სცალია ამ საცოდავების პრობლემების გადასაჭრელად – დიდად დაკავებულია სულ სხვა საქმეებით: საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობითა და მოწყობით, საზღვარგარეთ გაუთავებელი მოგზაურობებითა და რესტორნებში გრიალით... ჩვენ მოგვდგამს სულის სიმხნევე, ხალისიანობაც და მკვლავმოუღლელი შრომის მოთხოვნილებაც, მაგრამ ყოველივე ამას აქტიურად თრგუნავს ჩამოყალიბებული სისტემა ავტოკრატიული მმართველობისა... ბატონი შატაბუტა თავისუფალ აზროვნებასაც კი ვერ იტანს და მავანის თავისუფალ ქმედებას დაუშვებს? მონები, მისი ნების უსიტყვო შემსრულებლები – აი, მისი იდეალი. და ბატონ პრეზიდენტის გაუთავებელი ლაქლაქი ჩვენს ქვეყანაში პიროვნების თავისუფლებაზე, დემოკრატიის განვითარების მორიგ ტალღაზე – ფუჭი ლაყბობაა და მეტი არაფერი.

– ისევ გძლია ენამყრალობამ... ვერც შენ უარყოფ, რომ ჩვენი პრეზიდენტი თავისებურად მეტად გამორჩეული პიროვნებაა... – წამოიძახა მარცხენამ.

– კი, ბატონო, ამაში ყველანი ვთანხმდებით, რომ შატაბუტა მეტად კოლორიტული პიროვნება გახლავთ! – დაეთანხმა მარჯვენა. – მაგრამ... აი, ეს "მაგრამ" არის მთავარი! დიახ, უბედურება იმ გარემოებაში მდგომარეობს, რომ ეს გამოჩენილი პიროვნება თავისი პიროვნული თვისებებით სრულიად შეუფერებელია იმ თანამდებობისთვის, რომელიც უკავია. მართალი მოგახსენო, ასეთ ადამიანს მე ვერ ვანდობდი არამცთუ პრეზიდენტის პოსტს, არამედ რომელიმე ოდნავ საპასუხისმგებლო თანამდებობასაც კი...

– რატომ, მაინც რა ისეთი კატასტროფიული ნაკლოვანებები დაინახე მის პიროვნულ თვისებებში?

– ამის შესახებ ბევრჯერ გვისაუბრია და ნუთუ შენთვის კიდევ საჭიროა ახალი ახსნა-განმარტება? უპირველესად – ცანცარაა, შენ გენაცვალე! შეიძლება, გყავდეს ცანცარა პრეზიდენტი? სულ გარბის-გამორბის, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება; ცანცართ ცანცარა ხუთ წუთში ერთპიროვნულად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და იმედი აქვს, რომ ათ წუთში მის შესრულებას შეძლებს! სულსწრაფია! გადასაჭრელი პრობლემის არავითარი გაანალიზება, არავითარი კონსულტაციები საქმეში ჩახედულ სპეციალისტებთან, არავითარი მრავალმხრივი გათვლა ყველა გარემოებისა, მოსალოდნელი შედეგებისა... რად სჭირდება სხვისი რჩევა, თვითონ ხომ გენიოსია! ან ვის უნდა ჰკითხოს რჩევა-დარიგება, გარშემო შემოიკრიბა უნიჭო ტაშის დამკვრელები... თითო-ოროლა ჭკვიანი და გამოცდილი თუ გამოერია მის გარემოცვაში, ისინიც მეუფეს მხოლოდ იმას ეუბნებიან, რაც მას მოეწონება – მაამებლები და მლიქვნელები! საოცარია! ისიც საოცარია, რა მანქანებით მოხვდა ხელისუფლების მწვერვალზე... თუმცა, ახლა უკვე ყველაფერი ცხადია, როგორც: კაიკაცობის ნიღბით, სამართლიანობისთვის, დემოკრატიისთვის, ხალხის ინტერესებისთვის გულანთებული მებრძოლის ნიღბით და, რაც მთავარია – უცხოეთის აქტიური მხარდაჭერით... სინამდვილეში ვინც იყო და რაც სურდა, შემდგომ მშვენივრად წარმოაჩინა: ყველა კანონიერი და არაკანონიერი ხერხებით ძალაუფლების შენარჩუნება, მის უცნაურ ახირებებს და საკუთარ ნება-სურვილს უნდა დაემორჩილოს ყველა და ყველაფერი... ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ჩამოყალიბდა ტიპიურ ავტოკრატად. ცინიზმი, შერწყმული არაკომპეტენტურობასთან, შეუწყნარებლობა, უვიცობა და კატეგორიულობა, სისასტიკე, შეწყვილებული მშიშრობასთან, სიცრუე და უსირცხვილო და უკიდეგანო დემაგოგია – აი, მისი უდიდებულესობის ბრწყინვალე თვისებათა არასრული ჩამონათვალი...

– კიდევ, კიდევ?

– ყველაფრის, ყოველი ხუშტურის ასრულების თავისუფლების განცდა: რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, რატომაც არა?!. დაწერილი და დაუწერელი კანონები და შეზღუდვები ჩემთვის არ არსებობს! ხონთქარი ვარ, ყველას უფალი! მაგრამ – ჩემი ხუშტურების მონა!

– კარგი რა! შენ ამბობ, რომ მოგბეზრდა ყოველდღე სულ ერთი და იგივე, ამიტომაც გამოვიქეცი კონცერტიდანო; და თუ ასე ვერ იტან ერთფეროვნებას, შენ თვითონ ჩვენი პრეზიდენტის გაუთავებელი და ერთფეროვანი გინება როგორ არ მოგბეზრდა?

– მე კიდევ, იცი, რას გკითხავ? – ფიცხლად შეეპასუხა მარჯვენა. – ამიხსენი: სულ რომ ხან – პრეზიდენტის კრიტიკას ეთანხმები, ხანაც – მე მაკრიტიკებ მისი კრიტიკისთვის, არ არის უცნაური?

– ამქვეყნად ყველაფერი უცნაურია და ამას უნდა შეეგუო!

– აი, ახლა კი დაგეთანხმები, ბატონო ფილოსოფოსო, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს! ქვეყანა უცნაურობებით და მოულოდნელობებით რომ არ იყოს სავსე, სიცოცხლეს ფასი დაეკარგე-

ბოდა. მაგალითად, სრული მოულოდნელობა იქნებოდა, ახლა შატაბუტას აქ გამოჩენა, მაგრამ – სრულიად მოსალოდნელი, რომ მაშინვე სუფრასთან მოიკალათებდა!

– შენ, ბიჭო, ახლა ყველა ცოდვას ამ ერთ კაცს ნუ აჰკიდებ! შეხედე: გაგიგონია გაგანია სიცხეში, შუადღეზე, არაყის სმა? არ მობეზრდებათ ასე მთელი დღე მცონარობა? გაანძრიონ ხელი და ეშველებათ!

– შრომა კი არ ეზარებათ, მათმა შრომამ – და სხვებისაც – აზრი დაჰკარგა, – პასუხობს მარჯვენა. – შრომას ფასი დაეკარგა!.. ფული არ არის სოფელში – ძვირია ტრანსპორტი, სასუქი, დიდია გადასახადები... შენი მოწეული ჭირნახული ვერსად მიგაქვს გასასაღებლად: ბაზარში უცხოური იაფი, ნაგავი, გენეტიკურად მოდიფიცირებული საქონელია შემოტანილი ოხრად – გააუქმეს ყოველგვარი კონტროლი საბაჟოზე და ქვეყანაშიც! მეგობარი ქვეყნებიდან ორასი მილიონი დოლარი დახმარება შემოვიდა სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, ჰოდა, სად გაქრა ასე უკვალოდ ეს უზარმაზარი თანხა? სად არის კომბაინები და ტრაქტორები, გაწმენდილი არხები, აშენებული გადამამუშავებელი საწარმოები? სამაგიეროდ, გლეხს მისი ნაკვეთის მორწყვა იმდენად ძვირი უჯდება, მოწეულ პროდუქციას ვეღარ ასაღებს – უბაჟოდ შემოტანილს კონკურენციას ვეღარ უწევს და კოტრდება... ვალებში ეფლობა, მიწას ყიდის... ვინ ყიდულობს? ისევ ფულიანი უცხოელი... მალე სოფელი საერთოდ აღარ იარსებებს... მე რომ მკითხო, ყურები მაინც არ უნდა ჩამოყარონ – რა ვაჟკაცობაა, ხელში მარტო არაყით გალიცლიცებული ჭიქა გეჭიროს და ამღვრეული თვალებით სანუგეშოს ვეღარაფერს ხედავდე ირგვლივ! თუმცა, ჩვენ რომ გვგონია, არც ისეთი დათრგუნულნი არიან, აბა, მოუსმინე!

– გოტფრიდ, ბიჯო, აბა ერთი, ეგ ინდაურის შემწვარი ბარკალი მომაწოდე! – ხნიერი ძიაკაცის დაჭმუჭვნილ სახეზე ღიმილი ნაოჭებს კიდევ უფრო აღრმავებს.

– არა, ბიჯო, არ გირჩევ! – სერიოზულად პასუხობს გოტფრიდი და დამჭკნარ სახეზე მხოლოდ უკბილო, ჩავარდნილი პირი ცმაცუნით განაგრძობს პურის ნაჭერის ლოღნას.

– რათა, კაცო?

– იმათა, რომ დიეტურია, შენა კიდევა, ექიმმა ხომ დაგარიგა: "ბიჭო ვილიბალდ, ნამეტანი მოსუქდი ჩვენი პრეზიდენტივითა, ჰოდა, დიეტაზე დაჯექ აუცილებლადო", დაგავიწყდა? ე ნიორწყალში ჩაწყობილი ლოქო უფრო მოგიხდება! კარაქივითა დნება პირში! ან თუ ხოხბის ხორცი მოგაწოდო?

– ახლა ეს მაინც მითხარი, რამდენი ფეხი აქვს იმ შენს ნაქებ დიეტასა, რომ დავჯდე, ჩემი ნამეტანი გასუქებული ტანის სიმძიმით ხომ არ წაიქცევა, ხომ მაგარი გაკეთებულია, შეიძლება, ვენდო?

– როგორც ჩვენი პრეზიდენტის სიტყვასა! – პასუხობს გოტფრიდი. – რატომ არ უნდა ენდო?

– მა რომ დავჯდე ამ შენს კეთილ დიეტაზედა და უცებ ერთი ფეხი მოსტყდეს, ხომ გავგორდი ე დროული კაცი მიწაზედა, იქნებ მე თვითონაც მამტყდეს რამე... საავადმყოფოში უფულოდ კიდევა თითს არავინ გაატოკებს, შენ ამინაზღაურებ მკურნალობის ხარჯებსა?

– ხომ გაგიგონია: კაცი წყალს მიჰქონდა და ის კი იძახდა, გზა მაინც იქეთ მაქვსო; თუ მიწაზე გაგორდი, კიდევ უკეთესი – საქმე მაინც არაფერი გაქვს, წამოგორდი და წაიძინე! სიზმარში ხომ მაინც იქნები კეთილად და ბედნიერადა!..

– მშიერ კუჭზე რა დამაძინებს, კაცო!

– კუჭს რას უცქერ, ხომ იცი, ცბიერია: თავის ნებაზე ათამაშებს უნებისყოფო კაცსა და ხშირად ხიფათსაც გადაჰყრის! აბა, ერთიც დავლიოთ! – გადაჰკრა და უცებ გაბზარული ხმით წამოიწყო:

ჩამოსხდებიან ყორნები,
ჩამოყრილი აქვთ ყურები...

– აგე, თუ არა მღერიან! – ნიშნის მოგებით წამოიძახა მარცხენამ.

მარჯვენამ უპასუხა:

– ყორნებში საკუთარ თავს ხომ არ გულისხმობენ? ნაღვლიანი სიმღერაა და ახლა მე პატარას გავამხიარულებ დამსწრე საზოგადოებას...

– ყველგან საცუღლუტოს ეძებ, არ მოგწყინდა მაიმუნობა? ეს საცოდავები მწარე სინამდვილეს მწარე არაყით გაურბიან, ზედ ცხარე ხახვს აყოლებენ და შენგან კიდევ რაღაც ჩხვლეტა უნდა იგემონ? ხომ ხედავ, პარიკი არცერთს უკეთია, რა უნდა მოსტაცო? თან ყველანი სხედან, თან, ვერ ხედავ, სიმსუქნითაც ვერ დაიკვეხნიან, გამხმარი საჯდომები ექნებათ, პწკენისთვის ფრიად მოუხერხებელი.... დაანებე თავი, მაგათ საკუთარი გასაჭირიც ეყოფათ!

– კარგი, – დაეთანხმა მარჯვენა, – მაგათ მსოფლიო პრობლემებზე მსჯელობაში ხელს აღარ შევუშლი და ჩვენ კი სალაქლაქოდ არ გვცალია, გავიქცეთ, გზა განვაგრძოთ: ამ გაპარტახებული სოფლისა და გასაცოდავებული ხალხის ცქერა აღარ შემიძლია... თუმცა, მოიცა, აქ რაღაც უნდა მოხდეს...

ამ დროს სოფლისკენ მომავალი შარაგზა მტვრის ბუღში გაახვია ძვირ-ძვირი ჯიპებისა და გრძელი, შავი მსუბუქი მანქანების ქარავანმა; მათ უკან მოჰყვებოდა რამდენიმე ავტობუსიც.

– ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ ამ ყველასგან მიგდებულ სოფელს! – წამოიძახა მარჯვენამ. – ნეტავ რა ბზიკმა უკბინა ბატონ პრეზიდენტს, აქაურები რამ გაახსენა?

– შენ ენამ ხომ არ გიყივლა, – წამოიძახა მარცხენამ, – ნუთუ მართლა ის მობრძანდება? რა გააწყალა გული ამ ხეტიალს აყოლილმა შატაბუტამ, რატომ არ გვასვენებს, ამ ყრუ ადგილსაც უნდა მოგვაგნოს? გდებულიყო იმ ახალგაზრდულ ბანაკში!

– როგორც ტორტის ყოველდღე ჭამა მოგბეზრდება და პურის გემო მოგენატრება, ბატონ პრეზიდენტსაც პარიზი, ლონდონი და ნიუ იორკი მოყირჭდა და ახლა აქაურები უნდა გააბედნიეროს მისი უდიდებულესობის ხილვით! – გაეცინა მარჯვენას. – ჩვენი ნახვაც მოენატრა, თუმცა არასდროს ვუნახივართ!

– ჩვენი არა, მაგრამ ალბათ მართლა მოენატრა გამხმარი პურის ნატეხისა და ხახვის ლოღნა, ამ დიდებულ სუფრაზე ჩვენს გლეხკაცებს გვერდს დაუმშვენებს! არ ვიცი, არაყს სვამს თუ არა, ცივ-ცივი ლუდი კი არ მოაკლდება – ერთგულ კათხათმტვირთველს გვერდიდან არასდროს იშორებს!

– შესაძლოა, ამ სტუმრობას სხვა, ბევრად სერიოზული მიზეზი ჰქონდეს, – თქვა მარჯვენამ. – მართლაც ბრძენი პრეზიდენტი გვყავს: ეტყობა, ქვეყანაში გამეფებული ეკონომიკური გასაჭირითა და დემოკრატიული უფლებების ფეხქვეშ უბოდიშო გათელვით გამოწვეული საყოველთაო უკმაყოფილებისა და მისი რეჟიმისთვის საშიში პოლიტიკური დაძაბულობის განსამუხტავად, ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკლის, ასევე, დემოკრატიის ჭეშმარიტ ტრფიალთ ვადამდელი არჩევნების ჩატარება აქვთ განზრახული და წინდაწინვე, კონკურენტთაგან უჩუმრად, ამომრჩეველთა ხმებზე ნადირობის სეზონი გახსნეს... ამას ბატონმა შატაბუტამ დაარქვა "ხალხში გასვლა". ნამეტანი ხომ არ დააგვიანეს? ამდენი წელია, სახელისუფლო თბილ სკამებში გემრიელად სხედან, ყველაფერს მხოლოდ სულ თავისკენ მიითლიან და ხალხი თუ არსებობდა ამ ქვეყანაზე, არასდროს გახსენებიათ...

– შეხედე, ბიჭო, აქაურები რას ეღირსნენ – რამდენიმე სატელევიზიო ბრიგადაც მოჰყვებათ, სოფლელები გაიხარებენ – საქვეყნოდ გაითქვამენ სახელს!

– არც გართობა მოაკლდებათ – საკონცერტო ჯგუფიც ახლავთ! ჩვენც მშვენივრად გავერთობით, შენ დაუკარ! ბატონი პრეზიდენტი მეტად თავმდაბალი კაცია, ადგილობრივ გოგო-ბიჭებთან ერთად მხიარულ ცეკვა-თამაშში თვითონაც ჩაერთვება! აქაური ახალგაზრდებისგან დაცლილია სოფელი და თუ არ დახვდებიან, არც იმაზე ინაღვლებს – "პატრიოტთა ბანაკიდან" საჩქაროდ ჩამოიყვანენ! თუმცა... ამჯერად, მე მგონი, რანგით ოდნავ უფრო დაბალი, მაგრამ მაინც, ადგილობრივი გაგებით, ნამდვილი ღმერთკაცები მობრძანდნენ. როგორ შევცდით, მიკვირს, ხომ იცი: ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა: თუკი პრეზიდენტი აქ მოსვლას მართლა განიზრახავდა, წინდაწინ საჩქაროდ გზასაც ასფალტით დაფარავდნენ, გზის გასწვრივ სახლებსაც სასწრაფოდ შეღებავდნენ... საყვარელ ბატონ პრეზიდენტს დაახვედრებდნენ გზის გასწვრივ დროშებით, ტრანსპარანტებითა და ყვავილებით დამშვენებულ საზეიმოდ გამოწყობილ ადგილობრივ მოსახლეობასაც...

– დიდად შევცდით!

– ბატონ პრეზიდენტს სული მისდის, ისე უყვარს ახალი შადრევნის, ახალი სათამაშო მოედნის, ახალი საპყრობილის და სხვათა გახსნა... ჯერ დიდის ამალით ზარ-ზეიმით მობრძანება, შემდეგ – ჩვეული როლის შესრულება: ორსაათიანი სიტყვით გამოსვლა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით არნახული მიღწევებით თავის მოწონება, შემდეგ – წითელი ბაფთის გაჭრა, მშრომელ უბრალო, მშრომელ ადმიანებთან პირისპირ გულითადი საუბარი და უშუალო ურთიერთობით მათი ჭირისა და ლხინის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება, დაბოლოს – რესტორანში გემრიელი პურისჭამა!

– აქ რომ პატარა სასადილოც არ აქვთ?

– ჰო, მართალი ხარ, შეცდნენ, ძალიან, ძალიან შეცდნენ აქაურები! რა გახდა ერთი ახალი ფეხსალაგი მაინც შეეკოწიწებინათ სახელდახელოდ! როგორც მოგახსენე, ჩამობრძანდებოდა ბატონი პრეზიდენტი, ბაქიბუქით ტრაბახის კორიანტელს დააყენებდა, წითელ ბაფთას საზეიმოდ გადაჭრიდა, ხალხს გულითადად გაესაუბრებოდა, მათ ჭირსა და ლხინს გაითავისებდა, თვითონაც გაიხარებდა და სხვებსაც ხომ გაახარებდა და გაახარებდა!

– აბა, კაცო! ტელევიზორში გამოიჭიმებოდნენ, მათ მღიმარ, ბედნიერ სახეებს მთელი მსოფლიო იხილავდა!

– არა უშავს, სოფლელები მაინც ბედნიერები არიან: "ვაჰ, შენ გენაცვალე, ამას რას მოვესწარით, ეს რა ბედნიერი დღე გაგვითენდა, პრეზიდენტი არა, მაგრამ ბატონი მინისტრი ხომ გვეწვია, თანაც – თვით მისი ბრწყინვალება, ბატონი ჰაინრიხ ტომარფულიაური – ბატონ პრეზიდენტის გართობა-დროსტარებისა და კომფორტული გარემოს შექმნის მინისტრი!". ხუმრობა ხომ არ გგონია? საინტერესოა, შატაბუტამ როგორ მოიცილა გვერდიდან ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრი,

ნუთუ ბატონმა პრეზიდენტმა ნირი იცვალა, ტაშფანდურსა და დიმპიტაურ-დამპიტაურს შეეშვა და სახელმწიფო საქმეებით სერიოზულად დაკავდა?

– შეხედე, ამ ძვირფას გვამს რამდენიმე პარლამენტის დეპუტატიც უმშვენებს გვერდს მმართველი პარტიიდან, ამათ რაღა დარჩენიათ აქ? სახუმაროდ და გასართობად ნამდვილად ბევრად უკეთეს ადგილს მიაშურებდნენ.

– ახლავე ყველაფერში გავერკვევით...

ჰაინრიხ ტომარფულიაური და პარლამენტის პატივცემული დეპუტატები მანქანებიდან დინჯად ჩამობრძანდნენ, შავი სათვალეები დინჯად გაიკეთეს და, პირადი მცველებით გარშემორტყმულნი, სადალაქოს წინ მსხდომი გლეხებისკენ დინჯად გაემართნენ და დინჯად, თან – გულითადად, მიესალმნენ.

ფეხზე წამომხტარმა გლეხებმა, ვისაც ქუდები ეხურა, თავიდან მოიშვლიპეს და ყველამ ერთად სტუმრებს სალამი დაუბრუნეს.

– აბა, როგორა ხართ, ხომ მშვიდობაა?!. – დაიწყო გულითადი საუბრის ძაფის გაბმა ბატონმა ჰაინრიხ ტომარფულიაურმა.

– ცუდად რათ უნდა ვიყვნეთ, თქვენი წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! – ზრდილობიანად უპასუხეს გლეხებმა.

– კიდევ უკეთ იქნებით, ამას გპირდებით! – განაგრძო ბატონმა მინისტრმა, "მოქეიფეთა" "სუფრას" დახედა და ხელი გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა. – მერმის ამ დროს კარგი პომიდორი და ქორფა კიტრიც არ მოგაკლდებათ: აი, იქ, მდინარიდან რომ არხის ტოტი გამოდის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის პირადი გადაწყვეტილებით, ვიწყებთ ამ სოფლისთვის მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის გაწმენდის სამუშაოებს! ასევე, საჭირო ფულადი სახსრები უკვე გამოყოფილია და კაპიტალურად შევაკეთებთ სოფლის სკოლას და ამ გზასაც, რომლითაც თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, თქვენს მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დაუბრკოლებლად გაიტანოთ ბაზარში...

– შენი კვნესამე, ეს მინდვრები, უკვე რამდენიმე წელია, დაუმუშავებელია და რა უნდა მოვრწყათ? – შეეპასუხა ერთი ჭაღაროსანი, კარგა ხნის წვერგაუპარსავი გლეხი.

– მომავალ წელს წყალი იქნება და ხომ მოხნავთ?

– სოფელში თითქმის სულ ბებრებიღა ვართ დარჩენილები, სკოლაშიც ადრე რომ სამასზე მეტი ბავშვი სწავლობდა, ახლა სამიღა დადის, იმათაც მომავალ სასწავლო წელს ქალაქს წაიყვანენ... ან ვინღა არის მიწის პატრონი, ვიღაც გადამთიელმა ერთიანად შეისყიდა და საძოვრად იყენებს, ისიც გაქცევას აპირებს...

– ეს სოფელი სულდამშვენდა არ არის? – იკითხა ბატონმა მინისტრმა და გვერდით ატუზულ ახალგაზრდა მოადგილეს შეხედა – შეცდომით სხვაგან ხომ არ მომიყვანეო.

– გახლავს, ჩემო ბატონო, მაგრამა მალე სახელს შევუცვლით – არაშენდა დაერქმევა... თუკი სახელის შემრჩევი ვინმე გადარჩა...

– მეგობრებო, თქვენი პესიმიზმი სრულიად უსაფუძვლოა, ახლა რეფორმების ახალი ტალღა იწყება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში... შესაძლოა, მოკლე ხანში რიგგარეშე არჩევნებიც ჩატარდეს, რომელიც ბიძგს მისცემს ქვეყნის კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით განვითარებას, როგორც ეს ჩვენი პარტიის პროგრამას შეესაბამება. სულ რამდენი ამომრჩეველი გყავთ? – დაინტერესდა ერთ-ერთი დეპუტატი.

– ეგა თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, ჩემო ბატონო; ბოლო არჩევნების წინა, კარგა მახსოვხართ, აქა ბრძანდებოდით და კეთილი სიტყვებიც არ დაგვამადლეთ, ძალიან მოგვეწონა, ძალიანა... დიდად მადლობელი გახლავართ, ძვირფასო ჩვენო ბატონო... თუკი ახალი არჩევნების დანიშვნას აპირებთ, სოფელში ბევრნი კი აღარ დავრჩით, მაგრამა, ჩვენი იმედი გქონდეთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო, ისევ თქვენ ჩაგიგდებთ თეთრ კენჭსა, თუკი, რასაკვირველია, ცოცხლები ვიქენით და ჩვენც ქალაქს არ წავედით ჩვენს შვილებთან და შვილიშვილებთანა...

– ბიჭო, გავეცალოთ აქაურობას! – წამოიმართა მარცხენა. – ხომ ხედავ, საინტერესო აქ არაფერი ხდება, ეს საუბარი ყრუთა დიალოგს ჰგავს. საკონცერტო ბრიგადა კი ჩამოუყვანიათ, მაგრამ ვატყობ, კონცერტის გამართვას აღარ აპირებენ...

– და აღარც ჩამოტანილ საჩუქრებს დაარიგებენ... – გააგრძელა ძმის აზრი მარჯვენამ. – სამაგიეროდ, მე მინდა, ბატონ მინისტრს ჩემებური საჩუქარი ვუძღვნა – ახლა, აქვე: მერე სადღა მექნება ბედნიერება მის ბრწყინვალესთან ისევ შეხვედრისა! ხომ უნდა დავაფასოთ მმართველი პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის სამაგალითო თავგამოდება – ასეთმა პატივსაცემმა გვამმა თავი შეიწუხა, საკუთარი ძვირფასი დრო არ დაზოგა და ამ სიშორეზე მობრძანდა – "უბრალო ხალხთან, მშრომელებთან შესახვედრად", მისი ჭირისა თუ ლხინის გასაცნობად...

– კარგად გიცნობ, რა კერკეტი კაკალიცა ხარ, შენს განზრახვაზე ხელს მაინც ვერ აგაღებინებ და ის მაინც მითხარი, რას აპირებ?

— მოითმინე და თვითონ ნახავ... შენ ნურაფრის შეგეშინდება და გასაქცევად მზად იყავი!

მარჯვენა ერთ-ერთ ავტომატმომარჯვებულ ახმახ ჯეელთან მიბობღდა.

"ტრა-ტა-ტა-ტა!.." — უცებ გაისმა ავტომატის ჯერი...

შემდგომ რაც მოხდა, ძნელი აღსაწერია: ჯერ პატივცემული სტუმრები სხარტად გაიშხლართნენ მზით გახურებულ მიწაზე, იარაღმომარჯვებული დაცვის თანამშრომლები ქორულად იმზირებოდნენ გარშემო...

ყველაზე ცქვიტი ბატონი მინისტრი გამოდგა: ერთ-ერთი "ჯიპის" ქვეშ პირველი შეძვრა... სამაგიეროდ, როცა მოკლე ხანში ცრუ განგაშის შესახებ ამცნეს, იქიდან სულ ბოლო გამოძვრა... ბოდიში, ვერ გამოძვრა და მცველებს დიდი ჯაფა დაადგათ მისი მანქანის ქვეშიდან გამოსათრევად — ამისთვის მანქანის ცალი მხრიდან ცოტა მაღლა აწევაც კი დასჭირდათ... ძალიან გაუკვირდათ — ასე ჩაფუნთუშებულმა იქ როგორ მოახერხა შეძრომაო...

ბატონ ჰაინრიხ ტომარფულიაურს ტანსაცმელი არც ჩამოუფერთხავს, არც აქეთ-იქით გაუხედავს, ისევ მსწრაფლ შეძვრა, ახლა უკვე — დაჯავშნულ მანქანაში. არც სხვებს მოუცადა, რა თქმა უნდა, პირადი მცველების გარდა, და არც მასპინძლებს გამომშვიდობებია, ისე უბრძანა მძღოლს, სასწრაფოდ გაცლოდნენ გაპარტახებულ სოფელს...

დანარჩენებიც უცებ შელაგდნენ მანქანებში და მალე ძვირფასი სტუმრებისა და მათ თანმხლებ პირთა კვალი აღარ ეტყობოდა იქაურობას; თუ არ ჩავთვლით მტვრის ბუღს შარაგზაზე, რომელიც, იმედია, დაპირებისამებრ, მოკლე ხანში ასფალტით შეიმოსება...

ჩვენი მოგზაურებიც სოფელს გასცდნენ, შემდეგ მსწრაფლ გადაიარეს სოფლის შემოუღობავი სასაფლაო და სირბილით ისევ მინდორში გავიდნენ.

— კარგად გავერთეთ, აი! — კმაყოფილებით თქვა მარჯვენამ. — მაგრამ ერთგვარად მაინც გული დამწყდა, ხომ იცი!

— რატომ ხარ ყველაფრით უკმაყოფილო? — უსაყვედურა მარცხენამ.

— ჩემო კარგო, აბა, შენ თვით განსაჯე: მშვენიერ წარმოდგენას დავესწარით, მაგრამ სულ სხვა დონე იქნებოდა, თვით ბატონი შატაბუტა რომ მობრძანებულიყო! აი, მაშინ ვიქნებოდით დემაგოგიის მწვერვალისა და ბრწყინვალე საცირკო შოუს მომსწრენი! ახლა გაახსენდა, რომ თურმე ამქვეყნად ხალხი არსებობს და დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა: "ვიწყებთ სახალხო დიალოგს! ყოველდღიურ შეხვედრებს ხალხთან!"... ბიჭო, შეხედე: რკინის ბადე გარღვეულია და საქონელი თავისუფლად დანავარდობს! — უცებ წამოიძახა მარჯვენამ.

— შენ შენსას არ იშლი და გინდა, საქონელი გამოდენო? ტყუილად გაირჯები: სადღაა ყანა — ნაყანევად არის გადაქცეული!

— ჰო, ვხედავ, გლეხი არ ტყუოდა: ეტყობა, რამდენიმე წელია, აქ არაფერს თესავენ და არც წელს შეუწუხებიათ თავი, საძოვრად თუ გამოიყენებენ... მწყემსი უცხო ტომისა ჩანს, აქ რამ მოიყვანა? ნუთუ ჩვენზე გაჭირვებულები არიან სადმე სხვაგან? ნახე, რა ტკბილად ჩასძინებია, ხომ არ ვუპწკინო?

— მართლაც, ჩვენებურს არ ჰგავს... შენ, ძმაო, მისი კომბალი აქვს თუ ჯოხი, სწორედ ის მოგნატრებია! — უპასუხა მარცხენამ. — შეეშვი, რას გიშავებს, საქონელი თუ უპატრონოდაა მიტოვებული, ვინმეს აბიბინებულ ყანაში ან სათუთად მოვლილ ბაღში გადავა და რამეს გააფუჭებს თუ რა! წავიდეთ ჩვენს გზაზე!

მერე ბაღსაც მიადგნენ; აქაც: მესერი — მოშლილ-დალეწილი, ბაღი — გავერანებული...

— ამ სოფელს პატრონი არ ჰყავს? — ჩიკის მარცხენა. — რა უბედურებაა, ვაშლის უმეტესობა გახმა, დანარჩენი — დაჩიავებულია, დაავადმყოფებული...

— ჩეხავენ გადაბერებულ ძველ ხეებს, ალბათ შეშად ხმარობენ, ახალი ნერგების ჩაყრაზე არავინ ფიქრობს, — ამბობს მარჯვენა. — არც არის გასაკვირი: რასაც ხილის მოსავალს მოიწევენ, წინა წლებთან შედარებით — ათჯერ და მეტად შემცირებულს, იმასაც ვერსად ასაღებენ... ქალაქს რომ წაიღონ, გზის ფულსაც ვერ აანაზღაურებენ. სოფელში რომ გავიარეთ, ხომ ნახე, რა ყოფაშიცაა ჩავარდნილი და ბაღის ასეთი მდგომარეობა რატომ გიკვირს! მთელი ქვეყანა ასეთ დღეშია, სოფლად უმეტესად მიხრწნილი ბებრებიღა თუ დარჩა, ყველანი უკანმოუხედავად ქალაქს გარბიან.

— უფრო შორსაც — საელჩოებთან საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა გრძელი რიგები დგას.

— უმეტესობა არალეგალურად ტოვებს ქვეყანას... ჩვენც ეს ველ-მინდორი დავტოვოთ, მთებისკენ ვქნათ პირი: იქაური სოფლები სულ მთლად დაცარიელდა, იქ მაინც აღარავინ მოვა, უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით და — უფრო გრილადაც...

— უცნაური ვიღაცა ხარ, მთაში და ტყე-ღრეში რა გვინდა, რა დაგვრჩენია იქ? ახალ ხიფათს გადავეყრებით... — ჩვეული წუწუნი გააბა მარცხენამ, მაგრამ ასევე ჩვეულად, უდრტვინველად გაჰყვა წინ მიმავალ ძმას...

კარი XIII.
თითებმა ფათერაკებით გადაიარეს ქედი...
(Con fiacchezza, უილაჯოდ, დაღლილად);
რა კარგია მდინარეში ჭყუმპალაობა!
(Mezzo-legato, მსუბუქად, გადაბმულად)

ჩვენი თითები ჯერ მცირე აღმართს შეუყვნენ, შემდეგ საკმაოდ უსწორმასწორო, სქელი ტალახით დაფარული გზა ტყიან ხეობაში შევიდა, მიხვეულ-მოხვეული გახდა და – უფრო ციცაბოც.

– უკან დავბრუნდეთ! – წამოიძახა მარცხენამ. – თითქოს გასაჭირი გვაკლდა, უარეს უბედურებაში სად მივძვრებით? ამ აზელილ ტალახში ძრომიალი გვაკლია?

– არა, უკან რა გვინდა, ჯობს, ქედი გადავიაროთ, – არ დაეთანხმა მარჯვენა. – ჯერ ტყეში შევიდეთ, დავისვენოთ... უჰ, რა სასიამოვნოდ გრილა!

– აქ სად ამომიყვანე! – ჩვეულად აწუწუნდა მარცხენა. – ისედაც დავუძლურდი ამდენი ხეტიალით და კიდევ ამ საშინელ გზაზე ბღოტიალი მაკლდა? გზაც აღარ ეთქმის, ისეა გაუბედურებული ტრაქტორების მუხლუხებით!

– მალე ეს გაოხრებული გზაც გათავდება და გასაჭირი მერე ნახე! – ეუბნება მარჯვენა და ძმას განგებ აშინებს: – შევცდი, ხომ იცი, აქ თავისუფლად შეიძლება, შეიარაღებულმა მცველებმა დაგვიჭირონ... ეს ტყე ხომ კერძო საკუთრება გახდა, უცხოელებზეა გაყიდული და აქ ვერც ფიჩხს მოაგროვებ, ვერც – შინდს, ასკილს, მაყვალს ან მოცვს.... აქედან მოჭრილ ხე-ტყეს საზღვარგარეთ ეზიდებიან და მალე ისე გახრიოკდება მთათა ფერდობები, ღვარცოფები ამ გზას კიდევ უფრო უტირებენ დედას... ეს პატარა მდინარეც, ახლა რომ ხეობის ძირას ენის მოჩლექვით მილიკლიკებს, ალბათ გაყიდულია; კარგი ბიჭი ხარ და აქ სადმე ანკესის გადაგდება გაბედე, ბადეზე აღარაფერს ვამბობ – ჩაფრებს ვერ გადაურჩები და ციხის საკანი თუ არა, კარგა დიდი ჯარიმის გადახდა მაინც არ აგცდება... ან იქნებ მთლად უკეთესი: ერთიცა და მეორეც!.. გაზაფხულობით, ეს ადიდებული მდინარუკა შიგადაშიგ ჩვეულებრივზე მეტად გაგვახარებს: ისე გაგიჟდება, რომ ჩვეულ კალაპოტში ვეღარ დაეტევა, ვაკეზე მდებარე სოფლებს მიუვარდება და დუშმანზე მეტად გაატიალებს...

– მდინარეს რაღას ყიდდნენ?

– მდინარე რაა? მალე მთელ სოფლებსაც დედაბუდიანად გაყიდიან, ისედაც დიდი ნაწილი სავარგულებისა და საძოვარ-სათიბებისა უკვე სოფლელებს აღარ ეკუთვნით; მერე ალბათ ჰაერის ჯერიც დადგება – გაუყიდავი მეტი აღარაფერი დარჩა... ამასაც არ იკმარებდნენ და თვითონ ხალხსაც დიდი სიამოვნებით გაყიდდნენ, მაგრამ მაშინ დასავლეთის ქვეყნებიდან სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამით კრედიტებსა და გრანტებს ვეღარ ეღირსებიან ჩვენი მადამოჭარბებული "გრანტიჭამიები" და მხოლოდ ეს გარემოება ამუხრუჭებთ.

– სატირლად გვქონია საქმე... ამ ტყეში რაც დათვი, მელა ან მგელია, ისინიც გაყიდეს?

– ხუმრობ? ელექტროხერხებისა და ტრაქტორების დღედაღამ გაუთავებელ ღრიალს რომელი ცხოველი გაუძლებდა, ალბათ ჭკუა იხმარეს და დროზე აიბარგნენ აქედან!

– მგელი არც ისეთი მშიშარა ცხოველია, ამ ბოლო დროს სოფლებში მოურიდებლად შედიან, ზოგჯერ – დღისითაც, იტაცებენ ცხვრებს, ხოცავენ საქონელს, უამრავი ვირი და ცხენი შეჭამეს... და რამდენჯერმე ადამიანებსაც კი დაესხნენ თავს!

– მგელი – ისედაც მგელია, მაგრამ სხვა შესაძლებლობა არ დაუტოვეს: ჭამა ხომ უნდა? ტყეში ნადირ-ფრინველი აღარ გაჩერდა და აქ მგელმა რით უნდა იკვებოს?.. უფრო საშიში ისაა, რომ ამ ტყეებს, მთლიანად ქვეყანასაც, მგელზე ბევრად სახიფათო ორფეხები შეესივნენ და შეუბრალებლად კუდის რიკამდე ატყავებენ... და მათ გამგელებულ მადას მხოლოდ აქ კი არა, ბევრგან სხვაგანაც, თითქმის ყველგან, არც ტყე გადაურჩება, არც – ნადირ-ფრინველი და, თუ დროზე არ აღიკვეთა მათი პარპაში, არც ადამიანებს დაადგებათ კარგი დღე...

– საშინელი სურათი დახატე... ნუთუ მართლა ასეთი გამოუვალი მდგომარეობაა?

– გულს ნუ გაიტეხ, იმედი გვქონდეს, რომ საბოლოოდ ერთი მუჭა ნაძირალების საჯიჯგნი არ გახდება ქვეყანა... ქვეყნის ბედის მოჭირნახულენი ბევრად მეტია! ჩვენ კი რა შეგვიძლია? ამ გაჭირვებულ მდგომარეობაშიც ავის მქნელთა ჯინაზე ჩვენ მაინც ვიმღეროთ!

– ჯერ ამ ხის ძირას ჩამოვჯდეთ ცოტა ხნით, გულდამძიმებული ვარ და დაღლილიც... აქ მართლაც გრილა. ჩიტები მაინც არ გაქცეულან აქედან, რამდენ ხმაზე ჭიკჭიკებენ ეს დალოცვილები! ფოთლების ჩურჩულთან და მდინარის ჩხრიალთან ერთად – ნამდვილი ტყის სიმფონიაა!

– მე მგონი, ტყის მუსიკალური სურათი თუ გინდა, დახატო, ძალიან მოუხდება კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისთვის!

– ან კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისთვის! – დაამატა მარცხენამ.

– მთლად კარგი იქნება ორმაგი კონცერტი ფლეიტისა და ჰობოისთვის ორკესტრის თანხლებით!

– კარგა ხანია, სასულე საკრავებისთვის კონცერტები იშვიათად იწერება, შენ კიდევ ორმაგი კონცერტი მოინდომე! XVIII საუკუნეში ხომ არ გადაფრინდი წარმოსახვით? – ჩვეულად აჭიჭყინდა მარცხენა, შემდეგ კი შემრიგებლურად განაგრძო: – აბა, წამოიწყე რომელიმე სიმღერა... როგორ სიმღერას ამოარჩევ?

– ამ ადგილს რომ მოუხდება, ისეთს... შუბერტის რომელიმე სიმღერაზე რას იტყვი? მაგალითად, ჩვენი მდგომარეობისთვის ზედგამოჭრილია მისი სიმღერა "ტყეში"...

– რომელი?

– ჰო, შუბერტს ორი სიმღერა აქვს ამ სათაურით: ერთი – შულცეს, მეორე – შლეგელის ლექსების მიხედვით. შულცეს სიმღერაში ნათქვამი: "ჩემი ტანჯვა-წვალება არასდროს მტოვებს" – ზუსტად შენს გუნება-განწყობილებნას შეესიტყვება! უფრო პოპულარულ, შლეგელის ლექსის მიხედვით შექმნილ სიმღერაშიც არის შეშფოთებისა და მოუსვენრობის განწყობილება, ასევე – ისმის ტყის ხმები, წყაროს ჩხრიალი, ტყის სულების სუნთქვა... ამოირჩიე!

– მე მირჩევნია, შენ თვითონ შეთხზა სიმღერა; რა თქმა უნდა, არც ისეთი ღირებული იქნება, სამაგიეროდ – საკუთარი სულიდან ამოფრქვეული.

– "ამოფრქვეული" ამ შემთხვევაში ნაკლებ შესაფერისი სიტყვაა, ვულკანი ხომ არ ვარ? მე "ამოფრენილს" ვამჯობინებ. რადგან შენ გინდა, რაღაც ახალი წავიღიღინო და, მართალი გითხრა, მეც მსურს, ვცდი ლექსის ამოთქმას, ამისთვის ხომ არავინ გამკიცხავს; შიგადაშიგ იქნებ შენც წამეხმარო... არ ვიცი, რა გამომივა, იმავდროულად, ჰანგსაც შევუწყობ. მაშ ასე, მოისმინე ჩემი იმპროვიზაცია:

რა კარგია ტყეში:
მოისმინო საოცნებოდ
მოფართქალე ფოთლების
უშფოთველი შრიალი,
თვალი გაუშტერო
რტოებში გამომძვრალი
მზის ცელქი სხივების
ციალსა და ბრწყინვას,
ფეხქვეშ იგრძნო:
ნეშოს შრიალი
და წვრილი ტოტების ტკაცანი,
ახტე და ტოტიდან მოწყვიტო
წიწიბო...

– თითქმის იგივე, ბევრად ადრე და ბევრად უკეთესად, თქვა ორი საუკუნის წინათ უკვე სრულიად ყრუ დიდმა ლუდვიგმა, უფრო სწორედ – სალაპარაკო რვეულში ჩაუწერა მავანს ტყეში ყოფნით გამოწვეული აღფრთოვანება, მაგრამ ლექსად არ გაუსაღლია! თუმცა, შენთვის ეს თეორი ლექსიც კარგია! – შეაქო მარცხენამ, რასაც მარჯვენა არ მოელოდა. – აბა, ერთხელაც შემოსძახე, რომ კარგად დავიმახსოვროთ...

– კი, ბატონო, გავაგრძელოთ და ამ გამეორება-გამეორებაში ნელ-ნელა დავხვეწოთ ტექსტიცა და მელოდიაც.

ცოტა ხნით შეისვენეს და ხალისიანად განაგრძეს აღმართიანი გზა; სიმღერ-სიმღერით გადაიარეს გორაკი თუ პატარა მთა, მერე ქვევით დაეშვნენ მეორე ხეობაში. იქ გზა აღარ იყო, არც – ტყე, ბალახიან ფერდობზე მიბობღავდნენ.

– დაღმართია, დავმრგვალდეთ და, თუ გინდა, რბილ ბალახზე დავგორდეთ, – შესთავაზა მარჯვენამ. – ძალ-ღონეს დავზოგავთ და დროსაც მოვიგებთ, უცებ ჩავალთ ქვევით.

– გაგიჟდი? ხომ ხედავ, მზე ჩავიდა და სწრაფად ბნელდება... სადმე ხრამში გადავიჩეხებით ამ ყიამეთში!

ძმები მიიჩქაროდნენ და ამ დროს მათკენ შესახვედრად დაიძრა ბურუსი. იგი წინ მოიწევდა და სულ უფრო მკვრივდებოდა; მალე გაქცეული თითები ისეთ სქელ ნისლში გაეხვივნენ, რომ თითქოს თანდათან ითქვიფებოდნენ მასში. დაუსრულებლად მოცურავდა და მოცურავდა ნისლის ქულა-ქულა ბოლქვები; თანდათან თეორი ფთილები ერთიან სქელ მასად იქცა, დაფარა ირგვლივ ყოველივე; ერთ ნაბიჯზე უკვე ვეღარაფერს ხედავდი და მარცხენა და მარჯვენა ხელის მტევნები ნეკებით გადაებნენ, რათა არ დაშორებოდნენ და არ დაეკარგათ ერთმანეთი. ადგილზე დგომას აზრი არ ქონდა და ნელ-ნელა მაინც წინ-წინ მიბობღავდნენ...

ბედად, კარგა ხნის შემდეგ, გზად ერთ დიდ ხეს მიადგნენ. გადაწყვიტეს, აქ შეჩერებულიყვნენ ნისლის გაფანტვამდე, ხის მუქ, მსხვილ ტანთან მიცუცქდნენ, მუშტებად შეიკვრნენ, ერთმანეთს ჩაეხუტნენ და, დაღლილებმა, დაიძინეს.

შუაღამეს იქნებოდა გადაცილებული, როცა ღორების განუწყვეტელმა ღრუტუნ-ღრუტუნმა გამოაღვიძათ; მაშინვე, შეშინებულები, წამოხტნენ და ფართხაფურთხით ხეზე აცოცდნენ – გაბარჯღული მუხა აღმოჩნდა ის ხე!

შიშით იცქერებოდნენ ქვევით, სადაც ღრუტუნები სიბნელეში ლანდებივით დაშლიგინობდნენ შარშანდელ გამხმარ ფოთლებში.

– ჯერ რკო ადრეა, რას ეძებენ? – იკითხა მარცხენამ.

– ღორი თავის სამყოფს რაღაცას ყოველთვის იპოვის... დროზე მოვასწარით ხეზე აძრომა, თორემ დინგიანებისთვის გემრიელი ლუკმა გავხდებოდით, მაშინვე შეგვახრამუნებდნენ!..

– ბიჭო, ამდენი იმიტომ ვიმოგზაურეთ, უამრავ ხიფათს გადავურჩით, რომ ამ მიყრუებულ კუთხეში გარეული ღორების წერა გავმხდარიყავით? შენი ბრალი იქნებოდა ყველაფერი!

– რა მნიშვნელობა აქვს? სიკვდილი – სიკვდილია, რბილ საწოლში მიებარები უფალს თუ სადმე მივარდნილ ჯურღმულში ამოგხდება სული!

– კარგი რა, რაებს ბოდავ, ბატონო ფილოსოფოსო! მართლაც, შინაგანი უცნაური ვულკანი არ გასვენებს, შიგადაშიგ ვითომ-ლექსებს ამოუშვებ, მაგრამ ახლა სისულელეების ამოფრქვევის დროა? სასიკვდილოდ მომიყვანე აქ თუ გადასარჩენად?

– მე რომ მკითხო, ეს ღრუტუნები თუკი შეგვსანსლავდნენ, ბევრად ლმობიერნი იქნებოდნენ, ვიდრე ადამიანები! რესტორან-სასადილოებში ხომ საწყალ ღორუკებს შეჭმამდე რას არ უშვებიან: დაკლავენ, გამოშიგნავენ, დაჭრიან, შამფურზე ააცვამენ და ბოლოს – მუგუზლებზე ააშიშხინებენ! ბოდიში, ბოლო კეთილია: ბედნიერ დასასრულს ეღირსებიან – სტომაქის გზას გაუყენებენ...

– შენი ხუმრობა თუ ფილოსოფიური სიბრძნე სხვა დროისთვის შეინახე; შიშით გული მელევა, შენ კი ბაზრის ქალივით დაიქოქე!.. მომატყუე კიდეც, აქ გარეული ცხოველი არ გაჩერდებოდაო...

– ვერაფერი გავიგე: შენთვის ხან ბაზრის ქალი ვარ, ხან – ფილოსოფოსი!

კარგა ხანს გაგრძელდა მათი კინკლაობა, ცდილობდნენ, როგორმე გულიდან გადაეყარათ მტანჯველი შიში, სანამ ღორები მათ ქვემოთ რაღაცას ჩიჩქნიდნენ, კმაყოფილი ღრუტუნ-ღრუტუნით... როგორც იქნა, კარგა ხნის შემდეგ, ხის ქვეშ ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ რტოებში ნიავის ძრომიალ-ჩურჩული არღვევდა სიჩუმეს. ძმების თვალს რული მაინც არ მიეკარა, მერე მტანჯველი შიში ნელ-ნელა გაუქრათ და, ტოტზე თითებით საიმედოდ ჩაფრენილებს, ისევ ტკბილად ჩაეძინათ.

ძილში ორივე შფოთავდა: თითები ვერ ისვენებდნენ, განუწყვეტლივ ტოკავდნენ – ალბათ სიზმარშიც რაღაც ხიფათს გაურბოდნენ ან იქნებ პიანოფორტეზე წარმოსახვით რომელიმე მონატრებულ ნაწარმოებს ასრულებდნენ?..

როცა დილით გაეღვიძათ, დაინახეს, რომ ნისლის ნათელი ფარდა ისევ დაზოზინობდა-ბოლავდა გარშემო ყოველ მხარეს. ქალაქელ, სითბოს მიჩვეულ, განაზებულ მარჯვენასა და მარცხენას სიცივისგან აძიგძიგებდათ; გასახურებლად ჯერ ადგილზე აცეკვდნენ, კარგად გაავარჯიშეს თითები, მერე – ტოტზე განდაგან გაისეირნეს-გამოისეირნეს...

– ბიჭო, იცი, რა უცნაური სიზმარი ვნახე? – თქვა მარჯვენამ. – თითქოს მე და შენ "პეპლებს" ვუკრავდით შუმანის საპიანოფორტე ციკლიდან "კარნავალი"... ორივენი ლაღად დავფრინავდით კლავიშებზე და ნელ-ნელა ფრთებად ვიქეცით: შენ – მარცხენა ფრთად, მე – მარჯვენა ფრთად ერთი დიდი, ლამაზი, ფრთახატულა პეპლისა... და – გავფრინდით! ლაღად, ლამაზად დავფარფატებდით, საითაც გვინდოდა, იქით გავეშურებოდით...

– საით, შინ ხომ არ დავბრუნდით?

– მოგენატრა წყნარი და დალაგებული ცხოვრება? ნატვრა კარგია, მაგრამ ახლა, ჯობს, ცოტა კიდევ წავივარჯიშოთ, ჩვენ ხომ ყოველდღე მრავალსაათიან ვარჯიშს ვართ მიჩვეულები... მოდი, ვითომ ლისტის რომელიმე საპიანოფორტე ეტიუდს ვუკრავთ... – შესთავაზა მარჯვენამ. – დილის სიცივეს უკეთ გავუმკლავდებით და ფორმის შესანარჩუნებლადაც კარგი იქნება!

– მაესტრო დიტმარ დომინორაულის საყვარელი კომპოზიტორის, ლისტის, ტრანსცედენტური შესრულების ეტიუდებიდან რომელიმეს დაკვრა ხომ არ მოგენატრა?

– რატომაც არა?

– გაგიჟდი? მე გეხუმრე! მუხის შედარებით მსხვილ ტოტზე კი ვსხედვართ, მაგრამ პიანოფორტეს კლავიატურაზე გასეირნება ხომ არ გგონია? ალბათ ქვევით უსწრაფესად ჩაბრძანება გსურს! თუ იმის იმედი გაქვს, რომ ღორების მიერ აჩიჩქნილი მიწა რბილი იქნება?

– მაშინ რომელიმე ნარნარი მელოდია დავუკრათ, თუნდაც ოფენბახის ბარკაროლა ოპერიდან- "ჰოფმანის ზღაპრები"...

– არა, არა, სანამ ისე არ დავმტვრეულვართ, რომ სამუდამოდ დავემშვიდობოთ დაკვრის შესაძლებლობას, მშვიდობიანად ნელ-ნელა ჩავბობღდეთ...

ქვევით, მიწაზე ჩამოსულებმა თითებმა, ამჯობინეს, გაქცეულიყვნენ, ცოტაზე მაინც ერბინათ. მალე აქოშინდნენ და წინსვლა ნაბიჯით განაგრძეს.

— ვაშა! — უცებ იყვირა მარცხენა მტევანმა და ცერი მაღლა ამართა. — ხომ ვერ დაგვიჭირეს, ნირგვარმა ვიგინდარებმა ვერაფერი დაგვაკლეს, ვერც ღორებმა შეგვახრამუნეს, ხომ გავიმარჯვეთ! რამდენი ხიფათი დაგვიდარაჯდა და სულ თამაშ-თამაშ დავძლიეთ ყველა განსაცდელი! ვაშა, გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ!

— ო-ხო-ხო, რა მაგრები ვართ, გამოწრთობილნი, ჩვენ ვინ რას მოგვაწევს, იქით უნდა გვიფრთხოდეს ყველა ჯურის ნაძირალა და ზნედაცემული! — ბაქიბუქის ხასიათზე დადგა მარჯვენაც და იმანაც აიშვირა ცერი. — ვინ დაგვიდგება წინ, ვის აბია ცხრა თავი — ერთი წკიპურტით თავს წავაცლით!

— უჰ, როგორ მტკივა ყველა სახსარი! სირბილმა და ჭირთათმენამ ოინი მიყო, — სულ სხვა ჰანგი დაუკრა უცებ მარცხენამ, ჩვეულებისამებრ აბუზღუნდა: — ამ ნესტინმა ბურუსმა სულ მომიღო ბოლო...

— შენ რა მარტის ამინდივით ცვალებადი ხასიათი გაქვს, ისევ ძველებურად აურიე, აი! — გაწყრა მარჯვენა და იმდენად გაბრაზდა, რომ საჩვენებელი და ცერა თითები საწკიპურტედ დააწყვილა. — ხომ არ გინდა, ერთი გემრიელად გაგიმასპინძლდე!

მარცხენა საწყალობლად მოიკაკვა, საცოდავად მოკრუნჩხა თითები:

— მცივა! — ამოიკნავლა და მუშტად შეიკრა. — ეს რა დღეში ჩავვარდით, რა გვეშველება! ამასაც თუ ზაფხული ჰქვია... აქ რა ჯანდაბა და ოხრობა გვინდოდა, რა დაგვრჩენია ამ უკაცრიელ მთაში...

— შენ სითბო და ყურადღება გაკლია, ერთი ჩაფუნთუშებული ქალის ხელის მოხვევა უცებ გამოგაჯანსაღებდა! — ეხუმრება მარჯვენა და გასახურებლად მხიარულ დავლურს უვლის მარცხენას გარშემო; თან წაუმღერა:

— იმხიარულე და იცეკვე —
დაივიწყე სიცივე!

და ამ დროს მოხდა საოცრება: ნისლი ნელ-ნელა იფანტებოდა; თითქო გამჭირვალე ფარდის იქით გამოკრთაო, თანდათან გამოინაკვთა ფანტაზიური პეიზაჟი: შორს სინათლე გაციალდა ღრუბლებს შორის და იქიდან განათებული სვეტი ირიბად ჩამოეშვა მუქ მიწაზე — ზუსტად იქ, სადაც ხელის მტევნები ფერხულს უვლიდნენ! ცოტათი გათბნენ; ეს ნათელი მრგვალი "თვალი" მიწაზე გადაადგილდებოდა და მარჯვენამ მარცხენას უთხრა:

— მზის სხივების სვეტს გავყვეთ!

— ხევში რომ გადაგვჩეხოს?

— არა, რას ამბობ, ხომ ხედავ, მარჯვნივ, ზევით-ზევით უნდა წავიდეთ, — წკრიალებდა მარჯვენას ხმა. — იმ მაღალ მთაზე ავალთ, იქიდან რამდენი რამ გამოჩნდება! შორს გავიხედავთ, ყველა მხარეს!

— არა, მარცხნივ ჯობს! — ბოხი ხმით ბუბუნებდა მარცხენა (საოცარი კი იყო — მარჯვენაზე პატარა იყო ზომით და ღონითაც ბევრად ჩამოუვარდებოდა; თუმცა, რატომ არის გასაკვირი, ის ხომ პიანოფორტეს კლავიატურაზე დაბალ ბგერებზე "ნადირობდა" ხანგრძლივი დროის განმვლობაში), — რა მინდა მაღლა, თოვლიან მთაში და ღრუბლებთან — გინდა, კიდევ უფრო გამყინო? არ ჯობს, ქვევით, მზით განათებულ ხეობაში ჩავიდეთ, სითბოში? იქ რამდენი რამ მოჩანს ლამაზი: სოფლის მწვანეში ჩაფლული სახლები, მსხმოიარე ბაღები; დარბიან ძაღლები, ბავშვები ირევიან ქუჩაში, ჩვენც მათთან ვითამაშოთ! მადლობა ღმერთს, ამ სოფელში მაინც ჩქეფს ცხოვრება!

— აბა, შენ გინდა, სოფელში ჩავიდეთ, ხალხში გავერიოთ და დაგვიჭირონ? — შეეპაექრა მარჯვენა. — ადამიანებს როგორმე დავემალებით მაღალ ბალახებში თუ ღობის ძირებში, ძაღლებს კი სად გაექცევი?

დიდხანს იდავეს და ბოლოს... პირდაპირ წავიდნენ! ეს მესამე გზა მოკლე გამოდგა: ვაკეზე გასულ მდინარეს მიადგნენ — მოლივლივე წყალს, ზედაპირიდან რომ ირეკლავდა მწვანე ნაპირებს, ლურჯ ზეცასა და ღრუბელთა თეთრ ქულებს.

როგორც იქნა, ეშველათ: რა მშვენიერი ამინდი გამოვიდა, უცებ დათბა — ნამდვილი ზაფხულის თაკარა დღეა!

კარგია ამ დროს მდინარეში ჭყუმპალაობა, ნაპირის სილაში გორვა, უღრუბლო ზეცაში გამოკიდებული მზის ბრიალა თვალიც რა მზრუნველად აცხუნებს!

— ეს მდინარეც ხომ არ არის გაყიდული? — კითხულობს მარცხენა.

— ნუ გეშინია, არავინ ჩანს, დავისვენოთ და ვიბანაოთ! — როცა მარჯვენამ მარცხენას ყოყმანი შეატყო, დაამატა: — ბიჭო, მტვერი და ოფლი მაინც არ ჩამოვირეცხოთ?

– არა, კიბორჩხალასი მეშინია, მარწუხებს ჩამავლებს! ან ლოქო თუ დამეტაკა, მთლად უარესი – ერთიანად გადამსანსლავს!

ნაპირიდან წაიხარნენ და ჯადო-მდინარის სარკეს მიაჩერდნენ (ცნობილია: მოთამაშე ცეცხლსა და მარად მოძრავ წყალს უსასრულოდ შეიძლება უცქირო) – მის გამჭვირვალე სტომაქში მოსრიალე ვერცხლისგვერდა თევზებს, ფსკერზე ზოზინით მფორთხავ კიბორჩხალას, ნაპირთან, პატარა უბეში, ჩასაფრებულ წყლის ობობას თუ წყლის წყნარ ზედაპირზე წყლის მზომელას ნარნარ სრიალს...

უსმენენ მდინარის სიმღერას – ცელქია, კისკისა, უზრუნველად მიაგორებს ტალღებს, ნაპირებს ელამუნება, ირეკლავს მუქ ნაპირებსა და ნათელ ზეცას...

– ბიჭო, შეხე, ნახირი მოედინება აქეთკენ, – შეშფოთებით წამოიძახა მარჯვენამ. – აქ მოხერხებული ადგილია საქონლის დასარწყულებლად...

– ორი ქოფაკიც ახლავთ, ვაი ჩვენს თავს, იმათი წერა გავხდებით, სად გავექცევით? ჩვენი აღსასრულიც დადგა, დროზე უნდა გაგვესწრო აქედან...

კარი XIV.
qarborbala. TiTebis sahaero mogzauroba
(Allegro furioso, სწრაფად და გაშმაგებით);
TiTebma tyeSi tyapani moadines...
(Frettando, in giu,
აჩქარებით, დაღმავალი მოძრაობა)

თურმე ბევრად უარესი საშიშროება უახლოვდებოდათ – სულ სხვა მხრიდან...

ჯერ არემარე საოცრად დაწყნარდა, უცნაურად გაირინდა; მზე სადღაც დაიმალა, გარშემო ყველაფერი დაიბინდა...

მერე უცებ გარემო მტვერის ფარდით დაიბურა, მდინარის ლამაზად დატალღული ზედაპირი მოფრენილი ნიავით ავად აიქოჩრა...

– ქარბორბალა გვესტუმრა! – წამოიძახა მარჯვენამ. – ეგ თავხედი ვითომ თავმდაბალია, საკუთარი ფეხით გვეახლა!

– საით გავიქცეთ?

– რამ შეგაშინა, ბიჭო, როდის იყო, სტუმრისგან გარბოდნენ?

– შენც ნახე ხუმრობისთვის შესაფერისი დრო! სტუმარი? სტუმარი კი არა, მტარვალია, მეგობარი და ამხანაგი მაგან არ იცის, გზად ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს! სულ მალე ჯიქურად მოგვიხტება და არც ჩვენ დაგვაყრის კარგ დღეს! შეხედე, რა ავად იმზირება და რა მარდად მოიწევს აქეთ, რაღა ვქნათ?!.

ქარბორბალა, სტიქიონთაგან ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე და შეუბრალებელი, ცის ნათელ ფონზე მუქ ბოძად ამართულა – დიდად თავნება ბატონი გზას თვითონ ირჩევს და, მოტაცებისა და ნგრევის ჟინს აყოლილი, ცეკვა-ცეკვითა და თამაშობით მოსეირნობს, მისი ცუღლუტობის დაზაფრვით შემხედვარეთ კი მასთან შეხვედრის შესაძლებლობით ისე მძლავრად შეარყევს სულიერად, რომ, აზრდაბინდულთა და გზააბნეულთა სურვილი, ხიფათს დროულად გაეცალონ, სრულიად ამაოა!

სად გაექცევი – მხოლოდ ცალი ფეხი აქვს, მაგრამ რა მარდად ცეკვავს!

ან როგორ უნდა დაემალო, მომნუსხველია, პირქუში სიძლიერით გხიბლავს, გრძნეული ძალით იზიდავს შენს მზერას და ადგილზე გაშეშებს – წელწვრილი, კვანწია ლამაზმანივით ნარნარად ირწევა-ირხევა...

ხანაც – ახლად ფეხადგმული ჩვილივით ქანაობს, ხან ერთ მხარეს გადაქანდება, ხან – მეორე მხარეს გაუტევს...

ჰო-ჰო, რა ლამაზი სანახავია ქარბორბალას ცეკვა-თამაში, მართლა კოხტა რამ არის! საშიში რომ არ იყოს...

ქარბორბალა ქაჯური სისწრაფით ტრიალებს და ჯიქურ, მაღლა-მაღლა იწევს – ზეცისკენ! იქ თანდათან იშლება ძაბრივით – ნეტავ რას ეძებს იქ, რა დარჩენია, რა უნდა ამ ყომრალ ციბრუტს? ალბათ მიწიდან ატაცებულ-მოტაცებულს ათავისუფლებს და ისინი ქვევით ცვივა: "მე ხომ გეთამაშეთ, ცის ტატნობსაც გასტუმრეთ, ახლა კი თქვენი ლოლიავი მომბეზრდა და მომწყდით თავიდან – თავიც გიტეხიათ და კინჩხი მიგიყოლებიათო!".

რა სასტიკი და დაუნდობელი ყოფილა!

ფეთიანივით მოვარდა, მდინარეს მოდგა და უცებ – ისევ სასწაული ფერისცვალება! – ახლა წყლის უზარმაზარი, მბრუნავი სვეტი აიმართა ძმების თითქმის ცხვირწინ – გიგანტურ ტუმბოსავით იწყებს წყლის ხარბად შესრუტვა-ხაპვას თევზიან-კიბორჩხალიან-ბაყაყიანად (საწყლები!) – მდინარეს ძირამდე აშრობს, ფსკერს აჩენს და, გაუმაძღარი, ლამსა და ქვებსაც კი იტაცებს ჰაერში!..

ქარბორბალას გიჟურად მბრუნავი, მოძრავი სვეტი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, – შატაბუტა-ტა-რუღაშვილია რაღა! – მეორე ნაპირს მოადგა, სწრაფად გადმოჩოჩდა ხმელზე და ახლა ყველაფერს პატარა ხარბი ბავშვივით აგროვებს-მიიხვეტავს, შეისრუტავს-შეიწოვს, დაატრიალებს-დააბზრიალებს, ზე აიტაცებს და მაღლა-მაღლა მიაქანებს-მიაფრენს: ბალახებსა და ფოთლებს, მიწის მტვერსა და კალიებს, ხვლიკებსა და პეპლებს, ბაკანში თავფეხშერგული კუსაც კი, ათას კიდევ სხვა რამეს , რა მოუსვენარია, როგორ ყველაფერს ატრიალებს, ყირამალა აკოტიალებს, აბურთავებს მის გემოზე... სასტიკად ერთობა, სასტიკად თამაშობს! მაგრამ ერთი ჩვენს საწყალს მოგზაურებისაც ვკითხოთ, რა გუნებაზე არიან!

საშინლად დამფრთხალი ძმები მოიხარნენ, შეძლებისდაგვარად მოიკუნტნენ, ცერა თითები დაიფარეს ზემოდან, წინდახედულად წინდაწინ ნეკნებითაც გადაებნენ ერთმანეთს, ვითომ მიწასაც მოეჭიდნენ, მაგრამ არაფერმა უშველათ: რასაკვირველია, ქარბორბალამ ჩვენი გმირებიც არ დაინდო – ამ უზარმაზარ, გიჟურად მიმქროლავ უზარმაზარ კარუსელში ისინიც მოხვდნენ და ვაი, რა შიში ჭამეს! როცა ზევით-ზევით უსწრაფესად აიჭრნენ, უთავბოლოდ დაბზრიალებულებს, თავბრუ დაეხვათ და ორიენტაცია დაკარგეს... აქეთ-იქით გახედვის თავიც სად ჰქონდათ, ან რას დაინახავდნენ უბედურ მტვერსა და ბუღში!..

როცა ძმები ოდნავ შეეგუენ ამ უჩვეულო მდგომარეობას, მარჯვენა იხტიბარს არ იტეხდა, გასაოცარია და გახარებულიც კი იყო მოულოდნელი საჰაერო მოგზაურობით:

– რა კარგია ფრენა! ჩიტივით თავისუფლად დავნავარდობ!

მარცხენას შეშფოთებამ ვერაფრით გაუარა, ძმას ჩვეულებისამებრ შეუტია:

– ისემც შენ რა გითხარი! უტვინო ოპტიმისტო, ესაა შენი ნანატრი თავისუფლება? და შენი ნებით მოხვდი ამგვარ გამოუვალ მდგომარეობაში? ვნახავ ერთი, ცოტა ხანში რა ჰანგზე იმღერებ! ეტყობა, შენ ძალიან მოგწონს მომავლის ამგვარი გაურკვევლობის, შფოთიანი მოლოდინის განცდა, როცა არ იცი, წინ რა გელის...

– შენ უტვინო მიძახე და მე კი მშვენივრად ვგრძნობ თავს, სიმღერაც კი მომინდა! ტირილი და თავში ცემა რას მიშველის? მოხდეს, რაც მოსახდენია! ყოველგვარ უხეირო მდგომარეობაში ყოფნის დროსაც კი უნდა ოპტიმისტად დარჩე და შეძლო მისი კარგი მხარის დანახვაც!

– ვაი შენს პატრონს! რას ხედავ სასიხარულოს? ვითომ გამოვერიდეთ ამა სოფლის უკუღმართობას, დაძაბულ ცხოვრებას, უსამართლობას, სისასტიკეს და ბევრად უარეს ამბავში არ გავეხვიეთ?

– გეშინია? ძალიან კარგია, ბევრჯერ მინატრია გაფრენა! ამიხდა სიზმარი, მუხის ტოტზე ძილის დროს რომ ვნახე – მე და შენ პეპლებად გადავიქეცით! უფრო სწორედ, დიდი პეპლის ორ ფრთად გადავიქეცით და გავფრინდით!

– სად გავფრინდით, საით, რატომ? ვის ვუშველეთ?

– ჩვენს საკუთარ თავს – მუხის ქვეშ დადარაჯებული ღორებისგან!.. გამეღვიძა და...

– რა დროს მუხა და ღორებია, ახლაც მართლა სიზმარში ხომ არ ხარ?

– ღორების შიშით რომ მუხაზე ავძვერით და შიშით გული გველეოდა, არ გახსოვს?... მერე დაგვეძინა და ჰოი, რა ტკბილი სიზმარი ვნახე! მაშინაც ხომ გითხარი, დაგავიწყდა? მესიზმრა, თითქოს "პეპლებს" ვუკრავდით შუმანის საპიანოფორტე სუიტიდან "კარნავალი"! ჩვენი ბოლო კონცერტის დროს შუმანის ეს ციკლი უნდა შეგვესრულებინა, მაშინ ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ და ალბათ ამიტომაც დამესიზმრა ხეზე ყოფნისას, რომ მე და შენ მას ვუკრავდით; მერე კი თითქოს პეპლებად გადავიქეცით და დავფრინავდით ჩვენს გემოზე! ახლა სინამდვილეშიც ხომ არ დავუკრათ, თუგინდ – მხოლოდ ერთი პიესა ამ ციკლიდან "პეპლები"?!. იგივე სახელი – "პეპლები" – ჰქვია შუმანის ერთ-ერთ საპიანოფორტე სუიტასაც... თუ გინდა იქიდან დავუკრათ რომელიმე ნაწილი...

– როგორ, აქ, ჰაერში, უინსტრუმენტოდ?

– გონებაში, წარმოდგენით! ასე რამდენჯერ დაგვიკრავს, ორივე პარტია გავიხსენოთ და ეს იოლად გადაგვატანინებს ამ ახალ ფათერაკს... თუ გინდა, ბეთჰოფენის "პასტორალური სიმფონიიდან" ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის სურათი შევასრულოთ...

– რას ამბობ, ნეკებით გადაბმულები ვართ; დაკვრა რომ დავიწყოთ, ერთმანეთს მოვწყდებით და ხომ წაგვიღო ქარაშოტმა სხვადასხვა მხარეს და სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს!

– დანარჩენი თითებით დავუკრათ!

– შენ ისევ შენსას უკრავ, აი!.. – გაბრაზდა მარცხენა. – მუსიკის თავი მაქვს?!. სულ თამაში გინდა!..

— ბიჭო, ჰაერში მფრინავ მდინარის თევზებს ხედავ?.. — მიახედა მარჯვენამ მარცხენა. — ბაყაყებს?.. კიბორჩხალას მაინც თუ ხედავ? გინდაც უნებურად ჩაეხუტო, ნუ გეშინია, ხელს ანუ მარწუხს არ გახლებს, შენი თავი სად აქვს! ისიც ჩვენს დღეშია, მარწუხები გაუშლია და ჰაერს ტყუილად ეპოტინება... ამაოდ ფაფხურობ, ჩემო ძმაო, სხვა გზა არ გაქვს — ბედს უნდა მიენდო: რაც იქნება, იქნება!

მარცხენა მეორე მხარეს იხედებოდა:

— საკუთარი თავი გაგვჭირვებია და მაინც ისევ ერთობი? ბაყაყები და კიბორჩხალები შენთვის დამითმია!.. ის გლეხი თუ დაინახე, ხუმარა გოტფრიდი, მეზობელს ცარიელ სუფრაზე რომ შემწვარ-მოხრაკულს სთავაზობდა? ახლა ჩვენსავით მოფრინავს, იქნებ მასთან ერთად დაგეკრა? თუნდაც სასწაული მოხდეს და "პასტორალური სიმფონია" ან "პეპლები" იცოდეს, თანაც ზეპირად, არა მგონია, შენსავით შერეკილი იყოს და, შენთან ერთად, წარმოდგენით ვითომ დაკვრას დაგთანხმდეს... მთვრალი გლეხები რომ მღეროდნენ, ის სიმღერა კი ნაღდად იცის: "ჩამოსხდებიან ყორნები, ჩამოყრილი აქვთ ყურები...". ჰა, რას იტყვი, ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას ეს სიმღერა ხომ უფრო მოუხდება?

— აგე, ხომ ნატრობდა, ნეტავ ერთი უცხო ქვეყანას გადამაგდოო, მასაც უსრულდება ოცნება! — უპასუხა მარჯვენამ. — მე უფრო გამიხარდებოდა, ეგ საწყალი კი არ წაეღო ქარბორბალას, ჩვენი ბატონი პრეზიდენტი მოეხვეტა ამ ჩვენი მიწიდან — თავის პარიკიანად, საყვარლებიანად, უმაქნის მინისტრებიან-პარლამენტარებიანად! აეტაცნა ჰაერში და სადმე ჩვენგან ძალიან, ძალიან შორს გადაეგდო...

— ჯერჯერობით ჩვენ გადაგვაგდო ამ ქარაშოტმა — უბედურ გაურკვევლობაში, რაც ძალზე მტანჯველია, ბატონი პრეზიდენტი კი, დარწმუნებული ბრძანდებოდე, მშვენივრად გრძნობს თავს, ალბათ სადმე გემრიელად ერთობა!

— ჩვენ კი მაინც ვიმღეროთ! — ჯიუტად გაიძახოდა თავისას მარჯვენა.

— სიმღერის შეთხზვის იშტაზე ხომ არ ხარ მოსული? აბა, ჰე, გამაბედნიერე ერთი შენი უნიჭობის ახალი გამობრწყინებით!

— რატომაც არა? ოდელია დელია, რა ლამაზი მგელია!

— რა მგელი, რის მგელი, ხომ არ გააფრინე? — შეშფოთდა მარცხენა. — აქ მგელს რა უნდა, ტყეში არ შეგვხვდა და ახლა აქ გინდა, ჰაერში, ჩამახუტო?

— ხუმრობაა, ბიჭო! მთავარია, იმღერო და გული გაიმაგრო, ამ დროს სიტყვები უნდა მუსიკალურ ბგერებად იხმარო, მისი აზრი სულ არ მაინტერესებს.

— აჰა, გამოტყდი, ვაუბატონო, სულ რომ დამცინი, მშიშარა ხარო, შენც შეშინებული ხარ თუ არა?!. და გინდა შიშს სიმღერით გაუმკლავდე!

— რატომაც არა?

— რა თუთიყუშივით თუ პრეზიდენტივით დაიქოქე: "რატომაც არა, რატომაც არა!" — გამოაჯავრა მარცხენამ მარჯვენა. — შე საწყალო, ეტყობა, საღად ვეღარ აზროვნებ... შენგან ამ მდგომარეობაში მყოფისთვის არც არის გასაკვირი!

— ოდელია დელია, ჩვენი ზეცა ბნელია! ოდელია დელია, ასე ფრენა ძნელია! ასე უფრო მოგწონს? უკეთეს ხასიათზე დადექი? ოდელია დელია, ქვევით მთა და ველია! ოდელია დელია, ნეტავ ქვევით გველიან?..

— მართლა მაგარი მასხარა ხარ! — დაცინვით თქვა მარცხენამ. — კიდევ, კიდევ, მიდი, მიდი, აბა ჰე: ოდელია დელია... გაუტიე, გაეხვიე უაზრობის კორიანტელში! ოდელია დელია, გონებაში ბნელია!

— უაზრობა ამგვარ სიტყვებში მხოლოდ უვიცთათვის არის! — გაფიცხდა მარჯვენა. — ამ დროს მთავარია, იმღერო, სიტყვების ძებნის დრო სად არის? ყველაფერში ნუ ეძებ რაღაც აზრს... მუსიკოსობას ჩემულობ და უნდა იცოდე, რა მნიშვნელობა აქვს თუნდაც სიტყვას "ოდოია"?.. ან "ჰარი ჰარალი!"?.. "რერო რანუნი"?.. ამიტომ, რაც მომეხასიათება და როგორც მომესურვილება, იმას და ისე ვიმღერებ! შენ კი, ავყიაობას შეეშვი და ბანი შემაშველე!.. ოდელია დელია...

— გიჟი ხარ და ხელია!

— გიჟთან და გადრეულთან ერთად რა გინდა, გაგიშვებ ახლა ხელს და მარტომ იპრიწიალე ჰაერში!..

— ჰო, კარგი, მაპატიე!.. ერთად ვიმღეროთ!..

ხან ერთმანეთს დასცინოდნენ, ხანც მღეროდნენ და ასე კარგა ხანს ისეირნეს ჰაერში, თუკი მბორგავ ჰაერის ნაკადში უთავბოლო ბზრიალ-კოტრიალს სეირნობა ჰქვია.

ამასობაში მტვერსა და ბუქს ღრუბლის მბრუნავი, სველი ნისლი დაემატა და აღარაფერი ჩანდა.

ძმებმა იფიქრეს, ღრუბლებს ზევითაც მივაღწევთო, მაგრამ შლეგიანი კარუსელი უცებ ჩაცხრა, ჩამუქებული ღრუბლებიდან წვიმამ დასცხო და წვეთებთან ერთად მარჯვენაც და მარცხენაც ქვევით წამოვიდნენ ყირამალა ტრიალ-ტრიალით...

– ოდელია დელია, ყველაფერი სველია! ოდელია დელია, ჭრელი მთა და ველია! – წკრიალა ხმით მაინც მღეროდა მარჯვენა.

– ოდელია დელია, ნეტავ ქვევით გველიან? – მღეროდა მარცხენაც, ოღონდ თავისთვის, ცალკე, ბოხი ხმით..

ღრუბლებმა ხელები გაშალეს:

– ეს რა ყოჩაღი თითები ყოფილან!.. აბა, ნურაფრის გეშინიათ, თქვენი ფრენა კეთილად დასრულდება!

მართლაც, თითები მშვიდობიანად დაეშვნენ; საბედნიეროდ, მათი ტყვეობიდან განთავისუფლება დაბურული ტყის თავზე მოხდა და ჯერ ერთი უზარმაზარი წიფლის ტოტზე დახტნენ, მერე ქვემო ტოტზე ჩამოგორდნენ, იქიდან – უფრო ქვედაზე და ბოლოს – გამხმარი ფოთლებითა და ხავსით დაფარულ მიწაზე დასკუპდნენ კოხტად...

როგორ გადარჩნენ – სასწაულებრივად!.. ნეკებით გადაბმულნი, ერთმანეთს არ დაშორებიან.

– ბიჭო, ბედი გვწყალობსო, ჩვენ უნდა თქვათ! – წამოიძახა მარჯვენამ,. – ნამდვილი ფიგაროები ვართ: სად არ ვიყავით, რა არ გადავიტანეთ! ხომ გახსოვს გენიოსი მაესტროს ჯოაკინო როსინის ოპერაში "სევილიელი დალაქი" ფიგაროს მხიარული კავატინა, რომელიც უთვალავჯერ გვაქვს მოსმენილი:

"Ehi!
Figaro!
Son qua!
Figaro su...
Figaro giu..."

– ჩვენც თავისუფლად შეგვიძლია ვიმღეროთ: "ხან აქ ვართ, ხან – იქ! ხან ზევით მივფრინავთ, ხან – ქვევით მოვფრინავთ...", – ძმას მხარი აუბა გახალისებულმა მარცხენამ. – ფიგაროზე არანაკლები ყოჩაღები ვართ, ერთი ეგაა, რომ გიტარა გვაკლია.

სიხარული სიხარულად, მაგრამ ის რომ აღარ იციან, სად არიან და რომელ მხარეს? საით წავიდნენ, რა იღონონ?

– ნეტა ერთი ჯადოსნური მფრინავი ხალიჩა მოგვცა! – ინატრა მარჯვენამ.

– ფრენა და ჰაერში პროწიალი გვაკლია ჩვენ? – უპასუხა მარცხენამ.

– მაინც, საით ამჯობინებდი გაფრენას?

– გვეყო ასე უგზო-უკვლოდ ხეტიალი, დავბრუნდეთ შინ, სანამ რაიმე ახალი ხიფათი საბედისწერო გახდებოდეს ჩვენთვის.

– და ისევ დავიწყოთ უთავბოლო ჯირითი კლავიშებზე?

– რას ვიზამთ, ეგ ყოფილა ჩვენი ბედი! – ამოიოხრა მარცხენამ. – ასე მიუსაფრები სადამდე დავრჩეთ? კარგია მოგზაურობა, მოკლე ხანში უკვე რამდენი რამის ნახვა მოვასწარით, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს თავისი ბოლო? საქმესაც ხომ უნდა ვეწიოთ?

– საქმე კი არა, ის არ გინდა? – აგდებულად მიუგდო მარჯვენამ.

– მინდა, დიახაც რომ მინდა!

– რა გინდა?

– შინ მინდა!

– პიანოფორტეს შავ-თეთრი კლავიშები მოგენატრა? მართალი გითხრა, მეც... "ღამე და დღე" – ასეთი დასახელების ქოულ პორტერის სიმღერა ხომ არ დავუკრათ? კარგი, წავიდეთ, შენ წამიძეხ წინ!

ტყე სანახევროდ გაჩეხილია, რაც დარჩა, იმასაც, ეტყობა, არ უწერია გრძელი დღე...

– ვიღაცას უყიდია ეს ტყეც და, არ არის გამორიცხული, რომ დაქირავებული ჩაფრები დასდევენ იქ დასასვენებლად, სანადიროდ ან ფიჩხის მოსაგროვებლად თუ კენკრის მოსაკრეფად მისულებს, – ამბობს მარჯვენა.

– ამასაც მოვესწარით?

– წარმოიდგინე სცენა: ჩაფრები იჭერენ ტყეში უნებართვოდ შესულებს; ვინც წინააღმდეგობის გაწევას გაუბედავს, კომბალი – კაცებს! როზგი – ქალებსა და ბავშვებს!

– დიდებული სანახაობა იქნებოდა! ჩვენ რაღას გვიზამენ? თუ ჩაფრები გამოჩდნენ, აქ ბევრი მიტოვებული სორო იქნება და იქ შევძვრეთ; თუ დაგვიღამდა, მაშინაც.

– არა, ხეზე ასვლა ჯობს, იქ უფრო ნაღდია, გამოცდილება გვაქვს; ადგილს მხოლოდ ციყვები თუ შეგვეცილებიან.

– ხეზე ძრომიალს დაეჩვიე, აქაც გარეული ღორები ხომ არ იქნებიან?

– რამდენჯერ გითხარი: ორფეხა ღორებს უფრო უნდა ვუფრთხოდეთ...

წავიდნენ, წაბანცალდნენ; ძალიან გაუჭირდათ, ძალიან – ძლივს მიფორთხავდნენ ტყე-ღრეში. კიდევ კარგი, კლავიშებზე ხტომას იყვნენ ჩვეულნი – შედარებით ადვილად ისკუპებდნენ თხრილებზე, გადაევლებოდნენ წაქცეულ ხეთა ტანებს, გადააფრინდებოდნენ პატარა ნაკადულებს... ბოლოს შეჩერდნენ, არაქათგამოცლილნი, და დაინახეს: ტენტით გადახურული დიდი მანქანაა გაჩერებული, მისი ძარა სავსეა ხალხით – უმეტესობა ახალგაზრდებია, თითო-ოროლა – შუახნისა; ქალებიცაა და კაცებიც.

– ავძვრეთ? – ყასიდად იკითხა მარჯვენამ, რადგან უკვე მაღლა მიძვრებოდა, მას მაშინვე მიჰყვა მარცხენაც.

– ბიჭო, ამდენ ხანს რას ვუცდით? – კარგა ხნის შემდეგ იკითხა ლოდინით გულგაწყალებულმა მარცხენამ.

– ეტყობა, გზის გასაგრძელებლად უცდიან დაბნელებას... გრძელი გზა ელით და ერიდებინ უცხო თვალს.

– რატომ? ღამე ეშმაკისაა!

– ეს ხალხი უნდა გადაიყვანონ თურქეთში, შემდეგ კი, ავტობუსებით, არალეგალურად – კიდევ უფრო შორს: საბერძნეთში, მერე, ნაწილი, გემით – კვიპროსში... ქვეყნიდან მასობრივად გარბიან, ერიდებიან უმუშევრობას, გაუსაძლის გაჭირვებას...

– რატომ, კაცო, პირიქით, საამაყოდ გვაქვს საქმე! აბა, სხვა რომელ ქვეყანაში შეიძლება, ჩაჯდე ტაქსში და შეგხვდეს მძღოლად არა მხოლოდ სოფლიდან საშოვარზე ჩამოსული გლეხი ან უმუშევრად დარჩენილი მაღალკვალიფიციური მუშა, არამედ უამრავი სხვა ხელობის ადამიანი: ხელოვნებათმცოდნე, მუსიკოსი, პედაგოგი... რა კარგია, როცა მგზავრობისას ასეთი მძღოლი გყავს და უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორთან საინტერესო, მაღალინტელექტუალურ საუბარში გალევ გზას!

– ყველა გაჭირვებული ხომ შოფრად ვერ იმუშავებს. ბევრს ჰგონია, სხვაგან უკეთეს ცხოვრებას ელირსებიან და ნებისმიერი კანონიერი და უკანონო ხერხით ცდილობენ წასვლას, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში, ტელევიზიით სულ ლაპარაკობენ ხიფათებზე, რომელიც თან სდევს საზღვრის უკანონო გადაკვეთას, საზღვარგარეთ ცხოვრების სიძნელეებს... შეიძლება, ავტობუსის სამალავში დაიხუთო და მკვდარი გახვიდე გაღმა მხარეს; თუ საზღვარს ფეხით გადაკვეთ ჭაობის გავლით – რომ ჩაეფლო და დაიღუპო...

– სასოწარკვეთილი ადამიანები ფიქრობენ: "აქ მაინც შიმშილით სიკვდილი გველის და იქ იქნებ რაიმე გვეშველოს?"...

– თუ საზღვარგარეთ გააღწიე, შესაძლოა, არ გაგიმართლოს და თითქმის მონის მდგომარეობაში აღმოჩნდე: წაგართვან პასპორტი, რომ წასასვლელი არსად გქონდეს, ვერც იჩივლებ... თუ ახალგაზრდა ქალი ხარ, საროსკიპოში "დაგასაქმებენ", თუ შუახნის ან შეუხედავი, მიხრწნილი ბებრის მოვლა მოგიწევს... თუ მშენებლობაზე ან ქარხანაში დაგასაქმებენ – თითქმის მუქთად მძიმე სამუშაოს შესრულება, უვარგისი საჭმლით კვება... არც – გართობა, არც – წესიერი დასვენება... მონური მდგომარეობა! ვერც ვერსად იჩივლებ!

ძარაში მყოფი ვიღაც ახალგაზრდა, თითქოს მათ საუბარს ისმენდაო, ამბობს:

– გამოუვალი მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილები, თორემ ვინ გიჟია, რატომ მიდიხარ, ჭირიმე, ხიფათთან საშიშ პაემანზე, დაეტიე სამშობლოში! თანაც აგერ, ჩვენი პრესის სასიქადულო ფლაგმანი გაზეთი "ალიონი" ამაყად გვაუწყებს – ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სამთავრობო პროგრამა წარმატებით ხორციელდება! ამ გაზეთში განცხადებაცაა გამოქვეყნებული; სანამ მთლად არ დაბნელებულა, წავიკითხავ და ვისაც შემოთავაზებული სამუშაო ხელს აძლევს, დროზე გადავიდეს მანქანიდან. მაშ ასე, მისმინეთ:

"ცხადდება მიმტან-ოფიციანტის ორი ვაკანსია. აუცილებელი მოთხოვნები პრეტენდენტთა მიმართ: მამაკაცები და ქალბატონები ასაკით 28 წლამდე, მიმზიდველი გარეგნობის, სრულიად ჯანმრთელი, კომუნიკაბელური, მაღალი ანალიზური ნიჭით დაჯილდოებული, გუნდში მუშაობის უნარით, სასურველია ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება ნებისმიერ სფეროში; აუცილებელია: ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული ენების სრულყოფილი ცოდნა, უმაღლესი განათლება – მაგისტრის მეცნიერული ხარისხი (უპირატესობა მიენიჭებათ კეიმბრიჯის, ოქსფორდის, სტანფორდის უნივერსიტეტების, აგრეთვე – მასაჩუზეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს), რამდენიმე კომპიუტერული პროგრამის ცოდნა.

მიაკითხეთ პარტია "ცივ-ცივი ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკლების ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირის" სათაო ოფისის რესტორან-სასადილოში 2009 წლის 25 მაისამდე".

– სიხარულით მივაკითხავდი მმართველი პარტიის ოფისს, მაგრამ განცხადებას რომ ვადა გაუვიდა? – კითხულობს ვიღაცა. – ეტყობა, მაინც არავინ მაღირსებდა იმ ბედნიერებას, რომ ვიღაც უცხოეთიდან ტურისტად ჩამობრძანებულ ჯიბესქელს ჩვენებური ეგზოტიკური კერძები და ღვინო მივართვა და თან თითქმის უაქცენტო ინგლისურით თავაზიანად ავუხსნა, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-

ერთი უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრენი ვართ, უმდიდრესი მწერლობა და კულტურა გაგვაჩნია და...

– და ახლა კი, ჩვენი ბრწყინვალე ხელისუფალთა ბრძნული მმართველობის მეოხებით, სულ მალე წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებნელი გვეყოლება, – აგრძელებს ვიღაც მესამე მხიარულად, – ან, უკეთეს შემთხვევაში, რესტორნის მენიუს წაკითხვას შეძლებს! იმასაც – ფრანგულად ან ინგლისურად!

თითები ერთმანეთს უზიარებენ საზარელი მომავლის შესაძლებლობას: ხომ არ აფეთქდებიან საზღვრის უკანონო გადაკვეთისას? ამბობენ, საზღვრის დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დაუწყიათ განსაკუთრებით "პოპულარული" მონაკვეთების დანაღმვაც კი... მართალია, გამაფრთხილებელი წარწერებიცაა, მაგრამ ღამე მას ვინ წაიკითხავს? ჰოდა, უცებ – გაისმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა და აფრინდები ჰაერში!

– და ხუთ თითად დავნაწილდებით? მერე ვინ შეაერთებს მათ? – შეშფოთებულია მარცხენა.

– ხომ იცი, მედიცინა ახლა სასწაულებს ახდენს: ჩაგვიტარებენ ქირურგიულ ოპერაციას; თუ სურვილი გვექნება, თითებს დაგვიგრძელებენ, თითებს შორის აფსკებსაც ჩაგვიჭრიან და ფანტაზიურად გაიზრდება აპლიკატურის ამპლიტუდა: თავისუფლად ავიღებთ კლავიატურაზე დეციმას, უნდეციმას და დუოდეციმასაც კი! როგორ ტექნიკურად გამდიდრებულები დავუბრუნდებით დიტმარ დომინორაულს და როგორ უზომოდ გავახარებთ!

– მაესტროს ტექნიკა არ აკლია! არა, ძმაო, ამათთან ჩვენ საერთო გზა არ გვაქვს, სასწრაფოდ უნდა ჩამოვიდეთ მანქანიდან! საზღვარგარეთ რომც გავაღწიოთ, მაინც დავიღუპებით: მარტოებმა რა უნდა ვქნათ იქ, ვის რაში დავჭირდებით?

– არავის და არაფერში! დროზე ვუშველოთ თავს!

თითები ჩამოძვრნენ მანქანიდან და უკან გამოჰყვნენ გზას...

მოდიან, მოდიან, მობანცალებენ...

ბოლოს შეჩერდნენ, არაქათგამოცლილნი. და დაინახეს...

– ე, ბიჭო, იმ დიდი ნაძვის ძირში ქალი რომ წამოწოლილა დასასვენებლად, ხედავ? - ამბობს მარჯვენა.

– რა უნდა მარტოდმარტოს ამ შუაგულ ტყეში, ალი ხომ არ არის?

– არა, რა უგავს ალქაჯს, ჩვეულებრივი ქალი ჩანს.

– უნდა მოგვატყუოს, ვითომ სძინავს!

– შენ ყოველთვის რაღაც ცუდი უნდა იფიქრო! მოვიცადოთ და ღამე აქ ხომ არ დარჩება, გამოიღვიძებს და ნაღდად ან სოფელში დაბრუნდება, ან ქალაქში; უკან გავყვეთ...

– ჯობს, ახლავე ჩავძვრეთ, გვერდზე რომ სოკოებით სავსე კალათი უდგას, იმაში, ძალიან დაღლილები ვართ, – უჩურჩულა მარცხენამ მარჯვენას.

– მართალი ხარ, ხომ იცი! თან ჩაცმულობაზე ვატყობ, უფრო ქალაქელი უნდა იყოს. აბა, ცქვიტად, სანამ თვალმილულული წევს, მის კალათში მოვკალათდეთ!

მიუჩოჩდნენ ფრთხილად ქალს, გადაბობღდნენ კალათის კიდეზე და სოკოების სურნელმა გააბრუათ.

– დაილოცოს ის წუთი, როცა ამ უღრან ტყეში ამ ქალს გადავეყარეთ!

მისწი-მოსწიეს ბოხვერა დათვისსოკოები, ერთად ჩახუტებული კალმახასოკოები, არყისძირები და სხვანი და სხვანი, კოხტად მოყუჩდნენ გვერდიგვერდ და, ქალს რომ არაფერი შეემჩნია, სოკოებივე წაიფარეს ზევიდან.

კარგა ხანს მოუხდათ ცდა, სანამ ქალი წამოდგებოდა, "უი, არ დამაგვიანდესო", – წამოიძახებდა და ფაცხაფუცხით ტყის ბილიკამდე სულ მიწაზე დაყრილი ხმელი ტოტების ლაწალუწით და ჩამოცვენილი შარშანდელი ფოთლების შრიალით წავიდოდა. ბილიკზე გასული ქალი უკვე თითქმის სირბილით მიდიოდა, კალათი ირწეოდა და ჩვენს გმირებს ჯერ რომ გული შეუქანდებოდათ ხოლმე, თითქოს საქანელაზე იდგნენ, მერე შეეჩვივნენ და რიტმულმა რწევამ რულიც კი მოჰგვარათ.

ტყის განაკაფ მინდორზე რამდენიმე დიდი სატვირთო მანქანა იდგა, მსხვილ-მსხვილი ნაძვის მორებით დატვირთული. ეს მორები ქალაქს უნდა ჩაეტანათ, მერე კი საზღვარგარეთ გაეტანათ. ერთ-ერთი ასეთი მანქანის კაბინაში აძვრა კალათიანი ქალი, შოფერმა მანქანა დაქოქა და ნელ-ნელა გაგორდნენ კიდეც ტყის ოღროჩოღრო გზაზე.

დიდხანს მიყანყალებდნენ ქალი და კაცი, თან მღეროდნენ ხან მხიარულ, ხან ნაღვლიან სიმღერებს და კალათში მსხდომ ჩვენს გმირებს არ მოსწყენიათ. შემდეგ ხეირიან გზატკეცილზე გავიდნენ, ქალი და კაცი გახალისდნენ და სულ სიმღერ-სიმღერით ჩააღწიეს დედაქალაქამდე.

ქალაქის შესასვლელში მანქანების უზარმაზარ საცობში მოხვდნენ; თურმე დღეიდან გაერთიანებული ოპოზიციური ძალების საპროტესტო აქციების ახალი ეტაპი დაიწყო, – ყველა მაგისტრალური გზების ბლოკირება, – სანამ არ დამაყოფილდებოდა მათი მოთხოვნები: უმაქნისი პრეზიდენტის დაკავებული პოსტიდან დაუყონებლივი გადადგომა, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და ქვეყნის ავ-

ტორიტარული მმართველობის სისტემის შეცვლა ხალხის ნების გამომხატველი დემოკრატიული სისტემით ძალაუფლების ყველა – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო – შტოს დამოუკიდებლობითა და ურთიერთკონტროლით, ასევე, "მეოთხე ხელისუფლების", – მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების, – დამოუკიდებლობა და თავისუფალი ფუნქციონირება...

კარგა ხანს იდგა გაჩერებული ის მანქანა, რომლშიც ჩვენი გმირები მოხვდნენ; კალათის პატრონი ქალი უკვე წუხდა კიდეც, ემანდ სოკო არ გამიფუჭდესო; საბედნიეროდ, თვით კალათში არ ჩაუხედავს...

როგორც იქნა, მანქანების შეგუბებული ნაკადი ნელ-ნელა დაიძრა, მერე სიჩქარეს უმატა და ჩვენი გმირების მანქანა მალე შევიდა კიდეც ქალაქში, რომლის ქუჩებიც სავსე იყო გახარებული ადამიანებით – დიდ-პატარა ყვიროდა: "გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ!.. ვაშა!".

"ნეტა რა მოხდა?" – ცნობისმოყვარეობა ჰკლავდათ ჩვენს თითებს და ალბათ აინტერესებს მკითხველსაც, ამიტომ, უპირველესად, ვჩქარობ, სწორედ მისი ცნობისწადილი დავაკმაყოფილო.

თითებიანი მანქანა რომ ქალაქს შევიდა, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო – ქუჩებში გამოსული უამრავი ხალხი საყოველთაო აღტაცებამ მოიცვა: ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი ქვეყნიდან გაქცეულა!

როგორ და რანაირად მოხდა ეს მოვლენა?

წინა დღეს, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში რამდენიმე ასეული ათასი აღგზნებული ადამიანის მძლავრი საპროტესტო აქცია მთელი დღე ბობოქრობდა ბატონ პრეზიდენტის დაუყონებლივი გადადგომის მოთხოვნით, საღამოს შატაბუტა-ტარუღაშვილმა ჩვეულებას არ უღალატა, ან იქნებ დემონსტრაციულად სურდა, ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, – ეს აბეზარი ქინქლების უმწეო ბზუილი ანარიშში რა ჩასაგდებიაო, – და საპრეზიდენტო სასახლეში მთავრობის გაფართოებული სხდომა გამართა პარლამენტის ყველა კომიტეტისა და ქვეკომიტეტის თავმჯდომარეთა და მათ მოადგილეთა მონაწილეობით ("ჩვენ დემოკრატიის განუხრელი დაცვის მომხრენი ვართ და ხალხის რჩეულთა აზრი ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია!"), რომელზეც განსახილველი მთავარი და ერთადერთი საკითხი იცით, რა იყო? ბატონ პრეზიდენტის ახალი, ბრწყინვალე, ჯერ არნახული, ისტორიული, ეპოქალური იდეის განხილვა: დედაქალაქის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ახალ ადგილას გადატანა – პარლამენტის შენობის ადგილას! შუა ქალაქში – ყველასთვის მოსახერხებელი იქნება მისასვლელად! პარლამენტი სადღა იმუშავებს? ეს არ წარმოადგენს პრობლემას, მისთვის ახალ შენობას ააგებენ – ყოფილი რკინიგზის სადგურის ადგილას! თუკი პარლამენტი რამდენიმე წლის განმავლობაში შენობის გარეშე დარჩება და მუშაობას ვერ შეძლებს, მით უკეთესი – ოპოზიცია ხომ ისედაც იძახის: "ეს ვაი-პარლამენტი არაფრის მაქნისია, არაფერს წყვეტს, მუქთამჭამელებით არის სავსეო"...

როგორც ვხედავთ, "კარუსელის" იდეა მხოლოდ საკადრო საკითხების გადაწყვეტისას არ გამოიყენება – ბატონ პრეზიდენტის უნივერსალური იდეაა!

დიდი დაგვიანებით, მინდა, ვიკითხო: "ბატონო სხდომის მონაწილენო! თქვენ ერთხმად, ტაშის გრიალით, მხარი დაუჭირეთ წინადადებას, რომ ჩვენი გენიოსი ბატონ პრეზიდენტის პროექტი სასწრაფოდ შევიდეს პარლამენტში განსახილველად და, ასევე, სასწრაფოდ დასამტკიცებლად; დარწმუნებული ვარ, იქაც ყველაფერი მშვენივრად, შეხმატკბილებულად ჩაივლიდა: ტაშის გრიალით და "ვაშას" შეძახილებით ერთხმად მიიღებდით სათანადო გადაწყვეტილებას – წინაღმდეგ ერთი პარლამენტარიც არ მისცემდა ხმას!.. მაგრამ უნდა გკითხოთ, მთავრობის წევრებო და ძმანო პარლამენტარნო: მართალია, ზოგ თვენთაგანს ხიკალი კი უყვარს, თუმცა გასტრიტი აწუხებს და მისი მირთმევისგან თავს იკავებს, ლუდს კი ღვინო დიდად ურჩევნია, მაგრამ მმართველ პარტიაში "ციე-ციე ლუდისა და ცხელ-ცხელი ხინკლის ჭეშმარიტ ტრფიალთა დემოკრატიული კავშირის" წევრები გახდით და მმართველ გუნდშიც მოხვდით, ჰოდა, მაინტერესებს: ყველანი ერთი ახირებული კაცის ყურმოჭრილი მონები ხართ თუ ყველანი ჭკუასუსტები? სხდომაზე ერთმა კაცმა მაინც როგორ არ თქვა, ამ სისულელეს მხარს ვერ დავუჭერო? თუმცა, ჩემი კითხვა რიტორიკულია: თქვენ მხარს დაუჭერთ პრეზიდენტის ნებისმიერ საკანონმდებლო ინიციატივას, სამაგიეროდ, ისედაც გაჭირვებული ქვეყნისთვის შეუსაბამო და უსაშველოდ გაბერილი ხელფასები მუდმივად გემატებათ, თქვენი ნათესავ-მეგობრების ბიზნეს-საქმიანობას ყოველმხრივ შეეწყობა ხელი: სახელმწიფო ორგანოებიდან სარფიან შეკვეთებს სწორედ ისინი მიიღებენ, სამინისტროების მიერ გამოცხადებულ ტენდერებსაც მხოლოდ ისინი მოიგებენ, პირობებისა და ნაკისრი მოვალეობების შესრულებას კი მკაცრად არავინ მოსთხოვს...".

აქვე ჩემს მოკრძალებულ შეხედულებასაც მოგახსენებთ: ფრიად მიმზიდველი იქნებოდა, იმავე სხდომაზე კიდევ ერთი, ახალი, გრანდიოზული პროექტის განხილვა, რომელიც გაითვალისწინებდა პრეზიდენტის კიდევ ერთი, ახალი, შესანიშნავი საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობას! ამჯერად – აეროპორტის გვერდით! ყველას მოგეხსენებათ, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი ისედაც წელიწადში თითქმის სამასჯერ გაფრინდება ხოლმე საპრეზიდენტო თვითმფრინავით, ხან – სად და

ხან – სად, და უპრიანია, ბატონ პრეზიდენტს საუკეთესო პირობები შევუქმნათ ამ საქმეში – დაზოგავს ესოდენ ძვირფას დროს, აღარ დასჭირდება შორს წასვლა თვითმფრინავში ჩასაჯდომად, არც ქალაქის მაცხოვრებლები დაიტანჯებიან ქუჩების წინასწარი მრავალსაათიანი გადაკეტვით პრეზიდენტის ესკორტის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გასატარებლად!

დიახ, გავაგრძელებ... მას შემდეგ, რაც ბატონმა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომა წარმატებით ჩაატარა და შემდგომ საგანგებოდ ტელეარხების ეთერში პირდაპირი ჩართვით მიღებული ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაყურებელთა ფართო აუდიტორიას პირადად ახარა, შატაბუტამ დროსტარებისთვისაც მოიცალა და, გადაწყვეტილების ერთხმად მიღებით ფრიად კმაყოფილი, რესტორანს "შენ დაუკარ!" ეწვია! თუმცა, გემრიელი პურისჭამის შემდეგ, მას მოუწია სასახლეში რესტორნის უკანა გასასვლელიდან გაპარულიყო, რადგან საპარადო კართან შეკრებილი ახალგაზრდა ოპოზიციონერები ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილნი; მათ ხელში ეჭირათ უზარმაზარი ტრანსპარანტები წარწერით: "წადი!", "მოგვშორდი!" და მისთანანი და მეგაფონებით გაჰყვიროდნენ: "გა-და-დე-ქი! გა-და-დე-ქი!"...

შინ მისული ბატონი პრეზიდენტი იმდენად შეშინებული და დაბნეული იყო, რომ მოსვენებას ვერ პოულობდა. ძილის წინ წყურვილით ფრიად შეწუხებულმა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა (რა ჰქნას, როგორც არაერთხელ მოგახსენეთ, სანაქებო მადა უბოძა განგებამ – ყოველთვის შია და ყოველთვის სწყურია!) იმდენი ლუდი დალია, რომ ჩაეძინა; ამ დროს ჯადოსნური კათხა წაექცა, შემდეგ კი მთელი ღამე იქიდან უწყვეტლად ლუდი გადმოსჩქეფდა და გადმოსჩებდა, ასე რომ, დილისთვის მთელი პრეზიდენტის სასახლე დაიფარა: ცალკერძ – ლუდით და ცალკერძ – ქაფით!

ქაფით ჭერამდე გაივსო ბატონ პრეზიდენტის საძინებელი აპარტამენტებიც და ამიტომ მის ყურთასმენას ვერ მისწვდა საპრეზიდენტო რეზიდენციის გარშემო შეკრებილი რამდენიმე ასეული ათასი გამძვინვრებული მოქალაქის ერთხმად დაგუგუნებული: "გა-და-დე-ქი!... გა-და-დე-ქი!.. გა-და-დე-ქი!..".

როცა მაშველებმა შეაღწიეს საძინებელში, უპირველეს ყოვლისა, წაყირავებული ლუდის ჯადოსნური კათხა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნეს; ქაფი თანდათან დაწდა და ნახევრადგაგუდული ბატონი პრეზიდენტის ყურს მისი სმენისთვის ესოდენ სალბუნი ხმები, როგორც იქნა, მიწვდა.... მიწვდა და ფრიად გაახარა!

მისმა უმაღლესობამ (მე დავამატებდი: მისმა უქაფესობამ, ან მისმა ულუდესობამ, ან ორივე წოდება ერთად – მისმა ულუდეს-უქაფესობამ), ბატონმა პრეზიდენტმა ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილმა ჯერ ქაფქაფა ლუდით სავსე კათხა გამოსცალა, შემდგომ კი ერთ წუთსა და ოცდათექვსმეტ წამში გააშანშალა დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის ოფიციალური ქაღალდი და მაშინვე საიდუმლო გვირაბში დურთა თავი... იქიდან გაძრომის შემდგომ მიაშურა ქალაგარეთ მდებარე პატარა აეროდრომს, სადაც მას უკვე ასაფრენად გამზადებული საპრეზიდენტო შვეულმფრენი ელოდებოდა.

სანდო წყაროების ცნობით, შვეულმფრენისკენ მიმსწრაფი ნაპრეზიდენტალის თავი დილის მზის მხიარულ სხივებზე ბილიარდის ბურთივით ბრწყინავდა და ბედის მოულოდნელი დარტყმით ქვეყნის ბორტს გადაღმა ბილიარდის ბურთივით გადავარდნილი ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი ისე სწრაფად გარბოდა, რომ თავზე ხელის დაფარების თავი სად ჰქონდა! დიდებული პარიზული პარიკის ბედი როგორ წარიმართა, ვერაფერს მოგახსენებთ; ვფიქრობ, ქაფით ნახევრად გაგუდულ პრეზიდენტს მისი თავზე გაკეთება-მორგების თავი არ ჰქონდა, რასაც ყოველ დილით ასრულებდა ხოლმე, ან, თუ მაინც სურდა, პარიკით დაემშვენებინა თავი, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მისი უძვირფასესი პერსონის გადარჩენის იმ ორომტრიალში პარიკს ვეღარ მიაკვლია... ეჰ, რომელ სანაგვეს ამშვენებს შატაბუტას ოფლისა და ლუდის სურნელით გაჟღენთილი მეუფის დიდებული პარიკი?!. იქნებ ყვავმა ან კაჭკაჭმა მაინც წააცუნცულა – ბუდეში უკეთეს რბილ საფენს ვერც ინატრებს!

რაც შეეხება ლუდის ჯადონურ კათხას, მისი დღევანდელი ადგილსამყოფელი ფართო საზოგადოებრიობისთვის ასევე უცნობია; ერთთა შეხედულებით, ის პრეზიდენტის გადარჩენის ოპერაციის ჩატარებას შეეწირა – გატყდა, მეორენი ვარაუდობენ, რომ ის საზღვარგარეთ გაქცეულმა შატაბუტა-ტარუღაშვილმა თან წაიყოლა. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს! ლუდის ქარხნის გახსნასაც წინ არაფერი დაუდგება, გვარიან მოგებასაც ნახავს – მისი სანაქებო მადის დასაკმაყოფილებლად არც ჭამა-ყლაპვის პრობლემა შეექმნება... ერთი რამ კი მაინც მადარდებს, ხომ იცი: ბატონი ნაპრეზიდენტალი სულ ჭამა-სმაზე ფიქრობს, ჰოდა, მსოფლიოში საუკეთესო ბავარიულ ლუდს რა შეედრება, მაგრამ სად იშოვნის იქ – გენური ინჟინერიით შექმნილი ხორცპროდუქტების სამეფოში – მოთუხთუხე ქვაბიდან ლანარზე ახალამოყრილ ჩვენებურ ხინკალს ან კოწახურ თუ ხახვმოყრილ ცვრიან მწვადს? არადა, არა მგონია, ჩვენთან ხინკლის სწრაფად ჭამაში საერთაშორისო შეჯიბრი ჩაატარონ და მისი უმაღლესობა არამცთუ საპატიო სტუმრის სტატუსით, რიგით მონაწილედ მაინც მიიწვიონ! (მართალი მოგახსენო, ამგვარი შე-

ჯიბრებები ჭამა-სმაში, რომელიც მრავალ ქვეყანაში ტარდება, საკმაოდ უაზროდ და სულელურადაც კი მეჩვენება!).

ლუდის მოყვარულებს საიდუმლოდ მოგახსენებთ: ჯადოსნური ლუდის კათხის შემდგომი ბედი ჩემთვის ცნობილია! ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჯადოსნური კათხის დაუფლებისთვის ინტრიგები, და ხშირად – ბრძოლაც კი, თუ რომანის არა, ავანტიურული მოთხრობის თემად მაინც გამოდგება და შესაძლოა, შემდგომ ცალკე მოგითხროთ...

კარი XV.
ყველაფერი კეთილად დასრულდა!
(Fanfari!.. ფანფარები!..)
მრავალჭირნახადი თითები ახლებურად უკრავენ...
(Alla testa, დაბრუნება სათავესთან)

ახლა დროა, დავუბრუნდეთ ჩვენი თითების მოგზაურობის ამბავს, ის როგორღა დამთავრდა?

როცა ქალი თავის სახლთან კალათიანად ჩამობრძანდა, ქმარს უთხრა:

– რატომ არ გადმოდიხარ? ახლავე მოგიმზადებ სოკოს შეჭამანდს კარტოფილთან და სტაფილოსთან ერთად, შენ რომ ასე გიყვარს, ან მოვხარშავ და მერე ერბოში შეგიწვავ ხახვთან ერთად...

– არა, მეჩქარება, ამ ღამეს კიდევ ერთი რეისი მელის, სულ სხვა მხარეს... მალე მოვალ, დაღამებამდე მორებში სამალავის მოწყობა უნდა მოვასწრო.

– წამოგყვები! მეც მინდა, უცხოეთი მოვინახულო!

– არა, დამთარსავ! ისედაც წინა რეისზე ერთი გოგო გარდაიცვალა – თურმე ასთმა ჰქონია და შეტევა მოუვიდა... ძლივს გადავრჩი.

– ყველა მიგყავს და ერთხელ მეც წამიყვანე!

– საროსკიპოში დაგტოვო? – ეხუმრება ქმარი. – ანდა მიხრწნილი დედაბრის, ან ბავშვების მომვლელად? საკუთარ შვილს ვის უტოვებ?

– დღეს რამდენი მიგყავს? – ჰკითხა ცოლმა.

– სამი! აღარ მინდოდა, ამ საქმეს თავს ვანებებ, ძალიან საშიში გახდა, მაგრამ ნაცნობები არიან და უარი ვეღარ ვუთხარი.

– ვინ არიან?

– ჰილდე, გიზელა და გრეთჰენ...

– გრეთჰენ? ვის რად უნდა ასეთი ჯოჯო?

– გადიასთვის რა უჭირს, საროსკიპოშიც არ დაიწუნებენ.

– რას ამბობ, შესახედავად ეშმაკის მოციქულს ჰგავს.

– კონტრასტისთვის დასვამენ სტუმრების მისაღებში – მასთან შედარებით შეუხედავი ქალიც მზეთუნახავად მოგეჩვენება.

– შენ საიდან იცი? – უცებ გაანჩხლდა ცოლი. – საროსკიპოებში დაეთრევი? ფეხი აღარსად გაადგა!

– აბა, მხოლოდ ჩემი ჯამაგირი გვეყოფა?

– მაშინ შინ ნუღარ მოხვალ, გზა დამილოცნია!

გაანჩხლებული ქალი შინ შევიდა და კალათი სამზარეულოში გაიტანა.

– ჩხუბი და დავიდარაბა გვაკლია კიდევ ჩვენ? – თქვა მარცხენამ. – აქედანაც დროზე ხომ არ მოვცოცხოთ?

ხელის მტევნები უცებ ჟრჟოლამ აიტანა: მეზობელ ოთახში ვიღაც პიანოფორტეზე უკრავდა – საკმაოდ უღიმღამოდ უკაკუნებდა კლავიშებს, ხშირად ეშლებოდა, ჩერდებოდა და ისევ აგრძელებდა ბორძიკ-ბორძიკით. მიუხედავად ამისა, ჩვენს გმირებს როგორ აუჩქროლდათ გული და აუფორიაქდათ სული, რა ტკბილ მოგონებებში ჩაიძირნენ!.. თურმე, იმდენად მონატრებოდათ პიანოფორტეს ბგერების მოსმენა, რომ ქალის პატარა ბიჭის უხეირო დაკვრაც კი ფრიად სიამოვნებდათ!

ბიჭი კი ისევ და ისევ ცოდვილობდა; რომ არაფერი გამოუვიდა, გული ვეღარ დაუდო და ეზოში გავიდა სათამაშოდ.

თითები ჩუმად ამოძვრნენ კალათიდან და დროულადაც – ცოტა ხანში ქალმა დათვისსოკოები, დუმასოკოები, არყისძირები და ყველა დანარჩენიც დიდ ტაშტზე გადმოყარა გასარჩევ-დასარეცხად. ამასობაში მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნები შეიპარნენ ბიჭის სამეცადინო ოთახში და გაოგნებულნი გაშეშდნენ: ადრე რამდენჯერ არიან ნამყოფნი ამ ოთახში, აქ ყველაფერი რარიგ ნაცნობია მათთვის! ამ ძველთაძველი პიანოფორტეს გაყვითლებულ კლავიშებზეც ბევრჯერ უვლიათ და ურბე-

ნიათ, აქეთ-იქეთ რომ სპილენძის შანდლები აქვს მიმაგრებული – ეს ინსტრუმენტი ალბათ ასზე მეტი წლისაა! ბოლო გაჭირვებულ წლებში მაესტრო დიტმარ დომინორაული ამეცადინებდა ამ ბიჭს და საზღაურად ყოველი გაკვეთილის შემდეგ დიასახლისის მიერ ახალგამომცხვარი ერთი პური მიჰქონდა შინ...

– ნეტა რასა იქმს ჩვენი მაესტრო, აქედან წაღებული ის ერთი პურიც ხომ არ ენატრება? – წამოიძახა მარჯვენამ. – ოჰ, როგორი სურნელი ასდიოდა შინ გამომცხვარ იმ პურებს!

– ჩვენი სახლი არ გენატრება? ჩვენი მაესტროს ცოლი, როგორ ბავშვივით უვლიდა დიტმარ დომინორაულს!

– ცოლს კი ეალერსებოდა, კარგად გვახსოვს, მაგრამ ბავშვები რომ არ იყოლიეს, ეს დიდი ცოდვაა! თუ თვითონ ვერ მიაღწია მსოფლიო საშემსრულებლო მწვერვალს, მის შვილს მაინც გამოზრდიდა!

– ვერაფერსაც ვერ მიაღწევდა, შეხედე, ამ ბიჭს მისი ხელისა არაფერი ეტყობა!

პიანოფორტეს პიუპიტრზე დადებულ ნოტებთან მიცვივდნენ – აინტერესებდათ, რა ნაწარმოებს უკრავდა ბიჭი. გაუკვირდათ, ასეთ მარტივ ეტიუდს ვერ მოერია?

ორივე მტევნის თითებმა ფრთხილად გაიარ-გამოიარეს კლავიშებზე, აახმიანეს საკრავი და ყოველ ბგერასთან ერთად მათში მატულობდა აღგზნება; შინაგანი დაძაბულობა და შიში გაუქრათ, აღმაფრენის ზვირთმა მაღლა წარიტაცათ და სახელგანთქმული კომპოზიტორის პოპულარული რომანტიკული საპიანოფორტე ციკლის ინტროდუქცია დაუკრეს, რომლის დასრულებაც კონცერტზე არ დასცალდათ; შემდეგ რაღა გააჩერებდათ და გააგრძელეს...

– კარგად გავავარჯიშეთ თითები!

– არ დაგვიკარგავს ღონე და მოქნილობა!

– რაც ჩვენ ვიბოდიალეთ, კიდეც მოგვემატა ძალა და ენერგია!

გაწაფული თითებისთვის ტექნიკური სიძნელე არ არსებობდა, მაგრამ, როცა დაკვრა დაიწყეს, თავიდან ერთგვარი უხერხულობა იგრძნეს: არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვეულ საქმიანობას დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ და არც იმის გამო, რომ თითები ოღროჩოღროზე სიარულისგან გაუუხეშდათ, კოჟრები გასჩენოდათ, კანიც ალაგ გადაქლეთოდათ, უფრო – უზომოდ წამოზრდილი ფრჩხილების გამო, რომლის კიდეებიც მიწაზე ხეტიალისას დასტყდომოდათ, უსწორმასწორო და ალაგ-ალაგ დამსკდარიც გამხდარიყო... არც არის გასაკვირი: როგორ უვარგის გზებზე და სულაც უგზოობაზეც მოუხდათ ხეტიალი! მაგრამ, სამაგიეროდ, თითებს მოქნილობა და სიძლიერე კიდევადაც მომატებოდათ; ამასთანავე, მოგზაურობისას გადატანილი შთაბეჭდილებები მკაფიოდ აისახა დაკვრის ემოციური განწყობის სიმდიდრეში: ადრინდელ თავისუფლებასა და ვირტუოზულ გაქანებასთან ერთად მათ დაკვრას ახლა მსჭვალავდა ნათელი ჰარმონიულობა, "მღერადი" პეიზაჟიურობა, რომელიც მსმენელს სულიან-ხორციანად ფლავდა უშფოთველობაში, მჭვრეტელობაში, ბუნების იდუმალებასთან ზიარებაში, რბილ პასტორალურობაში; ხან აჩქარდებოდნენ თითები, ზღაპრულ-ფანტაზიურ სტიქიონს გაგრძნობინებდნენ, თითქოს მაღლა-მაღლა მიფრინავდი ღრუბლებში და იქიდან უყურებდი ქვეყნიერებას; ხანაც პათეტიკური საზეიმო განწყობა და თავისუფლებისკენ წრაფვა აბორგდებოდა ბგერებში...

ქალი გახარებული შემოვარდა ოთახში – რა კარგად უკრავს ჩემი შვილიო, დღეს მის საყვარელ სოკოიან ღვეზელებს გამოვუცხობ უეჭველდო. ბიჭსაც ცნობისმოყვარეობამ და თან შიშმა დაატოვებინა ეზოში მეგობრებთან თამაში და შემოიყვანა პიანოფორტესთან – ეგონა, ჩემი მასწავლებელი, დიტმარ დომინორაული მოსულაო, ნეტა თავისი გაქცეული ხელები როგორ დაიბრუნაო.

და რა იხილეს დედა-შვილმა?

პიანოფორტეს კლავიშებზე დანავარდობდნენ მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნები – აქეთ და იქით, იქით და აქეთ, მაგრამ მაინც სულ წინ და წინ: გარბოდნენ თითები ჯერ უცნობისკენ, იქნებ – მიუღწეველი ოცნებისკენ, იქნებ – მიუწვდომელი მშვენიერებისკენ...

უეჭველი იყო, რომ ეს ხელები დიტმარ დომინორაულის საკუთრება იყო – მთელ ქალაქში გახმაურდა პიანისტის ბოლო კონცერტზე მომხდარი ამბავი და ძებნაც იყო გამოცხადებული გაქცეულებისა, სათანადო ჯილდოც დაწესებული თავხეთა დაჭერისთვის, თუმცა – აქამდე ამაოდ...

– გაიქეცი ბატონ მასწავლებელთან, უთხარი, თქვენი ხელის მტევნები აღმოვაჩინეთ-თქო! – კარისკენ უბიძგა შვილს ქალმა. – მალე დაბრუნდი, მანამდე მე კარს დავკეტავ და ფანჯრებს მოვხურავ!

ოთახი კი ისევ და ისევ ივსებოდა პიანოფორტედან გადმოღვრილი ბგერების ნიაღვრით... ცნობილ რომანტიკულ ნაწარმოებს თითები სულ სხვანაირად ასრულებდნენ, ვიდრე მაესტრო დიტმარ დომინორაული (რა თქმა უნდა, ამას ვერ შეამჩნევდნენ ვერც ბიჭი და, მით უმეტეს, ვერც ქალი). მაესტრო დიტმარ დომინორაულის დაკვრას აკლდა ის გზნება, დრამატიზმი, გაბედული შთაგონება – "ცეცხლი" – სწრაფ პასაჟებში, მასთან კონტრასტულად დაპირისპირებულ ნელ ადგილებში კი – დახვეწილი, ფაქიზი, მაქმანისებრი სინაზე და სინარნარე... ამასთანავე, თითების შესრულებაში ინ-

ტენსიური მელოდიური განვითარება, მრავალფეროვნება და სიმდიდრე ერთიანი, რელიეფურად ცხადი და შთამბეჭდავი მთლიანობის შექმნას ემსახურებოდა. კარგა ხნის განმავლობაში ხეტიალისას გადატანილი ჭირ-ვარამი თუ სიხარული მკაფიოდ გამოვლინდა მათ დაკვრაში: მიწიერ ვნებებში და ამ ვნებებზე ამაღლებაში და ბუნებასთან შერწყმაში, დაძაბულობასა და მოლოდინში, ემოციურ გამოძახილში და სულიერ განწმენდაში... თითები ხან ცეკვავდნენ, ხან ქარბორბალას და მეხთატეხას ეჯიბრებოდნენ; ხან ტყის სიჩუმეს და იდუმალებას უგდებდნენ ყურს, ხან ლურჯი ღამისა თუ მზის სხივებით ოქროსფრად განბანილი დღის ცქერით ტკბებოდნენ...

როცა მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნები, უკვე მაესტრო დიტმარ დომინორაულთან შერწყმულნი, შინ დაბრუნდნენ, მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

მარცხენა:

– რა კარგია! თვალბრიალა მზე სულ იცინის: "პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ამინდი კარგა ხანს იქნება ღვთიურიო, არც ძალიან ცხელი და არც მომაბეზრებელი წვიმები აგიფურტკნიან სულსო"... ნათელი დღეები უკვე ჩორთით მინანაობენ, მხოლოდ ზოგჯერ – მრავალფეროვნებისთვის! – მონოტონური მაჟორული **Andante** უნდა უცებ მინორული წვიმიანი **Allegro**-თი შევცვალო, რომელშიც შიგადაშიგ ჭექა-ქუხილის მგვრგვინავი **Presto**-ც გამოერევა!". რა თქმა უნდა, ასეც იქნება – მისი ბრწყინვალება სიტყვის კაცია!

მარჯვენა:

– აი, დავბრუნდით – ასეთ ნაცნობ და თითქოს შეცვლილ და უცნობ ქალაქში... იგივე, მაგრამ რაღაცით თითქოს სხვა ხალხი დადის ქუჩებში: ნათელი, უდარდელი სახეები, მხიარული საუბარი... თითქოს ისმის ძველებური, დავიწყებული და ამჟამად კი გახსენებული: უწყინარი ოხუნჯობა, წყნარი სიცილის **Arpeggio...**

და ამ საოცარი ფერისცვალების მიზეზი იყო არა მხოლოდ დროის მდინარება – მათი ქალაქს ხანგრძლივი დაშორება და მოგზაურობა... თურმე ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობაც! მისი უდიდებულესობა, ბატონი პრეზიდენტი ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუდაშვილი საზღვარგარეთ საჩქაროდ წაბრძანებულა!.. ამჯერად – საკუთარი სურვილის გარეშე! და, რამდენადაც ცნობილი გახდა, უკან დაბრუნებასაც აღარ აპირებს!..

მარცხენა:

– ახლა საზღვარგარეთ ააგიჟებს ხალხს თავისი ხუშტურებით!

– არაფერი შეგეშალოს! აქ გასდიოდა და იმიტომ გადადიოდა ყირას, ყველას თავში ურტყმდა და ხმის გამცემი არავინ იყო, ზოგიერთი ოპოზიციონერის გარდა, მაგრამ მათ სიტყვას რა ძალა ჰქონდა? პრეზიდენტყოფილი რომ ეპატიჟებოდა ოპოზიციის ლიდერებს: დიალოგს გთავაზობთ, მობრძანდით, შევხვდეთ, ყველა სადავო თუ საჭირბოროტო მწვავე საკითხი ერთობლივად გადავწყვიტოთო, ჰოდა, კარგა ხანს აყურყუტა ჩვენი ძვირფასი ოპოზიციონერები, მთელი ერთი საათით დააგვიანა მიბრძანება, ეს მათი აბუჩად აგდება არ იყო?

– მე რომ ვყოფილიყავი, წამოვიდოდი! – ამბობს მარცხენა.

– მე კი საერთოდ არ მივიდოდი! როგორ აგდებით ელაპარაკებოდა მიწვეულებს, ან რა მართლაც სასაცილო რამ შესთავაზა: მთავრობში მეორეხარისხოვან პოსტებს დაგითმობთო, უფრო – გიბოძებთო... დათანხმდებოდნენ – თავი მოეჭრებოდათ ხალხში, არ დათანხმდნენ და – შატაბუტა რიხით გამოაცხადებს: "აი, ჩვენ როგორი კონსტრუქციულები ვართ, სერიოზულ დათმობაზე წავედით ოპოზიციის მოთხოვნებთან, ისინი კი როგორი შეურიგებელნი არიან, მათთან ნორმალური ენით საუბარი შეუძლებელია!". სიტყვით ოპოზიციასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოხატავს, შესარიგებლად ვითომ ხელს უწვდის – დავივიწყოთ აქამდე რაც იყო, ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა თეთრი ფურცლიდან დავიწყოთო, საქმით კი იგივე ოპოზიციის აქტივისტებს "სიკვდილის ბრიგადები" უსაფრდება და სასტიკად სცემს, პოლიცია – უსაფუძვლოდ იჭერს, უდებს იარაღს ან ნარკოზულ ნივთიერებას და მორჩილი მოსამართლეებიც მათთვის მკაცრ სასჯელებს არ იშურებენ... საზღვარგარეთ კი, დარწმუნებული ვარ, შატაბუტა სულ ჩირგვებში იჯდება, გასუსული! რატომ გაქცა ჩვენი სასიქადულო და საყვარელი პრეზიდენტი, ხომ იცი?

– ბავარიული ლუდი მოენატრა!

– არა, სწორედ ბავარიული ლუდი ჰქონდა თავზე საყრელად, უფრო სწორედ – თავზე დასასხმელად და აბაზანაში საცურავადაც კი... იფიქრა: "ჩემი საყვარელი პარიკის მეოთხედ მოტაცებას ვეღარ გადავიტან, საზღვარგარეთ უსაფრთხოდ ვიქნებიო".

– მაშ, შენი მტკიცებით, ჩვენც მიგვიძღვის ერთგვარი წვლილი მის გაქცევაში?

– აბა რა! მაგის ადგილსამყოფელი არ დაიმალება, იქაც ხომ არ ვესტუმროთ? იქაც გავახაროთ! მით უმეტეს, ახალი პარიკის საშოვნელად აღარ დასჭირდება შორს გამგზავრება! – ხუმრობას არ იშლიდა მარჯვენა.

– არა, ძმაო, ეყოფა, რაც ჭირი თავს გადახდა, ცოდოა, შევეშვათ, თანაც იქ მრავალი სასიქადულო საქმე ელის, უპირველესად კი – ჭამა-ყლაპვა-სმის კონკურსებში წარმატებით მოღვაწეობა; სხვა

რა საქმე ექნება, ეგეთი გაუნათლებელი და ყოყლოჩინა სამუშაოდ იქ არავინ მიიწვევს!. ეჭვი არ მეპარება, რომ ბატონი ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარუღაშვილი არ შეირცხვენს თავს და ამ შეჯიბრებების ორ ნომინაციაში მაინც დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს ხოლმე; პირველი: ერთ წუთში ვინ მეტ ჰოთ დოგს გადასანსლავს და მეორე: ერთ წუთში ვინ მეტ კათხა ლუდს გამოყლურწავს!

– სამწუხაროდ, იქ ხინკლის სწრაფ ჭამაში არ ეწყობა შეჯიბრებები – იქაც წარმოჩნდებოდა შატაბუტას უბადლო ნიჭი!

– სამაგიეროდ, უამრავ სხვა მსგავს შეჯიბრში შეიძლება გაიბრწყინოს მისმა ხალასმა ნიჭმა! ბატონ პრეზიდენტყოფილის ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და დემაგოგიური დაპირებები მხოლოდ აქ ფასობდა ზოგიერთ ყეყეჩთა თვალში; სხვა არაფერი შეუძლია და მემუარების წერას რომ მიჰყოს ხელი, ვის რად უნდა მისი ნაცოდვილარი – ბარონ მიუნხჰაუზენის თავგადასავალი უკვე დაწერილია!

– მოგონებებს თუ არ დაწერს, მისი ცხოვრებისეული გზა ავანტიურული ფილმის გადასაღებად მაინც გამოდგება. ხმები მოდის, – რაღა ხმები, თურმე მთელი ევროპული ჟურნალ-გაზეთები გადაჭრელებულია წერილებით, რომლებშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი, რომ აპირებენ მხატვრული კინოფილმის გადაღებას შატაბუტას სწორუპოვარი მოღვაწეობისა და არაჩვეულებრივი ფათერაკების შესახებ... პრეზიდენტყოფილი მთავარი გმირი იქნება!.. მაგარი კიდევ ის არის, რომ ამ როლის შემსრულებელი თვით იქნება, საკუთარ თავს განასახიერებს! როგორ მოგწონს?

– სწორია, მაგ თაღლითის როლს სხვა უკეთ ვერ ითამაშებს, დიდებულად გამოუვა: თამაში და მამაძაღლობა სისხლში აქვს, მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებაა, როგორც ყვავისთვის – ყრანტალი!

– შატაბუტა ისეთი ცომისგან არის გამომცხვარი, არსად დაიკარგება; დარწმუნებული ვარ, იმ კინოფილმშიც ვერ მოიშლის მრუდე გზით სიარულს, საკუთარი თავის ლამაზად წარმოსაჩენად იქაც ტყუილებს დაახვავებს, ხალხს თვალებში ნაცარს შეაყრის...

– ჩვენ სულ სხვაგვარი ძაფით ვართ შეკერილი, მაგრამ ჩვენც მაგრები ვართ – მრავალ ხიფათსა თუ განსაცდელს გადავურჩით და არ დავიკარგეთ!

– ჩვენს თავგადასავალზეც შეიძლება კინოფილმის გადაღება!

– რამდენიმესიც – გაგრძელებებით...

და რატომღაც მარცხენა სევდამ შეიპყრო – სურვილი გაუჩნდა თავისუფალი ცხოვრებისა...

– ხეტიალის გაგრძელება მომინდა! – შესჩივლა ძმას, თანაც ჩუჩულით, რომ ბატონ დიტმარ დომინორაულს არ გაეგონა. – კიდევ როდის გავიპაროთ?

– რას ამბობ?.. – გაუკვირდა მარჯვენას. – კარგი, რამდენიმე დღე მოითმინე კონცერტამდე, მაშინ საკმარისად მოგიწევს კლავიშებზე ხეტიალი, ახლა დაისვენე. ჰო, მართლა, არ გიკვირს, რომ დიტმარ დომინორაულმა მისი ბრილიანტის ბეჭედი არ მოისაკლისა? ალბათ ისე გაუხარდა ჩვენი დაბრუნება, რომ ის ბეჭედი არც გახსენებია... სულ მინდოდა მეკითხა: რა უყავი?..

როგორც იქნა, დავასრულე მოხეტიალე თითების საოცარი თავგადასავლის თხრობა და უკანასკნელი აკორდებიღა დამრჩა:

დიტმარ დომინორაულის სოლო კონცერტი მხოლოდ სამი თვის შემდეგ გაიმართა: დრო იყო საჭირო თითების გამოსაჯანმრთელებლად, კოჟრების გასაქრობად და სრულფასოვნად სავარჯიშოდაც. კონცერტზე კი მარცხენასაც და მარჯვენასაც დიდი ჯაფა დაადგათ – მოუხდათ კლავიშებზე ხტომაც, ხტუნვაც, ცეკვაც, სიმღერაც, ერთმანეთთან შეჯიბრიც და გადაძახილიც, განდგომა-დაპირისპირებაც და თანხმობით გზის გაგრძელებაც...

ბრილიანტის კი არა, უბრალო ბეჭედიც არ ეკეთა არც მარჯვენას და არც მარცხენას, სამაგიეროდ, ადრინდელზე ბევრად უკეთ უკრავდნენ...

დიახ, ყველაზე უცნაური კი ამ მართალ ამბავში, იცით, რა იყო? როგორ დაუკრეს მრავალჭირგადანახადმა თითებმა – წინანდელისგან ფრიად განსხვავებულად... და არც არის გასაკვირი – ორიოდე თვეში რამდენი რამ გადაიტანეს!

ამჯერად მაესტრო დიტმარ დომინორაულის შესრულებაში აშკარად გამოიკვეთა ახლებური მიდგომა, თითქოს სხვა პიანისტი უკრავდა – უფრო მგრძნობიარე, უფრო დახვეწილი...

დარბაზში მსხდომნი ესტრადიდან გადმოღვრილ ბგერებში გრძნობდნენ ტყის ნაზი იის სურნელსაც, მხიარული ნაკადულის ლიკლიკსაც, ხეთა ფოთლების ჩურჩულსაც, მიმქროლავი ფთილა ღრუბლების მზით აფერადებული გვერდების არეკვლას მდინარის მოლივლივე ზედაპირზე, ყიჟინით ამოფრენილ სიხარულსაც მგრძნობიარე გულისა და კაეშნის ლურჯ ჩრდილსაც...

2009 წლის 15 მარტი – 31 აგვისტო.